

# გეოლოგიური ინსვიზუვის შრომები

გეოლოგიური სერია

ტომი V (X)

- კ. ნუცუბიძე—ძირულის მასივის პერიფერიის ლიასური ბრაქიოპოდები
- ნ. ბენდუქიძე—რაჭისა და სამხრეთ-ოსეთის ზედა იურული მარჯნები
- ა. ცაგარელი—საქართველოს ზედაცარცული ფაუნა
- მ. უზნაძე—გოდერძის წყების ფლორის აღწერა



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS GÉORGIENNE

**ТРУДЫ ГЕОЛОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА**  
**TRAVAUX DE L'INSTITUT GÉOLOGIQUE**

Сер. геолог. V(X) Sér. géolog.

- К. Ш. Нуцубидзе—Лейасские брахиоподы периферии Дзирульского массива  
Н. С. Бендукидзе—Верхне-юрские кораллы Рачи и Юго-Осетии  
А. Л. Цагарели—Верхнемеловая фауна Грузии  
М. Д. Узнадзе—Описание флоры гондердзской свиты

Издательство Академии Наук Грузинской ССР  
Edition de l'Académie des Sciences de la RSS Géorgienne

Тбилиси

1949

Tbilissi





#### მ. ნუსუზიძე

### ძირულის მასივის პერიფერიის ლიასური ბრაქიოპოდები

#### წინახიტყვაობა

საქართველოს ლიასური ფაუნა ბოლო დრომდე თითქმის შეუსწავლელი იყო. ძველი, საქართველოში მომუშავე გეოლოგების შრომებში ჩვენ ვხვდებით მხოლოდ მათ სიებს, რომლებიც მოყვანილი არიან ამა თუ იმ სტრატиграფიული დასკვნების დასასაბუთებლად (აბიხი, ფავრი, ფურნიე და სხვ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში დაგროვილი საქართველოს (განსაკუთრებით ძირულის მასივის პერიფერიის) მდიდარი ლიასური მასალის სისტემატიკური დამუშავება სულ ათიოდე წლის წინ დაიწყო. მისი ნაწილი, კერძოდ ინოცერაშები, შესწავლილი აქვს ი. კახაძეს [5], ხოლო ამონიტების მდიდარი ფაუნა—აკად. ალ. ჯანელიძეს [2]. ამ მასალიდან მე მხვდა წილად ბრაქიოპოდების დიდი კოლექციის დამუშავება. ბრაქიოპოდები შეგროვილი იყვნენ პ. გამყრელიძის და ს. ჩიხელიძის მიერ. კოლექცია საკმაოდ მრავალფეროვანია და შეიცავს 36 სახეს და ვარიეტეტს, რომლებიც ჯგუფდებიან 6 გვარში: Spiriferina, Rhynchonella, Terebratula, Glossothyris, Zeilleria და Aulacothyris. შესწავლილ ბრაქიოპოდებში 8 ახალი სახე და ვარიეტეტი აღმოჩნდა, ხოლო 28 ფორმა დასაველეთ ევროპის ცნობილ სახეებს ეკუთვნის.

წინამდებარე შრომაში მოცემულია მხოლოდ სახეების აღწერა და მათი გავრცელების საერთო ცხრილი ჩვენში და საქართველოს გარეთ. რაც შეეხება ფაუნის დამუშავების შედეგად მიღებულ ზოგ სტრატиграფიულ დასკვნებს, ისინი ცალკე შრომის საგანს შეადგენენ.

#### სახეების აღწერა

##### გვარი SPIRIFERINA d'ORBIGNY 1847.

ამ გვარის წარმომადგენლებს საგდულები გამოხურული აქვთ. ნიჟარა წერტილოვანი სტრუქტურის არის. ვენტრულ საგდულზე ძლიერ განვითარებული კბილების ფირფიტებია და მალალი შუა სეპტა. ხელის აპარატი თავისებურია. Crura-ზე მიმაგრებულია თასმისებური ფირფიტები, რომლებიც ჯერ ზურგის საგდულისკენ მიიმართებიან, ხოლო მერე იხრებიან მუცლის საგდულისკენ. ისინი შემდეგ სპირალისებურად ეხვევიან, სპირალის წვეროები მიმართული არიან ნიჟარის ლატერული კიდეებისკენ. სპირალური აპარატი შეერთებული არის ერთი-მეორესთან გარდიგარდმო ფირფიტით (jugum).

ეს გვარი პირველად დორბინიმ გამოჰყო Spirifer-ებისგან იმ საფუძველზე, რომ Spirifer-ებს სწორი კლიტის კიდე აქვს და მათ არ ახასიათებს არც სებტა და არც ნიჟარის წერტილოვანი სტრუქტურა. ციტელი და ფიშერი განიხილავდნენ Spiriferina-ს, როგორც Spirifer-ის ქვეგვარს (ციტელი, Handbuch, Bd. I, გვ. 682; ფიშერი—Manuel, გვ. 295, ხოლო შემდეგ ციტელი (Grundzüge, 1903) აღწერს Spiriferina-ს, როგორც დამოუკიდებელ გვარს, რომელიც გავრცელებული არის კარბონულიდან ლიასურამდე. უფრო ხშირად Spiriferina გვხვდება ქვედა ლიასურში, ვიდრე ზედაში.

კორუა თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში დასავლეთ ევროპის Spiriferina-ების შესახებ, ჰყოფს ამ უკანასკნელებს ოთხ ჯგუფად იმისდა მიხედვით არის თუ არა ნიჟარაზე წიბოები. მისი აზრით ეს მოკაზმულობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი, მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენები, მაგალითად, ნიჟარის სიდიდე, მისი მოხაზულობა, თხემის მოყვანილობა და სინუსის არსებობა თუ არარსებობა, განიცდიან ცვლილებას [და განმასხვავებელ ნიშნად ვერ გამოდგებიან.

კორუას მიხედვით Spiriferina-ები შემდეგ ჯგუფებად იყოფიან:

I. *Spiriferina alpina* Opp.-ს ჯგუფი. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ნიჟარა სავსებით გლუვი აქვთ.

II. *Spiriferina tumida* v. Buch.-ის ჯგუფი. ნიჟარაზე სუსტად განვითარებული წიბოებით.

III. *Spiriferina Walcottii* Sow.-ის ჯგუფი. მკაფიო და მახვილი წიბოები აქვთ.

IV. *Spiriferina Quenstedti* Rollier-ს ჯგუფი. მრავალრიცხოვანი წვრილი წიბოებით.

მოიხევემა ამ ოთხ ჯგუფს კიდევ მეხუთე ჯგუფი დაუმატა: *Spiriferina Collenoti* E. Desl., რომლის წარმომადგენლებს უხეში და მორგვალეული წიბოები ახასიათებს.

ჩემ მიერ შესწავლილ მასალაში აღმოჩნდა მხოლოდ სამი პირველი ჯგუფის წარმომადგენლები.

### SPIRIFERINA ALPINA Opp.-ის ჯგუფი.

ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელია სავსებით გლუვი ნიჟარა. ისინი ცვალებადი მოყვანილობის არიან, უფრო განიერი ვიდრე გრძელი სინუსი, როგორც წესი, ოდნავ აქვთ შესამჩნევი.

#### *Spiriferina* cf. *alpina* Opp.

1885. *Spiriferina alpina* Haas, Brachiopodes rhétiens et jurassiques, p. 27, pl. II, fig. 9—10.

1889. " " Geyer, Liassische Brachiopoden des Hierlatz, S. 71, Taf. VIII. Fig. 4—8.

1915. *Spiriferina alpina* Rollier, Synopsis..., part. I, p. 60.  
 1925. " " Моисеев, О фауне из нижне-юрских известняков  
 Крыма, стр. 964.  
 1927. " " Соколов, Les Spiriferidés du Lias européen, p. 9, pl. I,  
 fig. 1—8.  
 1934. " " Моисеев, Юрские отложения Крыма и Кавказа,  
 стр. 23, таб. I, фиг. 1—7.

## ზომები

სიგრძე	განი	სისქე
?	27,5 mm	?
27,3 mm	31 "	?
28 "	32 "	?
31,8 "	33,5 "	?

მასალაში რამდენიმე ნიმუში არის, რომლებიც შიგაკალაპოტებს წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ განცალკევებულად—ვენტრული ან დორზული საგდულით არიან წარმოდგენილი. გამოწკლის მხოლოდ ერთი ნიმუში წარმოდგენს, რომელიც მთლიანია და ნიჟარაც აქვს დაცული, მაგრამ, სამაგიეროდ იგი დეფორმულია და ვენტრული საგდულის მოყვანილობა ძალიან ცუდად ჩანს. ნიმუშები უფრო ფართო არიან, ვიდრე გრძელი. თხემი მოკლეა და სუსტად მოკაუჭებული, არეა ჩაღრმავებული, კლიტის კიდე საშუალო სიგრძის არის და მოხრილი. ნიმუშებს ვენტრულ საგდულზე სინუსი არ ახასიათებს.

აღწერილი ნიმუშები, როგორც ჩანს, *Spiriferina alpina* Opp. უნდა ეკუთვნოდნენ. ამას ადასტურებს ნიჟარის საერთო მოხაზულობა, თხემის მოყვანილობა და სინუსის არარსებობა. როგორც ცნობილია, *Spiriferina alpina* ძალიან ცვალებად ფორმას წარმოადგენს სიდიდის მხრივ. იგი ხასიათდება სწორი, მძლავრი და სუსტად მოკაუჭებული თხემით და ან ძალიან სუსტი სინუსის არსებობით ან და სრული მისი უქონლობით.

*Spir. alpina* დიდ ხანს ცნობილი იყო ლიტერატურაში, როგორც პატარა ზომის ფორმა და ასე აღწერდნენ მას ოპელიც და ჰაასიცი, მაგრამ კორუამ (13, გვ. 9, ტომი I, სურ. 1—8) ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ *Spir. alpina* ყველა ცნობილ ლიასურ *Spiriferina*-ებზე დიდია. მისი აზრით ოპელსაც და ჰაასსაც ამ სახის ახალგაზრდა ეგზემპლარები აქვთ აღწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილ ნიმუშებს თხემი უფრო პატარა აქვთ ვიდრე პორუას *Spir. alpina*-ს ნიმუშ. 5—8. სამაგიეროდ თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ეს მოიხსენიეს ფორმას აქვს (8, ტაბ. 1, სურ. 6—7). ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილი ნიმუშები *Spir. alpina* Opp. ეკუთვნიან, ხოლო მათ შორის არსებული პატარა განსხვავებანი, ამ ფორმის ცვალებადობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

*Spiriferina alpina* Opp. var. *falloti*-სავან აღწერილი ნიმუშები განსხვავდებიან ნაკლები სისქით, სინუსის სრული არარსებობით და ისინი არ არიან იმდენად მორგავალბული, როგორც კორუას ვარიეტეტი.

*Spiriferina alpina* Opp. ცნობილია *Hierlatz*-ში სინემურულიდან. ხმელთაშუა ზღვის მხარეებში შარმეთულ-ტოარსულიდან. ყირიმი—ლიასური.

სადაურობა: კაცხი. წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—9.

### *Spiriferina alpina* Opp., var. *Falleti* Corroy

1927. *Spiriferina alpina* Opp. var. *Falleti* Corroy, *Spiriferinés*, p. 10, pl. I, fig. 13—16.

სიგრძე	ზომები	
	განი	სისქე
42 mm	44 mm	25 mm
27 "	30 "	19 "
27 "	32 "	17,5 "
27 "	28,5 "	16 "

ჩემს მასალაში ამ ფორმის ოთხი ნიმუში არის, რომელთა შორის ერთი ძალიან დიდია და შედარებით კარგად დაცული. აღწერა სწორედ მას შეეხება. იგი შიგა კალაპოტს წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ თხემთან აქვს შერჩენილი ნიჟარა. მასივრგვალ-ოვალური მოყვანილობა აქვს. უფრო ფართო ვიდრე გრძელი. უღიღესი სისქე მას თხემთან აქვს. თვით თხემი მაღალია და მოკაუჭებული. ფორამენი სამკუთხოვანი, დელტიდიუმი არ ჩანს. არეა შედარებით მოკლე და ოდნავ მოღუნული. ზურგის საგდულის თხემი გადმოღუნულია არეაზე. მუცლის საგდულზე ფართო სინუსი არის, რომელიც უფრო მკაფიოდ ფრონტულ კიდეზე ჩანს.

კომისურა ტალღისებურია. ნიმუშს ორივე საგდულზე მკაფიოდ ეტყობა საკმაოდ გრძელი შუა სეპტა და მკვეთრი კონცენტრული ზრდითი ხაზები. წინა კიდეგან ეს ხაზები უფრო ხშირი და ახლოს მდგომი არიან.

აღწერილი ნიმუშები თითქმის სავსებით იდენტური არიან კორუას ახალი ვარიეტეტისა *Spiriferina alpina* Opp. var. *Falleti* nov. var. მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩემი ნიმუში ოდნავ უფრო თხელია. ჩემი აზრით, აღწერილ ნიმუშს ნიჟარა რომ შერჩენოდა, ეს განსხვავებაც მოისპობოდა, რადგან ის ნიჟარის პატარა ნაფლეთი, რომელიც ნიმუშს თხემთან აქვს დაცული, ძალიან სქელია.

სამწუხაროდ სრულ იდენტიურობის შესახებ ვერ ვიტყვი უფრო პატარა ნიმუშებზე. ისინი სიგრძე-სიგანის შეფარდებით უფრო უახლოვდებიან *Spiriferina alpina* Opp.-ს და ამ სახისთვის დამახასიათებელი ნიჟარის მახვილი კიდეები აქვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ისევე როგორც დიდ ნიმუშს, მათ ოპერ

ლის ფორმასთან შედარებით უფრო მოკაუჭებული თხემი აქვთ, მეტად გამო-  
დახლებული სინუსი და გამოშვებული ზურგის საგდულის თხემი. თვით *Spiriferina*  
*alpina* Opp. ბევრად უფრო ფართოა ვიდრე გრძელი, მას გრძელი და სწორი  
არეა აქვს, სინუსი ოდნავ შესამჩნევია და თხემი არ არის მოკაუჭებული. აღწე-  
რილი ნიმუშების მიკუთვნება *Spiriferina alpina* Opp. var. *Falloti* Corroy-სადმი  
თითქოს ექვს არ იწვევს, ხოლო, რაც შეეხება პატარა ეგზემპლარებს, ისინი  
უფრო ახალ ვარიეტეტს უახლოვდებიან, ვიდრე ძირითად ტიპს და თუ უდა-  
ვოდ მას არ ეკუთვნიან, მის ჯგუფში მაინც შედიან.

რაც შეეხება მოისეევიის მიერ აღწერილ *Spir. aff. alpina* Opp. var.  
*Falloti* Corroy (8, გვ. 24, ტაბ., სურ. 8—10), იგი ძალიან საეჭვოა, რომ კო-  
რუას ახალ ვარიეტეტს ეკუთვნოდეს. მას აღწერილ ნიმუშებთან შედარებით  
უკანა კიდე ბევრად უფრო სქელი აქვს და თხემი არ არის მოკაუჭებული. ამ  
მხრივ იგი ძირითად ტიპს უფრო ჰგავს, ვიდრე ახალ ვარიეტეტს. თვით მოი-  
სეევიც აღნიშნავს ნიმუშის ცუდ დაცულობას და ეს უნდა იყოს მიზეზი,  
რომ იგი მას მხოლოდ მიახლოვებით საზღვრავს. მე ვფიქრობ, რომ მოისე-  
ევიის ფორმა *Spiriferina alpina*-ს სულ სხვა, შეიძლება ახალ ვარიეტეტს  
წარმოადგენს და აღწერილ სახის სინონიმიკაში არ შემყავს. *[Spiriferina alpina*  
*Opp. var. Falloti* Corroy ცნობილია ესპანეთში შარბუთულ-ტოარსულიდან.

სადაურობა: ს. სანაზშირე და ს. შროშა. წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—4.

### *Spiriferina Möschi* Haas

(ტაბ. I სურ. 2, 3)

1891. *Spir. Möschi* Haas, *Brachiopodes rhetiens et jurassiques*, p. 129, pl. XI,  
fig. 1—3.

1915. „ „ *Rollier, Synopsis...*, part I, p. 59.

ზომები

სიგრძე—17 mm

განი—18,5 mm (?)

სისქე—12 mm

ჩემ მასალაში ერთი პატარა ნიმუში არის, რომელიც ამ სახის ახალ-  
გაზრდა ეგზემპლარს უნდა წარმოადგენდეს. ნიმუში შიგაკალაპოტს წარმოად-  
გენს და ერთ-ერთი ლატერული კიდე მოტეხილი აქვს. მიუხედავად ამისა მაინც  
ჩანს, რომ ნიჟარა გარდიგარდმო ოვალურია. უდიდესი სისქე მას კლიტის  
კიდეებთან აქვს. თხემი არ არის მაღალი, აშვერილია და სუსტად მოხრილი.  
არეა ჩაღრმავებულია. დელტიდიუმი და ფორამენი არ ჩანს. კლიტის კიდე  
ოდნავ მოხრილია და არ არის გრძელი.

ნიმუშს მუცლის საგდულზე ეტყობა სინუსი, რომელიც თხემიდან იწყება.  
იგი მკაფიოდ არის გამოსახული წინა კიდეზე და შესამჩნევად იჭრება ზურგის  
საგდულში. ამ უკანასკნელზე სინუსს მკირედ ამალღებული ქედი შეესაბამება,  
რომელიც ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება.

ნიმუშს წვრილი რადიალური წიბოები აქვს, რომლებიც გვერდით კიდე-  
ებზე ჩანან. ლუპით ჩანს ოდნავ შესამჩნევი წერტილოვანი სტრუქტურა.

მუცლის საგდულზე, ნიჟარის თხელი ფენის ქვეშ ეტყობა შუა სეპტა და კბილის ფირფიტები.

აღწერილი ნიმუში სავეებით იდენტიურია ჰაასის *Spiriferina Mörschi*-ს ახალგაზრდა ეგზემპლარისა (20, ტაბ. I, სურ. 3). მას, როგორც ეს კარგად ჩანს სურათიდანაც, ახასიათებს წიბოები, რომლებიც ზრდადამთავრებულ *Spir. Mörschi*-ის უკვე აღარ აქვს.

აღსანიშნავია, რომ *Spiriferina Mörschi* აქამდის ცნობილი იყო როგორც შვეიცარიაში, ისე ყირიმში, ქვედა ლიასურში. ჩვენში, როგორც ჩანს, ეს ფორმა უფრო გვიან მოვიდა და ამით აიხსნება, რომ იგი უფრო ახალგაზრდა ნაღებებში გვხვდება, ანდა შემცველი ნალექების საზღვრები ქვევით უნდა დაიწიოს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — შრომა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

*Spiriferina Mörschi* Haas, var. *krimastonensis* Moisseiev

(ტაბ. I სურ. 1)

1926. *Spir. Mörschi* Моисеев, Нижне-юрские известняки Крыма, стр. 965, таб. XXVIII, рис. 1—3.

1934. " " var. *krimastonensis* Моисеев, Юрские брахиоподы, стр. 24 таб. I, фиг. II—15.

ზომები:

სიგრძე—29 mm

განი—33 mm

სისქე—20 mm

კოლექციაში ერთი შედარებით ცუდად დაცული ნიმუში არის, რომელიც ოდნავ ასიმეტრიულიცაა. მუცლის საგდული მეტად არის გამობურცული ვიდრე ზურგის. წვეტიანი თხემი ოდნავ არის მოკაუჭებული. არაა ჩაზნექილია. კლიტის კიდე სწორია და, როგორც ჩანს, გრძელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ნაწილში ნიჟარა ნაწილობრივ მოტეხილია. ფორამენი და დელტიდიუმი არ ჩანს. მუცლის საგდულზე, ფრონტულ კიდეგან ახლოს არის სინუსი. იგი ცუდად ჩანს, რადგან იქ ნიმუში ძლიერ არის გამოფიტული. ნიჟარის დაცულ ნაწილებზე ნიმუშს წერტილოვანი სტრუქტურა ეტყობა.

აღწერილი ნიმუში, როგორც ჩანს, *Spir. Mörschi* Haas-ის ჯგუფს ეკუთვნის და ყველაზე უფრო *Spir. Mörschi* Haas var. *krimastonensis* Mois. უახლოვდება. მათ საერთო აქვთ ნიჟარის და თხემის მოყვანილობა, სისქე და რამდენადმე სინუსიც. ამ მსგავსების გვერდით ცოტაოდენი განსხვავებაც არსებობს: ჩემი ნიმუში, ყირიმის ფორმასთან შედარებით, ნაკლებად არის გაშლილი, კლიტის კიდე უფრო მოკლე აქვს და ზურგის საგდულზე მას წვრილი რადიალური წიბოები არ ეტყობა. ეს უკანასკნელი გარემოება ნიმუშის ცუდი დაცულობით შეიძლება აიხსნას, თუ გვერდს აუვლით ზემოთ აღნიშნულ განსხვავებებს, რომლებიც, ჩემი აზრით, შესწავლილი ნიმუშის ცუდი დაცულობით აიხსნება. აღწერილი ნიმუში შეიძლება მივაკუთვნოთ *Spiriferina Mörschi* Haas var. *krimastonensis* Moisseiev.

ტიპური *Spiriferina Mörschi Haas* ჩემ ნიმუშთან შედარებით ბევრად უფრო სქელია და თხემი უფრო მაღალი აქვს და მეტად მოკაუჭებული.

რაც შეეხება *Spiriferina Mörschi*-ს მონათესავე *Spiriferina alpina* Opp.-ს ჩემი ნიმუში განსხვავდება მისგან სინუსის არსებობით, ნაკლებად ჩაღრმავებული არებით და უფრო სწორი კლიტის კილით.

*Spiriferina Mörschi Haas var. krimastonensis* Mois. ცნობილია ყირიმში ქვედა ლიასურში.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — შარაქაულა-წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რ. 136 ვი-1.

### *Spiriferina aff. Mörschi Haas.*

(ტაბ. I, სურ. 4)

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე—28,5 mm

განი—27,5 mm

სისქე—20 mm

მე ხელთ მაქვს ერთი კარგად დაცული ნიმუში, რომელიც შიგაკალაპოტს წარმოადგენს. ნიმუში თითქმის ერთნაირად სქელია ყველგან, თუმცა კლიტის კიდეგან უფრო მეტად. მუცლის საგდული გამობურცულია, ხოლო ზურგის უფრო ბრტყელია. თხემი მაღალია, გადაზნექილი და ოდნავ მოკაუჭებული. არაა ჩაღრმავებული. კლიტის კიდე ქსწორია და საშუალო სიგრძის. მუცლის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსი არის, რომელიც თითქმის თხემიდან იწყება. ზურგის საგდულზე სინუსს ოდნავ შესამჩნევი ამალღება შეესაბამება, რომელიც ფრონტულ კიდეგან შორს არ სცილდება. ნიმუშს ორივე საგდულზე შუა სეპტა ეტყობა.

აღწერილი ნიმუშის ზუსტი განსაზღვრა ვერ მოხერხდა, რადგან არც ერთ ცნობილ ლიასურ ფორმას იგი არ ემსგავსება. ყველაზე მეტად იგი *Spiriferina Mörschi Haas*-ს უხლოვდება (19, გვ. 129, ტაბ. 1, სურ. 1—3), რომლისგან საგრძნობლად განსხვავდება მუცლის საგდულის ნაკლები სისქით, ნაკლებად გადაზნექილი თხემით და უფრო მოკლე კლიტის კილით. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, აღწერილი ნიმუში მიიწვ *Spiriferina Mörschi*-ს ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან თხემი, მართალია, მას ისე მკაფიოდ არ აქვს გადაზნექილი, როგორც ჰაასის ფორმას, მაგრამ მაინც ამ სახისთვის დამახასიათებელი მოყვანილობა აქვს. რაც შეეხება სინუსს მას იგი თითქმის ისეთივე აქვს, როგორც *Spiriferina Mörschi Haas*.

ამრიგად განსხვავებანი საკმაოდ თვალსაჩინოა, რის გამოც მე ჩემ ნიმუშს ვერ გავაიგიებ ჰაასის ფორმასთან, მაგრამ არსებული მსგავსება მე საშუალებას მძლევს მოვითავსო იგი *Spiriferina Mörschi*-ს ჯგუფში და მიახლოებით მივაკუთვნო მას. შესაძლებელია, რომ შესწავლილი ნიმუში *Spiriferina Mörschi*-ს ახალ ვარიეტეტსაც წარმოადგენს, მაგრამ ერთი ნიმუშის არსებობა საკითხს ართულებს.

ჩემ მასალაში, რომელიც შუა და ნაწილობრივ ზედა ლიასურად თარიღდება, ამ სახის უკვე მესამე წარმომადგენელი მოიპოვება. უდავოა, რომ ჩვენში

*Spiriferina Möschi* არსებობს და სტრატეოგრაფიულად უფრო მაღალი პორიზონტებშია, ვიდრე დას. ევროპაში და ყირიმში. ამრიგად, შესაძლებელია *Spiriferina Möschi* Haas-ის სტრატეოგრაფიული გავრცელების ფარგლები გავაფართოვოდ ქვედა ლიასურიდან შუა ლიასურამდე, თუ მომავალი კვლევა რაიმე ცვლილებას არ შეიტანს შესწავლილი ბრაქიოპოდების შემცველ შრეების ასაკის შესახებ.

სადაურობა—ძირულის კალაპოტი. ხილის წით. კირქვებიდან.  
შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

### *Spiriferina angulata* Opp.

1889. *Spir. angulata* Geyer, Liassische Brachiopoden, S. 74, taf. IX, fig. 7—12.

1924. „ „ Моисеев, О фауне из нижне-юрских известняков Крыма. стр. 966.

1934. „ „ Моисеев, Юрские брахиоподы Крыма и Кавказа, стр. 26, таб. I, фиг. 23—25.

### ზომები

სიგრძე—20 mm

განი—22 mm

სისქე—12 mm

ერთი პატარა მოყვანილობის ნიმუში არის, რომელსაც ცენტრული საგდული პირამიდის მოყვანილობის აქვს. ამ საგდულზე ღრმა სინუსი არის, რომელიც თხემიდან იწყება. დასაწყისში იგი უფრო ვიწროა, ხოლო წინა კიდისკენ ფართოვდება.

ზურგის საგდული უფრო პატარა არის და მას სინუსის შესაბამისი ქედი ახასიათებს. თხემი წვეტიანია და სწორი. არეა თითქმის ბრტყელია. კლიტის კიდე სწორხაზობრივი. ფორამენი სამკუთხოვანია და მას აქეთ-იქით დელტიდიუმის ფირფიტები საზღვრავენ. ფრონტული კიდე უბესავით არის გამოწეული.

აღწერილი ნიმუში ყველა ნიშნებით ჰგავს *Spiriferina angulata* Opp.-ს განსაკუთრებით მოიხევევის მიერ აღწერილ და დასურათებულს. განსხვავებებში შემოქლია აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ ჩემი ნიმუში ოდნავ ასიმეტრიულია, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, დეფორმაციის ბრალი უნდა იყოს, რადგან მკაფიოდ ჩანს, რომ ერთი მხარე მას გასქელებული აქვს გარეშე ზეგავლენით.

პირველი შეხედვით აღწერილი ნიმუში *Spiriferina obtusa* Opp.-ს ემსგავსება, მაგრამ იგი განსხვავდება ამ უკანასკნელისგან უფრო სწორი თხემით და არებით და უფრო ბრტყელი ზურგის საგდულით. გარდა ამისა ჩემი ნიმუში უფრო ფართოა, ვიდრე *Spiriferina obtusa* Opp.

*Spiriferina angulata* Opp. აღწერილია ალპების ქვედა ლიასურიდან, ხოლო იტალიაში იგი ცნობილია ქვედა და შუა ლიასურში.

სადაურობა—კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.



*Spiriferina obtusa* Opp.

1879. *Spiriferina obtusa* Uhlig, Brachiopodenfauna v. Sospirolo, S. 13, taf. I, fig. 5.  
 1889. " " Geyer, Hierlatz, S. 75, taf. VIII, fig. 13—15; taf. IX, fig. 1—5.  
 1926. " " Моисеев, О фауне из ниже-юрских известн. Крыма, стр. 965.  
 1934. " " Моисеев, Брахиоподы юрских отложений Крыма и Кавказа, стр. 25, таб. I, фиг. 16—22.

## ზომები

სიგრძე	განი	სისქე
23 mm	27 mm	17 mm
24 "	26 "	17,5 "
23 "	29 "	16 "
17,5 "	23 "	14 "

მასალაში ამ სახის რამდენიმე ნიმუში არის, რომელთა განი ადგმატება სიგრძეს. ნიმუშები შიგაკალაპოტებს წარმოადგენენ და აქა-იქ შერჩენილი აქვთ ნიჟარა. მუცლის საგდული სქელია, ხოლო ზურგის უფრო ბრტყელი. თხემი მოკაუჭებულია. არცაა ოდნავ ჩაღრმავებული. კლიტის კიდე სწორია. ფორამენი სამკუთხოვანი. მუცლის საგდულზე არის სინუსი, რომელიც თითქმის თხემიდან იწყება. ზოგიერთ ნიმუშზე სინუსი ღრმად არის შეჭრილი ზურგის საგდულში და ჰქმნის უბეს. ერთ ნიმუშზე ჩანს ვენტრული შუა სეპტა. ყველა ნიმუშს მკაფიოდ გამოხატული კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობათ.

აღწერილი ნიმუშები ძალიან უახლოვდებიან *Spiriferina obtusa* Opp.-ს. ეს ფორმა, როგორც ამას გეიერი აღნიშნავს (18, გვ. 76) ძალიან ცვალებადია და ხშირად კიდური ფორმები თითქმის არ გვანან ერთი მეორეს. გეიერს მდიდარი მასალა ჰქონდა ხელთ და მას საშუალება ჰქონდა დაჰკვირვებოდა გარდამავალ ფორმებს. აღწერილი ნიმუშები გეიერის დასურათებულ ნიმუშებს ემსგავსებიან. ასეთებია ტაბ. VIII, სურ. 13, 14, რომლებსგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ცოტათი უფრო გრძელი კლიტის კიდით და ამასთან დაკავშირებით მეტი სიგანით. ასევე განსხვავდებიან ჩემი ნიმუშები მოისევის ფორმისაგანაც.

განსხვავებები საკმაოდ უმნიშვნელოა და არ უშლიან იმას, რომ შესწავლილი ნიმუშები *Spiriferina obtusa* Opp.-ს მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება *Spiriferina angulata* Opp. რომელიც ძალიან მსგავსია *Spir. obtusa*-სი და რომელთანაც მას უწინ აერთიანებდენ, განსხვავდება აღწერილი ნიმუშებისგან უფრო დიდი და სწორი თხემით, ბევრად უფრო ღრმა სინუსით და ნიჟარის უფრო პენტაგონური მოყვანილობით.

*Spiriferina obtusa* Oppel-ი ცნობილია ალპებში ქვედა ლიასურიდან (Lotaringien).

სადაურობა—ს. შრომა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—6.

**Spiriferina ex. gr. obtusa Opp.**

ზომები

სიგრძე	განი
34 mm	40 mm
35 "	38 "
32 "	38 "
29 "	34,5 "
25 "	32,5 "
26 "	29,5 "
22 "	27,5 "

მასალაში რამდენიმე ნიმუშია, წარმოდგენილი მხოლოდ მუცლის საგდულ-ლების სახით. საგდულები უფრო ფართო არიან ვიდრე გრძელი. თხემი სქე-ლია და მოკაუჭებული, არეა დიდი, სამკუთხოვანი და ჩაზნექილი. დელტი-დიუმი არ არის დაცული. საგდულს ახასიათებს სინუსი, რომელიც ფართოა და არა ღრმა. ფრონტულ კიდეთან იგი უფრო მკაფიოდ არის გამოსახული. საგდულზე ჩანს გრძელი ვენტრული შუა სეპტა და კბილების ფირფიტები.

აღწერილი ნიმუშები უახლოვდებიან როგორც *Spiriferina angulata* Opp.-ს, ისე *Spiriferina obtusa* Opp. პირველისგან ისინი განსხვავდებიან უფრო მოზრდი-ლი თხემით, ჩაზნექილი არებით და საგდულების გარდიგარდმო ოვალური მოყვანილობით. გარდა ამისა სინუსი არ არის იმდენად ღრმა და ფრონტულ კიდეზე უბესავით გამოწეული, როგორც ეს ოპელის ფორმას ახასიათებს (18, გვ. 74, ტაბ. IX, სურ. 7—12). უფრო მეტი მსგავსება არსებობს ოპელის მეორე ფორმასთან—*Spir. obtusa*-სთან. აღწერილი ნიმუშები უახლოვდე-ბიან მას ნიჟარის საერთო მოყვანილობით, მოხრილი თხემით, ჩაზნექილი არებით და არა ღრმა სინუსით. მსგავსება თითქოს სრულია, მაგრამ ყველა ზე-მოთ ჩამოთვლილი ნიშნები, აღწერილ ნიმუშებს ძალიან სუსტად აქვთ გამოსახუ-ლი და გარდა ამისა, ისინი უფრო დიდი ზომის არიან და მუცლის საგდული უფრო თხელია.

როგორც ვხედავთ შესწავლილი ნიმუშები ორივე ოპელის ფორმასთან პოულობენ მსგავსებას. ეს მოვლენა გასაგებია, რადგან ეს ფორმები ერთი-მეორეს მონათესავეა და გეიერს მათ შორის მრავალი გარდამავალი ფორმა აქვს ნაპოვნი (18, გვ. 75).

მე ვფიქრობ, რომ აღწერილი ნიმუშები *Spir. obtusa*-ს ჯგუფს უნდა ეკუთვნოდნენ, ხოლო თვით ტიპს ვერ მიეკუთვნება ზემოთ აღნიშნული განსხვა-ვების გამო.

სადაურობა—ს. შრომა წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—9.

**SPIRIFERINA TUMIDA Buch-ის—ჯგუფი.**

ამ ჯგუფის წარმომადგენლები ხასიათდებიან ნიჟარაზე ძალიან სუსტი წიბოების არსებობით. ხშირად ისინი იძლევიან ფორმებს, რომლებიც გარდა-მავალი არიან უწიბო ფორმებისაკენ.

ისინი ცვალებადი სიდიდის არიან, უმეტესად სქელები და კარგად გამო-  
სახული სქელი თხემით და სინუსით.

**Spiriferina tumida Buch.**

1882. *Spiriferina rostrata* Haas u. Petri Juraformation v. Els.-Loth. Taf. XVI,  
Fig. 6—7, 10—11.  
1915. *Spir. tumida* Rollier, Synopsis., part I, p. 59.  
1927. *Spir. pinguis* Моисеев, О фауне из нижне-юрских известн. Крыма,  
стр. 966.  
1927. *Spir. tumida* Corroy, Spiriferidés du lias européen p. 13, pl. III,  
fig. 1—4.  
1934. *Spir. cf. tumida* Моисеев, Брахиоподы юрских отложений Крыма и  
Кавказа, стр. 27.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
33 mm	35 mm	?
32 "	31 "	23,5 mm

ხელთ ორი ნიმუში მაქვს, რომელთაგან ერთი მხოლოდ მუცლის საგდულს  
წარმოადგენს და ისიც ნაწილობრივ გატეხილს, ხოლო მეორე, მართალია,  
სრული ნიმუშია, მაგრამ საკმაოდ ცუდად დაცული. იგი სქელია, მუცლის საგდულ-  
ლი უფრო გამოზურცულია, ვიდრე ზურგის. თხემი სქელია და მოხრილი. არცა  
ჩაზნეკილია და მას მორგვალელებული კიდეები აქვს. დელტიდიუმი მაღალია და  
სამკუთხოვანი. მუცლის საგდულზე სინუსია, რომელიც იწყება თითქმის თხე-  
მიდან და საკმაოდ ღრმა არის. ფრონტულ კიდეზე სინუსი უბესმაგვარად არის  
გამოწეული და მორგვალელებული მოხაზულობა აქვს. ზურგის საგდულზე სინუსს  
ამაღლება შეესაბამება.

ორივე ნიმუშს რადიალური წიბოები ეტყობა, რომლებიც მხოლოდ ნი-  
მუშის ლატერალ მხარეებზეა დაცული და სინუსში არ ჩანს. წიბოები სუსტად  
არიან გამოსახული. მთლიანად დაცულ ნიმუშს წიბოები ზურგის საგდულზე-  
დაც ეტყობა. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი ნაწილობრივ დეფორმულია და  
მოტეხილიც და ამიტომაც წიბოების განლაგების შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

წიბოების რიცხვი, დაახლოებით, სინუსის ორივე მხარეზე 10—12-მდე  
უნდა იყოს. გარდა წიბოებისა, ნიმუშებს მკაფიოდ გამოსახული კონცენტრული  
ზრდიითი ხაზები ახასიათებს.

აღწერილი ნიმუშები ძალიან ემსგავსებიან *Spiriferina tumida* v. Buch-ს  
საერთო მოყვანილობით, თხემის მოხაზულობით და წიბოებით. აგრეთვე სისქი-  
თაც ისინი მსგავსი არიან (აქ იგულისხმება მთლიანი ნიმუში). ასეთი დიდი-  
მსგავსების გვერდით მცირეოდენი განსხვავებებიც არსებობს: აღწერილ ნიმუ-  
შებს წიბოები უფრო სუსტი აქვს, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მე-  
ხელთ შიგაკალაპოტები მაქვს; თხემი რამდენადმე ნაკლებად არის მოხრილი-

და სინუსი ღრმა არ არის. ეს განსხვავებანი საკმაოდ სუსტად არიან გამოსახული და ვფიქრობ, რომ *Spiriferina tumida*-ს სახის ცვალებადობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

კორუას მიერ აღწერილი *Spir. tumida* Buch-ის სხვა ვარიეტეტებისგან შესწავლილი ნიმუშები საგრძნობლად გამოირჩევიან: var. *ascendens* უფრო ბრტყელ ფორმას წარმოადგენს, საგდულები მას ფრთისებურად აქვს და თხემი უფრო დიდია და უკან გადაზნექილი.

Var. *sicula* მეტად სქელი ფორმაა და თხემი ძალიან პატარა და მეტად მოხრილი აქვს, ვიდრე ეს ჩემ ნიმუშებშია. ასევე var. *acuta* მას კლიტის კიდე უფრო გრძელი აქვს, თხემი მოკლეა და მეტად მოხრილი და სინუსი ფრონტულ კიდეზე არ ჰქმნის ისეთ უბეს, როგორც ეს აღწერილ ნიმუშებს ახასიათებს.

რაც შეეხება var. *Haueri* Suess და var. *rupestris* Eud. Deslongchamps—პირველისგან ჩემი ნიმუშები განსხვავდებიან მეტი სისქით, უფრო მოხრილი თხემით, მორგვალეზული მოხაზულობის სინუსით და უფრო სუსტი წიბოებით, ხოლო მეორისგან—ნაკლებად სქელი ვენტრული საგდულით, უფრო მოკლე და მეტად მოხრილი თხემით და უფრო გაშლილი საგდულებით.

საინტერესოა, რომ კორუა *Spiriferina tumida*-ს მოკაზმულობაში გარკვეულ კანონზომიერებას პოულობს. მისი დაკვირვებით ჰეტანგური ფორმები ხასიათდებიან ძალიან წვრილი წიბოებით, სინემურულში მათ წიბოები კარგად აქვთ განვითარებული, ხოლო შარმუთულში წიბოები ისევ სუსტდებიან. ამ მხრივ, ჩემი ნიმუშები, რომლებიც შუა ლიასური ასაკის არიან და სუსტად გამოსახული წიბოები აქვთ, თითქმის ადასტურებენ კორუას დაკვირვებას.

*Spiriferina tumida* Buch გავრცელებულია დას. ევროპაში ზედა ჰეტანგურიდან—ქვედა ტოარსულამდე. ყირიმში—ლიასურიდან.

სადა ურობა—ს. კაცხს და ს. შროშა, წითელი კორქები.  
შესწ. ნიშ. რიცხვი—2.

### *Spiriferina* sp. ex. gr. *tumida* Buch

ზომები

სიგრძე	განი
24 mm	22,5 mm
24 „	26 „

მასალაში ორი ცუდად დაცული ნიმუში არის, რომლებიც მხოლოდ მუცლის საგდულით არიან წარმოდგენილი. ისინი პენტაგონური მოყვანილობის არიან, ძალიან მაღალი თხემით. იგი გადაზნექილია და მისი წვეტი ოდნავ არის მოხრილი. არეა ძალიან დიდია და ბრტყელი. დელტიდიუმი არ ჩანს. სინუსი თითქმის, თხემიდან იწყება; ფრონტულ კიდეზე უბესმაგვარად არის გამოწეული. იგი ფართოა და არა ღრმა.

საგდულები მოკაზმული არიან რადიალური წიბოებით, რომლებიც მხოლოდ ნიმუშების ლატერულ მხარეებზე ჩანან. ნიმუშების ცუდი დაცულობის

გამო წიბოების რიცხვის დაოვლა ძალიან ძნელია, მაგრამ დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ 9—10-მდე წიბოა.

აღწერილი ნიმუშები *Spiriferina tumida* Buch-ის ჯგუფს ეკუთვნის, მხოლოდ ამ ჯგუფის არც ერთ წარმომადგენელს არ უახლოვდება. შესაძლებელია, რომ ისინი ახალ ვარიეტეტსაც წარმოადგენენ, მაგრამ მასალის ცუდი დაცულობა მე უფლებას არ მძლევს, გამოვეყო ისინი ახალ სახედ.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა—გლინავის ლეღე, სალიეთი. წითელი კირქვები.

- შესწ. ნიშ. რიცხვი—2.

### SPIRIFERINA WALCOTTI Sow.-ს ჯგუფი.

ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ნიჟარაზე მძლავრი წიბოები აქვთ. ნიჟარაცვალებადი სიდიდის არის, მაგრამ უმეტესად დიდი ზომის. თხემი ძლიერ მოკაუჭებული და ღრმა. კარგად გამოსახული სინუსი.

#### *Spiriferina Walcottii* Sow.

1851. *Spiriferina Walcottii* Davidson, British Oolitic and liasic Brachiopoda p. 25, pl. III, fig. 2.
1858. " " Quenstedt, Der Jura, S. 76, Taf. IX, fig. 8; S. 182, Taf. XXII, Fig. 27.
1867. " " Dumortier, Dépôts jurassiques. p. 81, pl. XIV, fig. 6—7.
1882. " " Haas u. Petri, Juraformation v. El.-Loth. S. 182, Taf. XXII, Fig. 27.
1885. *Spir. Guilleroni* Haas. Brachiopodes théthiens et jurassiques, p. 76, pl. VII, fig. 26, 29.
1915. *Spir. Walcottii* Rollier, Synopsis..., part I, p. 59.
1927. " " Corroy, Spiriferides du lias européen, p. 24, pl. IV, fig. 1—4.
1934. " " Моисеев, Брахиоподы юрских отложений Крыма и Кавказа, стр. 29, таб. II, фиг. 5—9.

#### ზომები

სიგრძე—20 mm

განი—29 mm

სისქე—?

ხელთ მხოლოდ ერთი მუცლის საგდული მაქვს, რომელიც ძალიან კარგად არის დაცული. იგი შერგაკალაობს წარმომადგენს და აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარის თხელი ფენა. საგდული უფრო განიერია ვიდრე გრძელი. თხემი მალაღია და მოკაუჭებული. არეა დიდია და ოდნავ ჩაზნექილი. ფორამენი სამკუთხოვანია და აღწევს თხემის წვერს. არეის მახვილი კიდეები აქვს. ნიმუშს ეტყობა ფსევდოდელტიდიუმი, რომელიც არ არის მთლიანად დაცული. საგდულს ღრმა სინუსი აქვს, რომელიც თხემიდან იწყება და ფრონტულ კიდეზე უბესავით არის გამოწეული. საგდულს ასიმეტრიულობა ეტყობა, რომელიც კარგად ჩანს სინუსის მოყვანილობაზე.

ნიმუშს მკაფიოდ გამოსახული რადიალური წიბოები ეტყობა, რომელთა რიცხვი დაახლოებით 13—14 არის. ისინი მსხვილებია და მათ მორგველებული ზედაპირი აქვთ.

აღწერილი ნიმუში ყველა ნიშნით ძალიან უახლოვდება *Spiriferina Walcottii* Sow.-ს მოისევევის მიერ აღწერილ და დასურათებულს. იგი განსხვავდება მოისევევის ფორმისგან მხოლოდ წიბოების უფრო მეტი რაოდენობით (13—14 ნაცვლად 12-სა) და ასიმეტრიული მოყვანილობით. სამწუხაროდ ზუსტ შედარებას ხელს უშლის ის, რომ მე ხელთ მხოლოდ მუცლისმთავრული მაქვს, მაგრამ დამახასიათებელი ნიშნები მას კარგად ემჩნევა.

ტიპიური *Spiriferina Walcottii* Sow. (14, გვ. 25, ტაბ. III, სურ. 2, 3 და 13, გვ. 24, ტაბ. IV, სურ. 1—4) უფრო მორგველებული და სქელი ფორმაა, მას მეტად გამოსახული წიბოები აქვს და უფრო სქელი და მოხრილი თხემი. ამასთან დაკავშირებით არეაც უფრო ვიწროა.

კორუას ორივე ვარიეტეტისგან *var. betacalcis* Quenst. და *var. Munsteri* Dav. ჩემი ნიმუში განსხვავდება, პირველისგან უფრო პატარა ზომით, ხოლო მეორისგან ბევრად უფრო მოკლე კლიტის კილით. ორთავე ვარიეტეტს უფრო მსხვილი და მკაფიოდ გამოსახული წიბოები აქვს (როლიეს ორივე ვარიეტეტი დამოუკიდებელ სახეებად აქვს გამოყოფილი—30. ნაწ. I, გვ.გვ. 61, 64).

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად აღწერილი ნიმუში მოისევევის ფორმას ემსგავსება, ხოლო ის, რომ ჩემი ნიმუში ასიმეტრიულია არ უნდა ჩაითვალოს დაბრკოლებად, რადგან, როგორც ჩანს კორუას და ჰაასის და პეტრის სურათებიდან, მათ მასალაშიც ყოფილა ასიმეტრიული ფორმები.

*Spiriferina Walcottii* Sow. ცნობილია დას. ევროპაში ქვედა სინემურულიდან—ზედა შარმუთულამდე.

სადაურობა—კაცხურა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

გვარი **RHYNCHONELLA** Fischer 1809

**Rhynchonella pontica** Moisseiev

1934. *Rhynchonella pontica* Моисеев, Юрские брахиоподы, стр. 49, таб. III, фиг. 23—30.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
21 mm	26 mm	16,5 mm
25 "	28 "	18,5 "
21 "	23,5 "	16 "
19,5 "	15,5 "	10 "
8,5 "	8 "	5,5 "

ხელთ რამდენიმე გატეხილი ნიმუში მაქვს, რომელთა შორის, გამოირჩევა საკმაოდ კარგად დაცულიც. ისინი პენტაგონური მოყვანილობის არიან.

ზურგის საგდული ძალიან არის გამობურცული. ხოლო მუცლის უფრო ბრტყელია. თხემი მოკლეა და მოკაუჭებული. მას ოდნავ შესამჩნევი ლატერული ქედები ახასიათებს. ნიმუშები თხემთან სქელებია, ხოლო გვერდითი და ფრონტული კიდეებისკენ ნიჟარა თხელდება. მუცლის საგდულზე არა ღრმა და ფართო სინუსია, რომელსაც ზურგის საგდულზე ქედი შეესაბამება. ნიმუშები მოკაზმული არიან წიბოებით, რომელთა რიცხვი მერყეობს 16—20-მდე. სინუსში და ქედზე 4—5 წიბოა. წიბოებს მახვილი ზედაპირი აქვს.

კომისურა ნიმუშების ლატერულ კიდეებზე თითქმის სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულზე კლაკნილი. მასალაში, გარდა დიდი ნიმუშებისა, ორი პატარა ზომის ნიმუში არის, რომლებიც ძალიან გვიანან დიდ ნიმუშებს თხემის და წიბოების მოყვანილობით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნიმუშები აღწერილი სახის ახალგაზრდა ეგზემპლარებს წარმოადგენენ. თითქოს ამასვე ადასტურებს მასალის დალაგება განვითარების რიგში, სადაც აღნიშნული პატარა ეგზემპლარები სათანადო ადგილს პოულობენ.

აღწერილი ნიმუშები თითქმის სავსებით იდენტური არიან მოიხევევის *Rhynchonella pontica* n. sp.-ის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩემ ნიმუშებს ლატერული კიდეები უფრო სქელი აქვთ.

როგორც მოიხევევი აღნიშნავს (8, გვ. 49), *Rhynchonella pontica* ხასიათდება დიდი ცვალებადობით ნიჟარის და სინუსის მოყვანილობაში და სისქეში. ამას საკმაოდ ადასტურებენ მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები ტაბ. III, სურ. 23—30.

შორეული მსგავსება არსებობს აღწერილ ნიმუშებსა და *Rhynchonella plicatissima* Quenst. შორის, მსგავსება მხოლოდ საერთო მოყვანილობაშია, რადგან კვენსტედტის ფორმას უფრო გამობურცული საგდულები აქვს; თხემი უფრო მოკაუჭებულია და წიბოების რიცხვი, როგორც წესი, უფრო მეტი აქვს (24-მდე, თუმცა არის 14-წიბოიანი ნიმუშებიც).

*Rhynchonella pontica* Moisseiev გავრცელებულია ჩრდ. კავკასიაში შუა ლიასურში.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — კ ა ც ხ ი, წითელი კირქვები.

შ ე ს წ. ნ ი მ. რ ი ც ხ ე ი — 13.

### Rhynchonella Paronai Haas

1887. *Rhynchonella Paronai* Haas, Brachiopodes rhétiens et jurassiques, p. 85, pl. V, fig. 2, 7, 8, 14, 15.

1917. " " Rollier, Synopsis..., part II, p. 109.

### ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	განი	სისქე
31 mm	33 mm	18 mm
8 "	9 "	5 "

ერთი ზრდადამთავრებული ეგზემპლარია, ხოლო მეორე ამ სახის ახალგაზრდა ფორმას უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროდ დიდი ნიმუში ნაწილო-

ბრივ გატეხილია, მას მოტეხილი აქვს ერთ-ერთი ლატერული კიდე, მიუხედავად ამისა მისი აღწერა სავსებით შესაძლებელია. ნიმუში მორგვალო-პენტაგონური მოყვანილობის არის. ორივე საგდული თითქმის თანაბარი სისქის არის, თხემი მოკლეა და ოდნავ მოკაუჭებული. მას მორგვალეული ლატერული კიდეები ახასიათებს. დელტიდიუმი არ ჩანს, ხოლო ფორამენი -პატარა არის და ოვალური.

ნიმუშს თითქმის სავსებით სწორი ფრონტული კიდე აქვს და ამის გამო ლატერული და ფრონტული კიდეების კომისურა სწორია ან ფრონტულ კიდეზე ოდნავ ტალღისებური.

ნიმუშს 14 რადიალური წიბო ახასიათებს, რომლებიც თხემიდან იწყებიან. დასაწყისში ისინი წვრილებია, ხოლო ფრონტულ კიდესთან სქელდება და მათ მახვილი ზედაპირი უხდებათ. პატარა ეგზემპლარიც მორგვალო-პენტაგონური მოყვანილობის არის. თხემის მოყვანილობა და წიბოების რაოდენობა მას ისეთივე აქვს, როგორც დიდ ნიმუშს, მხოლოდ ეს წიბოები არ არიან ისე მკაფიოდ გამოსახული.

აღწერილი ნიმუშები ძალიან უახლოვდებიან *Rhynchonella Paronai* Haas წიბოების რიცხვით, თხემის მოყვანილობით, საერთო სისქით და შედარებით სწორი ფრონტული კილით. ასეთი დიდი მსგავსების გვერდით, მათ შორის განსხვავებაც არსებობს: აღწერილი ნიმუშების ლატერული კიდეები უფრო თხელი და ფრთისებურად გამოწეული აქვს. ამის გამო ნიმუშებს უფრო მეტად პენტაგონური მოხაზულობა აქვს, ვიდრე ჰაასის ფორმას. გარდა ამისა აღწერილი ნიმუში რამდენადმე უფრო დიდი ზომის არის. რაც შეეხება პატარა ნიმუშს, იგი სავსებით ისეთივეა, როგორც *Rhynchonella Paronai*-ს ახალგაზრდა ინდივიდი (19, ტაბ. V, სურ. 13).

აღწერილი ნიმუში შეიძლება შედარებულ იქნას *Rhynchonella Greppini* Opp.-ს, რადგან მათ საერთო აქვთ ნიჟარის მოყვანილობა და უსინუსო ფრონტული კიდე. მაგრამ მასთან განსხვავება გაცილებით უფრო მეტია.

*Rhynchonella Greppini* ბევრად უფრო სქელ ფორმას წარმოადგენს, ფრონტული კიდე გაცილებით უფრო სქელი აქვს და იგი უფრო სამკუთხოვანი მოყვანილობის არის, ვიდრე პენტაგონური.

ჩემი აზრით აღწერილი ნიმუშების მიკუთვნება *Rhynchonella Paronai*-სადმი არ უნდა იწვევდეს დაბრკოლებას და ის მცირეოდენი განსხვავება არ უნდა იყოს გადამწყვეტი, რადგან თვით ჰაასს ამ სახეში მოთავსებული აქვს ფორმები, რომლებსაც ტიპურ ფორმასთან საერთო აქვთ მხოლოდ წიბოების რიცხვი და თხემის მოყვანილობა.

*Rhynchonella Paronai* Haas ცნობილია ალპებში (*Alpes Vaudoise*). შუალიასურში.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — ს. უბისა, წითელი კირქვები.

შესწ. ნ. მ. რ ი ც ხ ვ ი — 2.



**Rhynchonella aff. Greppini Opp.**

(ტაბ. II, სურ. 13)

სიგრძე	ზომები	
	განი	სისქე
30 mm	34 mm	25 mm
28 "	34 "	27 "
18 "	22 "	14 "

ხელთ სამი საკმაოდ ცუდად დაცული ნიმუში მაქვს, რომლებიც ნაწილობრივ გატეხილიც არიან. მათ პენტაგონური მოყვანილობა აქვთ და ისინი უფრო ფართო არიან ვიდრე გრძელი. თხემი არც ერთ ნიმუშს დაცული არ აქვს. ორივე საგდული კლიტის კიდის არეში ოდნავ ჩაზნექილია და ცრუ არეის შთაბეჭდილებას სტოვებენ. მუცლის და ზურგის საგდულები თითქმის თანაბარი სისქის არიან. მუცლის საგდულზე ფართო და არაღრმა სინუსი არის. სამწუხაროდ, სინუსის შესაბამისი ქედი ზურგის საგდულზე მოტეხილია.

ნიმუშებს ახასიათებს 8—14 რადიალური წიბო, რომლებიც სქელები არიან და მახვილი ზედაპირი აქვთ. სინუსში 3—4 წიბო არის.

აღწერილი ნიმუშები ნიჟარის საერთო მოყვანილობით, კლიტის კიდით და წიბოების მონახულობით უახლოვდებიან *Rhynchonella Greppini* Opp. (16, გვ. 136, ტაბ. II, სურ. 7, 8, 18, გვ. 47, ტაბ. III, სურ. 12—19). მაგრამ მათ სინუსი უფრო მკაფიოდ აქვთ განვითარებული და ამის გამო ფრონტული კიდე სულ სხვაგვარი მოყვანილობის აქვს, ვიდრე ოპელის ფორმას. ტეპიური *Rhynchonella Greppini* პატარა ზომის ფორმაა. 10—11-ოდე მახვილი წიბოთი და სინუსი ან სრულებით არ აქვს ანდა ეს უკანასკნელი ბრტყელი და ოდნავ შესამჩნევია.

შესაძლებელია, აღწერილი ნიმუშები უკეთ რომ ყოფილიყვნენ დაცული, მსგავსების უკეთეს სურათს მოგვცემდნენ, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ განსხვავება მეტი გამოჩნდებოდა და ისინი ან რომელიმე სხვა სახეს მიეკუთვნებოდნენ, ან ახალ სახეს მოგვცემდნენ. ყოველ შემთხვევაში ეხლა ისინი მხოლოდ *Rhynchonella Greppini*-ს უახლოვდებიან, მაგრამ ვერ მიეკუთვნება მას ფრონტულ კიდის განსხვავების გამო.

*Rhynchonella Greppini* Opp. დამახასიათებელია ხმელთა შუა ზღვის ქვედა ლიასურისთვის.

სადა ურობა — კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—4.

**Rhynchonella cf. curviceps Quenstedt**

1858. *Rhyn. curviceps* Quenstedt, der Jura, S. 138, Taf. 17, Fig. 13—15.

1882. " " Haas u. Petri, Juraformation v. Els.-Loth, S. 188, Taf. I, Fig. 13—15.

1902—1905. *Rhyn. curviceps* Rau. Mittleren Lias Schwabens. S. 18, Taf. II, Fig. 14—17.

2. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V (X)

1909. *Rhyn. curviceps* Trauh, Grestener Schichten d. Oster. Voralpen, S. 57, Taf. I, Fig. 4.
1925. „ „ u. *Rh. fraasi* Моисеев, О фауне из нижне-юрских известн. Крыма, стр. 269.
1934. „ „ Моисеев, Брахиоподы юрских отложений Крыма и Кавказа, стр. 39, таб. II, фиг. 22—25.

## ზომები

სიგრძე—23,5 mm

განი—24,5 mm

სისქე—21 mm

მასალაში ერთი ნიმუშია, რომელიც სამწუხაროდ არ არის მთლიანად დაცული, თხემი ნაწილობრივ გატეხილი არის და ფრონტული კიდის ნაწილი ვადარეცხილია.

ნიმუში მორგვალო-პენტაგონური მოყვანილობის არის. ზურგის საგდული ძლიერ არის გამობურცული. ეს გამობურცულობა თითქმის თხემიდან იწყება და საკმაოდ კარგად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ საგდული რამდენადმე ვადარეცხილია. მუცლის საგდული უფრო ბრტყელია. მას მოკლე, სქელი და მოკაუჭებული თხემი აქვს, რომელიც კლიტის კიდეს ეხება. ფორამენი და დელტიდოუმი არ არის დაცული. მუცლის საგდულს კარგად განვითარებული თხემი აქვს, რომელიც აგრეთვე კლიტის კიდეს ეხება.

მუცლის საგდულზე ნიმუშს ფართო და შედარებით არალრმა სინუსი ახასიათებს. მისი შესაბამისი ქედი, ზურგის საგდულზე არ არის მთლიანად დაცული.

ნიმუში დაფარულია 16—17 რადიალური წიბოთი. ისინი სქელებია და კვეთში სამკუთხოვანი. სინუსში 6 წიბოა, ხოლო ქედზე მათი რიცხვის გამორკვევა ძნელია, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 6-ს. კომისური ნიმუშის ლატერულ კიდეებზე მარტივია, ხოლო ფრონტულ კიდეზე სწორი კუთხით უხვევს ზურგის საგდულისკენ და სინუსს მიუყვება. ზურგის საგდულზე საშუალო სიგრძის შუა სებტა არის.

აღწერილი ნიმუშები ძლიერ ემსგავსებიან *Rhynchonella curviceps* Quenst.—მათ საერთო აქვთ ნიჟარის სისქე, თხემის მოყვანილობა და წიბოების რაოდენობა.

ტიბიური *Rhynchonella curviceps* Quen-ს—წიბოების რაოდენობა მერყევი აქვს 15—22-მდე, სინუსში 5—6 წიბოა, სინუსი ფართო და მაღალია.

აღწერილი ნიმუში სავსებით იდენტურია მოიხევევის ფორმისა. უფრო მეტი განსხვავება არსებობს ჩემ ნიმუშსა და კვენსტედტის და რაუს *Rhynchonella curviceps* შორის. ორივე ავტორებს დასურათებული აქვთ ნიმუშები ძლიერ მაღალი და მკაფიოდ გამოსახული სინუსით და ქედით. მართალია, ჩემ ნიმუშს ფრონტული კიდე მთლიანი არ აქვს, მაგრამ დაცული ნაწილის მიხედვით ჩანს, რომ მას არ უნდა ჰქონოდა ძალიან მაღალი სინუსი. დანარჩენი დამახასიათებელი ნიშნები მათ საერთო აქვთ.

*Rhynchonella curviceps* Quenst. ცნობილია ელზას-ლოტარინგიაში შუა ლიასურში და ქვედა ლიასურის ზედა ნაწილში (*Robinien*) ჩრდ. კავკასიაში და ყირიმში—ლიასურში.

სადაურობა—ს. სამება, წითელი კირქვები.

შესწ. ნიშ. რიცხვი—1.

*Rhynchonella samebaensis* n. sp.

(ტაბ. III, სურ. 12)

ზომები

სიგრძე—16 mm

განი—18 mm სისქე—10,5 mm

კოლექციაში ერთი კარგად დაცული ნიმუში არის, რომელსაც ნაწილობრივ შერჩენილი აქვს ნიჟარა. ნიმუში საშუალო სისქის არის. ზურგის საგდული თხემთან გამობურცულია, ხოლო ფრონტული კიდისკენ უფრო ბრტყელი ხდება. თხემი მოკლეა და ოდნავ მოკაუჭებული. ფორამენი პატარა და რგვალი. თხემს მორგვალბული ლატერული კიდევები ახასიათებს. კომისურა გვერდებზე თითქმის სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულ კიდევზე კრაქნილი. სანუსი ბრტყელია და ფართო. იგი იწყება მუცლის საგდულის სიგრძის მესამედიდან. ზურგის საგდულზე მას შეესაბამება ქელი, რომელიც ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება. სინუსის აქეთ-იქით ნიჟარა ფრთისებურად არის გამოწეული, ხოლო ეს ფრთები არ არიან ძალიან გაშლილი.

ნიჟარა მოკაზმულია 8 მსხვილი წიბოთი, რომლებსაც მორგვალბული ზედაპირი აქვთ. წიბოები თხემიდან იწყებიან სადაც ისინი ძალიან წვრილი არიან. თხემიდან დაახლოებით სიგრძის ერთ მესამედზე ისინი ერთდებიან და უფრო სქელ წიბოებს იძლევიან, რიცხვით ნაკლებს. სინუსს 3 წიბო ახასიათებს, ხოლო ქედს 4. ლატერულ კიდევებზე ორ-ორი წიბოა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ლატერულ ფრთაზე დამატებითი წიბო ჩნდება. იგი თხემიდან მოშორებით იწყება და ფრონტულ კიდეს არ აღწევს.

ნიმუშს მკაფიოდ ეტყობა ონტოგენეტური განვითარების 3 სტადია, რომელიც ზრდითი ხაზებიდან ჩანს. განვითარების პირველ სტადიაში წიბოები წვრილებია და მრავალრიცხოვანი, დაახლოებით 12—13 მმ, ყველანი ერთი ზომის არიან და იწყებიან თხემიდან. მეორე სტადიაში, რომელიც თხემიდან 3—4 მმ დაშორებით იწყება, წიბოები უფრო სქელებია და ნაკლებრიცხოვანი—8, 9. უკანასკნელ სტადიაში წიბოები კიდევ უფრო სქელები ხდებიან და რიცხვით 8 და მათ შორის დამატებითი წიბოც ჩნდება. გარდა წიბოებისა ნიმუშს ძალიან წვრილი რადიალური შტრიხები ეტყობა.

აღწერილი წიბოები ნიჟარის მოხაზულობით, თხემის მოყვანილობით და ფრონტული კიდით *Rhynchonella Ravi* Roll-ს უახლოვდება (29, გვ. 35, ტაბ. 2 (22), სურ. 56—61). ეს ფორმა პირველად აღწერილი იყო რაუსს მიერ *Rhynchonella Dalmasi* Dum. სახელწოდების ქვეშ, ხოლო შემდეგში როლიემ (30, ნაწ. II, გვ. 106) შეუცვალა მას სახელი და უწოდა *Rhynchonella Ravi*. იმის საფუძველზე, რომ დიუმორტიეს ფორმა ხასიათდება დაბალი სინუსით,

უფრო მოკლე წიბოებით, რომლებიც ნიჟარის ლატერულ კიდებზე არ გადადიან. ნიჟარა უფრო მოკლეა და ბეგრად უფრო სწორი ფრონტული კიდე ახასიათებს.

რაც შეეხება *Rhynchonella Ravi* Roll. მას მაღალი სინუსი აქვს, წიბოების საერთო რაოდენობა 6—7 და, რაც მთავარია, ისინი ნიჟარის შუა სიმალიდან იწყებიან, ასე რომ თხემის ნაწილი სავესებით გლუვია. აღწერილი ნიმუშები განსხვავდებიან ზემოთ აღნიშნული სახისგან უფრო დაბალი სინუსით, ნიჟარის მეტად სამკუთხოვანი მოყვანილობით, უფრო მოკლე თხემით და მრავალრიცხოვანი წიბოებით, რომლებიც თხემიდან იწყებიან. განსხვავების გამო, აღწერილი ნიმუში ვერ მიეკუთვნება ზემოთმოყვანილ სახეებს, არც სხვა ცნობილ ლიასურ ფორმებს იგი არ უახლოვდება და ამის გამო მე მას ახალ სახედ გამოგყოფ.

სადა ურობა—ს. სამება, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

*Rhynchonella liasica* n. sp

(ტაბ. II, სურ. 4—7)

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
16 mm	19 mm	14,5 mm
15 "	17 "	12 "
14 "	14 "	10,5 "

მასალაში მრავალი სქელი პენტაგონური მოყვანილობის ნიმუშია, რომელთაც ზურგის საგდული მეტად აქვთ გამოზურცული, ხოლო მუცლისა—ბრტყელია. თხემი პატარაა და სუსტად მოკაუჭებული. მას მკაფიოდ გამოსახული ლატერული ქედები ახასიათებს. არც ფორამენი და არც დელტიდიუმი დაკუთვლი არ არის. მუცლის საგდულს ახასიათებს ფართო და ბრტყელი სინუსი, რომელიც ძალიან მაღალია. სინუსის აქეთ-იქით ნიჟარა ფრთისებურად არის გამოწეული. ზურგის საგდულზე სინუსს ოდნავ შესამჩნევი ამალღება შეესაბამება, რომელიც ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება. კომისურა ლატერულ კიდებზე თითქმის სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულ კიდებზე კუთხედი მოხაზულობის არის.

ნიმუშები მოკაზმული არიან 25—29 რადიალური წიბოთი. ისინი იწყებიან თხემიდან ცოტათი მოშორებით. დასაწყისში ძალიან წვრილებია და თითქმის შეუმჩნეველი, ხოლო შემდეგ სქელდებიან. წიბოებს მორგვალბული ზედაპირი აქვთ და მხოლოდ ლატერულ მხარეებზე ისინი მახვილი ხდებიან. სინუსში 8—10 წიბოა, ხოლო ქედზე—8.

აღწერილი ნიმუშები არც ერთ ცნობილ ლიასურ ფორმას არ უახლოვდებიან. შესაძლებელია, რომ ისინი ქვედა ლიასურ *Rhynchonella plicatissima* Quenstedt-ის ჯგუფს ეკუთვნიან (18, გვ. 57, ტაბ. VI, სურ. 33—35, ტაბ. VII, სურ. 17), რადგან საერთო პაბიტუსით ემსგავსებიან მას, მაგრამ წიბოე-

პის მეტი რიცხვი და მეტად გამობურცული ზურგის საგდული მათ ანსხვავებს კვენშტედტის ფორმისგან. აღნიშნული მიზეზების გამო აღწერილი ნიმუშები გამოყვავი ახალ სახელად.

სადაურობა—შარაქაულა და სამება. წითელი კირქვები.

შესწ. ნიშ. რიცხვი—55.

### *Rhynchonella Dumbletonensis* Roll.

1851. *Rhyn. tetraëdra* Davidson, Ool. and liasic Brachiopoda, p. 93—95, pl. 18, fig. 6—9.

1858. " " Quenstedt, der Jura, S. 179.

1917. *Rhyn. Dumbletonensis* Rollier, Synopsis..., part II, p. 97.

#### ზომები

სიგრძე—34 mm

განი—39 mm

სისქე—29 mm

ეს ფორმა წარმოდგენილია ჩემ მისალაში ერთი, ძალიან დიდი და სქელი ნიმუშით. სამწუხაროდ, იგი ნაწილობრივ გატეხილია (აკლია ერთ-ერთი ლატერული კიდე და ნაწილობრივ ფრონტულიც), მაგრამ მაინც სახის დამახასიათებელი ნიშნები კარგად ჩანს. ნიმუში მკაფიოდ პენტაგონური მოყვანილობის არის, ძალიან გამობურცული ზურგის საგდულით. მუცლის საგდული შედარებით უფრო ბრტყელია, მაგრამ მაინც საკმაოდ გამობურცული. თხემი სქელია, მოკლე და მისი წვეტი თითქმის ეხება ზურგის საგდულის თხემს. თხემს სუსტი ლატერული ქედები ახასიათებს. ფორამენი და დელტიდიუმი არ ჩანს. მუცლის საგდულზე ღრმა სინუსია, რომელსაც ზურგის საგდულზე ამალღებული ქედი შეესაბამება. კომისურა თხემიდან დაწყებული ჯერ დორზულ საგდულისკენ უხვევს, შემდეგ ნიმუშის ლატერულ კიდეებზე სწორხაზობრივად, ხოლო ფრონტულ კიდეზე, ჯერ მუცლის საგდულისკენ უხვევს, ხოლო შემდეგ ისევ ზურგის საგდულისკენ და სინუსს მიუყვება. ეს უკანასკნელი კუთხედი მოხაზულობის არის.

ნიმუში მოკაზმულია 30—32 რადიალური წიბოებით, რომლებიც თხემიდან იწყებიან. თვით თხემის წვერზე ისინი არ ჩანან, რაც შეიძლება ახსნილი იქნას მათი სიწვრილით. ფრონტულ და ლატერულ კიდეებზე წიბოები სქელეები და ფართო ხდებიან. თუ დასაწყისში მათ მორგვალეებუი ზედაპირი ჰქონდათ, აქ ისინი უკვე მახვილი არიან. სინუსში დაახლოებით 6—7 წიბოა, ქელზე—6.

აღწერილი ნიმუში ყველა თავისი ნიშნებით ძალიან უახლოვდება დავიდსონის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Rhynchonella tetraëdra* Sow.-ს. იგივე ფორმა აღწერილი აქვს მას *Suppl. Jur. and Trias Brachiopoda Rhyn. tetraëdra* var. *Dumbletonensis* სახ. ქვეშ. (1878), სამწუხაროდ ეს შრომა მე ხელთ არა მაქვს. როლიემ ორივე ეს სახელწოდება უარყო და დავიდსონის ფორმას უწოდა *Rhynchonella Dumbletonensis*. როლიეს აზრით სოვერბის ფორმა სულ სხვა არის და დამახასიათებელია ბაიოსურისათვის (30, ნაწ. II, გვ. 149). ის რაც დავიდსონს დასურათებული აქვს ტაბ. V,

სურ. 5, *Rhyn. tetraedra*-ს სახელწოდების ქვეშ, როლიეს აზრით სოვერბის *Rhyn. media*-ს წარმოადგენს და *Rhyn. Dumbletonensis* სინონიკაში არ შეიყვანება. ასევე *Rhynchonella Dumbletonensis*-გეს უნდა ეკუთვნოდეს, როლიეს აზრით კვენშტედტის *Rhyn. tetraedra*, რასაც მე სავსებით ვეთანხმები.

აღწერილი ნიმუში რამდენადმე მაინც განსხვავდება *Rhynchonella Dumbletonensis*-საგან, შედარებით უფრო დაბალი სინუსით და ნაკლებად გამოზურცული ზურგის საგდულით. ეს განსხვავება იმდენად მკაფიო არ არის, რომ ამ სახის ცვალებადობის ფარგლებს სცილდებოდეს.

შესწავლილ ნიმუშს შორეული მსგავსება აქვს *Rhynchonella cf. fissicosta* Suess.-თან (18, გვ. 55, ტაბ. VI, სურ. 32), მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო პატარა ზომის არის, სინუსი უფრო დაბალი აქვს და კლიტის კიდე მეტად არის გაწეული განზე. თხემიც უფრო მაღალია.

*Rhyn. Dumbletonensis* Roll. აღწერილია ინგლისში შარამთულიდან-სადაურობა—კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

***Rhynchonella striata* nov. sp.**

(ტაბ. I, სურ. 7; ტაბ. II, სურ. 8)

ზომები		
სიგრძე	განი	სისქე
19,5 mm	20,5 mm	14 mm
18 "	20 "	12 "

ნიმუშები მორგვალო-პენტაგონური მოყვანილობის არიან. ორივე საგდული თითქმის თანაბრად არის გამოზურცული. მართალია ნიმუშებს თხემი არ აქვთ მთლიანად დაცული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი არ უნდა იყოს მაღალი და სქელი. არც დელტიდიუმი და არც ფორამენი არ ჩანს.

მუცლის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსია, რომელიც საკმაოდ მაღალია. ზურგის საგდულზე მას ამიღლებული ქედი შეესაბამება, რომელიც ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება. ლატერული კიდის კომისურა ტალიისებურია, ხოლო ფრონტულის კუთხედი. საგდულები დაფარული არიან ძალიან წვრილი რადიალური შტრიხებით. ეს შტრიხები ნიჟარის დაცულ ნაწილებზე უფრო მკვეთრად ჩანან, ვიდრე შიგა კალაპოტზე. გარდა რადიალური შტრიხებისა ნიმუშებს კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობა. ეს უკანასკნელები რადიალურ შტრიხებთან ერთად საგდულებს ბადისებურ სტრუქტურას აძლევენ. ერთ ნიმუშს ზურგის საგდულზე მოკლე შუა სებტა ეტყობა.

აღწერილი ნიმუშები არც ერთ ცნობილ ლიასურ ფორმას არ უახლოვდებიან. შორეული მსგავსება არსებობს მხოლოდ ტიტონურ *Rhynchonella cf. capillata* Zitt. მოიხევევის მიერ აღწერილ და დასურათებულთან (8, გვ. 66, ტაბ. II, სურ. 52—53). მსგავსება მხოლოდ ნიჟარის საერთო მოყვანილობას და სისქეს შეეხება.

ჩემი აზრით აღწერილი ნიმუშები ახალ სახეს უნდა წარმოადგენდნენ. სადაურობა—სანახშირე, ძირულის კალაპოტი, შუა ლიასური. შესწ. ნიმ. რიცხვი—2,

**Rhynchonella variabilis Dav.**

1851 *Rhyn. variabilis* Davidson, Ool. and Liasic Brach. p. 78, pl. 15, fig. 8—10.  
 1858. " " Quenstedt, Jura, S. 140, T. 17, Fig. 27—29.  
 1858. *Rhyn. quinqueplicata* Quenstedt, Jura, S. 178, T. 22, F. 5, 6, 7, 10.  
 1882. *Rhyn. trijlicata* Haas u. Petri, Juraformation, S. 187, T. I, Fig. 22—24, 26—31, Taf. III, F. 32, 34, 36, 37.  
 1889. *Rhyn. variabilis* Geyer, Hierlatz, S. 36, T. IV, F. 16—22; T. V, Fig. 1—13  
 1902—1905. *Rhyn. variabilis* Rau, Brach. d. mittleren Lias Schwabens, S. 40.  
 1909. " " Борисяк, Pseudomonotis ochotica Tell. Крымско-Кавказского триаса, стр. 89.  
 1917. " " Rollier, Synopsis..., part II, p. 104.  
 1925. " " Моисеев, О фауне из нижне-юрских изв. Крыма, стр. 979.  
 1934. " " Моисеев, Брахиоподы юрских отложений Крыма и Кавказа, стр. 42.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
14 mm	17 mm	10,5 mm
13 "	15 "	10 "
12 "	13 "	8 "
16 "	21 "	13,5 "
16,5 "	15,5 "	11 "
10 "	10,5 "	6 "

მასალაში ამ სახის მრავალი ნიმუში მაქვს, რომლებიც ნაწილობრივ გატეხილი არიან, ხოლო ზოგიერთი კი კარგად დაცული.

მრავალ ნიმუშს შერჩენილი აქვს ნიჟარა, უმეტესი ნაწილი კი შიგაკალაპოტებს წარმოადგენენ. ნიმუშები პენტაგონური მოყვანილობის არიან, მუცლის საგდული ბრტყელი ან ზოგ შემთხვევაში კიდევაც შეზნეპილი. ზურგის გამობურცულია. ნიმუშებს ცვალებადი სისქე აქვს. მოზრდილები სქელეზია, ხოლო ახალგაზრდები უფრო ბრტყელი არიან. თხემი მოკლეა და სუსტად მოკაუჭებული. მას მორგვალებული ლატერული ქედები ახასიათებს. მუცლის საგდულზე არის სინუსი, რომელიც ზოგიერთ ნიმუშს ძალიან ღრმა აქვს, ზოგს კი ნაკლებად ღრმა, მაგრამ ყველა ნიმუშში იგი ფართოა და იწყება საგდულის შუა სიმალიდან. ზურგის საგდულზე არის საკმაოდ მაღალი ქედი. სინუსი და ქედი ახალგაზრდა, პატარა ინდივიდებს არ ახასიათებს. ნიჟარა დაფარულია რადიალური წიბოებით, რომელთა რიცხვი მერყეობს 9—14-მდე. ამბო-

გან სინუსს და ქედს 3—5 წიბო ახასიათებს. წიბოებს ოდნავ მახვილი ზედაპირი აქვთ და იწყებიან თხემიდან, სადაც ისინი ძალიან წვრილები არიან.

გარდა წიბოებისა, ზოგიერთ ნიმუშს კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობა.

აღწერილი ნიმუშები ძალიან უახლოვდებიან *Rhynchonella variabilis* Dav. იგი ხასიათდება სქელი, სუსტად მოკაუჭებული თხემით, შედარებით მცირერიცხოვან წიბოებით და კარგად გამოსახული სინუსით. აღწერილი ნიმუშები თითქმის სავსებით იდენტური არიან გეიერის და კვენშტედტის *Rhyn. variabilis*, მაგრამ რამდენადმე განსხვავდებიან დავიდსონის ფორმისგან უფრო სუსტად გამოსახული წიბოებით და უფრო თხელი ფორმული კილით. უნდა ითქვას, რომ საერთოდ *Rhyn. variabilis* ძალიან ცვალებადი ფორმაა და სავსებით მართალია როლიე, როდესაც სვამს კითხვას, თუ რომელ ფორმას შეენარჩუნოს *R. variabilis* სახელწოდება. ზოგი ავტორი ასახელებს ამ ფორმას და მრავალი მათგანი ცდილობს დაჰყოს იგი სხვადასხვა სახეებად და შეუცვალოს მას სახელი (Haas. Schweiz. Jura 1889. ტ. 2, ტ. 20). ზოგი კი პირიქით *Rhyn. variabilis* სინონიმიკაში მრავალი სხვა სახეს აერთებს, რომლებიც შემდეგში დამოუკიდებელ სახეებად იყვნენ მიჩნეული (18, გვ. 36). მე პირადად ვიზიარებ მოისევევის შეხედულებას. მას მოცემული აქვს ამ სახის კარგი ისტორია, რომლის გამეორება ზედმეტად მიმაჩნია, მით უფრო, რომ ეს სახე კარგად არის ცნობილი ლიასურში და მე ახალს ვერაფერს დაეუმატებ. აღწერილ ნიმუშებს ვაკუთვნებ *Rhynchonella variabilis* Dav. ამ სახის ფართო გაგებით.

*Rhyn. variabilis* ძალიან დიდი ვერტიკალური გავრცელებით სარგებლობს. იგი ცნობილია უკვე ტრიასში, ხოლო გერმანიაში შუა ლიასურში. ინგლისში შუა და ზედა ლიასურში. ყირიმში და ჩრდ. კავკასიაში ლიასურში გვხვდება.

ს ა და უ რ ო ბ ა — მარაქელა, წითელი კირქვები, მოლითი.

შესწ. ნიმ. რიცხვი—116.

**Rhynchonella triplicata Phill.**

1851. *Rhyn. variabilis* Davidson, Ool. and lias. Brach., p. 78, pl. XVI, fig. 3.

1905. " " mut. *major* Rau, Brach. d. mittleren Lias Schwabens, S. 43, T. I (21), F. 88, 104, 107, 109.

1917. *Rhyn. triplicata* Rollier, Synopsis..., part. II, p. 106.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
16 mm	18 mm	12 mm
13,5 "	14 "	10,5 "

მასალაში 12-ოდენ ნიმუში არის, რომელთა ზომები ზევით აღნიშნულ ფარგლებშია. ნიმუშები მკაფიოდ პენტაგონური მოყვანილობის არიან ან ზოგჯერ ოდნავ მორგვალელებულიც კი. ზურგის საგდული მეტად არის გამობურცული, ვიდრე მუცლის. ეს უკანასკნელი ზოგჯერ შეზნექილიც არის. თხემი მოკლეა



და მოკაუჭებული. ფორამენი რგვალია. დელტიდიუმი დაბალი და ვიწროა. თხემს მორგვალელებული ლატერული კიდეები ახასიათებს. მუცლის საგდულზე ფართო სინუსია, რომელიც იწყება დაახლოებით საგდულის შუა სიმალიდან. სინუსი მაღალია და ღრმად არის შეკრილი ზურგის საგდულში.

ნიმუშებს 6—10 რადიალური წიბო აქვთ, რომელთაგან სინუსში 1—3 წიბოა, ხოლო ქედზე 2—3. წიბოები მორგვალელებული არიან. სინუსში და ქედზე ისინი ძალიან მკვეთრი არიან, ხოლო ლატერულ კიდეებზე უფრო სუსტი და ფართო. წიბოები თხემიდან არ იწყებიან. ისინი ვითარდებიან დაახლოებით ნიჟარის შუა სიმალიდან. გარდა წიბოებისა ნიმუშებს კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობათ. როგორც ლატერული, ისე ფრონტული კიდის კომისურა კლავნილია.

აღწერილი ნიმუშები ეკუთვნიან ლიასურში ცნობილ *Rhynchonella triplicata* Phill. ამ სახის დამოუკიდებლობა ზოგიერთი ავტორის მიერ უარყოფილია (18, გვ. 93) და მის *Rhynchonella variabilis* სინონიმიკაში ათავსებდენ, რაც დაუშვებელია (30, ნაწ. II, გვ. 106).

*Rhyn. triplicata* Phill. (non Quenstedt) ხასიათდება დიდი ზომის პენტაგონური მოყვანილობის ნიჟარით, სქელი ზურგის საგდულით, ქედზე 3 წიბოს არსებობით და ლატერულ კიდეებზე 2—3 ფართო წიბოთი. იგი განსხვავდება *Rhyn. variabilis* Dav.-საგან უფრო მორგვალე-პენტაგონური მოყვანილობით, უფრო სუსტად გამოსახული წიბოებით და, რაც მთავარია, *Rhyn. variabilis* წიბოები თხემიდან იწყება, მაშინ როდესაც ტიპურ *Rhyn. triplicata*-ს ისინი უფრო გვიან უნვითარდება. გარდა ამისა მათ შორის მრავალი ისეთი განსხვავება არსებობს, რომელთა აღნიშვნა თითქოს არც შეიძლება, ხოლო შეხედვით ისინი ჩანან.

ტიპური ფილიპსის ფორმა დასურათებული აქვს დავიდსონს (14, ტაბ. VI, სურ. 3), რომელიც ინგლისელ ავტორს მკდარი სახელის—*Rhyn. variabilis* ქვეშ აქვს აღწერილი. შესწავლილი ნიმუშები სავესებით იდენტური არიან ამ ნიმუშისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ უფრო პატარა ზომის არიან.

*Rhynchonella triplicata*-ს სინონიმიკის შედგენა თითქმის ისეთსავე სიძნელეს წარმოადგენს, როგორც *Rhyn. variabilis*. აქ მე თითქმის სავსებით ვეყრდნობი როლიეს, რადგან მას ხელთ დიდი მასალა ჰქონდა შესამოწმებლად. მე მხოლოდ არ ვიზიარებ მის შეხედულებას ჰაასი და პეტრის *Rhynchonella triplicata*-ს შესახებ და ვთვლი მას *Rhynchonella variabilis*-სად (თუმცა, როგორც ჩანს, როლიეს არ არის სავსებით დარწმუნებული თავის შეხედულებაში).

არ ვეთანხმები შე მას აგრეთვე იმაშიდაც, რომ იგი *Rhynchonella triplicata*-ს აერთებს კვენსტედტის *Rhyn. variabilis*-თან (28, გვ. 140, ტაბ. 17, სურ. 27—29), რაც დაუშვებელია, რადგან კვენსტედტის ფორმა უფრო მსხვილ წიბოიანია, წიბოები თხემიდან იწყებიან ; და საერთოდ ნიჟარა უფრო გაშლილია. მე მას ისევ *Rhyn. variabilis*-ად ვთვლი.

რაც შეეხება *Rhyn. variabilis* mut. *major* იგი საკმაოდ განსხვავდება ფილიპსის ფორმისგან უფრო დაბალი და ბრტყელი სინუსით, ნაკლებად სქელი

ზურგის საგდულთ და თხემიდან დაწყებული წიბოებით. ჩემი აზრით რაუს ფორმა ძალიან ჰგავს *Rhyn. variabilis* და თითქოს ახალი ვარიეტეტის გამოყოფის აუცილებლობა არ უნდა იყოს.

*Rhynchonella triplicata* ცნობილია ინგლისში და ელზას-ლოტარინგიაში შუა ლიასურში, ხოლო შვედეთში ქვედა ლიასურში.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა—უბისა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—12.

### *Rhynchonella plana* n. sp.

(ტაბ. III, სურ. 1)

ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე—24,5 mm

განი—31 mm

სისქე—11,5 mm

კარგად დაცული, მკაფიოდ პენტაგონური მოყვანილობის ნიმუში, რომელსაც ორივე საგდული „თანაბრად აქვს გამოშტურებული. იგი ბრტყელია და ფრთისებურად გამოწეული ლატერული კიდეები აქვს. „საერთოდ ნიმუშს ყველა კრდე ბრტყელი აქვს და მახვილი. თხემი პატარაა, წვეტიანი და ოდნავ მოზრდილი. მას პატარა და რგვალი ფორამენი აქვს. თხემს მორგვალელები და ძალიან დაქანებული ლატერული კიდეები ახასიათებს. მუცლის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსია, რომელიც საგდულის თითქმის შუა სიმაღლიდან იწყება. ზურგის საგდულზე პატარა ამალღებაა, რომელიც ფრონტულ კიდეს არ სცილდება. საგდულები დაფარული არიან 14 რადიალური წიბოთი, რომლებიც მარაოსებრად არიან განლაგებული. წიბოები თითქმის თხემიდან იწყებიან, მაგრამ იქ ისინი იმდენად წვრილი არიან, რომ შიგა კალამოტზე არც კი ჩანან. ფრონტული და ლატერულ კიდეებისკენ წიბოები სქელდებიან. სინუსში 5 წიბოა, ხოლო მის შესაბამისს ამალღებაზე 4. ყველა წიბოს მორგვალელები ზედაპირი აქვს და ისინი ფართო წიბოთაშორისი ღარებით არიან დაშორებული ერთი მეორისგან. ლატერული კიდის კომისურა თითქმის სავსებით სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულ კიდეზე ტალღისებური.

აღწერილი ნიმუში არც ერთ ცნობილ ლიასურ ფორმას არ უახლოვდება. მისი შედარება შეიძლება მხოლოდ გეიერის მიერ აღწერილ და დასურათებულ *Rhyn. Alberti* Opp. ტაბ. 1, სურ. 16 (18, გვ. 43). მსგავსება მათ შორის ძალიან პირობითია და ეხება მხოლოდ საგდულების სისქეს და სინუსის მოყვანილობას. უნდა ითქვას, რომ გეიერის ნიმუში *Rhyn. Alberti* Opp.-ს ახალგაზრდა ეგზემპლარს წარმოადგენს მაშინ, როდესაც აღწერილი ნიმუში ზრდადამთავრებულ ფორმას. ეს მოვლენა კი შედარებას აძნელებს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აღწერილი ნიმუში *Rhynchonella Alberti* Opp. ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ ახალ სახეს უნდა წარმოადგენდეს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა—კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1,

**Rhynchonella Alberti Opp. var. tenuis n. var.**

(ტაბ. I, სურ. 5)

## ზომები

სიგრძე—29 mm

განი—33 mm

სისქე—17 mm

მასალაში ერთი პენტაგონური მოყვანილობის ნიმუში არის. იგი შიგა-კალაპოტს წარმოადგენს და აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარა. საშუალო სისქის თხემი ოდნავ არის გადაზნექილი ზურგის სადგულისკენ. არც ფორამენი და არც დელტიდიუმი არ არის დაცული. მუცლის საგდულზე არა ღრმა და ფართო სინუსი არის, რომელიც იწყება საგდულის შუა სიმაღლიდან. სინუსი მაღალია და მორგვალეული. ზურგის საგდულზე არის ქედი.

ნიმუშს ახასიათებს 12—14 სქელი რადიალური წიბო, რომლებიც ფართო წიბოთაშორის მანძილებით არიან დაშორებული ერთი-მეორისაგან. წიბოები თხემიდან იწყებიან, სადაც ისინი ძალიან წვრილები არიან. წიბოებს თალისებური მოყვანილობა აქვთ. სინუსში 4 წიბოა. ამათგან ორი ძალიან სქელია და სინუსის შუაში მდებარეობენ, ხოლო ორი, სინუსის გვერდებზე არიან თითო-თითოდ განლაგებული და უფრო დაბალი და ფართოა, ისინი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს არც კი ეკუთვნიან სინუსს. ქედს 3 მსხვილი წიბო ახასიათებს. აქ ისევე, როგორც სინუსში, გვერდებზე უფრო სუსტი წიბო არის, თითო-თითო ყოველივე გვერდზე.

გვერდითი კიდეს კომისურა არ ჩანს, ხოლო ფრონტული კიდის კლანილია.

აღწერილი ნიმუში უახლოვდება *Rhynchonella Alberti* Opp. გეიერის მიერ აღწერილ და დასურათებულს (18, გვ. 43, ტაბ. V, სურ. 14, 15, 18). მათ საერთო აქვს ნიჟარის მოყვანილობა, სინუსის მოზაზულობა და მასში განლაგებული წიბოების რაოდენობა (2—4), წიბოების საერთო რაოდენობა და თხემის მოყვანილობა. მსგავსება თითქოს სრულია და შესაძლებლად ჰქმნის აღწერილი ნიმუშები *Rhynchonella Alberti*-ს მივაკუთვნოთ, მაგრამ განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია.

გეიერის ფორმა ბევრად უფრო სქელია. ზურგის საგდული ძლიერ არის გამოზრტული და სინუსიც ბევრად უფრო მაღალია.

ამ მხრივ მეტი მსგავსებაა *Rhyn. Alberti* Opp. var. *lobata*-სთან (იხ. იქვე, სურ. 18), რომელიც უფრო თხელ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო პატარა ზომის არის და უფრო ვიწრო. ასეთივე ვიწრო *Rhyn. Alberti* Opp. აღწერილი აქვს ულიგს (33, გვ. 32, ტაბ. IV, სურ. 1—2). იგი უფრო სქელი ფორმაა, სინუსი და ქედი არ არის მკაფიოდ გამოხატული და თითქმის საგვსებით არ სცვლიან საგდულების მოზაზულობას და გამოზრტულობას. მოიხსენიებს *Rhynchonella Alberti* სქელ ფორმას წარმოადგენს (8, გვ. 46, ტაბ. III, სურ. 5—7).

როგორც ვხედავთ აღწერილი ნიმუში ბევრად უფრო ნაკლები სისქის გამო ვერ მიეკუთვნება *Rhyn. Alberti* Opp.-ს, რომელსაც იგი სხვა დამახასია-

თებელი ნიშნებით საკმაოდ უახლოვდება. ამის გამო მე მას ამ სახის ახალ, თხელ ვარიეტეტად გამოვყოფ.

*Rhynchonella Alberti* Opp. ცნობილია *Hierlatz*-ში ქვედა ლიასურიდან (*Lotharingien*). ყირიმში—ლიასურიდან.

სადაურობა—ძირულის კალაპოტი, ხიდის წითელი კირქვები  
შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

### *Rhynchonella* aff. *Gumbeli* Opp.

(ტაბ. III, სურ. 2)

ზომები

სიგრძე—18 mm

განი—14 mm

სისქე—13 mm

ნიმუში ოვალურ-სამკუთხოვანი მოყვანილობის არის, სქელი ზურგის და უფრო ბრტყელი მუცლის საგდულით, თხემი სქელია და ძლიერ მოკაუჭებული. მისი წვეტი ზურგის საგდულს ეხება. არც ფორამენი და არც დელტიდიუმი არ ჩანს. მუცლის საგდულს ფართო, ოდნავ შესამჩნევი, არა ღრმა სინუსი ახასიათებს, რომელიც ისევე, როგორც ზურგის საგდულის ქედი, ფრონტულ კიდეს არ სცილდება.

ნიმუში მოკაზმულია 12-ოდე წიბოთი. სინუსში და ქედზე ხუთ-ხუთი ტიპია. თხემთან წიბოები ძალიან წვრილებია, ხოლო ფრონტულ კიდისაკენ უფრო მკაფიოდ არიან გამოსახული. ნიმუშის ლატერული კიდეები გლუვია. წიბოები რკალივით უხევენ მას და ისე აღწევენ ფრონტულ კიდეს.

კომისურა გვერდებზე სწორხაზობრივია, ხოლო შემდეგ, ჯერ მუცლის საგდულისკენ უხევეს და შემდეგ ფრონტულ კიდეზე, ისევე ზურგის საგდულისკენ და იქ იგი ძლიერ დაკბილულია.

აღწერილი ნიმუში საერთო მოხაზულობით, თხემის მოყვანილობით და გლუვი ლატერული კიდეებით ძალიან უახლოვდება *Rhyn. Gumbeli* Opp. გეიერიის მიერ აღწერილ და დასურათებულს (18, გვ. 40, ტაბ. V, სურ. 19—23), მაგრამ იგი მკაფიოდ განსხვავდება მისგან უფრო წვრილი და მრავალრიცხოვანი წიბოებით (12 ნაცვლად 7—9). *Rhyn. Gumbeli*-ს წიბოები უფრო სქელი აქვს. სინუსში სქელი 7 წიბოა და ქედზე ისეთივე სქელი 4 წიბო არის. წიბოების გამო, განსხვავება მათ შორის იმდენად დიდია, რომ აღწერილი ნიმუში, ჩემი აზრით, ვერ გამოიყოფა როგორც *Rhyn. Gumbeli*-ს ახალ ვარიეტეტად. აღწერილი ნიმუში ზომითაც უფრო პატარა არის. მე მას მხოლოდ შიახლოვებით ვაკუთვნებ ოპელიის ფორმას, რადგან ყველაზე მეტად იგი მას ჰგავს, მაგრამ ვერ მიეკუთვნება მას ზემოთ აღნიშნული განსხვავებების გამო. ცხადია ზუსტ განსაზღვრას ხელს უშლის ნიმუშის ცუდი დაცულობაც.

*Rhyn. Gumbeli* Opp. გავრცელებულია პირლატში და სამხ. ალპებში შუა ლიასურში.

სადაურობა—ბენევი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

**Rhynchonella Calderini Parona**

1880. *Rhyn. Calderini* Parona, *Il calcare liassico di Gozano ei suoi fossili*, p. 21, pl. 3, fig. 2.  
 1881. " " Haas, *Alpes vaudoises*, p. 135, pl. XI, fig. 6.  
 1917. " " Rollier, *Synopsis...*, part II, p. 83.

## ზომები

სიგრძე—31 mm

განი—35 mm

სისქე—21 mm

ნიმუში მკაფიო პენტაგონური მოყვანილობის არის, გამობურცული ზურგის და შედარებით ბრტყელი მუცლის საგდულით. თხემი სქელია და, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს ძლიერ მოკაუჭებული. სამწუხაროდ იგი არ არის მთლიანად დაცული და შერჩენილია მხოლოდ მისი ნახევარი. მუცლის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსი არის, რომელიც საკმაოდ მაღალია და კუთხედი მოხაზულობა აქვს. ზურგის საგდულზე სინუსს შეესაბამება ამაღლება, რომელიც ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება. კომისურა ნიმუშის ლატერულ კიდებზე თითქმის სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულ კიდებზე კუთხედი. ნიმუში მოკაზმულია 11 რადიალური სქელი წიბოთი. სინუსში 4 წიბოა, ხოლო ქედზე 5. წიბოებს მორგვალბული ზედაპირი აქვთ და ისინი დაშორებული არიან ერთი-მეორეს ფართო წიბოთაშორისი ღარებით.

აღწერილი ნიმუშები ძალიან ემსგავსება *Rhynchonella Calderini* Par. მსგავსება ეხება საერთო მოყვანილობას, სინუსის მოხაზულობას და მასში განლაგებული წიბოების რაოდენობას. წიბოების საერთო რაოდენობაც მათ ერთნაირი აქვთ. აღწერილი ნიმუში განსხვავდება *Rhynchonella Calderini*-სგან მით, რომ მას ლატერულ ფრთებზე გარდა სქელი 4 წიბოსა აქვს კიდევ წვრილი წიბოები, რომლებიც ფარავენ თხემის ლატერულ კიდებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰაასის აზრით *Rhynchonella Calderini*-ს სახელწოდება უნდა მოისპოს და ფორმას *Rhyn. Briseis* var. *belemnitica* ეწოდოს, რადგან, როგორც იგი ფიქრობს, ეს ფორმა ისეთივეა როგორც *Rhynchonella Briseis*, მხოლოდ უფრო დიდი ზომის. როლი ეწინააღმდეგება ამ შეხედულებას (30, ნაწ. II, გვ. 83) იმ საფუძველზე, რომ მიუხედავად *Rhyn. Briseis* დიდი ცვალებადობისა, მაინც იგი სულ სხვა ფორმას წარმოადგენს და ვერ გაერთიანდება *Rhynchonella Calderini*-სთან. (*Rhyn. Briseis* ზოგი ავტორი *Rhyn. variabilis* სინონიმად სთვლის—18, გვ. 32). მართლაც *Rhyn. Briseis* Gem. უფრო პატარა ზომის ფორმაა, ღრმა და ვიწრო სინუსით და მეტად მოკაუჭებული თხემით, რომელსაც ლატერული ქედები ახასიათებს.

*Rhyn. Calderini* Par. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის და ალპების ქვედა ლიასურში.

სად აურობა—კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—7.

*Rhynchonella* sp. ind. A.

(ტაბ. I, სურ. 6)

ზომები

სიგრძე—22,5 mm      განი—28,5 mm      სისქე—20 mm

ნიმუში განიერი-სამკუთხოვანი მოყვანილობის არის. იგი ძალიან სქელია და შედარებით ცუდად დაცული. ზურგის საგდული ძლიერ არის გამობურცული, ხოლო მუცლის შედარებით უფრო ბრტყელია და კიდევაც შეზნექილი. თხემი სქელია და ოდნავ მოკაუჭებული. ფორამენი და დელტიდიუმი არ ჩანს. მუცლის საგდულზე ფართო და ღრმა სინუსია, რომელსაც ზურგის საგდულზე შეესაბამება ამადღება. ეს ამადღება ზურგის საგდულის საერთო ამობურცულობას არ სცვლის. ლატერული კიდეების კომისურა არ ჩანს, ხოლო ფრონტულ კიდეზე იგი ძლიერ კლაკნილია. ნიმუშს 6—7 მსხვილი რადიალური წიბო ახასიათებს. სინუსში 2 წიბოა, ხოლო ქედზე—3. საგდულების ლატერულ კიდეებზე ორ-ორი მაღალი წიბო არის, განსაკუთრებით სინუსში და დაშორებული არა ღრმა და ფართო წიბოთაშორისი ლარებით.

აღწერილი ნიმუშის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. შესაძლებელია, რომ ეს სათანადო ლიტერატურის ნაკლოვანებით აიხსნას პან და იმით, რომ მე მხოლოდ ერთი ნიმუში მაქვს და ისიც საკმაოდ ცუდი დაცულობის. ფრონტული კიდის მოყვანილობით და საერთო სისქით იგი რამდენადმე *Rhynchonella aliena* Rau. უახლოვდება (29, გვ. 45, ტაბ. II, სურ. 87), მაგრამ რაუს ფორმა უფრო მორგვალეული მოყვანილობის არის და სინუსში 3 წიბო აქვს, ხოლო ქედზე 4.

სადაურობა—კაცხი. წითელი კირქვები.

შესწ. ნ. მ. რიცხვი—1.

*Rhynchonella* sp. ind. B.

ზომები

სიგრძე—30 mm      განი—29 mm      სისქე—17 mm

მასალაში ერთი კარგად დაცული ნიმუში არის, რომლის სადაურობა, სამწუხაროდ, უცნობია. ნიმუში მორგვალეო-პენტაგონური მოყვანილობის არის, გამობურცული ზურგის საგდულით და შედარებით უფრო ბრტყელი მუცლით. თხემი მოკლეა, წვეტიანი და თითქმის სწორი. მას სავსებით მორგვალეული ლატერული კიდეები ახასიათებს. მუცლის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსი არის, რომელიც ფრონტულ კიდის ახლოს ჩნდება. ზურგის საგდულზე მას შეესაბამება ქედი, რომელიც აგრეთვე ფრონტულ კიდეს შორს არ სცილდება. საგდულები დაფარული არიან 18 რადიალური, საშუალო სისქის წიბოებით. თხემთან უფრო წვრილები არიან და ზოგჯერ არც კი ჩანან. დასაწყისში მათ მორგვალეული ზედაპირი აქვთ, ხოლო შემდეგ ისინი მახვილი ხდებიან. სინუსში 5 წიბოა, ქედზე—6. ლატერული კიდეების კომისურა თითქმის სწორ-

ზაზობრივია, ხოლო ფრონტულ კიდეტან იგი ტალღისებურად უხვევს მუცლის საგდულისკენ, ხოლო შემდეგ ისევ ზურგის საგდულისკენ.

აღწერილი ნიმუშის არამც თუ განსაზღვრა, მიიხლოვებაც ვერ მოხერხდა ვერც ერთ ცნობილ ლიასურ ფორმასთან. უცნობი სადაურობა და ერთადერთი ნიმუში მე მაკავებს, გამოვყო იგი ახალ სახედ.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

### გვარი TEREBRATULA Klein 1753.

ნიქარა გლუვია ან იშვიათი წიბოები აქვს ზურგის საგდულზე, ფრონტულ კიდეტან ერთი ან ორი ნაოქია. ხელის აპარატი მოკლე. გავრცელებულია ტრიასულიდან—ცარკულამდე.

### Terebratula punctata Sow.

1813. *Ter. punctata* Sowerby, Mineral. Conch, Vol. I, p. 46, pl. 15, Fig. 4.  
 1851. " " Davidson, Ool. and lias. Brach., p. 45, pl. 6, Fig. 1—6.  
 1856/58. *Ter. punctata* Quenstedt, Jura, S. 144, T. 18, Fig. 5.  
 1882. " " Haas u. Petri, Juraformation, S. 247, Taf. 8, Fig. 1—4  
 1889. " " Geyer, Hierlatz, S. 1, T. I, Fig. 1—16.  
 1905. " " Rau, Mittleren Lias Schwabens, S. 46, Taf. III, Fig. 15—33.  
 1909. " " Борисяк, *Pseudomonotis ochotica* Tell. Крымско-Кавказского триаса, стр. 89.  
 1918. " " Rollier, Synopsis..., p. III, pl. 195.  
 1925. " " Моисеев, О фауне из ниже-юрских изв. Крыма, стр. 975.  
 1934. " " Моисеев, Брахиоподы юрских отл. Крыма и Кавказа, стр. 93, таб. IX, фиг. 13—23.

### ზომები

სიგრძე	განი	სისქე
30 mm	28 mm	15 mm
27 "	24,5 "	14 "
22 "	19 "	12 "
21 "	18 "	9 "

ნიმუშები მორგელო-ოვალური მოყვანილობის არიან ან ოდნავ პენტაგონური, შედარებით ბრტყელი ზურგის და უფრო გამობურცული მუცლის საგდულით. თხემი მოკლეა და მოკაუჭებული. მისი წვეტი თითქმის ეხება ზურგის საგდულს. ფორამენი საშუალო ზომისაა და რგვალი. დელტიდოუმი არ ჩანს. თხემს ოდნავ შესამჩნევი ლატერული ქედები ახასიათებს. კომისურა თითქმის ერთ სიბრტყეში დევს ან ოდნავ იკლავება ფრონტულ კიდეზე. ეს უკანასკნელი ზოგიერთ ნიმუშზე სავსებით მარტივია, ზოგიერთზე კი ოდნავ

შესამჩნევი ღებრესია ახასიათებს. ზოგ ნიმუშს კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობა.

აღწერილი ნიმუშები ყველა თავისი ნიშნით სავსებით ემსგავსება ლიასურში კარგად ცნობილ *Terebratula punctata* Sow. ეს სახე გვხვდება დასავლეთ ევროპაში, ალპებში (*Hierlatz*) და სამხრეთ ამერიკაში ქვედა და შუა ლიასურში, ხოლო ინგლისში ზედა ლიასურში (18, გვ. 1, ტაბ. 1—16, იქვე, ძველი ლიტერატურის სია(3). მე აქ ამ სახის ანალიზს არ შევუდგები, რადგან ეს კარგად აქვს მოცემული მრავალ ავტორს და ვიდრე სონს, გეიერს და ბოლო დროს მოისევეს. შე სავსებით ვიზიარებ მათ შეხედულებებს ამ ფორმაზე და ვფიქრობ, რომ აღწერილი ნიმუშების მიკუთვნება *Terebratula punctata*-სადმი ექვს არ უნდა იწვევდეს.

სადაურობა—კაცბი, წითელი კირკვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—20.

### *Terebratula minor* nov. sp.

(ტაბ. III, სურ. 3—8)

#### ზომები

სიგრძე	განი	სისქე
18 mm	17 mm	9 mm
14,5 "	13 "	7 "
11,5 "	10,5 "	6 "
8,5 "	8 "	3,5 "

მე ხელთ 40-დღე ნიმუში მაქვს, რომლებიც მორგვალო ან ოვალური მოყვანილობის არიან. ნიმუშების დიდი რაოდენობა და ზომის სხვადასხვაობა საშუალებას იძლევა ონტოგენეტურ განვითარებას დაეაკვირდეთ. მართლაც, კიდურ ფორმებს შორის, მკაფიოდ შეიძლება გაირჩეს სიდიდის მატება და ფრონტულ კიდვზე ნაოჭების განვითარება. მაშინ, როდესაც პატარა, ზრდადაუმთავრებელი ნიმუში თითქმის სავსებით რგვალაია, საგდულები თანაბარი ზომის აქვთ და ფრონტული კიდე სავსებით მორგვალვებული, ზრდადამთავრებულ ნიმუშებს სიგრძე ჭაღმატება სიგანეს, მუცლის საგდული უფრო გაძობურცულია და ზურგის საგდულზე მკაფიოდ გამოსახული ნაოჭებია, რომლებიც საგდულის შუა სიგრძიდან იწყებიან. ამასთან დაკავშირებით მათ ფრონტული კიდის კომისურა ტალღისებური აქვთ. ამ კიდურ ფორმებს შორის გარდამავალი ფორმებია, რომლებსაც ეტყობათ ნაოჭიანობის თანდათან განვითარება და ნიჟარის სიგრძის მომატება. თხემი ყველას მოკლე და მოკაუჭებული აქვს. ფორამენი პატარა და რგვალი. თხემის წვერი თითქმის ეხება ზურგის საგდულს. თხემს მეტ-ნაკლებად გამოსახული ლატერული ქედები ახასიათებს. ყველა ნიმუშს მუცლის საგდულზე აქვს თხემიდან ფრონტულ კიდემდე გაგრძელებული ამაღლებული ქედი, რომელიც მეტად არის გამოხატული საგდულის შუა ნაწილში. აღწერილი ნიმუში არც ერთ ცნობილ ლიასურ ფორ-



მას არ უახლოვდება, ამის გამო მე ვფიქრობ, რომ ისინი ახალ სახეს უნდა წარმოადგენდნენ.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა—ჯაზლარი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—40.

### გვარი GLOSSOTHYRIS Douvillé 1879.

ნიჟარა სავსებით გლუვია. ზურგის საგდულზე ახასიათებს სინუსი, ხელის აპარატი მოკლეა. შუა ზურგის სეპტა არ ახასიათებს. გავრცელებულია იუ-რულში.

#### *Glossothyris nimbata* Oppel.

1856-56. *Ter. Heyseana* Quenstedt, Jura, S. 181 T. 22. Fig. 21.

1861. *Ter. nimbata* Oppel. Brach. d. unteren Lias, S. 540, Taf. II, Fig. 4.

1889. " " Geyer, Hierlatz, S. 13, T. II, F. 9—13.

1905. *Ter. (Gloss.) nimbata* Rau, Mittlerer Lias Schwabens, S. 52, T. III (XXIII), F. 34, 35.

1918. *Glossothyris nimbata* Rollier, Synopsis..., p. III, p. 257.

#### ზომები

სიგრძე—14 mm

განი—15 mm

სისქე—10,5 mm

მასალაში ამ სახის ერთი პატარა ნიმუში არის, რომელსაც მორგვალ-პენტაგონური მოყვანილობა აქვს. ნიმუშს აქა-იქ შერჩენილი აქვს ნიჟარის თხელი ფენა. თხემი სქელია, მოკლე და ძალიან მოკაუჭებული. მისი წვეტი ზურგის საგდულს ეხება. მას პატარა ფორამენი და ლატერული ქედები აქვს. დელტიდიუმი ვიწროა ორფირფიტოვანი და საზღვრავს ფორამენს ქვევიდან. ბრტყელ ზურგის საგდულს ძალიან ღრმა სინუსი ახასიათებს, რომელსაც მუცლის საგდულზე შეესაბამება ქედი. სინუსის აქეთ-იქით საგდული ფრთისებურად არიან გამოწეული. კომისურა ნიმუშის ლატერულ კიდეებზე ძალიან მარტივია, ხოლო ფრონტულ კიდეზე უბესმაგვარი არის.

აღწერილი ნიმუში ყველა ნიშნით ძალიან უახლოვდება *Glossothyris nimbata* Opp.-ს აღწერილ და დასურათებულს რაუს მიერ, ხოლო შესწავლილ ნიმუშს რაუს ფორმასთან შედარებით უფრო ღრმა სინუსი აქვს. ეს განსხვავება ისპობა თუ შევადარებთ გეიერის ფორმას. გეიერს დასურათებული აქვს ნიმუშები, რომლებსაც ძალიან ღრმა სინუსი აქვთ. აღწერილ ნიმუშთან შედარებით გეიერის ნიმუშები უფრო განიერი არიან, თუმცა აქაც შეიძლება გაირჩეს უფრო განიერიც და ვიწრო ფორმებიც (მაგ. ნიმ. სურ. 9 თითქმის ისეთივე სიგანის არის როგორც ჩემი ნიმუში), როგორც ჩანს *Glossothyris nimbata* საკმაოდ ცვალებადი მოყვანილობის არის, მაგრამ მუდმივ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ღრმა სინუსის არსებობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გეიერს დასურათებული აქვს ტაბ. II ერთი ნიმუში № 13, რომელსაც ზურგის საგდულზე გარდა კუნთების აღნაბეჭდებისა აქვს ერთი იმეტრიული ხაზი შუაში, რომელიც ჩემი აზრით შუა დორზულ სეპტას უნდა

3. გეოლოგიური ინსტიტ. შრ. ტ. V (X)

წარმოადგენდეს და მაშინ, ბუნებრივად, იბადება კითხვა, ხომ არ შეეპარა გეიერს ამდენ *Glossothyris*-ებში რამდენიმე *Aulacothyris*-ი?

*Glossothyris Aspasia* Men.-საგან აღწერილი ნიმუშები განსხვავდებიან ნაკლები სივანით.

*Terebratula (Glossothyris) Beyrichi* Opp., რომელიც პირველი შეხედვით თითქოს ჰგავს ჩემ ნიმუშს, ხასიათდება უფრო ფართო სინუსით, მეტად პენტაგონური მოყვანილობით, და უფრო წვერილი და წვეტიანი თხემით.

*Glossothyris nimbata* Opp. ცნობილია Hierlatz-ში ქვედა ლიასურში, ხოლო შვაბეთში შუა ლიასურში (შარმუთულში).

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — შარაქაულა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

### *Glossothyris Aspasia* Menegh.

1853. *Terebratula Aspasia* Meneghini. *Nuovi fossili Toscana*, p. 13.  
 1879. " " Uhlig, *Liasische Brach. v. Sospirolo*, S. 16.  
 1880. *Terebratula Aspasia* Canavari, *I Brach. degli striata Ter. Aspasia* Men nell' *Appennino cent.*, p. 10, t. I.  
 1889. " " Geyer, *Hierlatz*, S. 14, T. II, Fig. 13—15.  
 1918. *Glossothyris Aspasia* Rollier, *Synopsis...*, par. III, p. 257.

### ზომები

სიგრძე	განი	სისქე
17 mm	20 mm	12 mm
16 "	18 "	11 "

მასალაში ორი კარგად დაცული ნიმუშია, რომელთაც მკაფიო პენტაგონური მოყვანილობა აქვს. თხემი სქელია, მოკლე და ძლიერ მოკაუჭებული. მისი წვეტი თითქმის ეხება ზურგის საგდულს. თხემს ლატერული ქედები აქვს. ფორამენი პატარა არის და რგვალი. დელტიდიუმი არ არის დაცული. ნიმუშებს ცრუარგა ახასიათებს. ზურგის საგდულზე ვიწრო და ღრმა სინუსი არის, რომელსაც ლათინური *v* მოხაზულობა აქვს. სინუსი მაღალია და ზურგის საგდულზე მას მაღალი ქედი შეესაბამება. ეს ქედი თითქმის თხემიდან იწყება. კომისურა ლატერულ კიდეებზე სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტულზე სინუსის მოხაზულობას იმეორებს. ნიმუშს კონცენტრული ზრდითი ხაზები ეტყობა.

აღწერილი ნიმუშები ყველა ნიშნით. ემსგავსებიან ხმელთაშუაზღვის პროვინციის შუა ლიასურისთვის დამახასიათებელ *Gloss. Aspasia* Men. ამ ფორმის კარგ დახასიათებას იძლევა კანავარი (12, გვ. 10) და მე ახალს ვერაფერს დავუმატებ მას.

*Gloss. Aspasia* გავრცელებულია შუა ლიასურში, ხოლო ულიგი მას აღნიშნავს მალმიდან და ტიტონიდანაც.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — წიფლაჯაკე, შარაქაულა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—2.

გვარი ZEILLERIA Dayle 1878.

ნიქარა გლუვი ან ოდნავ დანაოკებული. ზურგის საგდულზე არ არის სინუსი. კომისურა ერთ სიბრტყეში ძვეს. ხელის აპარატი გრძელია და ზურგის საგდულზე შუა სეპტაა. გავრცელებულია ტრიასულიდან—ცარკულამდე.

*Zeilleria subdigona* Oppel.

- 1856-58. *Terebratula cornuta* Quenstedt, Jura, S. 180, T. 22, Fig. 15, 16.
- 1853-59. *Ter. subdigona* Oppel, Mittlere Lias Schwabens, S. 71, T. IV, Fig. 2.
- 1902-05. *Ter. subdigona* Rau, Brach. d. mitt. Lias Schwabens, S. 76, T. IV, Fig. 51—62.
- 1920. *Aulocothyris subdigona* Rollier, Synopsis..., p. IV, pl. 345.
- 1925. *Waldheimia thurwiensis* u. *mutabilis* (pars.) Моисеев, О фауне из нижне-юрских изв. Крыма, стр. стр. 978, 981.
- 1934. *Zeilleria subdigona* Моисеев, Брахиоподы... стр. 137, таб. XVIII, фиг. 15—26.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
27 mm	21 mm	15 mm
21,5 "	18 "	12,5 "
15 "	11 "	10 "
14 "	11 "	7 "
12 "	11,5 "	7 "

მასალაში მრავალი ნიმუში არის, რომლებსაც ოვალურ-პენტაგონური მოყვანილობა აქვთ. ისინი საკმაოდ კარგად არიან დაცული. უმეტესობა შიგა-კალაპოტებს წარმოადგენენ, ხოლო ზოგიერთს შერჩენილი აქვს ნიქარის თხელი ფენა. ნიმუშები თხემთან უფრო სქელები არიან, ხოლო ფრონტულ კიდე-სთან უფრო თხელდებიან. ორივე საგდული თითქმის თანაბრად არის გამო-ბურცული. თხემი მოკლეა და მოკაუჭებული. მას პატარა და რგვალი ფორა-მენი ახასიათებს. დელტიდიუმი ცუდად არის დაცული და მხოლოდ რამდენიმე ნიმუშზე ჩანს, რომ იგი ვიწროა და საკმაოდ მაღალი. თხემს ლატერული ქედები ახასიათებს, რომლებიც მუცლის საგდულის ლატერულ კიდეებზედაც გადადის. მათსა და კლიტის კიდეს შორის ჩაღრმავებული არე არის. ყველა ნიმუშს ფრონტულ კიდე-სთან მეტნაკლებად გამოსახული ორნაოკიანობა ეტყობა, მაგრამ ეს არ არის ის ჩვეულებრივი ორნაოკიანობა, რომელსაც ჩვენ „ბიპლიკატობას“ ვუწოდებთ, არამედ ზურგის საგდულზე სინუსისმაგვარი ჩაღრ-მავება არის, რომლის აქეთ-იქით ტალღისებური ნაოკები ჩნდება, რომლებიც ფრონტული კიდის კუთხეებს დაბლა სწევენ. ასეთ შემთხვევაში ფრონტული კიდის კომისურა უნაგირისმაგვარია. ცხადია, მასალაში ისეთი ნიმუშები არის, რომლებსაც ფრონტული კიდის კომისურა სწორხაზობრივი აქვთ და ნაოკია-

ნობა ოდნავ აქვს გამოსახული. ზოგიერთ ნიმუშს შუა დორზული სეპტა ეტყობა, რომელიც საგდულის სიგრძის ნახევარს აღწევს. ზოგიერთ ნიმუშს შიგაკალაპოტზე, თხემის ნაწილში ეტყობა რალაც რადიალური ხაზები, რომლებიც ორივე საგდულზე ჩანან და ფრონტულ კიდეც არ აღწევენ. სამწუხაროდ ძნელია იმის თქმა, არის თუ არა ეს ხაზები თვით ნიჟარაზე.

აღწერილი ნიმუშები ეკუთვნიან შუა ლიასურ *Zeilleria subdigona* Opp.-ის სახე ძალიან კარგად აქვს აღწერილი რაუს და შემდეგ მოისევეს. ჩემი აღწერა სავსებით ეთანხმება მათ აღწერას. მსგავსება იმდენად დიდია, რომ განსხვავების პოვნა ძნელია. უნდა ითქვას, რომ *Zeilleria subdigona* ძალიან ცვალებად ფორმას წარმოადგენს მოყვანილობის მხრივ და ამის გამო თითოეული ჩემი ნიმუში, ზემოაღწერილ სახის რომელიმე გამოსახულებას ემსგავსება.

მე უნდა გავიმეორო მოისევეის ნათქვამი. იგი არ ეთანხმება როლიეს, რომელმაც რაუს *Zeilleria subdigona* ორად გაპყო: *Zeilleria subcornuta* და *Aulacothyris subdigona*-დ. პირველ სახეში მან მოათავსა რაუს *Waldheimia (Zeilleria) subdigona* სურ. 56—61 (ტაბ. IV), ხოლო მეორეში სურ: 51—55, 62. მოისევეი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ რაუს ფორმები დაკავშირებული არიან ერთი-მეორესთან შეუმჩნეველი გადასვლებით და კიდურ ფორმებს შორის უდავოდ შეიძლება გარდამავალი ფორმების პოვნა. აღწერილი ნიმუშები თითქოს ემსგავსებიან საერთო მოყვანილობით დავიდსონის *Terebratula digona* Sow. (14, ტაბ. V, სურ. 18—24), მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო სქელია, ფრონტული კიდე მას ნაკლებად რკალისებური აქვს და უფრო სქელი და თხემიც უფრო მაღალია და სქელი.

აღწერილი ნიმუშები ემსგავსებიან *Waldheimia mutabilis* Opp.-ს ზოგიერთ გამოსახულებას (18, ტაბ. II, სურ. 31—36, ტაბ. III, სურ. 1—7), მაგრამ ეს ფორმა მეტად პენტაგონური მოყვანილობის არის, ფრონტული კიდე ან სწორი აქვს ანდა მისი ნაოჭიანობა უფრო „ბიპლიკატობას“ მოგვაგონებს.

*Zeilleria subdigona* ცნობილია გერმანიაში, ყირიმში და ჩრდ. კავკასიაში შუა ლიასურიდან.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — შარაქაულა, წითელი კირქვები.

შ ე ს წ . ნ ი მ . რ ი ც ხ ვ ი — 35.

### *Zeilleria indentata* Sow.

1851. *Zeilleria indentata* Davidson, Ool. and lias Brach. p. 159, pl. 5, fig. 25, 26.

1920. „ „ Rollier. Synopsis..., par. IV, p. 298.

1934. *Zeilleria cf. indentata* Моисеев, Брахиоподы..., стр. 141.

### ზ ო მ ე ბ ი

სიგრძე	განი	სისქე
26 mm	22 mm	15 mm
20 „	15 „	11 „

ნიმუშები ოვალურ-პენტაგონური მოყვანილობის არიან, საკმაოდ სქელები. უდიდესი სისქე მათ ნიჟარის შუა ნაწილში აქვთ. მუცლისა და ზურგის საგდული თითქმის თანაბრად არის გამოზურცული. თხემი სქელია და მოკაუჭებული. ფორამენი არ ჩანს. ერთ ნიმუშზე ჩანს დელტიდიუმი, რომელიც საკმაოდ ფართოა და მაღალი. თხემს ლატერული ქედები ახასიათებს. ორივე საგდულზე ფრონტულ კიდესთან სინუსისმაგვარი ჩაღრმავება არის. ამის გამო ფრონტული კიდე ჩაზნექილია და მისი კუთხეები რქისებურად არიან ჩამოწეული. ერთ ნიმუშს ზურგის შუა სეპტა ეტყობა. კომისურა ერთ სიბრტყეში ძვეს.

აღწერილი ნიმუშები თითქმის სავსებით იდენტურებია და ვიდსონის *Terebratula indentata* Sow. განსხვავებაში შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ აღწერილ, მოზრდილ ნიმუშს ფრონტული კიდე უფრო თხელი აქვს. ეს განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ *Zeilleria indentata*-ს სახის ცვალებადობის ფარგლებს არ სცილდება. რაჟს *Waldheimia cf. indentata* Sow. (29, გვ. 72, ტ. IV, სურ. 46—47) განსხვავდება აღწერილი ნიმუშებისგან სწორი ფრონტული კიდით და პატარა და მეტად მოკაუჭებული თხემით. სავსებით მართალია როლიე, რომელიც აღნიშნავს, რომ რაჟს ფორმა უფრო *Waldheimia Mariaev*-ს ეკუთვნის. სწორედ ეს უკანასკნელი ხასიათდება სწორი ფრონტული კიდით და პატარა და წვეტიანი თხემით. ასევე ვერ მიეკუთვნება სოვერბი-ის სახეს ჰაასი და პატარის *Waldheimia (Zeilleria) indentata*. იგი განსხვავდება, როგორც აღწერილი ნიმუშებისგან, ისე სოვერბის ფორმისგან მეტად მორგვალო-ოვალური მოყვანილობით, მორგვალებული და სადა ფრონტული კიდით და მეტად მოკაუჭებული თხემით.

*Zeilleria indentata* ცნობილია ინგლისისა და საფრანგეთის შუა ლიასურიდან, ყირიმში ლიასურიდან.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა—კაცბი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიშ. რიცხვი—2.

*Zeilleria sarthasensis* d'Orb.

1849. *Ter. sarthasensis* d'Orbigny, Prodrôme, étage toarcien n° 270, p. 258 en partie.

1882. *Waldh. (Zeilleria) sarthasensis* Haas u. [Petri, Jura formation, S. 273, T. 14, F: 5—9, 15, 16.

1887. *Zeilleria sarthasensis* Haas, Brach. rhétiens et juras, p. 121, pl. VIII, f. 1—3, 11, 15, 19—21, 27.

1920. " " Rollier, Synopsis..., par. IV, p. 291.

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
31 mm	25,5 mm	18 mm
?	24 "	22 "
29 "	23 "	16 "
21,5 "	18 "	13 "

მისალაში კვერცხისებურ-ოვალური მოყვანილობის ნიმუშები არის, რომლებსაც მოკვეთილი ან ოდნავ მორგვალეზული ფრონტული კიდე აქვთ. საგდულებში თითქმის თანაბრად არიან გამოზურცული ანდა მუცლის ოდნავ მეტად-თხემი, სამწუხაროდ, მხოლოდ პატარა ეგზემპლარებს აქვს დაცული, სადაც იგი საკმაოდ მალალია და მოკაუჭებული. ფორამენი და დელტიდიუმი არ არის დაცული. თხემს კარგად გამოსახული ლატერული ქედები ახასიათებს. კომისურა სავსებით სწორხაზობრივია ან ზოგიერთ ეგზემპლარებზე ფრონტულ კიდეზე იგი ოდნავ ტალღისებურია. ნიმუშებს გრძელი, შუა დორზული სეპტა ახასიათებს.

აღწერილი ნიმუშები ყველა დამახასიათებელი ნიშნით ძალიან ემსგავსებიან შუა ლიასურ *Zeilleria sarthasensis* d'Orb. განსაკუთრებით დიდი მსგავსება არის ჰაასის ნიმუშებთან. უფრო მეტი განსხვავება არსებობს ჰაასის და პეტრის და აღწერილ ნიმუშებს შორის. აღნიშნულ ავტორებს დასურათებული აქვთ მეტად ოვალური ნიმუშები და თითქოს უფრო თხელებიც, ზოგიერთი ნიმუში მოკლეა, სწორი ფრონტული კიდე აქვს და თხემის ლატერული ქედები მეტად აქვთ გამოსახული. ეს ნიმუშები საკმაოდ განსხვავდებიან თვით ჰაასის ფორმისაგანაც, რომელსაც დასურათებული აქვს უფრო სქელი ნიმუშები, სწორი ან ოდნავ მორგვალეზული ფრონტული კიდე. შესაძლებელია ასეთი განსხვავების გამო არ შეჰყავს როლი ეს *Zeilleria sarthasensis* სინონიმიკაში ჰაასის და პეტრის ფორმა. რაც შეეხება ჰაასს, მის მოხსენებული აქვს *Zeilleria sarthasensis* სინონიმიკაში ჰაასის და პეტრის ფორმა. ნამდვილად მას ჰქონდა სათანადო საბუთები ამისთვის, რადგან ხელთ ორივე ფორმა ჰქონდა. მე მთლიანად მივიღე ჰაასის სინონიმიკა, რადგან ახალი ვერაფერი დავუმატე.

*Zeilleria sarthasensis* ცნობილია ელზას-ლოტარინგიაში და ალპებში შუა ლიასურში.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა — კაცხი, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—8.

### *Zeilleria mutabilis* Opp. var. *dentata* n. v.

(ტაბ. III, სურ. 9)

ზომები

სიგრძე—15 mm

განი—14 mm

სისქე—10 mm

ნიმუში მკაფიო, პენტაგონური მოყვანილობის, წარმოადგენს შიგაკალაპოტს. ორივე საგდული თანაბრად არის გამოზურცული. თხემი საკმაოდ მალალია და მოკაუჭებული. სამწუხაროდ, იგი არ არის მთლიანად დაცული. ფორამენი და დელტიდიუმი არ ჩანს. თხემს ლატერული ქედები ახასიათებს. ფრონტული კიდე სწორია და თითქოს მოკვეთილი. იგი დაკბილულია და ეს დაკბილვა დანარჩენ საგდულზე არ გადადის. ფრონტულ კიდეს კარგად გამოსახული კუთხეები აქვს. ლატერული კომისურა თითქმის სწორხაზობრივია, ხოლო ფრონტული ძლიერ კლაკნილი. ნიმუშს მკაფიო კონცენტრული ჯრდითი ხაზები აქვს და საკმაოდ გრძელი შუა დორზული სეპტა.

აღწერილი ნიმუში საერთო მოყვანილობით, სისქით და მოკვეთილი ფრონტული კიდიით და თხემით ძალიან უახლოვდებიან *Waldheimia (Zeilleria) mutabilis* Opp. გეიერის მიერ აღწერილსა და დასურათებულს (18, გვ. 18, ტაბ. II, სურ. 31—36, ტაბ. III, სურ. 1—7). გეიერს ამ სახის მრავალი ნიმუში აქვს, რომლებსაც იგი სისქის და მოყვანილობის მიხედვით 5 ჯგუფად ჰყოფს. მაგრამ არც ერთ მათგანს ფრონტულ კიდეზე არ ახასიათებს ასეთი დაკბილება. ვინაიდან აღწერილი ნიმუში ყველა ნიშნით ემსგავსება *Zeilleria mutabilis* Opp. ხოლო განსხვავდება მისგან მხოლოდ დაკბილული ფრონტული კიდიით, მე მის ამ სახის ახალ ვარიეტეტად გამოვყოფ.

*Zeilleria mutabilis* Opp. გავრცელებულია დას. ევროპაში შუა ლიასურში. სადაურობა—წითლაფაკე, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—1.

#### გვარი AULACOTHYRIS Douvillé 1880.

ნიჟარა გლუვია. ზურგის საგდულზე ახასიათებს სინუსი და შუა სეპტა. გავრცელებულია ტრიასულიდან—ცარცულამდე.

#### *Aulacothyris* nov. sp.?

(ტაბ. III, სურ. 10, 11)

ზომები

სიგრძე	განი	სისქე
18 mm	17 mm	9 mm
19 "	18 "	10 "

მასალაში ორი მორგვალო-პენტაგონური მოყვანილობის ნიმუში არის. ზურგის საგდული ბრტყელია, ხოლო მუცლის უფრო გამოზურცული. თხემი მხოლოდ ერთ ნიმუშს აქვს დაცული და ისიც ნაწილობრივ, ჩანს მხოლოდ, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მაღალი. მის კარგად გამოსახული ლატერული ქედები ახასიათებს. ზურგის საგდულზე ფართო და არა ღრმა სინუსი არის, რომელიც იწყება საგდულის სიგრძის ორ მესამედიდან. სინუსი რკალისებური მოყვანილობის არის, მას მუცლის საგდულზე შეესაბამება ქედი, რომელიც თითქმის თხემიდან იწყება. კომისურა ტალღისებურია, როგორც ლატერულ, ისე ფრონტულ კიდეზე. ზურგის საგდულზე მკაფიოდ გამოსახული შუა სეპტა არის. მისი სიგრძე საგდულის ერთ მესამედს არ აღემატება.

ნიმუში უდავოდ *Aulacothyris*-ის გვარს ეკუთვნიან შუა დორზული სეპტის არსებობით. საინტერესოა, რომ დანარჩენი ყველა ნიშნით ისინი *Glossothyris Beyrichi* Opp.-ს ემსგავსებიან. ასეთ საერთო ნიშნებს შორის უნდა აღვნიშნოთ ნიჟარის საერთო ფორმა, თხემის და სინუსის მოყვანილობა. მხოლოდ სეპტის არსებობა მიშლის მივაკუთვნო ისინი *Glossothyris Beyrichi*-ს (18, გვ. 12, ტაბ. II, სურ. 4—8, 18, გვ. 128, ტაბ. IV, სურ. 20—23). სამწუხაროდ *Aulacothyris*-ებს შორის მე ვერ ვიპოვე მსგავსი ფორმები, რომელთათვისაც მიმეკუთვნებია აღწერილი ნიმუშები. შესაძლებელია, რომ ისინი, მართლაც, ახალ სახეს წარმოადგენენ ან ეგებ *Glossothyris Beyrichi*-ს რევიზია ჩვენ სულ სხვა სურათს მოგვცემდა? სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მიუწევდომელია ჩემთვის.

სადაურობა—შრომა, წითელი კირქვები.

შესწ. ნიმ. რიცხვი—2.

უცხოელი Brachiorod-ების გეოგრაფიული და სტრატეგოფიული გავრელების ცხრილი  
საქართველოში და საქართველოს გარეთ

Таблица географического и стратиграфического распространения изученных Brachioroda в Грузии и за ее пределами

სახეები Виды	საქართველოს გარე За пределами Грузии		საქართველოში В Грузии		შეშვების ხალხ- ქების ასაკი. Воз- раст вмещающих отложений
	სადაურობა Местонахождение	სტრატეგოფიული დონე Стратиграф. уровень	სადაურობა Местонахождение	სტრატეგოფიული დონე Стратиграф. уровень	
1. <i>Spiriferina cf. alpina</i> Opp.	ალპები (Hielatz), ხმელთაშუა ზღვის მხარეები, ყირიზი Альпы (Hielatz), Средиземноморск. страны, Крым ეზანეთი Испания შვეიცრია Швейцария	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	კახეთი Качки სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
2. <i>Spiriferina alpina</i> Opp. v. <i>Faloti</i> Sogoy	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
3. <i>Spiriferina Möschi</i> Haas	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
4. <i>Spiriferina Möschi</i> Haas var. <i>krinastonenensis</i> Möis.	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
5. <i>Spiriferina aff. Möschi</i> Haas	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
6. <i>Spiriferina angulata</i> Opp.	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно
7. <i>Spiriferina obtusa</i> Opp.	ყირიზი Крым	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	სახანშირე, შროში Санахшире, Шроша შროში შარაკაულა შარაკაულა მდ. ბორჯომის კალბ.	ლოტარიზი და სინემურ, ზარმუთულ- ტოარსული, ლიასური Лотаринг. и Синемур. Шармут-Тоарс, ლეიას ზარმუთულ-ტოარ- სული Шармут-Тоарс კეტანგური Гетанг	შუა ლიასურიდან ქვედა აალენურამდე ხოვლით От среднего лейаса до нижн- аялена включи- тельно



8. <i>Spiriferina</i> ex gr. <i>abrusa</i> , Opp	—	—	—	კაცი Кацхи	"
9. <i>Spiriferina tumida</i> Buch.	დასავლეთ ევროპა Зап. Европа	ზედა პეტანგური ქვ. ლიასური Верх. Гетанг—Ниж. Тоарс	—	კაცი და შროშა Кацхи, Шроша	"
10. <i>Spiriferina</i> ex gr. <i>tumida</i> Buch.	—	—	—	გლიზვის ღელე სლიეთი Салиети, Глиनावис- геле	"
11. <i>Spiriferina Walcotti</i> Sow.	საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და შვეიცრია Франция, Германия, Англия, Швейцария	ქვედა-სინემურული ზედა-შარმუთული Ниж. Синемур Верхн. Шармут	—	კაცი Кацхи	"
12. <i>Rhynchonella pontica</i> Mois.	ჩრდ. კავკასია Сев. Кавказ	შუა ლიასური Сред. лейас	—	"	"
13. <i>Rhynchonella Paronai</i> Haas	შვეიცრია Швейцария	"	უბისა Убиса	"	"
14. <i>Rhynchonella</i> aff. <i>Greppini</i> Opp	—	—	კაცი Кацхи	"	"
15. <i>Rhynchonella</i> cf. <i>curviceps</i> Quenst.	ელზას-ლოტარინგია, შვებეთი Эльзас-Лотар., Швабия	შუა ლიასური Средн. лейас	სამება Самеба	"	"
16. <i>Rhynchonella samebaensis</i> n. sp.	—	—	"	"	"

შესწავლილ *Brachionod-*ების გეოგრაფიული და სტრატეგრაფიული გავრცელების ცხრილი საქართველოში და საქართველოს გარეთ.

Таблица географического и стратиграфического распространения изученных *Brachionoda* в Грузии и за ее пределами

სახეები Виды	საქართველოს გარეთ За пределами Грузии		საქართველოში В Грузии	
	სადაურბო Местонахождение	სტრატეგრაფიული დონე Стратиграф. уровень.	სადაურბო Местонахождение	შემცველი ნალექების ასაკი. Возраст вмещающих отложений
17. <i>Rhynchonella liasica</i> n. sp.	—	—	შარაკულა, სამება Шаракула, Самеба	შუა ლიასურიდან შუა ლიასურამდე
18. <i>Rhynchonella Dumbletonensis</i> Koll.	იბგლისი Англия	შუა ლიასური Сред. лияс	კაიხი Капхи	მდ. ჩათვლით От среднего
19. <i>Rhynchonella striata</i> n. sp.	—	—	სახმზორე-საღვინე, ძირულის კალაპოტი Сахмзоре-Сагвине Дирулис калапотти	ლიასა და ნიჟნი. ლიასა და ნიჟნი.
20. <i>Rhynchonella variabilis</i> Dav.	დას. ევროპა, ყირიმი Зап. Европа, Крым	ტრიასული, შუა და ზედა ლიასური Триас, ср. и верхн. Лияс	სანაჟიშირე-საღვინე სანაჟიშირე-Сагვინე	ააღენა ააღენა
21. <i>Rhynchonella triplicata</i> Phil.	იბგლისი, ელზას-ლოტარინგია, ფრანკონია Англия, Эльзас-Лот. Швабия	შუა ლიასური Средн. Лияс	რუსო რ. ძვირული შარაკულა, მთლიანი Шаракула, Мотли	„ „ „ „

22. <i>Rhynchonella plana</i> n. sp.	—	—	კაცი Капки	"
23. <i>Rhynchonella Alberti</i> Opp. var. <i>tenuis</i> nov. var.	—	—	ძირულის კალაპოტი	"
24. <i>Rhynchonella</i> aff. <i>Gumbeli</i> Opp.	—	—	Русло реки Дзирулы ბეჯენვი Бжиневи	"
25. <i>Rhynchonella Calderini</i> Phil.	ალპები, ხმელთაშუა- ზღვის მხარეები Альпы, средиземно- морские страны	ქვედა ლიასური Нижн. Лейас	კაცი Капки	"
26. <i>Rhynchonella</i> sp. ind. A.	—	—	"	"
27. <i>Rhynchonella</i> sp. ind. B.	—	—	უცნობი	"
28. <i>Terebratula punctata</i> Sow.	დას. ევროპა და ამე- რიკა Зап. Европа и Аме- рика	ქვედა და შუა ლიასური Ниж. и средн. лейас	კაცი Капки	"
29. <i>Terebratula minor</i> n. sp.	—	—	ჯაზლარი Джазлари	"
30. <i>Glossothyris nimbata</i> Opp.	ალპები (Hierlatz) შუამეთი Альпы (Швабия)	ქვედა ლიასური, შუა ლიასური Нижн. лейас, Ср. лейас	შარაკიულა Шаракаула	"
31. <i>Glossothyris Aspasia</i> Meneg.	დას. ევროპა ხმელ- თაშუა ზღვის მხა- რეები Зап. Европа, средиземноморские страны	ლოგერი, ბლში, ტი- ტონი. შუა ლიასური. Доггер, Мальм, Ти- тон? Средн. лейас	წითლევკე, შარაკი- ულა Циплаვაკე, Шарака- ულა	"

შესწავლილი Brachiorod'ების გეოგრაფიული და სტრატეგრაფიული გავრცელების ცხრილი  
საქართველოში და საქართველოს გარეთ

Таблица географического и стратиграфического распространения изученных Brachioroda в Грузии и за ее пределами

სახეები Виды	საქართველოს გარეთ		საქართველოში	
	საღარობა Местонахождение	-სტრატეგრაფიული დონე Стратиграф. уровень	საღარობა Местонахождение	საქართველოში В Грузии
32. <i>Zeilleria subdigona</i> Opp.	გერმანია, ყირიმი და ჩრდ. კავკასია Германия, Крым и Сев. Кавказ	შუა ლიასური Средний лейას	შარაქულა Шаракула	შემცველი ხალე- ქების ასეო. Воз- раст вмещающих отложений
33. <i>Zeilleria indentata</i> Sow.	იზღლის, სფონგე- თი, ყირიმი Англия, Франция, Крым	შუა ლიასური ლიასური Средний лейас Лейас	ქაქი Капки	შუა ლიასურიდან კვედა აღენებრა- ბდე ჩათვლით От среднего лейаса до нижн. яалена включи- тельно
34. <i>Zeilleria sarthazensis</i> d'Orb.	ელზას-ლოტარინგია, ალპები Эльзас-Лотарингия Альпы	შუა ლიასური Средний Лейас	ჭილავეკე Циляваке	" " "
35. <i>Zeilleria mutabilis</i> Opp. var. <i>dentata</i> nov. var.	—	—	შრომა Шрома	" " "
36. <i>Aulacothyrus</i> sp. nov.?	—	—	—	"

К. Ш. НУЦУБИДЗЕ

## ЛЕЙАССКИЕ БРАХИОПОДЫ ПЕРИФЕРИИ ДЗИРУЛЬСКОГО МАССИВА

(Р е з ю м е)

Фауна лейасских отложений Грузии до последнего времени была неизучена. Мы встречаем только ее списки в работах старых геологов, работающих на Кавказе (Абих, Фавр, Фурнье и др.).

В геологическом институте Грузинской Академии Наук собран большой материал по лейасской фауне Грузии и в особенности периферии Дзирульского массива. Его систематическая обработка началась недавно. Иноцерами изучены И. Р. Кахадзе [5], аммониты А. И. Джанелидзе [2]. На долю автора досталась богатая коллекция брахиопод. Изученные брахиоподы содержат 36 видов и вариететов, которые группируются в 6 следующих родах: *Spiriferina*, *Rhynchonella*, *Terebratula*, *Glossothyris*, *Zeilegia* и *Aulacothyris*. В коллекции оказалось 8 новых видов и вариететов, остальные же 28 форм представляют собой известные виды.

Весь материал принадлежит сборам П. Д. Гамкрелидзе и С. С. Чихелидзе.

В настоящей работе дано только описание видов и таблица их стратиграфического распространения в Грузии и за ее пределами. Что же касается кое-каких стратиграфических выводов, полученных в результате изучения фауны они являются предметом отдельной работы.

## ОПИСАНИЕ ФАУНЫ

*Spiriferina* aff. *Mörschi* Haas

(таб. I, рис. 4)

## Размеры

Длина—28,5 *mm*; ширина—27,5 *mm*; толщина—20 *mm*.

Хорошей сохранности образец представляет собой внутреннее ядро. Довольно толстый с выпуклой брюшной и более плоской спинной створкой. Макушка высокая и ее кончик едва загнут. Арка вогнутая. Замочный край прямой и не очень длинный.

На брюшной створке имеется широкий и неглубокий синус, который начинается почти с макушки. На спинной створке синусу соответствует едва заметное возвышение. На обеих створках наблюдается срединная септа.

Определить точно описанные образцы не удалось, т. к. они не похожи ни на один лейасский вид. Они несколько приближаются к *Spiriferina Möschi* Haas (19, стр. 129, таб. XI, фиг. 1—3), от которой отличаются более плоской брюшной створкой, менее загнутой макушкой и более коротким замочным краем. Несмотря на такое различие, всетаки описанный образец принадлежит к группе *Spiriferina Möschi* Haas, т. к. макушка и очертание синуса у него характерны для вида Хааса.

Таким образом, благодаря существующим различиям, описанный образец не может быть отождествлен с *Spiriferina Möschi* Haas, но наличие некоторого сходства разрешает приблизить его к этому виду.

Следует отметить, что весь описанный материал датируется средним и частично верхним лейасом. Что же касается *Spiriferina Möschi* Haas, она характерна для нижнего лейаса. В коллекции есть несколько типичных форм. Повидимому, в данных районах имеются элементы нижнего лейаса, или же стратиграфический уровень *Spir. Möschi* следует повысить.

Местонахождение—русло р. Дзирулы, красные известняки.

Кол. изуч. экз.—1

#### *Rhynchonella* aff. *Greppini* Opp.

(Таб. II, рис. 1—3)

Размеры:

Длина	Ширина	Толщина
30 <i>mm</i>	34 <i>mm</i>	25 <i>mm</i>
28 "	34 "	27 "
18 "	22 "	14 "

Три образца, сравнительно плохой сохранности, частично обломаны. Они имеют пентагональное очертание, более широкое, чем длинное. Макушка не сохранилась. Замочный край вогнутый. Обе створки одинаково выпуклые. На брюшной створке имеется широкий и неглубокий синус. Створки украшены 8—14 радиальными ребрами. Ребра толстые и заостренные на поверхности. В синусе 3—4 ребра.

Описанные образцы общим очертанием раковины, замочного края и ребер, приближаются к *Rhynchonella Greppini* Opp. (20, стр. 136, таб. II, фиг. 7, 8; 8, стр. 47, таб. III, фиг. 12—19). Но отличаются от нее более развитым синусом и в связи с этим и очертание переднего края отличается от вида Опеля. Типичная *Rhynchonella Greppini* маленького размера с 10—11 острыми ребрами. Синус или вовсе отсутствует или он едва заметен. Возможно, хорошая сохранность образцов показала бы больше сходства, сейчас же их можно только приблизить к *Rhyn. Greppini* Opp., не уточняя определения, в виду различия в очертании переднего края.

*Rhyn. Greppini* Opp. встречается в нижнем лейассе средиземноморской провинции.

Местонахождение—сел. Кацхи, красные изв.  
Кол. изуч. экз.—4.

*Rhynchonella liasica* n. sp.

(Таб. II рис. 4—7)

Размеры

Длина	Ширина	Толщина
16 mm	19 mm	14,5 mm
15 "	17 "	12 "
14 "	14 "	10,5 "

В коллекции имеются несколько толстых образцов пентагонального очертания. Спинная створка выпуклая, брюшная плоская. Макушка маленькая и едва загнута. На ней имеются боковые кили. Ни форамен, ни дельтидий не сохранился. На брюшной створке наблюдается широкий и плоский синус, на спинной створке синусу соответствует небольшое возвышение, которое за пределы переднего края не переходит. Боковая комиссура прямолинейная, комиссура переднего края угловатая.

Створки украшены 25—29 радиальными ребрами. На макушке ребра не наблюдаются. Вначале они очень тонкие и почти незаметные, затем они делаются толще. Поверхность у них закругленная и только по бокам заостренная. В синусе 8—10 ребер, на соответствующем возвышении—8.

Описанные образцы не удалось приблизить ни к одному из лейасских видов. Возможно, что они принадлежат к нижнелейасской группе *Rhynchonella plicatissima* Quenst. (18, стр. 57, таб. VI; фиг. 33—35; таб. VII, фиг. 17), так как очертания раковины у них схожие, но описанные образцы отличаются от вида Квенштедта большим количеством ребер и более выпуклой спинной створкой. По всем признакам описанные образцы можно выделить в новый вид.

Местонахождение—сел. сел. Шаракаула и Самеба, красные известняки.

Кол. изуч. экз.—55.

*Rhynchonella striata* nov. sp.

(Таб. I, рис. 7; Таб. II, рис. 8)

Размеры

Длина	Ширина	Толщина
19,5 mm	20,5 mm	14 mm
18 "	20 "	12 "

Овально-пентагонального очертания образцы имеют почти равномерно выпуклые створки. Макушка частично обломана, но это не мешает видеть, что она высокая и толстая. Ни форамен, ни дельтидий не сохранился. На брюшной створке наблюдается широкий, высокий, но не глубокий синус, которому на спинной створке соответствует возвышение. Это возвышение за пределы переднего края не переходит.

Боковая комиссура прямолинейная, фронтальная—угловатая. Створки покрыты очень тонкими радиальными штрихами. Эти штрихи на сохранившихся частях раковины более ясно выражены, чем на ядре. Кроме радиальных штрихов на створках имеются концентрические линии нарастания. Все вместе придает им сетчатую структуру.

На спинной створке одного экземпляра видна короткая срединная септа. Несмотря на не очень хорошую сохранность, можно заключить, что описанные образцы представляют собой новый вид, т. к. они не похожи ни на один лейасский вид. Дальнее сходство имеется только с *Rhynchonella cf. capitata* Zitt., описанной и изображенной Моисеевым (8, стр. 66, таб. IV, рис. 52, 53). Форма титонская и для сравнения не подходит, да и то сходство имеется только в общем очертании раковин.

Местонахождение—русло р. Дзирулы, лейасские известняки. Кол. изуч. экзем.—2.

#### *Rhynchonella plana* nov sp.

(Таб. III, рис. 1)

Размеры

Длина—24,5 *mm*; Ширина—31 *mm*; Толщина—11,5 *mm*

В коллекции имеется один хорошо сохранившийся образец, явно пентагонального очертания. Створки плоские и крылообразно вытянутые по краям. Макушка маленькая, острая и едва загнута. Форамен маленький и круглый. Боковые края макушки закруглены и сильно покаты. На брюшной створке имеется широкий и не глубокий синус, который простирается до середины раковины. На спинной створке синусу соответствует маленькое возвышение, ограниченное только передним краем.

Створки украшены 14 радиальными ребрами, которые расположены веерообразно. Ребра начинаются почти с макушки, где они очень тонкие, т. ч. едва заметны. В синусе 5 ребер, на седле 4. Поверхность ребер закругленная и они разделены между собой широкими бороздками. Боковая комиссура почти прямая, фронтальная волнистая.

Описанный образец удалось приблизить только к *Rhynchonella Alberti* Orr. описанной и изображенной Гейером (18 стр. 43, таб. V, фиг. 16). Следует отметить, что рисунок Гейера представляет собой молодой экземпляр *Rhyn. Alberti*, что несколько затрудняет сравнение, т. к.



описываемый образец является взрослым индивидом. Думаю, что он принадлежит к группе *Rhynchonella Alberti* Opp., но представляет собой новый вид. Местонахождение — сел. Кацхи. Красные известняки. Кол. изуч. экзем. — 1.

*Rhynchonella Alberti* Opp. var. *tenuis* n. var.

(Таб. I, рис. 5)

Размеры

Длина — 29 mm.; Ширина — 33 mm.; Толщина — 17 mm

Пентагонального очертания образец, представляет собой внутреннее ядро с кое-где сохранившейся раковинной. Макушка не очень толстая и едва загнута. Форамен и дельтидий не сохранился. Синус широкий, не глубокий и простирается до середины брюшной створки. Он высокий и закругленного очертания. На спинной створке имеется седло.

Створки покрыты 12—14 толстыми, радиальными ребрами, которые разделены широкими бороздками. Ребра начинаются с макушки, где они очень тонкие. Они сводчатого очертания. В синусе 4 ребра. Из них два очень толстые и расположены по середине синуса, а два остальные по бокам. Эти последние более низкие и широкие. На седле имеется 3 ребра. Боковая смычная линия не видна, передняя очень изогнута.

Описанный образец приближается к *Rhynchonella Alberti* Opp., описанной и изображенной Гейером (18, стр. 43; таб. V, фиг. 14, 15, 18). Сходство касается очертания раковины и синуса и количества ребер, расположенных в последнем, а также количества ребер вообще и строения макушки. В общем сходство почти полное и ничто не мешает описанный образец определить как *Rhynchonella Alberti* Opp., но форма Гейера много толще. Спинная створка у нее более выпукла. В этом отношении больше сходства существует с *Rhyn. Alberti* Opp. var. *lobata* (см. там-же стр. 18). Правда эта форма более тонкая, но зато она меньших размеров, чем описанный образец.

*Rhynchonella Alberti* Opp. описана также Улигом (33, стр. 32, таб. IV фиг. 1—2). Он изображает еще более толстые образцы, у которых синус и седло очень слабо выражены. *Rhynchonella Alberti* Моисеева тоже представляет собой толстую форму.

Как видно из анализа описанный образец нельзя отнести ни к одному из выше отмеченных видов, на основании того, что он значительно более тонкий. Но в нем можно видеть новую, тонкую разновидность *Rhynchonella Alberti* Opp.

Этот вид известен в Альпах в нижнем лейассе (Лотарингском яр.) В Крыму в лейассе.

Местонахождение—русло р. Дзирулы. Красные известняки.  
Колич. изуч. экзем.—1.

*Terebratulula minor* nov. sp.

(Таб. III, рис. 3—8)

Размеры		
Длина	Ширина	Толщина
18 <i>mm</i>	17 <i>mm</i>	9 <i>mm</i>
14,5 "	13 "	7 "
11,5 "	10,5 "	6 "
8,5 "	8 "	3,5 "

В коллекции имеется около 40 образцов овального или закругленного очертания. Большое количество экземпляров и различная их величина дает возможность проследить за онтогенетическим развитием вида. В самом деле, если взять крайние формы онтогенетического ряда, то ясно видно постепенное развитие роста и складок на переднем крае. Так у маленьких, молодых, экземпляров створки одинаково выпуклые, они круглого очертания и на переднем крае складок не наблюдается. У взрослых экземпляров длина преобладает над шириной, брюшная створка более выпуклая и на спинной створке имеются ярко выраженные две складки, которые начинаются с середины створки. В связи с этим и смычная линия переднего края волнистая. Кроме выше отмеченных, крайних членов онтогенетического ряда, имеются еще промежуточные формы, на которых заметно постепенное развитие складчатости и увеличение роста. Макушка на всех образцах маленькая и загнутая. Форамен маленький и круглый. На макушке имеются более или менее ясно выраженные боковые кили. На брюшной створке наблюдается седло, которое тянется с макушки до переднего края.

По всей вероятности описанные образцы представляют собой новый вид, т. к. они ни на один лейасский вид не похожи.

Местонахождение—Джазлари. Красн. известняки.

Колич. изуч. экз.—40.

*Zeilleria mutabilis* Opp. var. *dentata* n. var.

(Таб. III, рис. 9)

Размеры

Длина—15 *mm*; Ширина—14 *mm*; Толщина—10 *mm*

Образец пентагонального очертания представляет собой внутреннее ядро. Обе створки равномерно выпуклы. Макушка высокая и загнутая. К сожалению, она частично обломана. Форамен и дельтидий не видны. Пе-

средний край прямой и словно обрублен. Он угловатый и явно зубчатый. Смычная линия лежит в одной плоскости. На створках наблюдаются концентрические линии нарастания и срединная спинная септа.

Описанный образец общим очертанием раковины, толщиной створок, обрубленным передним краем и строением макушки приближается к *Waldheimia (Zeilleria) mutabilis* Opp., описанной и изображенной Гейером (18, стр. 18, таб. II, фиг. 31—36; таб. III, фиг. 1—7). Несмотря на большое количество образцов, изображенных Гейером, ни у одного из них не наблюдается зазубренный передний край, как это характерно для описываемого образца. В виду того, что последний, будучи всеми признаками похож на *Zeilleria mutabilis* Opp., отличается от него только строением переднего края, я нахожу возможным выделить его как новую разновидность *Zeilleria mutabilis*.

*Zeilleria mutabilis* встречается в Зап. Европе в среднем лейасе.


Местонахождение—Циплаваке. Красные известняки.

Кол. изуч. экзем.—1.


დაბმეზღუდი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. გახეგრელიძე პ. და ჩიხელიძე ს.—ძირულის ხეობის გეოლოგიისათვის. საქ. გეოლ. ინ-ტის შრომებ, ტ. I, ნაკვ. 2. თბილისი 1933.
2. ჯანელიძე ა.—ძირულის მასივის წითელი კირქვების ასაკის შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შრომებ, ტ. VII, № 4, თბილისი 1946.
3. Джанелидзе А.—Геологические наблюдения в Окрибе и в смежных районах Рачи и Лечума. Тбилиси 1940.
4. Кахадзе И.—Фауна среднего лейаса грузинской глыбы. Сообщ. Груз. Фил. Ак. Наук Груз. ССР т. I, № 2, Тбилиси 1940.
5. Кахадзе И.—Заметка о лейасских и байосских миоцерамах Грузии. Сообщ. Ак. Наук Груз. ССР, т. II, № 5, Тбилиси 1941.
6. Кахадзе И.—Грузия в юрское время. Тр. Геол. Ин-та, сер. геол. т. III (VIII) Тбилиси 1947.
7. Моисеев А. О фауне из нижне-юрских известняков Крыма. Изв. Геол. ком., т. XLIV, № 10, Ленинград 1926.
8. Моисеев А.—Брахиоподы юрских отложений Крыма и Кавказа. Труды ВГРО, вып. 203, Москва—Ленинград 1934.
9. Abich H.—Prodröm einer Geologie der Kaukasischen Länder. St. Petersburg 1858.
10. Brauns D.—Der untere Jura im nordwestlichen Deutschland. Braunschweig 1871.
11. Brauns D.—Der mittlere Jura im nordwestlichen Deutschland. Cassel 1869.
12. Saccavari M. U.—Brachiopoda degli Strati a Terebratula Aspasia Mgh. nell Appennino centrale. Reale Accademia dei Lincei, Roma 1880.
13. Corroy G.—Les Spiriferidés du lias européen et principalement du lias du Lorrain et d'Alsace. Annales de Paleontologie, Paris 1927.
14. Davidson Th.—A monograph of the British Oolitic and liassic Brachiopoda. Paleontographical Soc. Vol. I, part. III, London 1851—1852.


15. Dumortier Eug.—Etudes paléontologique sur les terrains jurassiques du bassin du Rhône, 1864—77.
16. Favre E.—Recherches géologique dans la partie centrale de la chaîne du Caucase. Genève—Bale—Lyon 1875.
17. Fournier E.—Description géologique du Caucase centrale. Marseille 1896.
18. Geyer G.—Ueber die liassischen Brachiopoden des Hierlatz bei Hallstalt. Abh. der. K.—Kön. Geol. Reichsanstalt, Bd. XII, Wien 1889—1893.
19. Haas H.—Brachiopodes rhétiens et jurassiques des Alpes Vaudoises. Mém. Soc. pal. Suisse. Vol. II et 14, Genève 1885—1887.
20. Haas H.—Brachiopodes rhétiens et jurassiques des Alpes Vaudoises. (Supplément et fin). Mém. Soc. pal. Suisse, vol. XVIII, Genève 1891.
21. Haas H. и Petri, C. Brachiopoden des Juraformation von Elsass Lothringen. Abh. zur geol. Spezialkarte v. Elsass-Lothringen, Bd. 2, Heft 2, Atlas, Strassburg 1882.
22. Haas O.—Die Fauna des mittleren Lias von Ballno in Südtirol. Beitr. Zur. Pal. u Geol. Osterreich—Ungarns u. d. Orients, Wien u. Leipzig 1912.
23. Krumbečĭk L.—Die Brachiopoden und Molluskenfauna des Glandarienkalkes. Beit. Z. Pal. u Geol. Osterreich.—Ung. u. d. Orients, Bd. XVIII, Wien u. Leipzig 1905.
24. Neumayr M. u. Uhlig U.—Über die von H. Abich im Kaukasus gesammelten Jura-fossilien, Wien 1892.
25. Oppel A.—Der mittlere Lias Schwabens (neu bearbeitet), Stuttgart 1853.
26. Oppel A.—Die Juraformation England und Frankreich und des südwestlichen Deutschlands. Separat. Abdruck aus d. Württemb. naturw. Jahreshft, Jahrg. 12—14 Stuttgart 1856—1858.
27. d'Orbigny A.—Prodrôme de Paléontologie stratigraphique universelle des animaux mollusques et rayones, t. II, Paris 1850.
28. Q'uenstedt F.—Der Jura (mit Atlas), Tübingen 1858.
29. Rau K.—Die Brachiopoden des mittleren Lias Schwabens. Geol. u. Paleont. Abh. v. E. Koken N.—I, Bd. 6, (ober Bd. 10 d. ganzen Reihe), Heft 5 Jena 1905.
30. Rollier L.—Synopsis des Sprobranches Brachiopodes Jurassiques Celto-Souabes. Part. I. Lingulidés, Spiriferidés. Mem. Soc. Pal. Suisse, Vol. XLI. 1915—1916. Part. II. Rhynchonellidés, ibid., Vol. XLII, 1917. Part. III. Terebratulidés ibid., Vol. XLIII, 1918. Part. IV. Zeilleridés, ibid., Vol. XLIV, 1920.
30. Toni de A.—La fauna Liasica di Vedana (Belluno) Mém. Soc. pal Suisse, Vol. XXXVII, Genève 1911.
32. Trauth Fr.—Die Grestenschichten der Oesterreichischen Voralpen und ihre Fauna I, Theil u. II. Beit. zur Pal. und Geol. Osterreich Ung. u. d. Orients, Bd. XXII, Wien 1909.
33. Uhlig V.—Über die liassische Brachiopodenfauna von Sospitolo bei Belluno. Sitzb. der K. Akad. der Wissensch math. naturw. Classe, Bd. LXXX, I Abth., Wien 1879.
34. Vacek M.—Ueber die Fauna der Oolith von Cap. San-Vigilio verbunden mit einer Studie über die obere Liasgrenze. Abh. der K.—k. Geol. Reichsanstalt, Bd. XII, H. 1, Wien 1886.
35. Zugmayer H.—Untersuchungen über rhätische Brachiopoden. Beit. zur Pal. von Osterreich Ungarn u. d. angrenzenden Gebieten. Wien 1880.



ქ. ნუცუბიძე. ძირულის მასივის პერიფერიის ლიასური ბრაქიოპოდები.



ქ. ნუცუბიძე. ძირულის მასივის პერიფერიის ლიასური ბრაქიოპოდები



ქ. ნუცუბიძე. ძირულის მასივის პერიფერიის ლიასური ბრაქიოპოდები





ტაბულა I ახსნა—ОБЪЯСНЕНИЕ ТАБЛИЦ

ტაბულა I ტაბლიცა

1. *Spiriferina Möschi* Haas var. *krimastonensis* Moisselev. შრაკულა, შარაკაულა
- 2,3. *Spiriferina Möschi* Haas შროშა, შროშა
4. *Spiriferina* aff. *Möschi* Haas მდ. ძირულის კალაპოტი, რუსო რ. დირულა
5. *Rhynchonella Albert* Opp. var. *tenuis* nov. var. მდ. ძირულის კალაპოტი, რუსო რ. დირულა.
6. *Rhynchonella* sp. კაცი, კაცი.
7. *Rhynchonella striata* nov. sp. სანახშირე—საღვინე, სანახშირე—საღვინე

ტაბულა II ტაბლიცა

- 1-2. *Rhynchonella* aff. *Greppini* Opp. კაცი, კაცი.
- 4-7. *Rhynchonella liasica* nov. sp. შრაკულა—სამება, შარაკაულა, სამება.
8. *Rhynchonella striata* nov. sp.

ტაბულა III ტაბლიცა

1. *Rhynchonella plana* nov. sp. კაცი, კაცი.
2. *Rhynchonella* aff. *Gümbeli* Opp. ბეიბევი, ბეიბევი.
- 3-8. *Terebratula minor* nov. sp. ჯახლარი, ჯახლარი.
9. *Zeilleria mutabilis* Opp. var. *dentata* nov. var. წიფლავე, წიფლავე.
- 10, 11. *Aulacothyris* sp. nov? შროშა, შროშა.
12. *Rhynchonella samebensis* nov. sp. სამება, სამება.



რაჭისა და სამხრეთ-ოსეთის ზედა იურული მარჯნები

შესავალი

საქართველოს ზედა იურული ნალექები საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდნენ მარჯნებით. ეს განსაკუთრებით შეეხება ნალექების იმ ნაწილს, რომელიც რიფული ფაციესით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ ნალექებში მარჯნები ძველთაგანვე იყო ცნობილი: ჯერ უკვე აბიხს [12], ფავრს [25] და სხვათაგანგანგით აქვე აღნიშნული მათი არსებობა. მაგრამ ამით ამოიწურება ძველი ავტორების ცნობები საქართველოში ამ ნამარხი ჯგუფის შესახებ. საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ზედა იურული ნალექების მარჯნებით სიუხვე აღნიშნული აქვე მრავალ ახალ მკვლევარს, აკად. აღ. ჯანელიძეს [3, 17] პროფ. ივ. კუზნეცოვს [7] და სხვ.

მრავალი წლის მუშაობის შედეგად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში დაგროვდა მარჯნული ფაუნის მასალა, რომლის დამუშავება, როგორც თავისთავად, ისე სტრატეგრაფიული მიზნებისათვის მეტად საინტერესო იყო.

ზედა იურული ნალექები რაჭასა და ოსეთში, როგორც ცნობილია, ძირითადად ამონიტებით არიან დათარიღებული, მაგრამ იქ, სადაც მათში გაბატონებულია რიფული ფაციესი, დეტალური სტრატეგრაფიის დადგენა ამონიტების უქონლობის გამო სხვა ხერხით უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდნენ მარჯნები, რომელნიც აქ უხვად გვხვდება, და ამრიგად მათ დამუშავებას შეეძლო გარკვეული წვლილის შეტანა საქართველოს ზედა იურული ნალექების სტრატეგრაფიული სქემის დადგენის საქმეში.

ინსტიტუტში არსებულ მასალას (100-მდე ნიმუში, აქედან 80 ნიმუში მხოლოდ ერთი გვარისაა) ერთი ნაკლი ჰქონდა—იგი შემთხვევით პოვნილ ნიმუშებისგან შედგებოდა და არ წარმოადგენდა მარჯნების სისტემატიკური და გეგმიანი დაგროვების შედეგს. ცხადია, ასეთ პირობებში აღებული ფაუნა ვერ გამოდგებოდა სტრატეგრაფიისთვის და იმავე დროს ვერ გამოავლინებდა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზედა იურულ მარჯნებს ახასიათებს. ამის გამო 1940 წელს მე სპეციალურად ვიქმენ მივლინებული რაჭასა და ოსეთში. ველზე ჩატარებული მუშაობის შედეგად დაგროვილ იქნა მარჯნების მასალა ხსენებული რაიონების ზედა იურული ნალექების მთელ კრილში. ამასთანავე შედგენილ იქნა 6 დეტალური კრილი რიფულ კირქვებსა და შრეებრივ ნალექებში. ამრიგად, ჩემს ხელთ მდიდარმა მასალამ მოიყარა თავი.

მარჯნული მასალის დამუშავების პროცესში წამოიჭრა მრავალი ახალი საკითხი, რომელთა გათვალისწინებამ გაზარდა წინასწარ დასახულ ამოცანათა რიცხვი და გარდა სტრატეგრაფიული და აღწერითი პალეონტოლოგიური საკითხებისა, შესაძლებელი გახდა ფილოგენეტური და პალეოეკოლოგიური საკითხების დასმა. ამგვარი საკითხების გადაჭრისას, რკვევის სხვა მეთოდებთან ერთად, საჭიროა მარჯნების ფაქიზი შლიფების დამზადება. ამ შლიფებმა საშუალება მომცა გავსცნობოდი სკელეტის მიკროსტრუქტურას, რაც დიდი ჯგუფების გარჩევის საშუალებას იძლევა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სახემდე დასაყვანადაც გამოადგება.

მუშაობის პროცესში, აკად. ალ. ჯანელიძის რჩევით, გამოვიყენე მარჯნების სერიული კრილები. სერიულმა კრილებმა გამოარკვეეს როგორც ცალედი, ისე კოლონიური ფორმების ონთოგენეზისი და ფილოგენეტური კავშირი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გადაჭრისტალეზული ნიმუშის გარდა, მასალა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად არის დაცული. არის გაკაჟებული ნიმუშებიც, რომლებიც იმდენად კარგი დაცულობის არიან, რომ მათი რკვევისას შლიფები არც კი არის საჭირო. ამგვარად, თითქმის ყოველი ნიმუშის რკვევა თავისებურ მიდგომას მოითხოვდა.

ჩატარებული მუშაობის შედეგი მოცემულია ამ შრომაში, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პალეონტოლოგიურისა და სტრატეგრაფიულისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს სახეთა აღწერას. სტრატეგრაფიულ ნაწილში კი მოცემულია კრილებში დაგროვილი მარჯნული ფაუნის ანალიზის საფუძველზე მათი სტრატეგრაფიული ღირებულებისა და მარჯნული კირქვების დეტალური სტრატეგრაფიული სქემის დადგენის ცდა.

რაც შეეხება ზოგიერთ ფილოგენეტურ და პალეოეკოლოგიურ საკითხებს, რომლებიც მასალის დამუშავებისას იქნენ დასმული, ისინი ცალკე წერილის საგანს წარმოადგენენ.

მასალის დამუშავება მიმდინარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტში და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტში.

უნდა აღინიშნოს, რომ Hexacoralla-ების სპეციალისტი მოსკოვსა და ლენინგრადშიც არ აღმოჩნდა, ამიტომ იქ მუშაობის დროს კონსულტაციას მიწევდა Tetracoralla-ების სპეციალისტი პროფ. ე. სოშკინა. მისი დახმარებით შევისწავლე რუგოზების რკვევის თანამედროვე მეთოდიკა და იგი გამოვიყენე ჩემი მასალის დამუშავებისათვის. ამ დახმარებისათვის მას დიდ მადლობას ვუხდით. არაერთი სადავო საკითხის გადაჭრისთვის ისევე, როგორც მუშაობის მეთოდის შერჩევისათვის გადამწყვეტი იყო მითითებები, რომლებსაც აკად. ა. ჯანელიძისგან ვღებულობდი, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვწირავ. აგრეთვე ძალიან მადლობელი ვარ აკად. ლ. დავითაშვილისა, რომელმაც გამიწია კონსულტაცია ზოგი საერთო პალეოლოგიური საკითხის გადაწყვეტისას. ხოლო პროფ. ი. კახაძეს იმ ყოველდღიური ხელმძღვა-

წელობისათვის და ყურადღებისათვის, რომელსაც ის მიწვედა ამ შრომის შესრულების დროს, უღრმეს მადლობას ვუძღვნი.

ინსტიტუტის მიერ გადმოცემული მასალის ძირითადი ნაწილი აღებულია ინჟინერ-გეოლოგ ნ. კანდელაკის კოლექციიდან, რომლის გადმოცემისათვის მას მადლობას ვწირავ.

### შობრების აღწერა

#### Ordo *APOROSA*

Fam. *AMPHIASTRAEIDAE* Ogilvie

Gen. *RHIPIDOGYRA* Edw. et H.

*Rhipidogyra* cf. *elegans* Koby.

ტაბ. IV, სურ. 1

1888. *Rhipidogyra elegans* Koby. Pal. Jur. Suisse, p. 453, pl. CXIX, Fig. 2, 2a.

1904. *Rhipidogyra elegans* Missuna. Die Jurakorallen von Sudagh, p. 191, Tab. III, Fig. 7, 8.

1937. *Rhipidogyra elegans* Мирчинк. Кораллы из юрских отл. окр. Коктеб. в Крыму, p. 74 (in collectio).

ხელთ მაქვს ცალედი მარჯნის ნატეხი, რომელსაც ჯამი კარგად აქვს შერჩენილი. მარჯანი მცირე ზომის არის. მას გაბრტყელებული ძაბრის ფორმა აქვს. იგი, ეტყობა, ქვევითკენ სწრაფად ვიწროვდება. ჯამის კიდე საკმაოდ ამოშვერილია. სწორი, ფირფიტისებრი სეპტების ზედა კიდეებიც ამოშვერილი არიან. პირველი ციკლის სეპტები, სხვებთან შედარებით, უფრო სქელი და მეტად ამოზიდული არიან, ისინი ჯამის ცენტრამდე ანუ კოლუმელამდე აღწევენ. კოლუმელას თხელი და გრძელი ფირფიტის ფორმა აქვს. ჯამში ნათლად ჩანან მეორე ციკლის სეპტებიც, რომლებიც აგრეთვე კოლუმელამდე აღწევენ, მხოლოდ უკანასკნელნი გაცილებით უფრო თხელები და ნაკლებ ამოშვერილი არიან. პირველი ციკლის სეპტები მარჯნის გარე მხარეზე მაღალ ამოშვერილ წიბოებს ჰქმნიან. ხოლო მეორე ციკლის სეპტები გაცილებით დაბალს. გარდა პირველი და მეორე ციკლის სეპტებისა არის კიდევ სეპტების ჩანასახებიც, რომლებიც ჰქმნიან კედელს და ჯამის შიგნით ამ კედლის შიგა მხარეზე ხაზების სახით ჩანან. სეპტების ზედაპირი დახორკლილია. ეს ხორკლები ერთმანეთის პარალელურ რიგებს ჰქმნიან (როგორც ვერტიკალური მიმართულებით, ისე ჰორიზონტულად). ჯამში კოლუმელი ღრმად არის მოთავსებული. ფსევდოთეკა, რომელიც ამოშვერილ წიბოებს შორის არის, გარედან წმინდად დახორკლილი ჩანს.

მარჯნის სიმალღე—?

მარჯნის დიდი დიამეტრი . . . . . 25 მმ

მარჯნის მცირე დიამეტრი . . . . . 10 „

სქელი სებტების რიცხვი 20 მმ-ზე . . . . . 6 ცალი

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა უახლოვდება *Rhipidogyra elegans* Koby-ის. მიუხედავად იმისა, რომ ნიმუში ოსეთიდან არ არის მთლიანად დაცული, მის ზედაპირზე ამ სახისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი კარგად არის გამოსახული. როგორც ამ სახის აეტორი აღნიშნავს, *Rhipidogyra elegans*-ი ჰგავს *R. percrassa* From.-ს, მხოლოდ განსხვავდება მისგან მცირე ზომითა და მაღალი, გრძელი წიბოების არსებობით. აღწერილი სახე აგრეთვე იჩენს მსგავსებას ბეკერის *R. costata*-სთან, მაგრამ განსხვავდება მისგან მცირე ზომით, წიბოების ნაკლები სისქითა და სისწორით. მის სუნასა და მირჩინკის მიერ აღწერილ *R. elegans*-თან შედარებიდან ჩანს, რომ ნიმუში ოსეთიდან აღნიშნული სახის ახალგაზრდა ეგზემპლარს წარმოადგენს.

გავრცელება. შვეიცარია, კაკერელ-რაურაკული, ყირიმი, სუდავი, კიმერიჯული ან ზედა ოქსფორდი.

სადაურობა. ფასარალოს მიდამოები, მასივური კირქეებიდან.

Gen. LOPOSMILIA E. et H.

*Loposmilia Mikeladzei* sp. nov.

ტაბ. VIII, სურ. 3, 3a, 3b, 3c.

ამ ცალედ მარჯანს მსხლის ფორმა აქვს. ნიმუში ოდნავ დეფორმებულია. ყურადღებას იქცევენ ამ მარჯნის სქელი სებტები და სქელივე გამოშვერილი წიბოები. წიბოებს შორის „კედელია“, იგი შედგენილია წიბოების შეხებით. მარჯანზე მკვეთრად გამოიყოფა საწყისი ციკლის წიბოები, რომელნიც ყველაზე გრძელი არიან, ხოლო მომდევნო შედარებით მოკლე. აღსანიშნავია, რომ პირველი ორი ციკლის წიბოები ზევითკენ ერთმანეთს სისქეში მაინცდამაინც არ ჩამორჩებიან; შემდგომი ციკლების წიბოები კი შედარებით დაბალი და ვიწრო არიან. ამ მარჯანს საწყისი სტადია მთლიანად არ აქვს დაცული. ხოლო შერჩენილ ნაწილზე ჩანს შუაში მოგრძო ფორმის სიღრუე. კორალიტს აქვს ოდნავ ჩაღრმავებული ჯამი. ჯამში სებტის ზედა კიდე ბასრია. დაუკბილავი არიან მარჯნის წიბოებიც.




ნახ. 1.

*Loposmilia Mikeladzei* sp. nov.-ს სებტების განივკვეთი (ნახ. 1). სებტებს შორის ტრავერზები და დისეპიმენტები

ნახ. 2-ზე მოცემულია, ამ მარჯნის ოთხი განივი კრილი. 1 კრილზე ჩანს, რომ წიბოები წარმოადგენენ სებტების უშუალო გაგრძელებებს და რომ სებტები და წიბოებიც საკმაოდ სქელი არიან. მათი რიცხვი=12, ხოლო ამ 12 სებტის შორის ამდენივე თხელი სებტაა მოთავსებული. მათ შუაზე მიუყვება ნათელი ხაზი, რომელიც სებტის კალციფიკაციის ცენტრებს წარმოადგენს.

არ ჩანან. თვით სეპტის მიკროაგებულების შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან მარჯნის სკელეტი გადაკრისტალებული არის.



ნახ. 2.

*Loposmia Mikeladzei* sp. nov-ს ონტოგენეტური განვითარება.

II კრილზე 18 სქელი სეპტა ჩანს. ისინი წყვილ-წყვილად არიან განაწილებული; ცენტრთან მიახლოებისას ეს წყვილები ერთმანეთს უახლოვდებიან და პირველი ციკლის სეპტებს თითქოს უერთდებიან, ხოლო შუაში ერთმანეთს გამოეყოფიან. III კვეთზე დაწყვილება უკეთ ჩანს და აქ უკვე 24 სქელი სეპტაა. კარგად ჩანს, რომ სეპტების გარე კიდისაკენ თითოეული სეპტა ორი ნაწილისაგან შედგება (უკეთ, შუაში მას მიუყვება მუქი ხაზი, რომელშიც ქანია მოთავსებული). ამ სეპტებს გვერდით ზედაპირზე აქვთ შევრილები და ამიტომ სეპტის გვერდი კორძიანია. სეპტებს შორისი გარე კიდე თალისებრია (ნახ. 1). აქ, ცენტრში, სეპტების შეერთება უფრო მკვეთრად ჩანს; მათი შეერთება წყვილ-წყვილად ხდება და შუაში 6 სეპტა რჩება, რომლებიც pali-ს სახით არიან აქა-იქ თავის საწყის სეპტებს მოშორებული. სულ უკანასკნელ, IV კრილში ზედაპირზე სეპტები ერთმანეთისაგან თავისუფალი არიან, გარდა ორი მოპირდაპირე სეპტისა, რომელთა შორისაც მოგრძო კოლუმელი იქმნება. დანარჩენი სეპტების გაგრძელებები—პალი (pali)—მოგრძო წერტილების სახით არიან რკალურად განლაგებული ამ კოლუმელის გარშემო (ნახ. 2).

კორალიტის სიმაღლე . . . . .	3 მმ
ქვედა დიამეტრი . . . . .	9 მმ
დიამეტრის მაქსიმუმი . . . . .	26 მმ
წიბოების სიფართე . . . . .	1—2 მმ
წიბოების სიგრძე . . . . .	4 მმ
წიბოების რიცხვი . . . . .	22 ზევით, 12 ქვევით
სეპტების რიცხვი . . . . .	24

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა მონათესავე სახეებიდან ყველაზე უფრო ჰგავს *L. Magnocaulata* Greg.-ის. ამ უკანასკნელსაც დასაწყისში კოლუმელი არ აქვს, მომდევნო კვეთებზე კოლუმელის მაგვარი ჩანასახი უჩნდება და ბოლო კვეთზე გრძელი კოლუმელი ჩანს. ზედაპირზე კი ისევე, როგორც აღწერილ ფორმას, კოლუმელი არ უჩანს (34 tab. IV, fig. 1, 2, 3); აღნიშნული ფორმა აღწერილისაგან, გარდა სიდიდისა, განირჩევა აგრეთვე იმით, რომ მარჯნის უდიდესი ნაწილი გლუვია, მასზე არ არის წიბოები. ერთმანეთის მომ-

დევნო ციკლების წიბოები გვიან ჩნდებიან. ეს წიბოებიც აგრეთვე განსხვავებული აქვს: *L. Magnocaulata*-ში წიბოები ნაკლებ ამოშვებული და აგრეთვე საკმაოდ დაკლავნილი არიან. აღწერილი ფორმა შეიძლება შევეადაროთ *L. Tenucaulata* Gregory-ისა. მაგრამ უკანასკნელი განირჩევა მისგან როგორც საერთო ჰაბიტუსით, ისე შიგა აღნაგობით და პირველი ციკლის სეპტების მომეტებული დიდი სისქით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ბაჯინგე-ფსორის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვებიდან.

Fam. **STYLINIDAE** Klunz.

Gen. **HELIOCOENIA** Ét.

*Heliocoenia* af. *costulata* Koby

ტაბ. V, სურ. 2, 2a, 2b; ტაბ. VIII, სურ. 1

მასივური კოლონიის მოზრდილ ნატეხზე სიგრძივ კვეთში ჩანს კორალიტების რადიალური წყობა, რომლის ზედაპირის ერთი ნაწილი ამობურცულია. აქ თითქო კორალიტები სარაჯისებურად ლაგდებიან, ერთმანეთთან ძალზე მიჯრილად. სადაც ინდივიდები ნაკლებ გამოფიტულან, იქ ჯამებს წრიული მოხაზულობა აქვთ, ხოლო, სადაც გამოფიტვა ძლიერია, იქ ჯამებს შორის არის ღარი—ფსევდოთეკა, რომელსაც პოლიგონური მოხაზულობა აქვს. იგი შედგენილია უკანასკნელი ციკლის სეპტებით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სეპტოკოსტებით. ჯამების ფოსოები წრიულია, მათი ფსკერი ბრტყელია და ზედ მკვეთრად გამოირჩევა ექვსი პირველი ციკლის გრძელი სეპტა, რომელთაგან ორი, ერთმანეთის მოპირდაპირე, ოდნავ უფრო სქელია. ესენი ხშირად ცენტრთან კოლუმელს უერთდებიან, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი ამათგანი უერთდება მას. კოლუმელი ზოგ კორალიტში წრიულია და ზოგში ოვალური. სეპტები 6-ის ჯერადი არიან. შლიფში ჩანს, რომ პირველი ციკლის თანაბარი სისქის სეპტები შიგა კიდისაკენ გასქელებული არიან. მეზობელი ჯამების სეპტები ხშირად ერთმანეთს არ აგრძელებენ. ჯამები ერთმანეთს უერთდებიან წიბოებით, რომელნიც ძალზე მიჯრილი არიან. სეპტოკოსტები გვერდითი სიბრტყეებით ურთიერთს ეკვრიან და ამგვარად ჰქმნიან ცენენქიმს. უკანასკნელი ზედაპირზე კედლის მაგვარად ფარგლავს ჯამს და ამით ფსევდოთეკას შეადგენს. სეპტებს შორის შლიფში ჩანს ტრავერზები. ზოგი მათგანი ჯამის ყველა ინტერსეპტალურ არეებში თითქმის ერთდროულად გამოყოფილან და ამით შეუქმნიათ ტაბულები. ჯამის კიდებზე ტრავერზები დაქანებული არიან კოლუმელისაკენ, ხოლო თვით ჯამის ცენტრში ჰორიზონტული ხდებიან, რის გამო ტაბულები ძაბრისებრ სახეს იღებენ. გამრავლება ჯამის შიგა და ჯამის გარე დაკვირვებით (სეპტალური) ხდება.

- ჯამების დიამეტრი (შიგნით) . . . . . 1,5—3 მმ
- მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . . 3—4 მმ
- ცენენქიმური ქსოვილის ანუ ფსევდოთეკის სისქე . . . . . 1 მმ



ჯამის სიღრმე (მაქსიმუმი) . . . . . 0,5 მმ  
 სეპტების რიცხვი ჯამში—(შიგნით) , . . . . . 24  
 1 მმ-ზე . . . . . 3 სეპტოკოსტია.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა ყველაზე უფრო უახლოვდება *Heliocoenia costulata* Koby-ს [35], მაგრამ განსხვავდება მისგან ჯამში შედარებით დიდი ფრსოს არსებობით, ცენტრული ქსოვილის ნაკლები სიფართოვებით ანუ სეპტოკოსტური მონაკვეთის სიფიწროვით და აგრეთვე ძაბრისმავარი ტაბულების არსებობით.

გავრცელება. ტიპი შვეიცარიის ბათურიდან არის აღწერილი.

სადარობა. ხირზონისი, ქორთა, მასიფური. კირქვებიდან და ნაყარიდან.

Gen. STYLINA Lam.

*Stylina excelsa* Etallon

1858 *Stylina excelsa* Et., Ray. du Haut.-Jura, p. 36.

1858—1861. *Stylina excelsa* From., Introd. à l'étude des polyp. foss., p. 191.

1881. *Stylina excelsa* Koby, Pol. juras. de la Suisse, p. 81, pl. 15, fig. 4 et 5.

ეს მცირე ზომის კოლონია სუბდენდროიდულია, უფრო კი გუმბათისებრი. იგი ორი გუმბათისაგან შედგება, რომელნიც ერთმანეთს უკავშირდებიან და ამგვარად კოლონია ლებულობს მ-ის მავგარ მოხაზულობას (ნახ. 3). კორალიტები ერთიმეორესთან საკმაოდ ახლოს დგანან. მათ ჯამებს წრიული მოხაზულობა აქვთ. ჯამთა ბსკერი ბრტყელია, ხოლო კიდეები ლილვაკისებურად არიან ამოშვერილი. ზოგი ჯამის კიდეზე წიბოები ნათლად ჩანან. შლიფში ჩანს, რომ ჯამები ერთიმეორეს წიბოებით უკავშირდებიან. ჯამში 12 სეპტა ჩანს. სეპტის სტრუქტურის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან მას გადაკრისტალდება განუცდია. ჯამებს შუაში კოლუმელი უჩანთ.



ნახ. 3.

*Stylina excelsa* Etallon-ის კოლონიის მოხაზულობა

კოლონიის სიმაღლე . . . . .	35 მმ	
სიფართოვება {	დიდი გუმბათის . . . . .	20 "
	მცირე გუმბათის . . . . .	14 "
	სარტყლის . . . . .	10 "
ჯამის დიამეტრი . . . . .	1,5—2 "	
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	1,5—2,5 "	

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა სავსებით იდენტურია ეტალონიის *Stylina excelsa*-ს, რომელიც კარგად გამოირჩევა თავისი თანამოგვარეებისაგან კოლონიის ჰაბიტუსითა და კორალიტების დიამეტრით.

გავრცელება. ვალფინი, Saint-Claude, კიმერიჯული.

სადარობა. ხირზონისი, ნაყარიდან.

*Stylina tubulifera* Phyll.

ტაბ. IV. სურ. 4, 4a, 4b

- 1858—60. *Stylina tubulifera* Fromental, Jntrod. à l'étude de polypes foss., p. 190.
- 1881. *Stylina tubulifera* Kobu, Mon. de polyp. jurass. de la Suisse, p. 84, pl. 18, fig. 1, 2, 2a.
- 1897. *Stylina tubulifera* Ogilvie, Die Korallen der Stramberger Schichten, S. 174, T. XVIII, Fig. 9.
- 1937. *Stylina tubulifera* Мирчинк, Кораллы из юрских отл. окр. Коктеб. в Крыму, p. 67, pl. I, fig. 2.
- non 1851. *Stylina tubulifera* Edwards a. Heime, Brit. foss. Corals, pl. 75, p. 14, fig. 3.

ამ სახის რამდენიმე ნიმუში ძირითად ქანიდან არის აღებული, ხოლო ერთი ნაყარიდან. უკანასკნელს კარგად ემჩნევა კოლონიის მასიურობა. მისი ზედაპირი ერთგან ოდნავ ჩაზნექილია და მასზედ კორალიტები მიჯრილად თავსდებიან. მათ ჯამებს პოლიგონური მოხაზულობა აქვთ, ჯამის კიდე ლილვაკისებრია. ჯამები ერთი მეორისაგან გამოყოფილი არიან ღარებით. ამ ღარებში აქა-იქ ამოშვერილია ქსოვილი—ცენენქიმი და ფსევდოთეკა, რომელიც შედგენილია სეპტოკოსტების შეერთებით. ჯამის შუაში ჩანს ოვალური მოხაზულობის მაღალი კოლუმელი. სეპტები ცენტრთან თითქოს გასქელებული არიან. შუაში მათ უჩანთ ნათელი ხაზი, რომლის გარშემოც განლაგებული არიან ბოჭკოთა კონები. 10 სეპტა აღწევს ცენტრს. ეს სეპტები, სხვებთან შედარებით, გრძელი და სქელი არიან. 10 მეორე ციკლის სეპტა უფრო მოკლე და თხელია. სიგრძივ შლიდში კარგად ჩანს ტრავერზები და სეპტების დაკბილული შიგა კიდეები და რომ სეპტები შედგენილი არიან ბოჭკოთა კონებისაგან.

ჯამის დიამეტრი . . . . .	4—6 მმ
ჯამის ფოსოს დიამეტრი . . . . .	2—3 „
ჯამის სიგრძე . . . . .	1—2 „
სეპტების რიცხვი . . . . .	24—28

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა ყველა თავისი ნიშნით ემთხვევა ფილიპსის *Stylina tubulifera*-ს. თუმცა მე ამ ავტორის შრომა ხელთ არ მქონია, მაგრამ აღნიშნული სახე მის შემდეგ არა ერთხელ არის აღწერილი. განსაკუთრებით ჰგავს კობისა და მირჩინკის მიერ აღწერილ ნიმუშებს [9, 35]. ედვარდისა და ჰაიშის მიერ ამ სახელწოდებით აღწერილ ნიმუშებს სრულიად სხვაგვარი კოლონიის ჰაბიტუსი და ჯამთა აღნაგობა აქვთ [20] და ისინი არ შეიძლება ტიპის იდენტურად ჩავთვალოთ. მონათესავე ფორმებიდან აღწერილი ფორმა ყველაზე უფრო უახლოვდება *Stylina tuberosa* Ogilvie-ს, მაგრამ განირჩევა მისგან ჯამების სიდიდითა და სეპტათა დიდი რიცხვით.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკული და ასტარტული; ჰოჰვალდი, რაურაკული და ასტარტული, კარპატები, შტრამბერგი, ზ. ტიტონური; ყირიმი, სეკვანური.

სადაურობა. ქორთა, ხირხონისი, ლუზიტანიური კირქვები და მათი ნაყარი.

*Stylina aff. tenax Etallon*

ტაბ. V, სურ. 1, 1a, 1b, 1c, 1d

მასიურ კოლონიას ზედაპირი მეტად აქვს ამობურცული. იგი თითქმის კონუსურია. მასზედ ინდივიდები თითქო სარაჯისებრად ლაგდებიან. ჯამის კიდე ამალღებულია ლილვაკისებრად. ჯამებს ხშირად პოლიგონური მოხაზულობა აქვთ. ჯამის ფოსოს ოდნავ ჩაღრმავებული ბრტყელი ფსკერი და ოვალური მოხაზულობა აქვს. ხშირად ჯამთა ლილვაკებს შორის რჩება ღარი. ლილვაკები შედგენილი არიან უამრავი წვრილი, უთუოდ ბოლო ციკლის, რუდიმენტული სექტებისაგან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სექტოკოსტებისაგან, რომელნიც მეზობელ ჯამებს აერთებენ. შლიფში ჩანს, რომ მეზობელ ჯამთა სექტოკოსტები ზოგნი ერთმანეთს უშუალოდ უერთდებიან, უფრო ხშირად კი ფსევდოთეკის საშუალებით; ხოლო სადაც ჯამებს შორის ზედაპირზე ღარი ჩანს, იქ ჯამები ერთმანეთს უკავშირდებიან სექტოკოსტებისაგან შექმნილი ცენენქიმური ქსოვილით. ჯამებს ცენტრში ოვალური ფორმის კოლუმელი აქვთ. მას პირველი ციკლის 6 სექტა აღწევს, რომელნიც სიფართითა და სიგრძით მკვეთრად გამოირჩევიან მომდევნო ციკლის სექტათაგან. ხშირად ცენტრამდე 10 სექტაც მიდის. სექტები შიგა კილისაკენ ფართოვდებიან. მეორე ციკლის სექტები არ არიან იმდენად მოკლე შედარებით პირველებთან, რამდენადაც თხელი არიან, ხოლო მესამე ციკლის 12 სექტა თითქმის ოდნავ შესამჩნევია. დანარჩენი ციკლების სრულიად მცირე სიგრძისა და სისქის სექტები თანაბარი არიან. ზოგ ჯამში ეს უკანასკნელები ურთიერთს იმდენად შჭიდროდ ეკვრიან, რომ ჯამის ფოსოს გარშემო ჰქმნიან ცენენქიმურ ფსევდოთეკას. სექტების ზედა კიდე ბასრია და შიგა კიდე დაკბილული (ტაბ. V, სურ. 1a, 1c). კბილები ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილებით არიან დაშორებული. შლიფში ჩანს, რომ კოლუმელი სრულიად ცალკეა და ზრდაში სექტის კბილანებს შეესატყვისება. განივ შლიფზე ჩანს, რომ ყოველი სექტა შედგენილია ორი მწკრივი ბოჭკოებისაგან, რომელთაც შუაზე გამჭვირვალე ხაზი მიუყვება, იგი უსტრუქტურია. ეს ხაზი ორივე მხრიდან შემორტყმულია მუქი სხივისნური ბოჭკოთა ნემსების ფენით. იგი არ არის მიანცდამაინც მკვეთრად გამოყოფილი შუა ხაზისაგან. რადგან სექტა შედგენილია ამგვარი ერთი ტრაბეკულისაგან ანუ სექტალური კონისაგან, სექტის ბასრი ზედა კიდე დაკბილული არ არის. ინტერსექტალურ არეში განვითარებულია ხშირი ტრავერზები, რომლებიც ინტერკოსტალურ არეში იმდენად ხშირად და მძლავრად არიან წარმოდგენილი, რომ ჩაზნექილ ჭერებს მოგვაგონებენ. გამრავლება ხდება სექტალური დაკვირტვის საშუალებით ჯამის შიგნით ან გარეთ. ახალგაზრდა ჯამებში, უკეთ კვირტებში, ორი ან ოთხი სექტა ჩანს.

ჯამების დიამეტრი . . . . .	4—5—6—მმ
მანძილი ჯამებს შორის . . . . .	2—3 მმ

მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	5—8 მმ
ჯამების სიღრმე . . . . .	0,5 მმ
სებტების რიცხვი ჯამში . . . . .	24
წიბოების რიცხვი ჯამის ლილვაკზე . . . . .	70

მსგავსება - განსხვავება. ეს სახე მახლობელ ფორმებიდან ყველაზე უფრო ჰგავს *Stylina tenax* Etallon-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან მრავალრიცხოვანი წიბოების არსებობით, ხოლო ამ გვარის სხვა წარმომადგენლისაგან მკვეთრად განირჩევა მით, რომ ორი ფსევდოთეკა აქვს: ერთი ჯამის შიგნით შედგენილი ბოლო ციკლების სებტებით ანუ წიბოების შიგა კიდეებით, ხოლო მეორე—გარე კედელი, შედგენილი ცენენქიმიით, ტრავერზებით და წიბოების გარე კიდეებით. აღწერილი ფორმა გარეგნული მოყვანილობით *Diplocaenia multisepta* Ogilvie-ს ძალიან უახლოვდება როგორც ჯამების სიდიდით, ისე სებტების რიცხვით და წიბოების სიხშირით, მაგრამ მის ჯამში ოვალური ფორმის კოლუმელი თითქმის მუდამ თავისუფალია და მას არასოდეს არ უერთდება პირველი ციკლის ყველა სებტა (*Stylina*-ს გვარეული ნიშანი).

გავრცელება ტიბი—ალპების ლუზიტანიური.

სადაურობა. ხიზონისი, ქვიშიან კირქვის ბრეკჩიიდან და მასივური კირქვების ნაყარიდან.

### Gen. CRYPTOCOENIA d'Orb.

#### *Cryptocoenia Cartieri* Koby

ტაბ. IV, სურ. 2, 2a, 2b

1852. *Astrea tubulosa* Quenstedt, Handbuch der Petrefactenskunde, S. 647, Tab. 57, Fig. 19, 20, 21.
1858. *Astrea tubulosa* Quenstedt, Jura, S. 702, Tab. 85, Fig. 8.
1876. *Stylina Labechei* Becker. Milaschewitsch, Die Korallen der Nattheimschichten, S. 145.
1880. *Astrea Delabechei* Quenstedt, Petrefactenkunde Deutsch., Korallen, p. 763, pl. 173, Fig. 1—7.
1881. *Cryptocoenia Cartieri* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 89, pl. 22, fig. 3, 3a, 4, 5, 6.
- non 1854. *Stylina Delabechei* Eduwards a. Heime, Brit. Foss. Corals, p. 79, pl. 15, Fig. 1, 1a, 1b, 1c, 1d.
- non 1862. *Astrea tubulosa* Goldfuss. Petrefacta Germ., S. 106, Tab. 38, Fig. 15.

მცირე ზომის კაქსისებრ კოლონიებს ქვედა ნაწილი მომტვრეული აქვთ. მეტად ამობურცულ ზედაპირზე ჯამები უწყსოდ არიან განლაგებული (ზოგი მათგანი დეფორმებულია). ჯამების უმრავლესობას წრიული მოხაზულობა აქვს. ისინი შემოფარგლული არიან ამოშვერილი კიდეებით, რომლებიც დანარჩენ მასიდან მკაფიოდ გამოიყოფიან და ჰქმნიან კრატერის ფორმის მსგავს ჯამებს. უკანასკნელებში ორი ციკლის სებტებია: 8 პირველი ციკლის და 8 მეორე

ციკლის. პირველი ციკლის სექტებს საკმაო სისქე აქვთ და ესენი ჯამში ცენტრამდე აღწევენ. ლუბაში ჩანს, რომ სექტების ზედა კიდე ბასრია. ჯამები ერთმანეთს წიბოებით უკავშირდებიან. ჯამის კიდის გარეთ 32 წიბოა; ისინი მეტად მკვეთრად არიან გამოსახული. ერთი ჯამის წიბოები მეორის იმავე ციკლის წიბოებს არ უერთდებიან, არამედ ჯამის პირველი ციკლის წიბო მეზობელ ჯამის მეორე ციკლის წიბოს ეხება ან უერთდება. ჯამებს შორის არეებში წიბოები ღრმად ჩადიან და ამით კიდევ უფრო მკაფიოდ გამოყოფენ თითოეულ კორალიტს. კოლონიის სიგრძივ შლიფში ჩანან საკმაოდ სქელი სექტები; შიგა კიდეები დაკბილული არიან. სექტებს შორის, უკეთ წიბოებს შორის, მოთავსებულია პორიზონტული ტაბულები, უმთავრესად ინტრაკალიცინალურ არეებში. განივ შლიფში ჩანს, რომ ამ ფორმას კოლუმელი არ აქვს.

კოლონიის შენების დროს მისი ზრდა რამდენიმეჯერ შეფერხებულა და ამ დროს მის კიდეზე მყოფ ინდივიდებს ფსევდოეპითეკა გამოუყვიათ, რომელიც კონცენტრული ძაფისებრი ნაოჭების სახით ერთყმის გარს ამ გუმბათისებურ სხეულს.

კოლონიის დიამეტრი . . . . .	20—30 მმ
კოლონიის სიმაღლე . . . . .	33 „
კორალიტების ჯამის დიამეტრი . . . . .	3—4—5 „
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	4—5—7 „
ჯამების ფოსოს სიღრმე . . . . .	1,5—2 „
სექტების რიცხვი ჯამში . . . . .	16
წიბოების რიცხვი . . . . .	32

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა ყველა თავისი ნიშნით ემთხვევა კობის მიერ აღწერილ *Cr. Cartieri*-ს [35]. კობი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ამ ფორმის ნიმუშებს, რომლებსაც კოლუმელი არ აქვთ გამოყოფილი, გერმანელი ავტორები აკუთვნებენ *Astrea tubulosa* Goldf.-ს და *Stylina Delabechei* Edw. et H.-ს და ამიტომ მილაშევიჩი ფიქრობს, რომ ეს ფორმები *Stylina*-ებს არ უნდა მიეკუთვნონ [39]. ედვარდსის და ჰაიმის მიერ აღწერილი *St. Delabechei* [20] არ ეკუთვნის ქვენშტედტის [45, 46, 47] და ბეკერის [13] ფორმებს. იგი ნამდვილი *Stylina* არის, მას შუაში კარგად გამოსახული კოლუმელა აქვს. ამავე მიზეზის გამო გოლდფუსის *Astrea tubulosa*-ც ნამდვილ *Stylina*-დ უნდა ჩაითვალოს, ქვენშტედტის მიერ აღწერილ *Astrea Delabechei* და *Astrea tubulosa*-სა და ბეკერის *St. Labechei*-ს კოლუმელი არ აქვთ, ამიტომ მე, კობის თანახმად, ხსენებულ იდენტურ ფორმებს ვათავსებ *Cryptocoenia Cartieri* Koby-ს სინონიმიაში. მეზობელ ფორმებიდან ყველაზე ახლოს აღწერილთან დგას *Astrea limbata* Goldf., რომელიც მისგან განსხვავდება მხოლოდ ჯამების ძალზე მცირე ზომით.

გავრცელება. ვიურტემბერგი, ზედა ოქსფორდი; ნატჰაიმი, კიმერიჯი; შვეიცარია, ლუზიტანიური.

სადღურობა. ფსორ-ბაჯიხევის ქვიშიანი კირქვები; ჩორდის-ღელე-ლუზიტანიური კირქვების ნაყარი.

5. გეოლოგიური ინსტ. შრომები, ტ. V (X).

Gen. CONVEXASTRAEA d'Orb.

Convexastraea minima Etallon

1862. *Cyathopora minima* Thurmann et Etallon, *Lethaea Bruntrutana*, p. 373, pl. 52, fig. 9.

1881. *Convexastraea minima* Koby, *Pol. jur.* p. 107, pl. 25, Fig. 4, 4a, 5.

გაკეთებული ნიმუში წარმოადგენს მცირე ზომის მარჯნულ კოლონიას. იგი ქაჭისებრია და ამობურცული. კოლონიის ზედაპირზე ჩანს ძალიან მცირე და თითქმის ერთნაირი ზომის ჯამები. მათ საკმაოდ ღრმა ფოსოები აქვთ. ჯამები მჭიდროდ არიან განლაგებული. მაგრამ მეზობელი ჯამების სეპტები ერთმანეთს უშუალოდ არ უერთდებიან, არამედ მორიგეობენ და უფრო ხშირად ჯამებს აკავშირებს ტრაფერზები, რომლებიც სეპტებს შორის იმდენად კარგად არიან განვითარებული, რომ ინტრაკალიცინალურ არეებში ჰქმნიან ჰერებს. სეპტები თხელი არიან, მათი ზედა კიდეები ბასრია; შიგა კიდეები დაკბილულია. კოლუმელი არ არის. ჯამში ჩანს ექვსი პირველი ციკლის სეპტა; ისინი ჯამების რადიუსის ნახევრამდე აღწევენ. ამ სეპტებს შორის მოთავსებულია მეორე ციკლის სეპტები, ზოგან მესამე ციკლის ნაწილიც, ოღონდ უკანასკნელის სეპტები გაცილებით მოკლე არიან, იმდენად, რომ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ეს სეპტები კი არა, არამედ წიბოებია, რომლებიც კედელზე შიგნიდან მიუყვებიან კორალიტებს. სეპტის სტრუქტურის შესახებ მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან შლიფის დამზადება ნიმუშის მსხვრევეადობის გამო ვერ მოხერხდა.

კოლონიის სიგრძივ კვეთზე ჩანს ინდივიდების რადიალურ-სხივოსნური განწყობა.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	30	მმ
კოლონიის დიამეტრი . . . . .	40	"
ჯამების კვეთი . . . . .	1,5—1	"
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	1—2	"

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა ჰგავს *Convexastraea minima* E.-ს, რომლისაგან იგი მხოლოდ მესამე ციკლის სეპტოკოსტების არსებობით განირჩევა. მეზობელ ფორმებიდან ყველაზე უფრო ჰგავს *Convexastraea sexradiata* Goldf.-ს. მისგან აღწერილ ფორმას განასხვავებს ჯამების მცირე ზომა და აგრეთვე მცირე მანძილი ჯამებს შორის. მას დიდი მსგავსება აქვს აგრეთვე *Conv. Gillieronii* Koby-სთანაც.

გავრცელება. შვეიცარია, შტატარტული; საფრანგეთი, რაურაკული. სადაურობა. ფასრალა, კაჟიანი კირქვებიდან.

Fam. OCULINIDAE Ed. et H.

Gen. ENALLOCHELIA E. et H.

*Enallochelia elegans* Münster

1831. *Lithodendron compressum* Münster in Goldfuss, *Petref.*, I. S. 106, Tab. 37, Fig. 10.

- 1850. *Enallochelia elegans* d'Orbigny, Prodr. I, p. 385.
- 1852. *Oculina elegans* Quenstedt, Handbuch der Petref., S. 652.
- 1858. *Lithodendron elegans* Quenstedt, Jura S. 713, Tab. 87, Fig. 6.
- 1862. *Lithodendron elegans* Münster in Goldfuss, Petr. Germ., I, S. 100, Tab. 37, F. 10.
- 1875. *Enallochelia elegans* Becker, Die Korallen der Natthemischichten, S. 134, Tab. 36. F. 4, non 1, 2, 3.
- 1880. *Enalloche'ia elegans* Koby, Pol. jur. Suisse, p. 16, pl. I, f. 1.
- 1801. *Oculina elegans* Quenstedt, Röhren und Sternkorallen, S. 746, Tab. 172, Fig. 16.

ეს კოლონია ნაზი ტოტის მსგავსი აღნაგობისაა. ჩემს ხელთ არის მხოლოდ ერთი შტო-ტოტი; მისი კვეთი თითქმის წრიული ფორმისაა. მასზე ორ მწკრივად არის განლაგებული ძალზე დაბალცილინდრული კორალიტები, რომელნიც ოდნავ დახრილად იმყოფებიან. კორალიტები ტოტის სხვადასხვა მხარეზე ერთმანეთთან მორიგეობენ და იზრდებიან იმგვარად, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (ნახ. 4). ტოტის ღერძის მიმართ კორალიტები დახრილი არიან 45°-ით. მათზე ზევიდან ჩანს ძაბრისებრი ჯამი, რომელიც საკმაოდ ჩაღრმავებულია. ჯამში სექტების ორი სრული ციკლია და მესამის ჩანასახი. სექტები ჯამის კიდებზე ოდნავ ამოშვებული არიან. პირველი რიგის სექტები კარგად არიან განვითარებული. ჩანს ცრუ კოლუმელი. კორალიტებს გარედან მიუყვება ერთმანეთის პარალელური ხაზების სახით ნაზი წიბოები. ლუპაში გასინჯვისას სექტებზე კარგად ჩანს ხორკლები, წიბოებიც დახორკლილი ჩანან. წიბოები მხოლოდ კორალიტებზე არიან, ღერო კი გლუვია.



ნახ. 4.  
*Enallochelia elegans* Münster-ის ტოტისებრი კოლონია

ტოტის კვეთი . . . . .	2,8	მმ
ჯამის კვეთი . . . . .	2,5—1,5	"
სექტების რიცხვი ჯამში . . . . .	24	

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ახლო-ბელ ფორმებისაგან ჰგავს *Oculina oculata* Qnenst.-ს (35, Tab. 172, Fig. 15) და განირჩევა მისგან მხოლოდ მით, რომ უკანასკნელს სექტების სამი სრული ციკლი აქვს (ეს სახე ეხლაც ცხოვრობს ხმელთაშუა ზღვაში). აღწერილი ფორმა იდენტურია მიუნსტერის *Lithodendron elegans*-ის, რომელიც ბეკერსაც აქვს აღწერილი. სხვათაშორის ამ ავტორის დასურათებულ ნიმუშებიდან ამ სახეს მხოლოდ სურ. 4-ზე მოცემული უნდა მიეკუთვნოს. ქვენსტედტის მიერ აღწერილ *Oculina elegans*-ს ნათლად აქვს გამოხატული შუაში კოლუმელი.

გავრცელება. შვებური ალპები იურული, კირქვები; ვიურტემბერგი, ნათჰაიმი, კიმერიჯული.

სადაურობა. ქვედრულა, მასიური კირქვებიდან.

Fam. ISASTRAEIDAE Greg.

Gen. MONTLIVAUTIA Lamour.

Montlivaultia Nattheimensis Milaschewitsch

ტაბ. V, სურ. 2, 2a

1876. *Montlivaultia Nattheimensis* Milaschewitsch. Korallen der Nattheimschichten, Tab. 44, Fig. 2b, c, d.

მარჯანი დაბალია. მახედ ჩანს გაახალგაზრდადების ნიშანი, რის გამო იგი შუაში შევიწროვებულია. საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსურია. ჯამს-ოდნავ ოვალური მოხაზულობა აქვს. ჯამში სეპტები რადიალურად არიან განლაგებული, შუაში ჩანს მოგრძო, ელიფსური ფორმის კოლუმელური ფოსო, კოლუმელი არ არის. მრავალრიცხოვანი სეპტებისაგან ფოსომდე მხოლოდ 25 აღწევს. საკმაოდ თხელი სეპტები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან განლაგებული. ჯამის მხარეზე სეპტების გადაღუნვის გამო ზოგიერთ მათგანს კარგად უჩანს გვერდითი ზედაპირი, დაფარული ტრაბეკულური ხორკლებით. ხორკლები განლაგებული არიან სეპტის ზედა კიდის პარალელურად. ჯამის კიდეზე სეპტები გადმოფენილი არიან. ჯამის ზედაპირი თითქმის ბრტყელია. აქ არ ჩანს მორიგეობა თხელი და სქელი სეპტებისა, როგორც ეს ამ გვარის სხვა სახეებს ახასიათებს, და სეპტები თანაბარი სისქის არიან. გვერდით ზედაპირზე თვალითაც კარგად ჩანს ერთმანეთთან ახლოს მდგომი ვერტიკალური წიბოები, რომლებიც თანაბრად არიან დახორკლილი; ესენი წარმოადგენენ ტრაბეკულურ ხორკლებს, რაც კარგად ჩანს ლუპაში გასინჯვისას. კოლუმელური ფოსო საშუალო სიგრძისაა; იგი უფრო ხაზობრივია, ვიდრე ოვალური, და დიდი ღერძის პარალელურად არის წაგრძელებული. ფსევდოებიოთეკა ზრდის შეჩერების ადგილიდან თითქმის მთლიანად ჰფარავს ნიმუშის კონუსურ ნაწილს, ხოლო ჯამის ზედა კიდემდე არ აღწევს და ჯამის კიდის ქვევით წყდება. ეპითეკა აქ კონცენტრული ნაოჭების სახით არის განვითარებული.

მარჯნის სიმაღლე . . . . .	22 მმ
ჯამის დიდი დიამეტრი . . . . .	25 „
მარჯნის მცირე დიამეტრი . . . . .	23 „
კოლუმელური ფოსოს სიგრძე . . . . .	4 „
10 მმ-ზე . . . . .	15 სეპტოკოსტი
სეპტების რიცხვი . . . . .	124

მსგავსება-განსხვავება. როგორც მილა შევიჩი აღნიშნავს, ამ სახეში ძალზე ხშირად ვხვდებით გაახალგაზრდადების პროცესს [39]. უკანასკნელი საერთოდ მეტად სცვლის ნიმუშის გარეგან ფორმას და ამით აძნელებს მის განსაზღვრას, მაგრამ სეპტების ხასიათი და სეპტების მიკროსტრუქტურა შედარებით ნაკლებ ცვალებადი არიან. როგორც უკვე აღნიშნული იყო ეს ფორმა ამ გვარის ყველა დანარჩენ სახეებისაგან სეპტების თანაბარი სისქით განსხვავდება. ამ სახის ავტორს სხვა ნიმუშებთან ერთად აღწერილ ორ ნიმუშს 39, ტაბ. 44, სურ. 2a, e) მაინც უჩანს მსხვილი და წვრილი სეპტების მორი-



ჯგობა, მიუხედავად იმისა, რომ აღწერაში ხაზგასმულია სეპტების თანაბარი სისქე. ამის გამო ბუნებრივია სინონიმიდან ამ ნიმუშების გამორიცხვა. მილ-შევიჩი, აღარებს რა თავის ფორმას *Montl. truncata* Edw. et H., აღნიშნავს, რომ მისი ნიმუში უკანასკნელისაგან განირჩევა სეპტების მთლიანი შვიდი ციკლის არსებობით და ამის გამო მათი დიდი რიცხვით. ჩემი აზრით, ციკლების რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ერთი და იგივე სახის ნიმუშს, ასაკის მიხედვით, ციკლების რიცხვი სხვადასხვა ექნება. *M. truncata* Edw. et H.-ის განივ შლიფზე და თვით ნიმუშზეც გარედან ნათლად ჩანს განსხვავებული სისქის სეპტთა მორიგეობა; გარდა ამისა, მას სრულიად წრიული ფორმის ჯამის კიდე და უფრო სქელი, სწორი სეპტები აქვს. ყოველივე ეს მას განასხვავებს აღწერილი ფორმისგან. უკანასკნელი თავისი ფორმით ჰგავს *Montl. Smithi* Edw. et H.-ს, მაგრამ განირჩევა მისგან ხაზობრივი კოლუმელური ფოსოს არსებობით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ნატჰაიმი, კიმერიჯული.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ჩორდულა-ღელე ნაყარიდან.

### *Montlivaultia* aff. *elongata* Edw. et Haime

ტაბ. VI, სურ. 3, 3a

ამ ცალკე ფორმას ძაბრის და ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსური მოყვანილობა აქვს. მაზედ გაახლგაზრდავება ოდნავ არის შესამჩნევი. მისი ჯამი ოდნავ ჩაღრმავებულია. ჯამს სრულიად წრიული ან ოდნავ ოვალური მოხაზულობა აქვს, გარედან ჩანს სქელი და თხელი სეპტების მორიგეობა. საწყის სტადიაში სეპტები უფრო თხელი არიან და მათი რიცხვიც ნაკლები არის. ჯამის ცენტრში ჩანს გრძელი და ხაზობრივი კოლუმელური ფოსო. ამ ადგილზე მხოლოდ საწყისი სტადიის შლიფში ჩანს ფსევდოკოლუმელისმაგვარი წარმონაქმნი. მარჯანს სეპტების ოთხი სრული ციკლი და მე-5-ს ნაწილი აქვს. სიგრძივ კრილში, რომელიც ზედ სეპტაზეა გატარებული, მშვენივრად ჩანს, რომ სეპტა შედგენილია ტრაბეკულებისაგან და რომ უკანასკნელები სეპტის ზედა კიდის პარალელურ რიგებს ჰქმნიან. ტრაბეკულური ღეროები ერთმანეთთან ძალიან მიჯრილი არიან და უთუოდ სეპტა ამის გამოა მთლიანი. ტრაბეკულები ლაგდებიან მარაოსებურად (ტაბ. VI, სურ. 3). ამ ფორმაში ტრაბეკულური რიგები (ზრდის სეგმენტები) არ არიან ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი. აქ ტრაბეკულები წიბოებისა და სეპტების ზედა კიდეების პერპენდიკულარულად დგანან. ვინაიდან აქ წიბოები სეპტების ნამდვილ გაგრძელებას წარმოადგენენ, სეპტის ზედა კიდე წიბოების ზედა კიდეს უშუალოდ ებმის, ხოლო რადგან სეპტების ამ ადგილებში ტრაბეკულები ასიმეტრიულ-მარაოსებურად ლაგდებიან, ამიტომ ჯამის კიდე ლილვაკისებრია. კორალიტის განივ კვეთზე ჩანს, რომ მისი სეპტა შედგენილია ორგვარი ტრაბეკულებისაგან: გრძელ ოვალურკვეთიანი (თითისტარისებრი) და მოკლე, თითქმის წრიულკვეთიანი. პირველი იმგვარად ლაგდებიან, რომ მათი გრძელი ღერძი სეპტის ღერძის პერპენდიკულარულია და ორ ამგვარ ტრაბეკულს შორის ერთი წრიული კვეთის მქონე თითო ტრაბეკულია მოთავსებული (ნახ. 5a). კორალიტს



a b

ნახ. 5.

a) *Montlivaultia* aff. *elongata* Edw. et H.-ის სეპტის განივკვეთი

ბ) *Montlivaultia* aff. *elongata* Edw. et H.-ის კვეთზე ჩანს ტრაბეკულური მარაოები და დისეპიმენტები

გირედან არ აქვს ზრდის შეჩერების ხაზები და იშვიათად, ფსევდოეპითეკაც ჩანს აქა-იქ, ე. ი. კორალიტი იზრდებოდა შეუჩერებლივ. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამას გვიდასტურებს სეპტის შიგა სტრუქტურაც: ტრაბეკულური რიგები, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთმანეთისაგან არ არიან მკვეთრად გამოყოფილი და ამიტომაც ტრაბეკულური მარაოებს მთლიანი სახე აქვთ (ნახ. 5b). სეპტები, უკეთ რომ ვთქვათ, წიბოები დაკბილული არიან. იქ, სადაც შლიფი ფსევდოეპითეკას კვეთს, ნათლად ჩანს მისი დისეპიმენტური წარმოშობა (ნახ. 5b).

სიგრძივ შლიფზე იქ, სადაც მოხვედრილია ინტერსეპტალური არეც, კარგად ჩანს ამობურცული დისეპიმენტები და ტრავერზები.

კორალიტის დიამეტრი (საწყისი სტადია) . . . . .	1 მმ
ჯამის კიდის დიამეტრი . . . . .	4 მმ
კორალიტის სიმაღლე . . . . .	5 მმ
ტრაბეკულების სიგრძე . . . . .	1—1,5 მმ
ქვევით 5 მმ-ზე . . . . .	11 სეპტოკოსტია
სეპტათა რიცხვი . . . . .	136

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა მეტად უახლოვდება *Montlivaultia elongata* Edw. et Haime-ს. იგი განსაკუთრებით ჰგავს ეტალონი-ს მიერ აღწერილ ნიმუშებს (pl. LII fig. 5a, b), რომლისგანაც განირჩევა უფრო ნაკლები სიმაღლით, უფრო ფართო ჯამითა და ფსევდოკოლუმელის არსებობით. სამწუხაროდ, არც ედვარდსი და ჰაიმი [20] და არც ეტალონი [24] არაფერს აღნიშნავენ სეპტის სტრუქტურის შესახებ. ჩემ მიერ აღწერილ სახეებიდან ეს ფორმა განსხვავდება საერთო ფორმით, საწყის სტადიაზე ცრუ კოლუმელის არსებობით და ტრაბეკულების მკვეთრად ასიმეტრული მარაოსებრი განლაგებით.

გავრცელება. ტიპი ცნობილია ინგლისიდან (Coral rag).  
სადაურობა. ფსორ-ბაჯიხევის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვებიდან.

*Montlivaultia truncata* (Defrance) Edw. et H.

ტაბ. VI, სურ. 4, 4a, 4b, 5, 5a

- 1817. *Coryophyllia truncata* Defrance (in lit.).
- 1857. *Montlivaultia truncata* Edwards a. Heime, Hiist. nat. des corall., t. II, p. 293.
- 1864. *Montlivaultia Gigas* Fromentel, Polyp. coral. des env. de Gray, pl. 3, fig. 3.
- 1865. *Montlivaultia truncata* Fromentel et Ferry, Paléont. franç., terr. jur., Zooph., pl. 46, fig. 1, 2, 3; pl. 45, fig. 1, 1a.

ეს დიდი ზომის ცალედი მარჯნები ცილინდრული ფორმის არიან. მართალია, ზოგი ნიმუში გაბრტყელებული ჩანს, მაგრამ ეს დეფორმაციის შედეგად უნდა იყოს. ჯამი საკმაოდ ჩაღრმავებულია. მას თითქმის წრიული მოხაზუ-

ლობა აქვს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კორალიტი დეფორმებულია, ჯამის კიდის მოხაზულობა ოვალურია. ჯამის ცენტრში მოთავსებულია გრძელი და ვიწრო კოლუმელური ფოსო, რომელსაც ჩვეულებრივ ხაზობრივი ფორმა აქვს. ამის გამო მარჯანი ბილატერალური სიმეტრიის ხდება, თუმცა სეპტები განლაგებული არიან სრულიად რადიალურად. სეპტების კიდეს დახორკლევა ემზენევა. განივ შლიფში მშვენივრად ჩანს, რომ სქელი და თხელი სეპტები მორიგეობენ. კოლუმელი არ არის. გარედან მარჯანი დაფარულია ზოგჯერ მთლიანად და ზოგჯერ ნაწილობრივ ეპითელით. ხოლო ზოგი ეგზემპლარი სრულიად დაუფარავია და ამ შემთხვევაში ჩანს წიბოები, რომელნიც აგრეთვე დახორკლილი არიან. გარედან კორალიტზე კარგად ჩანს თხელი და სქელი წიბოების მორიგეობა. ზოგ კორალიტს სიმაღლეზე რამდენიმეჯერ აქვს გადაჭიმული საკმაოდ ფართო სარტყლები. აქ სეპტები ერთმანეთთან ძალიან მიჯრილი არიან. შემჩნეულია, რომ ერთი და იმავე ნიმუშზე ზოგან ორ სქელ წიბოს შორის ორი თხელი წიბოა მოთავსებული, ზოგან კი — ერთი, ანდა ყველა წიბო თანაბარი სისქისაა. სიგრძივ კვეთზე იქ, სადაც კორალიტზე ზრდის შეჩერების ნიშანია ეპითელიური საღრის სახით, და ზოგ შემთხვევაში უამისოდ, შლიფში მშვენივრად ჩანს სქელი ტრავერზების ზოლი, ხოლო გარე კიდისაკენ მათგან მშვენივრად ჩანს სქელი ტრავერზების ზოლი, ხოლო გარე კიდისაკენ მათგან შედგენილი ფსევდოეპითელია. სიგრძივსავე ჭრილში სეპტის აღნაგობა კარგად არის გამოსახული. სეპტა შედგენილია თანაბარი სისქის ტრანვეკულებისაგან, რომელნიც საკმაოდ მიჯრილი არიან. ტრანვეკულები აქ ჰქმნიან რიგებს, რომელნიც სეპტის ზედა კიდის პარალელური არიან. ხოლო, რადგან სეპტის ზედა კიდის უმეტესი ნაწილი დაქანებულია ჯამის ცენტრისაკენ და დანარჩენი კი გარე კიდისაკენ, ამიტომ ტრანვეკულების რიგები ასიმეტრულ-მარაოსებურად ლაგდებიან (ტაბ VI, სურ. 5a). ამავე შლიფში ჩანს სეპტებს შორის კარგად განვითარებული ტრავერზები და დისეპიმენტები, რომელნიც საერთოდ ამოზურცული არიან. ისინი ჯამის კიდის შესატყვის ადგილზე მეტად არიან ამოზურცული. კორალიტის გარე მხარეზე, წიბოების კიდებზე მეზობელი ინტერკოსტალური ტრავერზები ხშირად ურთიერთს უწყვეტად გადაებმინ, მათ შორის მდებარე სეპტოკოსტის ტრანვეკულებს გადაეფარებიან და ამგვარად კორალიტის გარე მხარეზე ფსევდოეპითელს წარმოქმნიან. ნიმუშების განივ შლიფში ჩანს, რომ ტრანვეკულებს საკმაო სისქე აქვთ და რომ მათი გრძელი ღერძები სეპტის პერპენდიკულარულად არიან განლაგებული; ამ ღერძის გარშემო არის განლაგებული ბოქკოების კონა და თითოეული კონის ღერძი მუქი წერტილის სახით გვევლინება. ეს ტრანვეკულები იმდენად მიჯრილი არიან, რომ ერთმანეთთან შეზრდილან. ამის გამო მუქი წერტილები შეერთებულან და შეუქმნიათ ერთი მუქი ხაზი, რომელშიაც მოთავსებულია სეპტის კალციფიკაციის ცენტრები. სეპტისა და წიბოების კიდის ხორკლები ტრანვეკულების თავისუფალ წვეროებს წარმოადგენენ. ყველაზე უფრო სქელი წიბოს სიფართო კორალიტის გარე მხარეზე 1 მმ-ს აღწევს (ზოგჯერ ამას აღემატება კიდევ). ამ სეპტების უმრავლესობა კოლუმელურ ფოსომდე მიდის. ზოგიერთ კორალიტში მისამავრებელი ადგილი არ არის შერჩენილი, ხოლო სადაც შერჩენილია, ის ჯმთავრესად უსწორმასწორო ფორმისაა. ნიმუშები გარედან ზოგი მთლიანად

დაფარულია ეპითელით, ზოგი მხოლოდ ნაწილობრივ და ზოგი კი სრულიად შიშველია.

	A	B
კორალიტის სიმაღლე . . . . .	120	88 130 88
კორალიტის დიდი დიამეტრი . . . . .	60	" 50 "
კორალიტის მცირე დიამეტრი . . . . .	50	" 37 "
სებტების რიცხვი . . . . .	108	" 120 "
5 მმ-ზე . . . . .		5-ზე—10 სებტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა ზომით, ჯამის მონაზულობით, სებტების ხასიათითა და წიბოების სიხშირით კარგად ცნობილი *Montlivaultia truncata* (Defrance) Edw. et H.-ის სრულიად იდენტურია.

ფრომენტელი და ფერი აღნიშნავენ, რომ ეტალონის ფორმა *Montl. pertuncata*-აც ამ სახის სახესხვაობა უნდა იყოს. ამგვარი დასკვნისაგან მე თავს ვიკავებ, რადგან ეტალონის მიერ მოცემული სურათი ამის საბუთს არ იძლევა, ხოლო აღწერა ძლიერ მოკლეა. ფრომენტელის *M. Giggs* მეც აღწერილი ფორმის იდენტური მგონია, ისინი სრულიად ერთნაირი არიან. სამწუხაროდ, ამ სახეების აღწერებში არც ერთი ავტორი არაფერს აღნიშნავს სებტების აღნაგობის შესახებ. სებტის აღნაგობით იგი ძალიან ჰგავს ჩემს მიერ აღწერილ *Montl. aff. elongata* Edwards et Haime-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან როგორც კორალიტის სიღრმით, ისე საერთო ფორმით, სებტების რიცხვითა და სიხშირით, ტრაბეკულების მარაოების ნაკლებ გადმოშლილობით და სებტის ზედა კიდის მონაზულობით. *Montl. turgida* Milasch.-ისაგან განირჩევა ტრაბეკულების ნაკლები სიგრძითა და სიფართოთ (უკანასკნელის ტრაბეკულებს 3,0—4 მმ სიგრძე აქვთ). გარდა ამისა აღწერილ ფორმას ტრავერზებიც გაცილებით ხშირი და სქელი აქვს.

გავრცელება. საფრანგეთი, ქვ. კორალიენი; შვეიცარია, რაურაკული. სადაურობა. კომანდელის, ნაყარიდან; ფსორ-ბაჯინევის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვები.

*Montlivaultia turgida* Milashevitsch

ტაბ. VI, სურ. 1

1876. *Montlivaultia turgida* Milashevitsch. Korallen der Nattheimchichten, Tab. 44, F. 2b, c, d.

ამ ცალკე ნიმუშს საწყის სტადიაში ძაბრის ფორმა აქვს, ხოლო შემდეგ ცილინდრული. კორალიტის გაახალგაზრდაება ორჯერ მომხდარა და ამიტომ იგი სამ ნაწილისგანაა შედგენილი; მარჯნის მთელ კორპუსს ემჩნევა გადაღუნვა ერთი მხარისაკენ. საწყის სტადიაში ჯამი მკვეთრად არ არის გამოყოფილი. ფსევდოეპითელია ჩანს სალტის ფარგლებში, ამიტომ გაახალგაზრდაებულ ნიმუშზე ქვევით მკვეთრად არის სარტყელი გამოსახული. კორალიტის სიგრძე კვეთის შლიფზე მშვენივრად ჩანს, რომ გაახალგაზრდაების წინ ჯამი საკმაოდ ღრმა ყოფილა. ამიტომ აქ შეიძლება შეიქმნეს შთაბეჭდილება თითქო ზედა

ჯამი ქვედაში იყოს ჩამჯდარი, მაგრამ სეპტემის თვალის გადევნებისას როგორც შლიფში, ისე ნიმუშზეც ჩანს, რომ მათი ქვედა ჯამიდან ზედაში გადასვლა უწყვეტია. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ კორალიტის გაახალგაზრდადების წინ სეპტებსშორისი დისეპტიმენტები გასქელებულია. კორალიტის ზედა, ე. ი. ყველაზე ახალგაზრდა ნაწილი დანარჩენ ნაწილთან შედარებით ძალზე პატარა და დაბალია. ამავე დროს იგი დახრილად არის გაზრდილი; მას სრულიად ცილინდრული ფორმა აქვს. ჯამის ფოსო ოდნავ არის ჩაღრმავებული და იგი წრიული მოხაზულობისაა. აქაც გაახალგაზრდადების წინ კორალიტს გარედან შევიწროვება არ ეტყობა. ჯამის კიდე წრიული მოხაზულობისაა და ოდნავ არის ამოშვერილი. სეპტები სქელი არიან და გარედან დაკბილული. შლიფში ჩანს მათი საკმაოდ უხეში ტრაბეკულები, რომლებიც ჯამის ზედა კიდის პერპენდიკულარულად არიან განწყობილი და ამიტომ ოდნავ მარაოსებრად ლაგდებიან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ სქელი, დიდი ზომის ტრაბეკულები უფრო თხელ და პატარა ზომის ტრაბეკულებთან მორიგეობენ. ზევიდან მშვენივრად ჩანს სქელი და თხელი სეპტების მორიგეობა და ასევე წიბოებისაც. ფსევდოოპითეკა, როგორც უკვე ზევით აღვნიშნე, მხოლოდ გაახალგაზრდადების წინ და მის საწყის სტადიაზე ჩანს, იგი აქაც შედგენილია ტრავერზებით და დისეპტიმენტებით, ე. ი. ნამდვილად ფსევდოოპითეკასთან გვაქვს საქმე.

სეპტათა რიცხვი . . . . .	156—105
საერთო სიმაღლე . . . . .	70 მმ
საწყისი სტადიის სიმაღლე . . . . .	50 "
ახალგაზრდა სტადიის სიმაღლე . . . . .	15 "
განივი ქრილი . . . . .	40 "
ახალგაზრდა სტადიის განივი ქრილი . . . . .	22 "
10 მმ-ზე . . . . .	12, 17 სეპტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ჰგავს *Montlivaultia Nattheimensis* Milasch.-ს, რომლისგანაც განირჩევა კოლუმელური ფოსოს წრიული ფორმით და სიდიდით. აგრეთვე ღრმა ჯამის არსებობით. აღწერილი ფორმა ყველა დამახასიათებელი ნიშნით ეკუთვნის მილაშევიჩის *Montl. turgida*-ს, რომლისგანაც განსხვავდება მხოლოდ მეტი სიმაღლით. აქ აღწერილ *Montl. truncata* Defrance-თან შედარებით იგი უფრო მცირე დიამეტრისა და გაცილებით ნაკლები სიგრძისაა. აგრეთვე სეპტათა სტრუქტურაც განსხვავებული აქვს. გარდა ამისა ინტერსეპტალური წარმონაქმნები დეფრანსის ფორმაში კარგად არიან განვითარებული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ნატჰაიმი, კიმერიჯული.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ფსორო-ბაჯინების სერი, ნაყაროდან.

**Montlivaultia rosula Eichwald**

1865—68. *Montlivaultia rosula* Eichwald, Lethwaea Ross., vol. II, p. 126, pl. XI, fig. 4a, b.  
1888. *Montlivaultia rosula* Solomko, Die Iura und Kreidekorallen der Krim, S. 118, Taf. VII, Fig. 1d, 1f.

ეს ცალედი მარჯანი მოგრძო-ძაბრისებრი ფორმის არის. მას აქვს საკმაოდ გრძელი და მოლუნული „ფეხი“. კორალიტის ჯამი წრიული მოხაზულობისაა და ოდნავ ჩაღრმავებულია. ჯამის კიდე არ არის ძალიან ბასრი. მაგრამ არც სავსებით მორგვავლებულია. კოლუმელური ფოსო ხაზობრივად არის წაგრძელებული. ისედაც თხელი სეპტები ცენტრისაკენ უფრო თხელდებიან. მათი ზედა კიდე დახორკლილია. ორ სქელსა და გრძელ სეპტას შორის ერთი თითქოს უფრო თხელი და მოკლე სეპტა თავსდება. კორალიტს ემჩნევა ზრდის შეჩერების სამი ხაზი. საერთოდ ამ მარჯანს სიფართოვე სწრაფი ზრდა ემჩნევა. კორალიტი გარედან დაფარულია წიბოებით, რომლებშიაც ორ შეგრილსა და ფართო წიბოს შორის ერთი ნაკლები სისქის და დაბალი წიბოა მოთავსებული. წიბოები საკმაოდ თანაბრად დახორკლილია. გაშლილ ზედაპირზე ჩანს, რომ ჯამის კიდისაკენ სეპტების ურთიერთ შეხებით იქმნება საკმაოდ მკაფიო ფსევდო თეკა. სეპტებს შუაზე მიუყვება მუქი ხაზი, რის მიხედვითაც ეს ფორმა *Montlivaultia*-ების II ჯგუფს მიეკუთვნება. რადგან ხელთ მხოლოდ ერთი ნიმუში მაქვს, ამიტომ იგი ვერ გავკვეთე და შიგა სტრუქტურის შესახებ ამჯერად მეტს ვერას ვიტყვი.

კორალიტის სიმაღლე . . . . .	27 მმ
კორალიტის ჯამის დიამეტრი . . . . .	18 „
კორალიტის საწყისი სტადიის დიამეტრი . . . . .	3,5 „
სეპტების რიცხვი . . . . .	112
2 მმ-ზე . . . . .	4 სეპტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. თითქმის ყველა თავისი ნიშნით აღწერილი ფორმა ძალიან ჰგავს *Montlivaultia rosula* Eichwald-ს, რომლისგან განიჩნევა მხოლოდ ზომით; გარდა ამისა ჩემ ნიმუშზე სიმაღლე მეტია, ვიდრე დიამეტრი, ეიხვალდის მიერ აღწერილ ფორმაში კი—პირიქითაა. სოლომკოს მიერ აღწერილ ამ სანის ნიმუშებს არც ერთს არ აქვს ასე გრძელი და ვიწრო ფეხი, როგორც ნიმუშს რაკიდან. ფსევდოთეკაც მათ უფრო თხელი უჩანს. მაგრამ აღნიშნული განსხვავებები, ჩემის აზრით, სახის ფარგლებს არსცილდებიან.

გავრცელება. ყირიმი სექენური.

სადაურობა. ფსონ-ბაჯიხევის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვები.

**Montlivaultia Choffati Koby**

1883. *Montlivaultia Choffati* Koby, Pol. jur. Suisse, p. 113, pl. 31, Fig. 3, non 4, 5.

ამ ცალედ მარჯანს ცილინდრულ-კონუსური ფორმა აქვს. კორალიტი ოდნავ დეფორმებულია. იგი სწორად გაზრდილი და საკმაოდ წაგრძელებულია. ქვევით ვიწროა, ხოლო ჯამისაკენ შედარებით განიერი. ჯამის ცენტრში თითქმის წრიული ფორმის კოლუმელური ფოსოა. ჯამის დიამეტრი გაცილებით მეტია, ვიდრე კორალიტისა. მრავალრიცხოვანი სეპტები საკმაოდ ფართო არიან. მათი ზედა კიდე დახორკლილია. სქელი და თხელი სეპტები მორიგობენ. ორი პირველი ციკლის სეპტები კოლუმელურ ფოსომდე აღწევენ. აქ სეპტების 5 მთლიანი ციკლია. განივ შლიფში ჩანს, რომ სეპტის ტრაბეკულები,

სებტის ღერძის პერპენდიკულარულად არიან განლაგებული. ოვალური ტრაბეკულები წაგრძელებული არიან. ორ ამგვარ ტრაბეკულს შორის ერთი რგვალი და მცირე ზომის ტრაბეკულია მოთავსებული. ამ ნიმუშის სეროულ კვეთზე არ ჩანს რაიმე განსხვავება მის საწყისსა და შემდგომ სტადიებს შორის, გარდა სებტების განსხვავებული რიცხვისა. წიბოები ძალიან კანონზომიერად არიან დახორკლილი. მაღალი და სქელი წიბოები მორიგეობენ თხელსა და დაბალწიბოებთან. გარედან აქა-იქ ფსევდოეპითეკაც არის, იგი შედგენილია ტრავერზებისა და დისეპიმენტებისაგან.

მარჯნის სიმაღლე . . . . .	50	მმ
ჯამის სიფართოე . . . . .	15—22	„
5 მმ-ზე . . . . .	7	სებტოკოსტი
სებტების რიცხვი . . . . .	92	

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა გარეგნულად და შიგა აღნაგობით ესატყვისება *Monil. Choffati Koby*-ს. ახლოებელ ფორმებიდან ჰგავს ჩემს მიერ აღწერილ *Monil. aff. elongata Edw. et Haim*-ს, რომლის სებტის შიგა-სტრუქტურაც ამგვარივეა, და მისგან განსხვავდება მხოლოდ ზომებით და სებტებისა და წიბოების რიცხვით.

კობი აღარებს *Monil. articulata*-ს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი მცირე დიამეტრისაა და მას კანონზომიერად დაშორებული გაახალგაზრდავების ხაზები აქვს, რაც აღწერილ ნიმუშზე არ მეტყველებს.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. შვეიცარია, რაურაკული.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ფსორ-ბაჯინევის სერი, მარჯნიან ქვიშაქვებიდან.

Gen. THECOSMILIA E. et H.

*Thecosmilia irregularis* Etallon

ტაბ. VIII, სურ. 2, 2a

1864. *Thecosmilia irregularis* Etallon, Leth. Bruntr., p. 384, pl. 54, Fig. 9.

1896. *Thecosmilia irregularis* Ogilvie, Die Korallen der Stramberger Schichten, S. 209, Taf. XIV, Fig. 6, 6a.

გატოტვილი მარჯნების კოლონიაში ინდივიდები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულად ლაგდებიან, ხოლო მათი სიმაღლე, ხშირი დაკვირტვის შედეგად, მცირეა. ჯამებს ოდნავ ჩალრმავებული ფოსო აქვთ. ჯამების განივი კვეთი უმთავრესად წრიულია, ხოლო იშვიათად მათ ოვალური მოხაზულობაც აქვთ. ჯამის ცენტრში ოვალური კოლუმელური ფოსო ჩანს, რომელშიაც კოლუმელი არ მოიპოვება. სებტები კარგად არიან განვითარებული; მათი ზედაპირი დაკბილულია; გვერდითი ზედაპირი დაფარულია ტრაბეკულური ხორკლებით. პირველი ორი ციკლის სებტები თანაბრად არიან განვითარებული და კოლუმელურ ფოსოს აღწევენ, მესამე ციკლის სებტები უფრო მოკლე და თხელი არიან. ამ სებტებს შორის მოთავსებულია მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ციკლი (სულ 36—48 სებტა). კორალიტის სიგრძივ კვეთის შლიფზე ჩანს კარგად

განვითარებული ტრავერზები, დისკტიმენტები კი უფრო სუსტად არიან გამოსახული. ტრავერზები ჯამის კიდისაკენ ამობურცული არიან, ცენტრისაკენ სწორდებიან და ვერტიკალური ხდებიან, ხოლო თვით ცენტრში ჩაზნექილი არიან. სეპტის სიგრძივ შლიფში კარგად ჩანს ტრაბეკულები, რომლებიც საკმაოდ სქელი არიან და მარაოსებრად ლავდებიან; ისინი სეპტის ზედა კიდის პარალელურ რიგებს ჰქმნიან. ტრაბეკულები ძალიან მჭიდროდ ეხებიან ერთმანეთს, კორალიტების გარე მხარეზე ჩანს კარგად განვითარებული წიბოები, რომელნიც თითქმის თანაბარი სისქის არიან.

ჯამის კვეთი . . . . .	7—12 მმ
სეპტების რიცხვი . . . . .	36—40
კოლუმელური ფოსოს სიგრძე . . . . .	2
5 მმ-ზე . . . . .	7 სეპტოკოსტი.

მ ს გ ა ე ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ე ვ ე ბ ა. *Thecosmilia*-ების ფორმებიდან აღწერილი ნიმუში ყველაზე უფლო ჰგავს *Thecosmilia irregularis* E.-ს, რომლისგანაც განირჩევა გამრავლების სახით—აქ ჯამი კი არ იყოფა, არამედ იკვირტება; რასაკვირველია, შესაძლოა ეს გარემოება არ იყოს საკმარისი გასასხვავებლად, რადგან ამ გვარის სხვა სახეებში ხშირად გამრავლება სწარმოებს როგორც დაკვირტვით, ისე გაყოფით. სამწუხაროდ, ამ ფორმის ავტორი არაფერს აღნიშნავს მისი შიგა აღნაგობის შესახებ. ო გ ი ლ ვ ი [42] შენიშნავს, რომ მის ნიმუშებს ტრავერზები შედარებით იშვიათი აქვთ, აღწერილ ფორმაში კი ტრავერზები ძალიან კარგად არიან განვითარებული. გარდა ამისა ო გ ი ლ ვ ი ს მიერ აღწერილ ფორმას ჯამის ფოსო წრიული აქვს, ხოლო ნიმუშებზე რაჟიდან იგი უფრო ოვალურია. დანარჩენი ნიშნებით ისინი სრულიად ერთნაირი არიან. ამის გამო მე ჩემს ნიმუშებს *Th. irregularis* Étallon-ს ვაკუთვნებ. მონათესავე ფორმებიდან ყველაზე უფრო ახლო არის *Th. koniakensis* Og., მაგრამ უკანასკნელისაგან აღწერილი ფორმა განირჩევა ჯამის ზომებით, ტოტების სიმძლითა და დიდი მათშორისი კუთხით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. საფრანგეთი, „კორალიენი“; შტრამბერგი, ტიტონური. ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ხირზონისი, მასივური კირქვების ქვევით მდებარე ქვიშიან-კირქვიანი ბრეჭიების დასტა.

*Thecosmilia longimana* Quenstedt

1858. *Lithodendron laeve* Quenstedt, Iura, p. 711, Taf. 86, Fig. 12.  
 1875—76. *Thecosmilia* sp. Becker, Natth. Kor., S. 154.  
 1882. *Lithodendron longimanum* Quenstedt, Röhren und Sternkorallen, S. 698, Taf. 170, Fig. 17.  
 1881. *Lithodendron cylindratum* Quenstedt, Ib., S. 699, Taf. 170, Fig. 18.  
 1881. *Lithodendron laeve* Quenstedt, Ib., S. 699, Taf. 170, Fig. 19.  
 1806. *Thecosmilia longimana* Ogilvie, Die Korallen der Stramberger Schichten, S. 203, Taf. XIV, Fig. 2, 3.

კოლონია დატოტვილია. იგი შედგება ერთმანეთთან ახლოს მდგარი ცილინდრული ფორმის ინდივიდებისაგან. განშტოებისას კორალიტებს შორის



საკმაოდ მახვილი კუთხე იქმნება. ჯამების ფოსოები საკმაოდ ფართო და ჩაღრმავებული არიან. ცენტრში აქვთ უფრო ხშირად ოვალური, ხოლო ზოგჯერ წრიული მოხაზულობის კოლუმელური ფოსო, რომელშიც კოლუმელი არ არის. ჯამში ჩანს მრავალრიცხოვანი სეპტები. აქ ნათლად გამოსახულია სქელი და გრძელი და შედარებით თხელი და მოკლე სეპტების მორიგეობა. ცენტრულ ფოსომდე აღწევენ პირველი ორი ციკლის სეპტები, რომლებიც თითქმის თანაბარი სისქის არიან, ხოლო მათ შორის თავსდება დანარჩენი ციკლის სეპტები, რომლებიც სიგრძეში პირველთ საკმაოდ ჩამორჩებიან. სეპტების გვერდითი სიბრტყეები დაფარული არიან ტრაბეკულური ხორკლებით, რომლებიც ერთმანეთის პარალელურ რიგებს ჰქმნიან. შლიფში ჩანს, რომ ტრავერზები საკმაოდ განვითარებულია და ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით არიან დაშორებული. ჯამის კიდისაკენ აქვს ფსევდოთეკა, რომელიც შექმნილია სეპტების ბოლოების გასქელებითა და ტრავერზებით. ინდივიდებზე გარედან ჩანს წიბოები, რომელთაც თითქმის თანაბარი სისქე აქვთ. მათ არავითარი სარტყლები არ ფარავენ. კორალიტების გამრავლება გაყოფით წარმოებს. ინდივიდები შედარებით გრძელ მანძილზე იყოფიან.

ჯამის კვეთი . . . . .	15— 7 მმ
სეპტების რიცხვი . . . . .	48—80
კოლუმელური ფოსოს სიგრძე . . . . .	2— 3 მმ
5 მმ-ზე . . . . .	7— 8 სეპტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. აღწერილი ფორმა ყველაზე უფრო უახლოვდება *Thecosmilia longimana* Quenstedt-ს. მისგან განირჩევა მხოლოდ ეპითეის უქონლობით. ეს განსხვავება ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს სახისათვის გამასხვავებელ ნიშანს, რადგან იგი მეტად ცვალებადია სხვადასხვა ინდივიდებზე. ასე მაგალითად, ოგილვი [42] აღნიშნავს: „In der Münchener Palaeontologischen Sammlung ist ein sehr gut erhaltenes Exemplar von *Lithodendron longimanum* Quenst. von Beiningen, dessen Aeste an einzeln Stellen indess ebensogut [mit *Lithodendron cylindratum* Quenst. oder mit *Lithodendron laeve* Quenst. (non *L. laeve* Mich. sp.) übereinstimmen“ (59, გვ. 205). სარტყლების არსებობაც აგრეთვე არ უნდა ჩაითვალოს გამასხვავებელ ნიშნად (არა თუ სახისათვის, არამედ არც სახესხვაობისათვის), ისიც შეიძლება ინდივიდუალური ნიშანი იყოს და სწორედ ამიტომ *Thecosmilia koniakensis* Ogilvie-საც აღწერილ ფორმას მივაკუთვნებდი, რომ განსხვავება არ ყოფილიყო ჯამების სიდიდეში. სარტყლების არსებობა გამოწვეული უნდა იყოს გარემო პირობებში მომხდარი ცვლილებებით, მაგ., *Th. koniakensis* Ogilvie-ზე სარტყლები იმდენად მკაფიოდ არიან გამოსახული, რომ ამით კორალიტები მოგვაგონებენ პალეოზოური მარჯნების ხაზობრივ კოლონიას, ნამდვილად კი ეს სარტყლები მარჯნის შლამიან გარემოში ზრდის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ.

გავრცელება. ნატპანიმი, კიმერიჯული; შტრამბერვი, ტიტონური.  
სადა ურობა. ქვედრულა, მასივური კირქვები.

ბით არის შედგენილი. კორალიტები გარედან დაფარული არიან თანაბარ სისქის და სიმაღლის გრძელი, უწყვეტი პარალელური წიბოებით. მათზე კარგად ჩანს ხორკლები. წიბოებს აქაც ჰყვებიან ოდნავ შესამჩნევი სარტყლები, სიგრძივ შლიდზე ჩანს, რომ ამ ფორმისათვის დამახასიათებელია ტრავერზების მეჩხეობა.

კოლონიის ფართი ადგილზე . . . . .	1,5 მ
წრიული მოხაზულობის კორალიტის დიამეტრი . . . . .	5—7 მმ
ოვალური " " " დიდი დიამ. . . . .	7—11 "
" " " მცირე " . . . . .	4—7 "
სეპტების რიცხვი კორალიტში . . . . .	8
2 მმ-ზე . . . . .	4 სეპტოკოსტი-

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა კობის მიერ აღწერილ *Calflabellum* Bl.-ის იდენტურია. ახლობელ ფორმებიდან ყველაზე ახლოს დგას *Colamophyllia taurica* Eichw.-თან, თუმცა განსხვავდება მისგან სარტყლების არსებობით; აგრეთვე ახლოს დგას *Cal. Etallon* Koby-სთან, მაგრამ მისგანაც განსხვავდება კორალიტების მეტი დიამეტრით, სეპტათა რიცხვით და სარტყლების არსებობით. თუმცა სოლომკო აღნიშნავს, რომ სარტყლების არ არსებობა დამოკიდებულია დაცულობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, *Calamophyllia*-ებში ეს ნიშანი უკვე სახისათვის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს და კობი ამ მხრივ მართებულად ასხვავებს სახეებს.

აღწერილ ფორმაში ეს კარგად ჩანს სარტყლების კანონზომიერ განლაგებაში ცალკეულ ინდივიდზე, სახელდობრ, ყოველ ინდივიდზე ეს სარტყლები ერთი მეორისაგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებული. მეორე მხრივ ფსევდოეპითეკური სალტეები, რომლებიც არ უნდა აფურითთ სარტყლებთან, ზოგჯერ ერთი და იგივე სახის სხვადასხვა ინდივიდს ხან აქვს და ხან არა, ხან კი ისინი კოლონიის ყველა ინდივიდს ერთ დონეზე აქვს. ამრიგად, ამ შემთხვევაში ფსევდოეპითეკური სალტის არსებობა არ არის დამოკიდებული დაცულობებზე და შეიძლება აიხსნას გარემოსთან შეგუებით. ამიტომ არ უნდა იყოს მართებული კობის აზრი იმ შემთხვევაში, როდესაც ის ამ ნიშნის მიხედვით გამოჰყოფს დამოუკიდებელ სახეს *Cal. crassa*-ს.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკული; ინგლისი, Coral rag. სადაურობა. ველუანთა, ფასრალო, ქორთა, ხირხონისი, ქვედრულა, დირჯინა-ლელე.

**Calamophyllia Stokesi Edw. et Haime**

1851. *Calamophyllia Stokesi* Edwards a. Haime. *Britisch Fossil cor.*, p. 89, pl. 16, Fig. 1.  
 1857. " " Edwards a. Haime, *Hist. Nat. des corallaires* p. 344.  
 1912. " " Speier. *Die Korallen der Kelheimer Iura*, S. 222.

ხელთ მაქვს გაკაფებული კოლონიის მცირე ზომის ნატეხი, რომელზედაც ჩანს, რომ კოლონია შედგენილია ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ჩხირისებრი კორალიტებისაგან. აქ ინდივიდებს შორის ყოველთვის რჩება-

თავისუფალი სივრცე. თითოეულ კორალიტს გრძელი ცილინდრისებრი ფორმა აქვს. ჯამის კიდე ამოშვერილია. სეპტები ჯამში მრავალრიცხოვანი და თითქმის ყველა ერთნაირად თხელი არიან. ცენტრს ორი ციკლის სეპტა აღწევს. სხვადასხვა ციკლის სეპტები განსხვავებული სიგრძის არიან. სეპტების ზედა კიდე ამოშვერილი და დაკბილულია. კორალიტის ცენტრში ჩანს ღრუბლი-სებრი კოლუმელი, რომელიც სეპტათა შიგა კიდეების შეხებით არის შედგენილი. სეპტები გარე კიდეებით ერთმანეთს ეხებიან და ჰქმნიან ფსევდოპიტიფკას. ამ ნიშნუზე მშვენივრად ჩანს კორალიტების გარე მოკაზმულობა; კორალიტები დაფარული არიან ხშირი, პარალელური, წვრილად დახორკლილი წიბოებით. სხვადასხვა კორალიტების წიბოებს თითქმის ერთ დონეზე ჰყვეთენ სარტყლები, რომელთაც აკრავთ ფსევდოპიტიფკური სალტები. გამრავლება გაყოფით წარმოებს—დიქოტომურად.

ჯამების დიამეტრი . . . . .	5 მმ
ოვალური ჯამების დიდი დიამეტრი . . . . .	7—8 "
სეპტების რიცხვი ჯამში . . . . .	60
ფსევდოპიტიფკის სისქე . . . . .	0,3 მმ
2 მმ-ზე . . . . .	6 სეპტოკოსტი.

ეს ფორმა გარეგნული ნიშნებით სავესებით ემთხვევა *Calamophyllia Stokesi* Edw. et Haime-ს. მისგან განირჩევა მხოლოდ სუბპრიზმულა ფორმის კორალიტების უქონლობით. მეზობელ ფორმებიდან ძალიან ჰგავს *Calamophyllia flabellum* Bleinv.-ს, რომლისგან განსხვავდება მხოლოდ ოდნავ უფრო მცირე ზომის დიამეტრის მქონე კორალიტებით. უნდა ითქვას, რომ ამ ფორმის დამოუკიდებლობა საერთოდ საეჭვოა, რადგან მისი გამოყოფის ერთ-ერთი მთავარი საბუთი ფსევდოპიტიფკური სალტები იყო. ამის გამო უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მისი *Calamophyllia flabellum* Bleinv.-თან გაერთიანება. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა გაცილებით მეტი მასალის არსებობას მოითხოვს, ვიდრე ჩემ ხელთ იყო.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ინგლისი, Coral rag.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა. სოფ. ფასრალო, კაჭიანი კირქვები.

Gen. ISASTRAEA Edw. et H.

*Isastraea propinqua* Thurmann

1862. *Isastraea propinqua* Thurmann et Etallon, Leth. Bruntr., p. 392, T. 5, Fig. 13.  
1885. " " Koby, Pol. jur. Suisse, p. 285, pl. 81, Fig. 3, 4, 4a.  
1888. " " Solomko, Die Iura und Kreidekorallen der Krim, S. 172, Taf. IV, Fig. 3, 3a, 3b.  
1900. " " Thurm. var. *kuchensis* Gregory, Jurassic fauna of Cuth, p. 128, pl. XIV, fig. 8.  
1937. " " Мирчинк, Кораллы из юрских отл. окр. Кокт. в Крыму, стр. 70.

მასივური კოლონიის თითქმის ბრტყელ ზედაპირზე საკმაო სიღრმის ჯამე-  
ბია მოთავსებული. ცენტრში მათ ჩაღრმავებული კოლუმელური ფოსოს ნაცვ-  
ლად ოდნავ ამოშვერილი ღრუბლისებრი კოლუმელი აქვთ. ჯამების კიდეები  
არ არიან მკვეთრად მოხაზული და ამის გამო ჯამები არ არიან ერთმანეთი-  
საგან მკვეთრად გამოყოფილი. ჯამებში თხელი ერთნაირი სისქის სებტებია.  
მათი ზედა კიდე ბასრია, ხოლო ლუპაში იგი დაკბილული ჩანს. სებტა მთლია-  
ნია, მის გვერდით სიბრტყეზე ჩანს ტრაბეკულური ხორკლების რიგები, რო-  
მელნიც სებტის ზედა კიდის პარალელურად ლაგდებიან. კოლუმელამდე 18  
სებტა აღწევს. პირველი სამი ციკლის სებტებს, თითქმის თანაბარი სისქე  
აქვთ, ხოლო დანარჩენები გაცილებით მოკლე არიან და სისქეშიაც ჩამორჩე-  
ბიან პირველთ. ამ ნიმუშის სიგრძივ და განივ შლიფებში ჩანან სებტებს შორის  
კარგად განვითარებული ტრავერზები, რომელთაც უფრო ხშირად ჯამის კიდი-  
საკენ ვხვდებით. განივ შლიფში კარგად არის გამოსახული სებტების აღნაგობა.  
აქ გრძელი ოვალური ფორმის ტრაბეკულები სებტაში გარდივარდმო დგანან,  
ხოლო მათ შორის წრიული მოხაზულობის მცირე ზომის თითო ტრაბეკულია  
მოთავსებული. მოგრძო-ოვალურ ტრაბეკულს კალციფიკაციის ცენტრის მაგვა-  
რად უჩანს შუაში გრძელი ხაზი, ხოლო მცირე ზომის ტრაბეკულს მუქი წერ-  
ტილი, რომლის გარშემოც მოთავსებულია რადიალურად განლაგებულ სხივთა  
კონები. განივ შლიფშივე მოჩანს ჯამის ცენტრში მოთავსებული ღრუბლი-  
სებრი ცრუ კოლუმელი, შედგენილი სებტების ბოლოების, ტრავერზების შე-  
ხება-შეერთებით. სებტის სიგრძივი შლიფში გვიჩვენებს მარაოსებრად განლა-  
გებულ ტრაბეკულებს, რომლებშიაც უფრო მუქნი და მძლავრნი მორიგეო-  
ბენ შედარებით ნათელ და თხელ ტრაბეკულებთან. მეზობელ ჯამთა სებტები  
იშვიათად უერთდებიან ერთმანეთს უშუალოდ, უფრო ხშირად ეხებიან კუთხუ-  
რად და ამით ჰქმნიან ფსევდოპიტიეკას. უკანასკნელს აძლიერებს ჯამის ამ  
ნაწილში ტრავერზებისა და დისეპიმენტების სიუხვე.

ჯამის კვეთი . . . . .	5— 8 მმ
სებტების რიცხვი ჯამში . . . . .	27—40
ჯამის ფოსოს სიღრმე . . . . .	2 მმ
კოლუმელის კვეთი . . . . .	1,5—2 მმ
2 მმ-ზე . . . . .	4—5 სებტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ტურმან და ეტალონიის  
შიერ აღწერილი *Isastraea propinqua*-სგან არაფრით განსხვავდება. სამწუხაროდ,  
მათი აღწერა ძალიან მოკლეა. სებტის მიკროალნაგობის შესახებ ისინი არაფერს  
აღნიშნავენ და უნდა დავკმაყოფილდეთ მათი მონაცემით, რომ სებტის გვერდით  
სიბრტყეზე ხორკლების რიგებია. კობი აღნიშნავენ, რომ მას მრავლად აქვს  
ამ სახის ერთიმეორისგან განსხვავებული ნიმუშები და რომ ეს განსხვავება  
დამოკიდებულია გამოფიტვის ხარისხსა და თავისებურებაზე. ამ ნიმუშებს  
თითქმის ისეთივე ზომები ახასიათებთ, როგორც აღწერილ ფორმას. აქვე შეიძ-  
ლება აღვნიშნო, რომ საერთოდ გამოფიტვის ხარისხსა და ქანის შედგენილო-  
ბას დიდი მნიშვნელობა აქვს ნიმუშის გარეგან ფორმისათვის. ეს გარემოება

მზირად ერთი სახის სხვადასხვა ნიმუშებს გარეგნულად იმდენად განსხვავებულად წარმოგვიდგენს, რომ შეიძლება ისინი ერთი შეხედვით ორ სხვადასხვა ფორმად მივიღოთ. სოლომკოს მიერ აღწერილ *Is. propinqua* Thurman-ისაგან აღწერილი ფორმა განსხვავდება მხოლოდ მით, რომ უკანასკნელი მასივურ კოლონიას წარმოადგენს, ხოლო სოლომკოს ნიმუშები ფირფიტისებრ platenartige და scheibenförmige კოლონიებს ჰქმნიან. რასაკვირველია, ეს არ ჩაითვლება დიდ განსხვავებად, რადგან იგი დამოკიდებულია ფაცივის სხვადასხვაობაზე; რაჭაში მარჯნებს რიფზე უხდებოდათ ცხოვრება-განვითარება, ყირიმში კი შლამში. გარდა ამისა სოლომკო აღნიშნავს ჯამის კიდებზე მთლიანი და სქელი კედლის არსებობას—ჩემ მიერ აღწერილ ფორმას კი ფსევდოთეკა აქვს. სოლომკო უარყოფს კოლუმელის არსებობას, მაგრამ მის მიერ მოცემულ ტაბულაზე (69, T. IV, Fig. 3 და 3a) ამ სახის ჯამებში ნათლად ჩანს კოლუმელი, შედგენილი სეპტების შიგა კიდებების შეერთებით. ასე რომ ამ ნიშნით ისინი იდენტური არიან. სამწუხაროდ, არც სოლომკოს და არც კობის არ აქვთ მოცემული სეპტის სტრუქტურის შესახებ ცნობები და ამგვარად მე საშუალება არა მაქვს შევადარო ზემოაღწერილი ნიმუშების სეპტების სტრუქტურა-აღნაგობა უცხოეთის ნიმუშების სეპტებს.

კოლონიაზე ზევიდან დასახლებულან—ღრუბლები და რომელიღაც *Microsolonidae*-ს მცირე ზომის კოლონია.

გავრცელება. ყირიმში, სულაკი და კოკტებელი, კიმერიჯული; შვეიცარია, სექვანური; ინდოეთი, ზედა იურა.

სადაურობა. ხირზონისი, ქორთა.

### *Isastraea helianthoides* Goldfuss

ტაბ. VII, სურ. 1, 1a, 2

1826. *Astrea helianthoides* Goldfuss, Petref. Germ., S. 65, Tab. 22, Fig. 4a.  
 1852. *Astrea helianthoides* Quenstedt. Handbuch der Petref., S. 649, Taf. 57, Fig. 25.  
 1854. *Isastraea Grenoughi* Edwards a. Haime, Brit. foss., cor., p. 91, pl. 17, fig. 2.  
 1864. *Isastraea Thurmanni* Thurmann et Étallon. Lethaea Bruntr., p. 390, pl. 55, fig. 9.  
 1885. " " Koby. Pol. jur. Suisse, p. 272, pars, pl. LXXXIV, Fig. 4.  
 1885. *Isastraea crassa* Koby. Ibid., p. 273, pl. LXXX, Fig. 2.  
 1885. *Isastraea explanata* Koby. Ibid., p. 269, pl. LXXX, Fig. 1, 3, 4, 4a; pl. LXXXI, Fig. 1, 1a, 2.  
 1888. *Isastraea explanata* Solomko, Iura und Kreidekorallen der Klim, S. 167, Taf. IV, Fig. 6.  
 1888. *Isastraea Gremoughi* Solomko, Ib., S. 171, Taf. IV, Fig. 7—7a.  
 1937. *Isastraea explanata* Мирчинк, Кораллы из юрских отл. окр. Кокт. в Крыму, стр. 78.

ამ ფორმის მასივურ კოლონიათა რამდენიმე ნიმუში მაქვს ხელთ. ამათგან მხოლოდ ერთზე ჩანს, რომ კოლონიას უნდა ჰქონოდა გაშლილი კონუსური ფორმა. ზოგი მათგანის კარგად გამოფიტულ ზედაპირზე მკაფიოდ ჩანს ოთხკუთხა და ხშირად ხუთკუთხა მოხაზულობის ღრმა ჯამები, რომელნიც თითქმის თანაბარი ზომის არიან. ზოგი ნიმუშის ჯამებს საკმაოდ მაღალი კიდეები აქვთ (ეს დამოკიდებულია გამოფიტვის ხარისხზე). ჯამები ამ კიდეებით ურთიერთ ეკვრიან და ჰქმნიან შემალღებულ ქედებს; ქედზე მოთავსებულია ფსევდოთეკა, რომლის მეშვეობით ჯამები ერთმანეთს უკავშირდებიან. ფსევდოთეკა შედგენილია მეზობელი ჯამების სეპტათა უთანხმო შეხებით და ტრავერზებით. ზოგი სეპტა, ყოველგვარი უთანხმოების გარეშე, უშუალოდ გადადის ერთი ჯამიდან მეორეში. ჯამებს შუაში აქვს საკმაოდ ღრმა ფოსო, რომლის ცენტრშიაც პირველი ორი ციკლის სეპტები ერთმანეთს გვერდებით ეხებიან და ეს შეხების ადგილი ოდნავ ამოშვერილია. ამოშვერილი ადგილის შუაში არის კოლუმელური ფოსო, რომელშიც ზოგიერთ ჯამს ღრუბლისებრი ფსევდოკოლუმელი აქვს, შედგენილი ტრავერზებისა და სეპტებისაგან. ჯამში სეპტები საკმაოდ სქელი არიან. მათი ზედა კიდე დაკბილულია, ხოლო მათგვერდით კიდეზე განლაგებული არიან მწკრივებად ტრამეკულური ხორკლები-პირველი სამი ციკლის სეპტებს თანაბარი სისქე აქვთ, ხოლო პირველი ორის სიგრძეც თანაბარია. ზოგ ჯამში კოლუმელურ ფოსოს 16 სეპტა აღწევს. ჯამში საერთოდ მოკლე და გრძელი სეპტები ერთმანეთთან მორიგეობენ. შლიფში ჩანს სეპტის აღნაგობა. სეპტა შედგენილია ერთმანეთთან მჭიდროდ მდგარი გრძელი ტრამეკულებისაგან, ისინი სეპტის ზედა კიდის პარალელურ რიგებს ჰქმნიან და ამიტომ მარაოს მსგავსად ლაგდებიან. სიგრძივ კვეთზე სეპტებს შორის ჩანს ამოზურცული ტრავერზები, რომელნიც სეპტის გარე კიდისაკენ უფრო მრავლად და კარგად არიან განვითარებული. ამავე დროს მთელ ჯამში, კველა ინტერსეპტალურ კამერებში ერთდროულად ჩნდებიან თითქო კონცენტრული ხაზები (ნახ. 7). კოლონიებს ჩვეულებრივ ქვედაპირი შერჩენილი არ აქვთ. მხოლოდ ერთზე ჩანს, რომ იგი დაფარულია წიბოებით და იმგვარად, რომ ყოველ ჯამს ქვევიდან ესატყვისება წიბოების მარაოსებრი კონა. გამრავლება კოსტალური დაკვირტვითა და ჯამის წაგრძელებით ანუ გამოყოფით ხდება.



ნახ. 7.

*Isastraea helianthoides*  
Goldfuss-ის კორალიტის  
განივი კვეთი

ჯამის კვეთი . . . . .	5—7—11—12 შმ
ჯამის ფოსოს სიღრმე . . . . .	1—2—4 „
სეპტების რიცხვი ჯამში . . . . .	56—64
2 შმ-ზე . . . . .	4—5 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ამ სახის აღწერა ესატყვისება Goldfuss-ის *Astraea helianthoides*-ის მხოლოდ სურ. 4, 22 ტაბულაზე. რაც შეეხება 4ხ სურათს, როგორც თვით გოლდფუსიც აღნიშნავს, იგი *A. explanata*-ს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის შესახებ კი იგი მკაფიოდ ამბობს, რომ მისი სეპტა დასვრეტილია, სამწუხაროდ, იგი *A. helianthoides*-ის სეპტის აღნაგობის შესახებ არაფერს აღნიშნავს, ხოლო მის მიერ მოცემულ გამობატულებზე (სურ. 4)

ნათლად ჩანს, რომ სეპტას აქვს ტრაბეკულური ხორკლები და რომ მას პორები არა აქვს. უკანასკნელი გარემოების გამო აღწერილი სახე უნდა მიეკუთვნოს *Isastraea*-ს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ *Astrea explanata* გარკვეულად არ არის *Isastraea*, რადგან, როგორც უკვე ზემოთაც ვთქვი, მას პორები აქვს ნათლად გამოხატული, ე. ი. *Astrea explanata* წარმოადგენს *Thamnastraea*-ს.

ჩემი ნიმუშები განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენენ კობის მიერ აღწერილ ამ სახის ეგზემპლარებთან, რომელთაც იგი აკუთვნებს *Is. explanata* Goldfuss-ს. ეს მართებული არ არის, რადგან კობის აღწერაში გარკვეულადაა აღნიშნული, რომ სეპტა მოლიანია და არა პოროვანი. ყირიმის ეგზემპლარებისაგან აღწერილი ფორმა განირჩევა ჯამების მოხაზულობით და მათში ფსევდოკოლუმელის არსებობით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნიმუშები რაჭიდან მასივურ კოლონიებს ჰქმნიან იმ დროს, როდესაც ყირიმის ნიმუშები უმთავრესად ფირფიტისებრი არიან (რაც მხოლოდ მათი განსხვავებულ ფაციესში ზრდაგანვითარებაზე მიუთითებს). ედვარდისა და ჰაიმის მიერ აღწერილ *Is. explanata*-ს ამ სახეს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან იგი სრულიად არა ჰგავს მას. სამწუხაროდ, აქ დასახლებულ ავტორებს არა აქვთ მოცემული ნიმუშების შლიფების აღწერა; განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა სიგრძივი შლიფების გაცნობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმას ვაკუთვნებ გარეგნულად განსხვავებულ ნიმუშებს და ეს განსხვავება, ჩემი აზრით, გამოფიტვაზე და ქანის შემაღგენლობაზეა დამოკიდებული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ყირიმი, ზედა იურა; შვეიცარია, რაურაკლი; ჰაიდენ-ჰაიმი, ზედა იურის კირკვები.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ქორთა, ხირხონისი, ჯოისუბანი, კომანდულა, ლუზიტა-ნიური კირკვები და მათი ნაყარი.

### *Isastraea* aff. *minima* Koby

ტაბ. VIII, სურ. 5

ხელთ მაქვს კოლონიის მოზრდილი ნატეხი. მისი ზედაპირი ოდნავ ამობურცულია (თითქმის ბრტყელი). რთული, შედგენილი ჯამები მოკლე ღარებსა ჰქმნიან. ღარებს შორის საკმაოდ მახვილი ქედებია მოთავსებული. ზოგი ჯამი ზშირად ცალკეც არის გამოყოფილი. ერთი ღარის სეპტები მეორეში გადადიან და შუაში ამალეხულ ქედებს ჰქმნიან. ქედები ოდნავ დაგრებილი არიან. ქედზე სეპტები ერთმანეთთან მეტად მკიდროდ არიან მიჯრილი. აქ, ქედზე ჩანს, რომ სეპტები უშუალოდ კი არ გადმოდიან მეზობელ ღარებში, არამედ ერთმანეთს იმგვარად ეხებიან, რომ ქედის ერთ მხარეს პირველი ციკლის სეპტაა, ხოლო მის მეორე მხარეს მას მიაწყდება უფრო ახალგაზრდა ციკლის სეპტა (ნახ. 8). პირველი ციკლის სეპტები ჯამში ცენტრს აღწევენ. იმ ღარში, სადაც რამდენიმე ჯამია, რომელნიც ჰქმნიან რთულ შედგენილ ჯამებს, ცალკეული ჯამების ფოსოები მკვეთ-



ნახ. 8.

*Isastraea* aff. *minima*  
Koby-ს ქედზე სეპტების  
განლაგება

რად არ გამოიყოფიან, ხოლო ცალკე ჯამში მისი ცენტრული ფოსო მკვეთრად არის გამოხატული. ჯამებს კოლუმელი არ აქვთ. შლიფში ზოგან ჩანს ფსევდო-კოლუმელი, რომელიც შედგენილია ჯამის ცენტრში სეპტების შეხებით; სეპტები აქ მთლიანი არიან და ტრავერზები კარგად არიან განვითარებული. ქვედაპირი ნიმუშს დაცული არ აქვს.

- მანძილი ჯამის ცენტრებს შორის ღარში . . . . . 2—3,5 მმ
- მანძილი მეზობელ ქედებს შორის . . . . . 2,5—3,4 „
- ქედის ბაზისის სიფართო . . . . . 2—2,5 „
- ქედის სიმაღლე . . . . . 1,5 „
- ქედის 1 მმ-ზე . . . . . 3 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა ძალიან ჰგავს *Latimeandra minima* Koby-ს, მაგრამ მისგან განირჩევა ქედზე სეპტების ნაკლებ მჭიდრო განლაგებით (*L. minima*-ს 5 მმ-ზე 22—24 სეპტა აქვს, ხოლო აღწერილს კი 5 მმ-ზე—15) და ჯამის მცირე ზომით; ქედებს შორის მანძილი აქ უფრო მცირეა. გარდა ამ განსხვავებისა უნდა აღინიშნოს, რომ სეპტა აღწერილ ფორმას მთლიანი აქვს; იგი ისეთია, როგორც ეს *Isastruidae*-ებს ახასიათებთ. კობის სახე ოგილვისა ც *Isastraea minima*-ს სინონიმიში აქვს მოთავსებული. ოგილვის საშუალება ჰქონდა კობის ნიმუშების გაცნობისა და უთუოდ მათი მიკროსკოპული შესწავლის შედეგად კობის *Latimeandra* მიაკუთვნა სრულიად სხვა ოჯახის გვარს, სახელდობრ *Isastraea*-ს.

გავრცელება. ტიპი აღწერილია შვეიცარიის რაურაკულიდან. სადაურობა. ქორთა, მასიური კირქვები.

*Isastraea favosiformis* sp. nov.

ტაბ. VII, სურ. 6

ხელთ მაქვს დიდი კოლონიის მოზრდილი ნატეხი. მისი ზედაპირი ოღრო-ჩოღროა. მასზე განლაგებულია მრავალრიცხოვანი პოლიგონური მოხაზულობის ჯამები. კორალიტები საკმაოდ გამოფიტულან, რის გამო კოლონიას სარაჯისებრი სახე მიუღია. ყველა ჯამებს თითქმის თანაბარი ზომა აქვთ. ჯამის კიდე საკმაოდ ამოშვერილი და ბასრია. ჯამს შუაში ღრმა ფოსო აქვს. გამოფიტვის გამო ჯამებში სეპტები არ ჩანან, მხოლოდ რამდენიმე კორალიტზე შეიძლება სეპტების თვალით შემჩნევა. ამ ნიმუშის შესახებ მეტის თქმა არ შეიძლება, მხოლოდ მისი გამოფიტვის შემდეგ შლიფში გამოჩნდა, რომ მეზობელი კორალიტების სეპტები ერთმანეთს უშუალოდ არ უერთდებიან. ჯამებს შორის არის ფსევდოთეკა, შედგენილი სეპტებით იმგვარად, რომ, სადაც ერთი ჯამის პირველი ციკლის სეპტებია, მის საპირდაპიროდ მეორე ჯამში ინტერსეპტალური არეა, აქვე ჩანან ტრავერზები და მეორე ციკლის სეპტები. ამგვარად, ეს ფსევდოთეკა შედგენილია მეზობელი კორალიტების სეპტების ერთმანეთთან კუთხურად მიწყდომით, ტრავერზებისა და დისკემენტების შეხება-შეზრდით. ჯამში სეპტების ექვსი სრული ციკლია, ხოლო ხშირად—3 (ეს დამოკიდებულია ჯამის ასაკზე). ახალგაზრდა ჯამებში ცენტრს მხოლოდ პირველი ციკლის სეპტები აღწევენ, ხოლო მოზრდილ ჯამებში მეორე ციკლის




სებტებიც აღწევენ ცენტრს. ყველა ეს სებტები კედელთან თითქმის თანაბარი სისქის არიან და ცენტრისაკენ ვიწროვდებიან. კორალიტების უმრავლესობას ცენტრში აქვს ღრუბლოვანი ფსევდოკოლუმელა, რომელიც შედგენილია პირველი ორი ციკლის სებტების შეხებით. სებტების სიგრძივ შლიდში ჩანს მთლიანი სებტა და ზოგჯერ ტრაპეკულური აღნაგობა. ამ ფორმაზე კარგად შეიძლება გამრავლების მოვლენის შესწავლა. აქ მოპირდაპირე სებტები შეერთების შედეგად ხდება ჯამის გაყოფა-გადაკვეთა. დედა-ინდივიდი ამგვარად გამრავლების დროს სწყვეტს თავის არსებობას და მის ნაცვლად შვილი-კვირტები განაგრძობენ ზრდა-განვითარებას. ამ შემთხვევაში გაყოფა ძნელი-გასარჩევია დაკვირტვისაგან, თუმცა ჯამი გაიყოფა სებტის საშუალებით (პალეოზოური მარჯნების სპეციალისტები, რუსი მეცნიერები ამგვარად გაყოფას დაკვირტვის სახესხვაობად სთვლიან და უწოდებენ—Отшиуровка почек).

საინტერესოა თითოეული ჯამის განვითარების თვალის ვადენებზე. ამ მიზნით აღწერილი ნიმუშის სერიული შლიდების დამზადება ვერ მოხერხდა (ნიმუშის მსხვრევალობის გამო). ამიტომ მომიხდა გაშლიდებისა ჩანახაზების გაკეთება (ნახ. 9).

I კვეთზე ჯამი წარმოადგენს დასრულებულ ინდივიდს, II-ზე იგი უფრო დიდია და მისი ორი ერთმანეთის მოპირდაპირე სებტა მძლავრად არის განვითარებული, III კვეთზე ორი სებტა შეერთებულია. მაგრამ ჯამები მკვეთრად არ არიან გამოცალკევებული დედა-ინდივიდის ფარგლებიდან, IV კვეთზე ორივე ჯამი მკვეთრად გამოცალკევებული და დასრულებული არიან, ე. ი. I კვეთის თითოეული ჯამის მდგომარეობას იმეორებენ, V კვეთზე მარცხენა ჯამს უნვითარდება ორი ერთმანეთის მოპირდაპირე სებტა, ხოლო მარჯვენას სამი, VI კვეთზე სებტები ერთდებიან და ამგვარად ამ მონაკვეთზე გამოჰყოფენ ხუთ ჯამს, VII კვეთზე ამ ხუთივე ჯამს უჩნდებათ კვირტების ჩანახაზები.

სებტების რიცხვი . . . . .	24—40
ჯამების კვეთი . . . . .	2,5—4 მმ
ჯამების სიღრმე . . . . .	1,5—2 „
2 მმ-ზე . . . . .	6—7 სებტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა ახლოს დგას *Isastraea Gourdani* From.-თან, მაგრამ მისგან განსხვავდება ჯამში სებტების შედარებით დიდი რიცხვით (24—28-ის ნაცვლად 24—40) და ფსევდოთეკით, რომელიც შედგენილია მეზობელი ჯამების სებტების ერთმანეთზე მიწყდომით და მორიგეობით. იგი აგრეთვე ძალიან ჰგავს *Microphyllia undans* Etallon-ს (= *Isastraea*), რომლისგანაც განსხვავდება შედგენილი ჯამების უქონლობით. ეტალონის სახეს მენადრული ჯამები 2—3 ჯამი-



ნახ. 9.  
*Isastraea favosiformis*  
sp. nov-ს ონტოგენე-  
ტური განვითარება

საგან აქვს შედგენილი. აქ კი, თუ შევხედებით შედგენილ ჯამს, ის მეანდრული კი არა, არამედ ჯგუფური იქნება, ჯამის შიგნით ახალი ჯამების გამოყოფის დასაწყისს წარმოადგენს და, როგორც აღწერაში იყო აღნიშნული, თითოეული ჯამი გაყოფისთანავე გამოცალკევდება. აღწერილი ფორმა ჰაბიტუსით ძალიან ემსგავსება ბათურ *Isastr. serialis* Edw. et Haime-ს, მაგრამ მისგანაც საკმაოდ განსხვავდება. ედვარდსის და ჰაიმის ფორმას უფრო დიდი ჯამები აქვს (4—8 მმ) და სეპტების რიცხვიც დიდია (50—70). ხსენებული სახეების აღწერებთან არ არის მოცემული შლიფის აღწერილობა და არც საშუალება მაქვს ჩემი ნიმუშები შევადარო უცხოურ ეგზემპლარებს, მაგრამ მათი ზომების განსხვავება საკმაოდ საბუნს იძლევა იმისათვის, რომ ისინი ახალ სახედ გამოვეყო.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. სოფ. ხირხონისი, უდოს ძირში, ნაყარი და მასივური ლუზიტანიური კირქვები.

## Gen. MEANDRAREA Etallon

### *Meandrea Gresslyi* Etallon

ტაბ. VII, სურ. 3

1864. *Meandrea Gresslyi* Thurmann et Etallon, Leth. Bruntr., p. 407, pl. 5, fig. 11,

1888. *Meandrea Gresslyi* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 408, pl. CIX, fig. 1, 2, 3.

ამ კოლონიის საერთო ფორმის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან მისი მხოლოდ ნატეხი მაქვს ხელთ. ზედაპირი მას თითქმის ჰორიზონტული უნდა ჰქონოდა. ჯამები რიგებად არიან დალაგებული ღარებში. ჟუანასკენელი ღრმა და ვიწრო არიან. ამიტომ ღარებს შორის საკმაოდ მაღალი ქედები იქმნება; სეპტები სქელი და უხეში აქვს. სეპტებს ზედა კიდე დაკბილული აქვთ და ისინი ერთ მანეთთან საკმაოდ მიჯრილი არიან. ერთი ღარის ჯამის სეპტა მეზობელ ღარის ჯამში უშუალოდ გადადის. იგი შუაში, ე. ი. ქედზე საკმაოდ ამალღებულა. ერთ ღარში არსებული მეზობელი ჯამის სეპტები ერთმანეთში ყოველგვარი ამალღების გარეშე გადადიან და უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასვლაში სეპტების ძალზე მცირე რიცხვი ღებულობს მონაწილეობას; ეს იმიტომ, რომ ჯამში სეპტები უმთავრესად ორ კონად არიან დალაგებული. ღარებისა და ქედების მწკრივები ზოგან ილუნებიან და იკლანებიან, თუმცა ისინი უწყვეტი ირ არიან. ქედებზე კარგად ჩანს მსხვილი და წერილი სეპტების მორიგეობა; ამასთან მსხვილი სეპტები უფრო ამოშვერილი არიან, ვიდრე წერილები. აქ, ე. ი. ქედზე, სეპტები უკლებლივ ყველა ერთმანეთის პარალელურია, ხოლო ღარებში ხდება მათი მიმართულების შეცვლა და ისინი არა მკაფიოდ გამოხატული ჯამების ცენტრებისაგან გადახრილი არიან. სეპტებს შორის კარგად ჩანს ფსევდოსინაპტიკულები, რომლებიც სეპტის ზედაპირზე (გვერდითი სიბრტყეზე) თრბულ ხორკლების რიგებად არიან დალაგებული. ხშირად ეს ხორკლები რიგში გაერთიანებული არიან და ზიგზაგებს ჰქმნიან (დისემპინტების მაგვარად).

ეს ხორკლები ტრაბეკულების გამონაზრდებს წარმოადგენენ, ტრაბეკულური ნასვრეტები არ არის, რადგან ტრაბეკულები ერთმანეთთან მიჯრილა არიან. ტრაბეკულური ხორკლები სექტების ზედა კიდის პარალელურად ლაგდებიან. ერთი სექტის ტრაბეკულური ხორკლები მეორისას კი არ ეხებიან, არამედ მათთან მორიგეობენ. ეს ნიმუში გაკაჟებულია.

მანძილი ღარებს შორის . . . . .	3,5—6 მმ
მანძილი ღარში ჯამებს შორის . . . . .	3,5—5,5 მმ
სექტების რიცხვი ჯამებში . . . . .	21, 23, 28
ქედის ფუძის სიფართე . . . . .	6 მმ
ქედის სიმაღლე . . . . .	3 მმ
ქედის 2 მმ-ზე . . . . .	6 სექტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. გარეგნობით ამ გვარის ფორმები ჰგვანან *Comoseris*-ებს, მაგრამ მათგან სექტების აღნაგობით განსხვავდებიან. უკანასკნელთ სექტა თითქმის მთლიანად დასვრეტილი აქვთ, ხოლო აღწერილი გვარის წარმომადგენლების სექტა მთლიანია—დაუსვრეტელი. კობი აღნიშნავს, რომ *Meandreaea* ეებს ტრაბეკულები სექტის კიდის პარალელურად აქვთ განლაგებული, ხოლო *Comoseris*-ებს სექტის ზედა კიდის მიმართ ჰორიზონტულად. აღწერილი ფორმა მე მიმაჩნია *Meandreaea Gresslyi* Et.-ის იდენტურად, რადგან მის ტრაბეკულური ხორკლები ისევე აქვს განლაგებული სექტის გვერდით სიბრტყეზე, როგორც ეს ეტალონს აქვს აღნიშნული. დანარჩენი ნიშნებითაც აღწერილი ფორმა სრულიად ემთხვევა ეტალონის სახეს. ახლობელ ფორმებიდან აღწერილი სახე ჰგავს *Meandr. tuberosa* Et.-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან ჯამთა რიგების სიგრძით, ხოლო ჯამები ერთმანეთს არ გამოეყოფიან იმდენად მკვეთრად, როგორც ეს *M. tuberosa* Etallon-ს ჩვევია. უკანასკნელს ღარებსშორის მანძილიც უფრო დიდი აქვს. *Meandreaea laminata* Ogilvie-საგან განირჩევა ჯამში სექტების ნაკლები რიცხვითა და სექტათა ნაკლები სიხშირით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. შვეიცარია, რაურაკული.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ფასრალო, კაჟიანი კირქვები.

### *Meandreaea* (?) *korthensis* sp. nov.

ტაბ. VII, სურ. 4, 4a, 4b

მარჯნის მასიფური კოლონიის ნატეხი რთული—მეანდრული ჯამებისაგან არის შედგენილი. მისი სიმაღლე საკმაოდ დიდია. ზედაპირზე ემჩნევა ქედების 4 მწკრივი. ქედებს შორის საკმაოდ ღრმა ღარებია. ამ ღარებში ჯამების განლაგების შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან ნიმუში ნაწილობრივ გამოფიტულია და ჯამები კარგად არ ჩანან. სამაგიეროდ შლიფში კარგად ჩანს აღნაგობა. ჯამებს კედელი არ აქვს, მათში სექტები უმთავრესად ორ კონად ლაგდებიან; ჯამები მწკრივში საკმაოდ ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან დალაგებული; მწკრივებს შორის დიდი მანძილია; სექტები სქელი და ტლანქი აქვს; ქედებზე სქელი და თხელი სექტების მორიგეობა ჩანს. ჯამის

ცენტრს მხოლოდ პირველი ორი ციკლის სეპტები აღწევენ (მეორე არა სრული ციკლია) და აქ ზოგჯერ ფსევდოკოლუმებს ჰქმნიან. ძირითადად კი კოლუმელი არ არის. ცენტრს 10—8 სეპტა აღწევს. უკანასკნელი ციკლის სეპტებს ბოლოები არ აქვთ წაწვრილებული. ჯამთა მწკრივებს შორის, სეპტოკოსტებზე



ნახ. 10

*Meandrea (?) korthensis* Sp. nov.-ს სეპტების სიგრძივ კვეთზე ჩანს მიჯრილი ტრაბეკულები

სრულიად არ ემჩნევა რაიმე გადატეხის ან ნაწიბურის ნიშანი. ღერძებში ჯამთა შემაერთებელი ორი ან სამი სეპტაა. სეპტებს შორის ჩანან დისებიმენტები. სიგრძივ კრილზე სეპტა ტრაბეკულური აღნაგობისაა. ტრაბეკულები ზედა კიდის პარალელურად ლაგდებიან და მიჯრილი არიან ისევე, როგორც *Isastraea*-ს [50] და *Montlivaultia*-ებს ჩვევიათ. მეზობელი ჯამების შეხების ადგილებში სიგრძივ კრილში სეპტებს ემჩნევა ნაწიბურისებრი წარმონაქმნები. ამ ადგილას შლიფში ჩანს, რომ მეზობელ ჯამთა სეპტების ტრაბეკულები ერთმანეთს ეხლებიან და გარკვეული კუთხით უერთდებიან (ნახ. 10). სიგრძივსავე კრილზე სეპტებს შორის კარგად ჩანს ამობურცული ტრავერზები და დისებიმენტები. კოლონიის ქვედაპირზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან იგი დაცული არ არის.

მანძილი ჯამთა მწკრივებს შორის . . . . .	9—10 მმ
მანძილი ღარში ჯამებს შორის . . . . .	5—6—8 „
სეპტების რიცხვი ჯამებში . . . . .	28
სეპტების სისქე . . . . .	0,4—0,3 მმ
ქედზე 5 მმ-ზე . . . . .	4—5 სეპტაკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. ამ შენდრულ ფორმას ვერ მივაკუთვნებ *Latimeandra*-ს, რადგან ამის წარმომადგენლებს სეპტა დასვრეტილი უნდა ჰქონდეთ, ხოლო აღწერილს სეპტა მთლიანი აქვს. იგი არც ნაწილობრივ არის დასვრეტილი. ეს ფორმა *Meandrea Gresslyi* Etallon-ის ჰგავს და, როგორც ჩანს, მისი თანამოგვარე უნდა იყოს. გვარი *Meandrea* ეტალონის მიერ არის გამოყოფილი. თითქმის მასთან ერთდროულად ფრომენტელმა გამოჰყო გვარი *Latimeandrea*. უკანასკნელი მე სინონიმად მიმაჩნია, რადგან მარტო ეტალონის მიერ შრომაში (მართალია, მხოლოდ სურათზე) არის აღნიშნული, რომ ამ გვარში სეპტა მთლიანია ([51] ტაბ. 57, სურ. 11). სამწუხაროდ, ამ სახის შლიფის აღწერას არც ერთი ავტორი არ იძლევა. მეზობელ ფორმათაგან იგი ყველაზე უფრო ჰგავს *Meandrea Gresslyi* Et.-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან როგორც უფრო ფართო ქედებით, ისე ჯამების დიდი ზომით, ღართა სივიწროვით და აგრეთვე ქედებზე სეპტოკოსტათა ნაკლები სიმჭიდროვით (5 მმ-ზე 15 სეპტოკოსტია, აღწერილში—კი 4 და 5). ამ ნიშნით და აგრეთვე სეპტათა განსაკუთრებული სისქით (0,4 მმ) ყველა დანარჩენ *Meandrea*-თაგან იგი მკვეთრად განიჩნევა. აღსანიშნავია, რომ აღწერილი ფორმის შლიფი ძალიან ჰგავს კარაკაშის მიერ დასურათებულ ცარცულ *Apragmstraea superficialis* Eichw.-ის შლიფს, მაგრამ თვით ნიმუშის აღწერისა და სურათის განხილვის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ იგი არ შეიცავს გრძელ ჯამთა ღარებს. აქ ღარში

სულ დიდი 3 ჯამს თუ ვნახავთ, უფრო ხშირია წრიული ფორმის ცალკე ჯამები. აღწერილს კი მხოლოდ რთული შედგენილი ჯამები აქვს (ხშირად 5 ჯამია შეერთებული). გარდა ამისა, განსხვავება ჯამების დიამეტრის და სექტათა სიხშირეშიც ჩანს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ხირზონისი და ქორთა, ლუხიტანური კირქვები და მათი ნაყარი.

Ordo **FUNGIA**

Fam. **TAMNASTRAEIDAE** Greg.

Gen. **LEPTOPHYLLIA** Reuss

**Leptophyllia fungina** Solomko

1888. *Leptophyllia fungina* Solomko, Die Iura und Kreidekorallen der Krim, S. 199, Taf. VII, Fig. 6.

1899. *Leptophyllia fungina* Missuna, Die Iura Korallen von Sudagh, S. 207, Taf. IV, Fig. 13—14.

საკმაოდ მცირე ზომის ცალკე მარჯანს ფიალისებრი ფორმა აქვს. იგი დაბალია, კორალიტს ოდნავ მოღუნული და წრიული კვეთის ფეხი აქვს. მისი ზედაპირი მცირედ ჩაზნექილია. უსწორმასწორო ოთხკუთხა მოხაზულობის ჯამს ბასრი კიდე აქვს. ჯამში სექტები სწორხაზოვანი არიან. ისინი რადიალურად ლაგდებიან და ერთმანეთთან მიჯრილი არიან. მათი ზედა კიდე მკვეთრად დაკბილულია. ვინაიდან ამ სახის მხოლოდ ერთი ნიმუში მაქვს, მე იგი არ გავკვეთე და ამიტომ სექტის შინაგან აღნაგობაზე ვერაფერს ვიტყვი. კორალიტის ქვედაპირი მთლიანად უნდა იყოს წიბოებით დაფარული, მაგრამ ნიმუშზე იგი კარგად არ ჩანს. ამ კორალიტს გვერდიდან ღრუბელი მოჰკიდებია.

მარჯნის სიმაღლე . . . . .	12 მმ
ჯამის დიამეტრი . . . . .	14 "
სექტების რიცხვი ჯამში . . . . .	80
2 მმ-ზე . . . . .	5 სექტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. სექტების გარეგანი აღნაგობით იგი ნამდვილად *Thamnastraeidae*-ბის წარმომადგენელი არის. ჯამის აგებულებით ეს ნიმუში ყველაზე მეტად უახლოვდება ყირიმიდან აღწერილ ფორმას *Leptophyllia fungina* Solomko-ს, რომლისგან განსხვავდება მხოლოდ სექტების თანაბარი ზომით, რაც, ცხადია, მას იმავე სახის ფარგლებში სტოვებს. მეორეს მხრივ აღსანიშნავია, რომ მის სუსუნას მიერ აღწერილ ნიმუშებისაგან იგი განსხვავდება მხოლოდ სექტების სიმრავლით და ქვედაპირით, რომელიც ამ ავტორის ნიმუშს არათანაბარი სისქის წიბოებით აქვს დაფარული. აღწერილ ფორმას მეზობელ სახეებისაგან სოლომკო აღარებს *Leptophylliaplana* Eichw.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილი *Montlivaultia* არის. მისი სექტების სტრუქტურა მოგვაგონებს *Montlivaultia Nattheimensis* Milasch.-ის სექტის სტრუქტურას. აღწერილი

ფორმისაგან *L. plana* Eichw. განირჩევა სეპტების განწყობითა და მათი არათანაბარი ზომით. სხვა *Leptophyllia*-თაგან ეს სახე მკვეთრად განირჩევა ფორმითა და ჰაბიტუსით.

გავრცელება. ყირიმი სუდაგი, სექვანური.

სადაურობა. ფსორ-ბაჯიხევის სერი, ქვიშიანი კირქვები.

Gen. THAMNASTRAEA Les.

*Thamnastraea* sp. A.

ტაბ. VII, სურ. 4, 4a

კოლონიის მოზრდილი ნატეხი თითქმის მთლიანად არის დაცული. კოლონია სოკოსებრია, ზედაპირი ამობურცული აქვს; მისი კიდეები გადმოფენილია; ქვედაპირიც ქვევიდან შეზნექილია; აქ ცენტრში მას ვიწრო ფეხი ჰქონია, რომლის მხოლოდ ნაწილი-ლა არის შერჩენილი, საწყისი კი მომტვრეულია. ზედაპირზე ჯამებს რაიმე წესიერი განლაგება არ ემჩნევათ. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ პერიფერიული ჯამები, ცენტრულ ჯამებთან შედარებით მცირე ზომის არიან. ჯამების სეპტები ერთმანეთს ყველა როდი უერთდებიან დაუბრკოლებრივ. აქ ჯამიდან ჯამში უშუალოდ გადადის მხოლოდ პირველი, ციკლის სეპტა და ამით ჯამში მკაფიოდ გამოიყოფა სეპტების კონა. მეზობელი ჯამების დანარჩენი სეპტები ერთმანეთს აწყდებიან. ზედაპირზე ეს მიწყდომა არ იძლევა რაიმე ამოზნექვას (იგი გამოირჩევა სეპტების შეხების ადგილზე მიმართულების შეცვლით ანუ გადატეხით). სეპტები თხელი და ნაზი არიან; მათი ზედა კიდე დაბორკილია. სეპტებს შორის ძალიან კარგად არის განვითარებული დისეპიმენტები და სინაპტიკულები. ჯამებს შუაში წრიული მოხაზულობის ფოსო აქვთ, რომლის ცენტრშიც მცირე ზომის ამოშვერილობის სახით ჩანს კოლუმელა. ქვევიდან კოლონია დაფარულია რადიალური წიბოებით, მხოლოდ ამ წიბოებს ემჩნევათ ზრდის შეჩერების პერიოდები, რომლებიც წიბოებზე აღნიშნულან კონცენტრიული ნაოჭებით.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	15	მმ
"   დიამეტრი . . . . .	38	"
ჯამების დიამეტრი . . . . .	8—12	"
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	6—8—12	"
სეპტების რიცხვი ჯამში . . . . .	46—60	
2 მმ-ზე . . . . .	6 სეპტოკოსტური სხივი.	

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა თავისი ელემენტების მიხედვით ნამდვილად *Thamnastraea*-ს უნდა ეკუთვნოდეს. ამ გვარის ყველა წარმომადგენლებისაგან აღწერილი ფორმა იმდენად განსხვავებულია ჯამების აღნაგობითა და განლაგებით, რომ თითქოს შესაძლებელი იყო მისი ახალ სახედ გამოყოფა, მაგრამ მე ამისგან თავს ვიკავებ მასალის უკმარობის გამო.

სადაურობა. ჩორდულა; ნაყარი.

*Thamnastraea racemosa* sp. nov.

ტაბ. IX, სურ. 1, 1a

ჩემი კოლექციის ნიმუში წარმოადგენს მარჯნული კოლონიის ცენტრულ ნაწილს, რომელსაც ამობურცული და ოდროოროზო ზედაპირი აქვს. ქვედაპირი გაშლილ-კონუსურია. აქ ჩანს ფეხის ფუძე. ჯამები ზედაპირზე არ ჩანან (ნიმუში ნაწილობრივ გაპირიტებულია) და მხოლოდ მისი გაშლიფვის შემდეგ შეიძლება კორალიტების შემჩნევა. კორალიტებს, ეტყობა, წრიული მოხაზულობა ჰქონდათ; კოლუმელი არ აქვთ. მეზობელი ჯამების სეპტები ერთმანეთს ზოგი პირდაპირ უერთდებიან, ზოგი კი გარკვეული კუთხით უკავშირდებიან. ერთი ჯამის პირველი ციკლის სეპტები ზოგჯერ მეორე ჯამის ბოლო ან მომდევნო ციკლის სეპტებს უერთდებიან. პირველი ციკლის სეპტები ბევრად არ განსხვავდებიან დანარჩენებისაგან; ჯამში სეპტების 6 კონა გამოირჩევა. განივ შლიფზე ჯამის ცენტრთან აქა-იქ სეპტებს შორის ჩანს სინაპტიკულები. კოლონიის სიგრძივი შლიფის ერთ მხარეს, სადაც სეპტაც სიგრძივად არის გაკვეთილი, ჩანს მისი ტრაბეკულური აღნაგობა. ტრაბეკულები აქ საკმაოდ მჭიდროდ არიან დალაგებული. ისინი სეპტების ზედა კიდის პერპენდიკულარულად დგანან და ოდნავ დაქანებულ, თითქმის ჰორიზონტულ რიგებს შეადგენენ. სეპტებს შორის ნათლად ჩანს ამობურცული ტრავერზები, რომელნიც აქ თითქო ბუშტოვან ქსოვილს წარმოშობენ. ყველაზე უფრო საინტერესო და თავისებურია ნიმუშის ქვედაპირი. ფეხის ქვედა ნაწილი, რომელიც ნიმუშზე კარგად არის დაცული, დაფარულია თხელი, აპკისებრი ფსევდოეპითეკით; კონუსის შემდეგი ნაწილი მთლიანად რადიალური წიბოებით არის დაფარული. წიბოების წყობა უჩვეულოა. წიბოები დალაგებული არიან მარაოსებ-რადიალურად. თითოეული მარაო ამობურცულია, ხოლო მეზობელ მარაოებს შორის საკმაოდ ღრმა ღარი რჩება. აღსანიშნავია აგრეთვე ამ მარაოების ერთდროული ზრდა-განვითარება: იქ, სადაც ერთი მარაოს ბოლოა, მას რადიუსის მიმართულებით ებმის ორი ან სამი მარაო. გადაბმის ეს ადგილები კოლონიის ირგვლივ ყველგან ერთდროულად აღინიშნებიან კონცენტრული გამოშვერილობისა და ღარის სახით. ამ კოლონიის სიგრძივად გაკვეთის შემდეგ გამოირკვა: 1) ეპითეკა, რომელიც კოლონიის საწყისს აქვს გადაკრული, წარმოქმნილია ტრავერზებისაგან და ამიტომ ფსევდოეპითეკას წარმოადგენს; 2) საწყისი დედაჯამი იკვირება და იძლევა თავის გარშემო რამდენიმე ჯამს. ახალი ჯამებიც ამგვარადვე იკვირებიან და ამიტომაც გარედან ჯამებს შეესატყვისებიან მარაოები. მარაოებზე ჩანს თხელი და სქელი წიბოების მორიგეობა; სქელი წიბოები თხელებთან შედარებით გამოშვერილი არიან.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	37 მმ
კოლონიის დიამეტრი . . . . .	96 "
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	8—10 "
სეპტების რიცხვი კორალიტებში . . . . .	39—48
2 მმ-ზე . . . . .	5 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ნიმუში სეპტების აღნაგობით, კოლონიის ჯამების აგებულება-შენებისა და საერთო ჰაბიტუსის მიხედვით უდავოდ *Thamnastraea*-ს წარმომადგენელია, რომელიც ამ გვარის ყველა აღწერილი სახეებისაგან სხვა ნიშნების გარდა ქვედაპირის მკვეთრი თავისებურებით მკაფიოდ განსხვავდება. ეს ქვედაპირი მეტად საინტერესოა, რადგან მასზე ჩანს თითოეული პერიფერიული კორალიტის შესატყვისი წიბოების დაჯგუფება, რაც საერთოდ ასე მკვეთრად გამოხატული მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უკვე ესეც საკმაო საბუთია, რათა ეს ფორმა ახალ სახედ გამოიყოს.

სადაურობა. ფსორ-ბაჯიხევის სერი.

*Thamnastraea* sp. B.

ტაბ. IX, სურ. 6, 6a

ხელთ მაქვს კოლონია, რომელსაც ეტყობა სოკოს ან, უკეთ რომ ვთქვათ, მეტად გაშლილი ძაბრის ფორმა ჰქონია. ფეხი არ შერჩენია, მაგრამ მისი ნაშთი კარგად ჩანს. კოლონიას ბრტყელი ზედაპირი აქვს. მაზედ განლაგებულ ჯამებს გარკვეული ფორმა არ აქვთ. თითქმის ყველას შუაში აქვს ღრმა ფოსო, რომელშიც კოლუმელი არ არის. ჯამში სეპტებს რადიალური განლაგება აქვთ, ზოგი მათგანი მეტად კლაკნილია. მეზობელი ჯამების სეპტები ერთმანეთს უშუალოდ არ უერთდებიან, არამედ ერთის სეპტები მეორისას კუთხურად ეხებიან და ამით თითქოს კედლს მსგავს ფსევდოთეკას ჰქმნიან. საკმაოდ თხელ სეპტებს ნაზი აღნაგობა აქვთ. შლიფში მკვეთრად ჩანს მათი ტრაბეკულური ნაშენობა. სიგრძივ შლიფში ტრაბეკულები სეპტის ზედა კიდის პერპენდიკულარულად დგანან და ერთმანეთთან მიჯრილი არიან; სეპტის ზედა კიდე დაკბილულია. სეპტის შიგა კიდისაკენ, სადაც ჯამის უღრმესი ნაწილია, ტრაბეკულები უფრო დაქანებული და ერთმანეთისაგან უფრო დაშორებულიც არიან. სეპტის შიგა კიდისაკენ თითქო ტრაბეკულებს შორის პორებიც ჩნდებიან; სიგრძივ შლიფშივე აქა-იქ სეპტებს შორის ტრავერზებიც ჩანს. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია ოდნავ დაკბილული წიბოებით; აქა-იქ ჩანს თხელი ძაფისებრი ფსევდოთეკაც, რომელიც გარშემო ერტყმის კოლონიას კონცენტრულ რგოლებად. ისინი შედგენილი არიან დისეპიმენტებით. ქვედაპირზე წიბოებს ნათლად ემჩნევა მარაოსებრი განლაგების ტენდენცია.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	45	მმ
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	10—18	"
სეპტების რიცხვი ჯამებში . . . . .	52—68—84	
2 მმ-ზე . . . . .	5	სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა თავისი ჯამების დიდი ზომით ყველა *Thamnastraea*-საგან მკვეთრად განირჩევა. აგრეთვე ასხვავებს მას დანარჩენებისაგან თავისებური ქვედაპირი, მაგრამ მასალის სიმკირის გამო და იმის გამო, რომ ნიმუში არაა კარგად დაცული თავს ვიკავენ მისი ახალ ფორმად გამოყოფისაგან.

სადაურობა. ფსორ-ბაჯიხევის სერი, მარჯნიან ქვიშაქვების ნაყარი.



*Thamnastraea concina* Goldfuss

1826. *Astrea concina* Goldfuss, Petrefacta Germ., T. I, S. 60, Tab. 22, Fig. 1.  
 1852. *Astrea gracilis* Quenstedt, Handbuch der Petrefact., S. 650, Taf. 58, Fig. 6.  
 1854. *Thamnastraea concina* Edwards a. Haime, Brit. foss. cor., p. 100, pl. 28, fig. 3.  
 1857. *Thamnastraea concina* Edwards a. Haime, Hist. Nat. des coralliaires. T. 2, p. 577.

ქაჭისებურად გაზრდილ კოლონიას გაშლილ-კონუსური ქვედაპირი აქვს. ზედაპირზე სამი მოზრდილი და ერთი მომცრო ბორცვია, რომლებზედაც განლაგებული არიან თანაბარი ზომის, პატარა, ოდნავ ჩაღრმავებული ჯამები. მათ ცენტრში აქვთ ფოსო, რომელშიაც ჩანს კოლუმელი. მეზობელი ჯამების სებტები ზოგი უშუალოდ ერთდებიან, ხოლო მათი უმეტესობა ერთმანეთს კუთხურად აწყდება და შეხების ადგილზე ჰქმნის ფსევდოთეკას. სებტები ყველა თანაბარი სისქისაა, მაგრამ სიგრძე განსხვავებული აქვთ. სებტები მთლიანი აქვს, პორები არ არის. შივა და ზედა კიდე დაკბილულია. აქ მკაფიოდ ჩანს ტრაბეკულური ხორკლები. სებტებს შორის შლიფში აქა-იქ ჩანს ტრავერ-ზები. ჯამის ცენტრს აღწევს 10—12 სებტა. ჯამების უმრავლესობას სებტების ოთხი სრული ციკლი აქვს და მეხუთეს ნაწილი, ხოლო ნაწილს კი ხუთი სრული ციკლიც. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია ძალიან სქელი, კონცენტრულად წაოქა ფსევდოთეკით. ეს ნიშნები მეტად ცუდი დასამუშავებელი აღმოჩნდა, რადგან სებტისა და საერთოდ სკელეტის სტრუქტურა არ აქვს შერჩენილი—იგი გადაკრისტალებულია.

კოლონიის დიამეტრი . . . . .	50	მმ
კოლონიის სიმაღლე . . . . .	30	„
ჯამების კვეთი . . . . .	3,5—2,5	„
სებტების რიცხვი . . . . .	28—30	
2 მმ-ზე . . . . .	6	სებტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. ჩემი ნიმუში თავის ჰაბიტუსით საცნობიო თანხვედნილია *Th. concina* Goldfuss-ის. იგი აგრეთვე ახლოს დგას *Thamnastraea arborescens* Ét.-თან, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო დიდი ჯამებითა და სებტების რიცხვით (აღწერილს 28—30 სებტა აქვს, ხოლო *Th. arborescens*-ს 21—24). ამასთან ერთად აღწერილ სახეს ჯამების ფოსო ნაკლები სიღრმის აქვს, რის გამო ჯამის კიდეებიც უფრო გლუვი არიან. ახლოს დგას აგრეთვე *Th. mammosa* Edw. et Haime-სთან, მაგრამ განსხვავდება მისგან როგორც კოლონიის ჰაბიტუსით, ისე ჯამების უფრო დიდი ზომით.


გავრცელება. გერმანია, ზედა იურა, კიმერიჯი; ინგლისი, Coral rag. სადა ურობა. ფსორ-ბაჯინევის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვები.

*Thamnastraea explanata* Goldfuss (Münster)

ტაბ. IV, სურ. 5, 5a

1826. *Astraea explanata* Goldfuss, Petrefacta Germ., S. 112, Taf. 38, Fig. 14.1826. *Astraea helianthoides* Goldfuss, ibid., S. 63, Taf. 22, Fig. 4b, non 4a.non 1854. *Isastraea explanata* Edwards a. Haime, British foss. cor., p. 96, pl. 18, fig. 1a—d.non 1885. *Isastraea explanata* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 269, pl. 81, fig. 1, 1a, 2; pl. 80, fig. 1, 2, 3, 4a.non 1887. *Isastraea explanata* Solomko, Iura und Kreidekorallen der Krim, S. 167, Taf. IV, Fig. 6.

ხელთ მაქვს მარჯნის კოლონია, რომელსაც აქვს დაბალი კონუსის ფორმა და ბრტყელი ზედაპირი. ვაშლილ-კონუსისებრი ქვედაპირი დაფარულია რადიალურად განლაგებული ნაზი წიბოებით. თუმცა კოლონია არ არის მთლიანი, მაგრამ დაცულია მისი უდიდესი ნაწილი, რომლის მიხედვით კარგად ჩანს, რომ კოლონია წრიული მოხაზულობის იყო. კოლონიის ზედაპირი დაფარულია ჩაღრმავებული ჯამებით, რომელთაც ხშირად ოთხკუთხი ან ხუთკუთხოვანი ფორმა აქვთ. ჯამებს ცენტრში ღრმა ფოსო აქვთ; ფოსოები წრიული მოხაზულობის არიან. ცენტრში სექტები თითქოს ერთდებიან და ფსევდოკოლუმელს ჰქმნიან. სექტები მეტად თხელი და თითქმის ყველა თანაბარი სისქის არიან. ზედაპირზე მეზობელი ჯამების სექტები ერთმანეთს უშუალოდ უერთდებიან და ერთმანეთში უწყვეტოდ გადადიან. ხშირად სამი ჯამის შეერთების ადგილზე სექტები თითქოს განშტოვდებიან (ნახ. 11). კედელი არ არის.



ნახ. 11

*Thamnastraea explanata*  
Goldfuss-ის სამი ჯამის  
სექტების შეერთება

კედლის ადგილი ჯამებს შორის მეტად ამოზურცულია და ბასრი ქედის სახე აქვს, ხოლო კოლონიის გამოფიტულ ნაწილში ამის ნაცვლად ჩანს ბლავვი ქედი. სექტის აღნაგობა ნიმუშზე მშვენივრად არის გამოხატული; ტრაბეკულები სექტის გვერდით კიდევ კარგად არიან გამო-სახული; აგრეთვე კარგად ჩანს მათ შორის მოთავსებული პორები, რომლებიც სექტას მეტად ნაზ აღნაგობას უქმნიან. პორები სექტას მხოლოდ შიგა კიდისაკენ მიუყვებიან იმ ნახევარზე, რომელიც კოლუმელურ ფოსოსკენ არის მიქცეული, ხოლო გარე კიდე (სექტის გარე კიდის ნახევარი) არ არის დასვრეტილი, ტრაბეკულების მეტად მჭიდრო განლაგების გამო. ტრაბეკულები სექტის ზედა კიდის პარალელურ რიგებს ჰქმნიან. ამიტომ არის, რომ სექტის შიგა და ზედა კიდეები დაკბილულ-დახორკლილი არიან. ეს ხორკლები ტრაბეკულების თავისუფალი ბოლოებით არიან შექმნილი. საერთოდ, სექტებში ტრაბეკულები სიმალღეზე მჭიდროდ ეკვრიან ერთი მეორეს, რადგან სექტის სიმალღეზე გაზრდის დროს არსებულ ტრაბეკულებზე ხდება ახალი ტრაბეკუ-

ლების გაზრდა, ხოლო გვერდებით ისინი ერთმანეთს ოდნავ ეხებიან და ამიტომ მათ შორის რჩება პორები. ცენტრთან ტრაბეკულები ერთმანეთს საესე-ბით სცილდებიან და ამიტომაც სეპტის შიგა კიდეზე სულ თავისუფალი, ერთ-მანეთის მოპირდაპირე სეპტების ტრაბეკულები ერთდებიან და ჰქმნიან ღრუბ-ლისებრ ფსევდოკოლუმელს. იქ, სადაც ერთი ჯამის სეპტა ეხება ან უერთ-დება მეორე ჯამის სეპტას, ტრაბეკულების ვერტიკალური მწკრივები მახვილი კუთხით ერთდებიან. ჯამში თითქმის ყველა სეპტა თანაბარი სისქის არის; სამი ციკლის სეპტები აღწევენ ცენტრს. მეოთხე სრულია და ცენტრს არ აღწევს, მეხუთე ციკლის კი მხოლოდ ნაწილია. ზოგიერთ ჯამში 7 სრული ციკლია-ორი უკანასკნელი ციკლის სეპტები მიმართული არიან პირველ და შესამე ციკლის სეპტებისაკენ და ბოლოებით ეხებიან შესამე ციკლის სეპტებს, ხოლო, რომლებიც პირველსა და შესამეს შორის არიან, ეხებიან პირველი ციკ-ლის სეპტებს. ამრიგად, ჯამი იყოფა რამდენიმე ნაწილად.

კოლონიის სიმაღლე ცენტრთან . . . . .	25	მმ
კოლონიის სიმაღლე პერიფერიისაკენ . . . . .	5	"
კოლონიის ნახევარდიამეტრი . . . . .	60	"
ჯამში სეპტების რაოდენობა . . . . .	38—72	
ჯამების დიამეტრი (ჯამის დიაგონალზე) . . . . .	3—5—6	მმ
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	4,5—6	"
ჯამის სიღრმე . . . . .	2,5	"
2 მმ-ზე . . . . .	8	სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა *Astrea explanata* Goldfuss-ის იდენტურია. *Astrea explanata*-ს სახელით მრავალი ავტორი აგვიწერს *Aporosa*-ს წარმომადგენლებს (სახელდობრ, გვარ *Isastraea*-ს), რაც არ უნდა იყოს მართებული. გოლდფუსი ამ სახის აღწერისას გარკვევით აღნიშნავს მისი სეპტის პორიანობას. სურათზე უფრო ნათლად ჩანს, რომ სეპტა ნაწილობრი-ვად პორიანია. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ იგი იყოს *Aporosa*-ს წარმომადგენელი. იგი ნამდვილად *Fungia*-ს მიეკუთვნება, საკუთრივ *Thamnastraea*-ს, რადგან ყველა თავის ნიშნებით ამ გვარის წარმომადგენელია. აღ-ნიშნული გარემოების გამო გარეგნულად მის მსგავს *Isastraea*-თათვის ამ ფორ-მის სახელის დარქმევა მიუღებელია. კობის მიერ აღწერილი *Isastraea expla-nata* Goldfuss სრულიად სხვა სახეა, სახელდობრ, *Isastraea helianthoides* Goldfuss. ასევე სოლომკოს მიერ აღწერილიც, ხოლო Edwards და Haime-ს *Isastraea explanata*, ჩემი აზრით, *Isastraea*-ს სრულიად სხვა ახალ ფორმას უნდა ეკუთვნოდეს. დასახელებულ ფორმებს შორის აღწერილ ფორმას გარეგნულად ყველაზე უფრო უკანასკნელი ემსგავსება, მაგრამ მასაც სეპტა მთლიანი აქვს და უკვე ეს საკმარისია იმისათვის, რომ ფორმა განსხვავებულ რიგებში მოთავსდეს. *Thamnastraea*-ებისაგან აღწერილ ფორმასთან ყველაზე უფრო ახლოს დგას ბე-კერის *Th. prolifera*. მხოლოდ მისგან განსხვავდება როგორც ჯამების ფორ-მით, ისე მათი დიდი ზომით, *Thamnastraea agaricites*-ისგან განირჩევა რო-გორც საერთო ჰაბიტუსით, ისე სეპტის არა მთლიანობით.

7. გეოლოგიური ინსტ. შრომები, ტ. V (X).

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . ვიურტემბერგი, ზედა იურული კირქვები.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ფასრალო, კაჟიანი კირქვები.

*Thamnastraea cf. prolifera* Becker

ტაბ. IX, სურ. 5, 5a

1934. *Thamnastraea prolifera* Becker (in lit. Циттель, Основы Палеонтологии, часть I, стр. 174, рис. 229 A, B).

გაკავებული კოლონიის ნატეხზე, რომელიც მე ხელთ მაქვს, ჩანს, რომ მას ზედაპირი ცოტად თუ ბევრად ბრტყელი ექნებოდა, ხოლო ქვედაპირი—კონუსური. ნიმუშის სეპტის სტრუქტურა არაჩვეულებრივი კარგი დაცულობის არის. მისი ტრაბეკულური აღნაგობა ლუპაში იდეალურად ჩანს. ტრაბეკულები სეპტის ზედა კილის პარალელურად არიან დალაგებული. ამიტომ ისინი იხრებიან სეპტის გარე კილისაკენ; სადაც მეზობელი ორი ჯამის სეპტები ერთმანეთს ეხებიან, იქ ტრაბეკულური მწკრივები ზევითკენ ერთი მეორეს შორდებიან, ხოლო ფუძისაკენ ერთდებიან, ტრაბეკულების რიგები კი სეპტის ზედა კილის პარალელურად ლაგდებიან. ტრაბეკულებს შორის ტრაბეკულური პორებიცაა მოთავსებული. სეპტები ამ ნიმუშს მეტად თხელი აქვს. ჯამის სიგრძეც კვეთზე მშვენიერად ჩანს სეპტის აღნაგობა; აქ სეპტის შიგა კილის გასწვრივ არის განლაგებული ტრაბეკულური პორები და ამიტომ ტრაბეკულები განსაკუთრებით განცალკევებული არიან ერთი მეორისაგან. გარე კილისაკენ კი სეპტაში ტრაბეკულური ბოძები იმდენად მჭიდროდ დგანან, რომ მათ შორის პორებისათვის ადგილი აღარ რჩება და ამონაკვეთზე სეპტა მთლიანია. სეპტის ზედა და შიგა კიდეები დახორკლილია (ტრაბეკულური გამონაზრდებით). სეპტებს შორის სინაპტიკულები და დისეპიმენტებია. ჯამები ოდნავ არიან ჩაღრმავებული. კოლუმელური ფოსოს ცენტრში ერთმანეთის მოპირდაპირე სეპტები ეხებიან ბოლოებით და შეხების ადგილზე ჰქმნიან ფსევდოკოლუმელს. ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს ნიმუშის სიგრძივ კვეთზე.

კოლონიის ქვედაპირი დაფარულია სწორხაზოვანი, პარალელური, თხელი წიბოებით, რომელთა შორის დისეპიმენტებისაგან შედგენილი ფსევდოებიოთეცა არის.

ნატეხის სიმაღლე . . . . .	21 მმ
ჯამების დიამეტრი . . . . .	3—4 მმ
ჯამში სეპტების რიცხვი . . . . .	66—64
2 მმ-ზე . . . . .	10—12 სეპტოკოსტი.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა . აღწერილი ნიმუში ყველა თავის დაცული ნიშნებით, სახელდობრ, ჯამების სიდიდით და ფორმით და სეპტების მიკროსტრუქტურით სავსებით იდენტურია ბეკერის იურულ *Th. prolifera*-ს.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . ნატჰაიმი, კიმერიჯული; ვიურტემბერგი, ზ. იურა.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ფასრალო, კაჟიანი კირქვები.

Gen. DIMORPHASTRAEA d'Orbigny

Dimorphastraea dubia From.

- 1858—61. *Dimorphastraea dubia* Fromentel, Introduction, p. 226.
- 1864. *Dimorphastraea dubia* Fromentel, Env. Gray, p. 24.
- 1886. *Dimorphastraea dubia* Becker, Natth. Korallen, S. 57.
- 1887. *Dimorphastraea dubia* Solomko, Iura und Kreidekorallen der Krim, S. 121, Taf. VI, Fig. 7.
- 1897. *Dimorphastraea dubia* Ogilvie, Die Korallen der Stramberger Schichten, S. 227, Taf. IX, Fig. 8, 8a.

ხელთ მაქვს მეტად თხელი ფირფიტისებრი კოლონიური მარჯნის მცირე ზომის ნატეხი, რომელსაც ზედაპირი ბრტყელი აქვს. მასზე კარგად გამოირჩევა ჯამების ოდნავ რკალური მოხაზულობის სამი მწკრივი. ჯამებს შუაში საკმაოდ დიდი და ჩაღრმავებული ფოსო აქვთ. ფოსოებში კოლუმელი არ არის. ჯამში შრავალრიცხოვანი სექტები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ არიან განლაგებული. მათ ნაზი აღნაგობა აქვთ. პირველი ორი ციკლის სექტები გამოირჩევიან ზომით—ისინი ჯამის ცენტრს აღწევენ. ჯამების მწკრივებს შორის მანძილი თითქმის ისეთივეა, როგორც ცალკე ჯამებს შორის, და ამიტომ ის ჩვეულებრივი გაგრძელებული ჯამის სახე (რომელიც ამ გვარის წარმომადგენლებში ხშირად გვხვდება ორ კონად განლაგებულ სექტებისაგან შედგენილი, პარალელურად მდგარი წიბოებით), აქ დაკარგულია და ჯამს თითქმის წრიული მოხაზულობა აქვს. სექტოკოსტები ერთმანეთის პარალელური მხოლოდ ჯამებს შორის არეებში არიან. შლიფში სექტებს შორის ჩანან კარგად განვითარებული ტრავერზები, დისეპიმენტები და სინაპტიკულები. სექტის ზედა კიდე დაკბილულ-დახორკლილია. კოლონიის ქვედაპირი დეფარულია ურთიერთ პარალელური სწორხაზობრივი წიბოებით.

სექტების რიცხვი . . . . .	34—38
კოლონიის ფირფიტის სისქე . . . . .	11 მმ
ჯამების დიამეტრი . . . . .	5—7 ”
მანძილი ჯამებს შორის მწკრივში . . . . .	5—8 ”
მანძილი ჯამების მწკრივებს შორის . . . . .	8—9 ”
2 მმ-ზე . . . . .	6—7 სექტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ კოლონიის მხოლოდ ნატეხი მაქვს, მასზე იმდენად არის გამოხატული ჯამების აღნაგობა, სექტების აგებულება და სხვა ნიშნები, რომ მისი მიკუთვნება ფრომანტელის მიერ აღწერილ *D. dubia*-სადმი სრულებით არ იწვევს ეჭვს. სოლომკო აღნიშნავს, რომ *D. dubia* From.-ის საფრანგეთში პოვნილ ეგზემპლარს კოლუმელი არ გააჩნია, ხოლო მის მიერ აღწერილ სახეს ყირიმიდან კოლუმელი აქვს და იგი შედგენილია პირველი ორი ციკლის სექტათა შიგა კიდეების შეერთებით. აღწერილი ნიმუშები სოლომკოს მიერ აღნიშნულ ნიშანს ატარებენ.

ნიშნებს, ტიპთან შედარებით, ოდნავ დიდი ზომის ჯამები აქვთ (5—7 მმ ნაცვლად 5—6 მმ-ისა).

გავრცელება. ყირიმი, სუდაგი, სეკვანური; შტრამბერგი, ტიტონური; ნატპაიმი კიმერიჯული.

სადაურობა. ზ. რაჭა, ჩორდულა-ღელე, ქვიშიანი კირქვები; ხირხონისი.

**Dimorphastraea vasiformis Koby**

ტაბ. IX, სურ. 3, 3a, 3b

1886. *Dimorphastraea vasiformis* Koby, Pal. jur. Suisse, p. 348, pl. 95, fig. 1, 2.

1886. *Dimorphastraea vasiformis* Missuna, Die Iurakorallen von Sudagh, S. 214. Taf. V, Fig. 3—4.

1897. *Dimorphastraea vasiformis* Ogilvie, Die Korallen der Strambergen Schicht., S. 228, Taf. IX, Fig. 9.

ეს მარჯნული კოლონია მცირე ზომის არის; იგი მასივურია. აღსანიშნავია, რომ კოლონია მთლიანად არის დაცული, მისი ზედაპირი თითქმის ბრტყელთა. კოლონიის საერთო ფორმა გაშლილ-კონუსურია, ზედაპირზე ჯამებით ორ კონცენტრულ მწკრივად არიან დალაგებული ერთ ცენტრულ დედა-ინდივიდის გარშემო. შიგა მწკრივი მთლიანია, ხოლო მეორე, განაპირა მწკრივი სრულად არ არის, ე. ი. აქ პირველი მწკრივის ჯამები ყველა არ დაჯირტულა. გარე მწკრივებში უფრო მცირე ზომის ჯამებია, ხოლო შიგა მწკრივში შედარებით დიდი ზომის. ორივე მწკრივში სეპტებს აქვს გვარისათვის დამახასიათებელი დალაგება, ე. ი. სეპტები ორ კონად ლაგდებიან. ჯამებს ცენტრში აქვთ ფოსო. კოლუმელი არ არის. მეზობელი ჯამების სეპტები ყოველგვარი ტეხილობის გარეშე უერთდებიან ერთმანეთს. ცენტრულ ჯამებში სეპტებს რადიალური განლაგება აქვთ. კოლონიის ქვედაპირი რადიალურად განლაგებული, წვრილ-თანაბარი სისქის წიბოებით არის მოკაზმული. კოლონიას ქვევით ოდნავ მოლუნული ფეხი აქვს.

კოლონიის დიამეტრი . . . . .	25	მმ
"    სიმაღლე . . . . .	12,3	"
ცენტრული ჯამის დიამეტრი . . . . .	8	"
პერიფერიული ჯამის დიამეტრი . . . . .	3—6	"
სეპტების რიცხვი ცენტრულ ჯამში . . . . .	74	
"    "    პერიფერიულ ჯამში . . . . .	40—50	
განაპირა მწკრივში მანძილი ჯამებს შორის . . . . .	4,7	მმ
2 მმ-ზე . . . . .	8	სეპტიკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა თავისი აღნაგობით *Dimorphastraea*-თა ნამდვილი წარმომადგენელია. იგი კობის მიერ აღწერილ *Dim. vasiformis*-თა ფარგლებში ზედება და მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სეპტების რიცხვი პერიფერიულ ჯამებში უფრო მეტია (40—50—ნაცვლად

24—36-სა). მისუნას [40] მიერ აღწერილი სახეც ამ სახის ახალგაზრდა ეგზემპლარად მიმაჩნია. ამ გვარის სხვა სახეებიდან ჩემი ნიმუში ყველაზე მეტად ჰგავს ფელიქსის [27] მიერ აღწერილ *D. Koby*-ს, ოღონდ მისგან განირჩევა ჯამის მაღალი, ლილეკისებრი, კიდის არ არსებობით. *D. Koby*-ს ჯამებს ლილეკების გარეთ აქვთ ჩაღრმავება, რაც მეზობელ ჯამებს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოჰყოფს. ჯამებიც ოდნავ ოვალური და უფრო მცირე ზომის არიან (4—5 მმ). *Dimorphastraea conica* Koby-საგან *D. vasiformis*-ი განსხვავდება მით, რომ ჯამებს შორის არ ჩანან ბრტყელი არეები. აქ ახალგაზრდა სეპტები ირ უერთდებიან პირველი ციკლის სეპტებს და ჯამები სიდიდით ერთმანეთისაგან არ განირჩევიან.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკ-სეჟანური; შტამბერგი (ტიტონური; ყირიმი, სეჟანური.

სადაურობა. სოფ. ფსორთან (ქვიშიანი ბრეჟიული კირქვები).

#### *Dimorphastraea fungiformis* sp. nov.

ტაბ. IX, სურ. 2, 2a

თითქმის მთლიანად დაცულ კოლონიას ელიფსური მოხაზულობა აქვს. მას ემჩნევა სოკოსებრი ზრდის ტენდენცია. ზედაპირი ამობურცული და ხორკლიანია. კოლონია ქვევიდან შეზნეჟილია თეფშის მსგავსად და შუაში ვიწრო კონუსური ფეხი ჩანს. კოლონიის ზედაპირზე ცენტრში მოთავსებულია დიდი ჯამი, რომლის გარშემოც ელიფსური მოხაზულობის კონცენტრულ მწკრივებად განლაგებული არიან პერიფერიული ჯამები. ელიფსის დიდი ღერძის ბოლოებში მოთავსებულია სხვა პერიფერიულ ჯამებთან შედარებით უფრო დიდი ორი ჯამი. ამ ჯამებში ისევე, როგორც ცენტრულში, სეპტებს სრულიად რადიალური წყობა აქვთ, ხოლო დანარჩენ ჯამებს სეპტები ორ კონად აქვთ დალაგებული. ცენტრული ჯამის ზოგიერთი სეპტა უშუილოდ გადადის და უერთდება მეზობელი ჯამების სეპტებს, ხოლო ჯამების უმრავლესობა გარე კიდეზე ამოშვერილი არის, რითაც ჯამები ერთმანეთისგან გამოიყოფიან. ამ აღვილებში მეზობელი ჯამის სეპტები ერთმანეთს აწყდებიან. ჯამებს კოლუმელური ფოსოს მაგივრად აქვთ კოლუმელის მსგავსი ამოშვერილი ფულურო ამონაზარდი. ლუბაში ჩანს, რომ იგი შედგენილია სეპტების შიგა კიდეების შეხება-შეერთებით. პერიფერიულ ჯამებში 12 სეპტა აღწევს ცენტრს, ხოლო ცენტრულ ჯამში—16. სეპტებს საკმაო სისქე აქვთ. მათი ზედა კიდე მკვეთრად დაკბილულია. საერთოდ სეპტებს ემჩნევა ტრაბეკულური ანაგობა. სეპტებს შორის განვითარებულია დისეპიმენტები, ხშირად სინაპტიკულებიც. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია რადიალური წიბოებით; აქ ჩანს წვრილი და მსხვილი წიბოების მორიგეობა და კონცენტრული ნაოჭებიც, რომელნიც წარმოიშვნენ ზრდის პროცესში შეჩერებების შედეგად. ეს ნაოჭები ზოგან თხელი ფსევდოეპითეკით არიან დაფარული. უკანასკნელი შედგენილია ინტერკოსტალური სინაპტიკულებისაგან და დისეპიმენტებისაგან.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	14 მმ
„ დიდი დიამეტრი . . . . .	43 „
„ მცირე დიამეტრი . . . . .	30 „
ცენტრული ჯამის დიამეტრი . . . . .	18 „
ელიფსის ბოლოებზე მდებარე ჯამების დიამეტრი	18 „
დანარჩენი პერიფერიული ჯამების დიამეტრი	6—7—8 მმ
სებტების რიცხვი პერიფერიულ ჯამებში . . . . .	24
სებტების რიცხვი ცენტრულ ჯამში . . . . .	74
მანძილი პერიფ. ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	4—7 მმ
მანძილი ცენტრული და პერიფერიული ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	11—17 მმ
2 მმ-ზე . . . . .	5 სებტოკოსტური სხივი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ნიმუში ახლოს დგას *Dimorphastraea variabilis* Koby-სთან. განსხვავდება მისგან მხოლოდ მით, რომ ზედაპირი-ამოზნექილი აქვს, ხოლო ქვედაპირი შეზნექილი; ჯამებსაც შუაში ფსევდო-კოლუმელი აქვთ (Knopfartige). ამ ნიმუთ იგი განირჩევა *Dim. vasiformis* Koby-სგანაც. უკანასკნელს აღწერილ სახისაგან განსხვავებით ყველა პერიფერიულ ჯამებში სებტების ორი კონა აქვს, გარდა ამისა ცენტრული ჯამის დიამეტრი აქ 9 მმ-ია, ხოლო აღწერილ ნიმუშებზე 18 მმ-ია. პერიფერიულ ჯამებში სებტების რიცხვი უდრის 40—50, ხოლო აქ 24, და სებტოკოსტებიც ნაკლებ მჭიდროდ არიან განლაგებული, ე. ი. სებტებიც საკმაოდ სქელი და ერთმანეთისაგან დაშორებული არიან (5 ცალი 2 მმ-ზე ნაცვლად 9—8 ცალსა). გარდა ამისა პოლიპის ელიფსის ორივე ბოლოზე დიდი ჯამების არსებობა აღწერილ სახეს ყველა დანარჩენ *Dimorphastraea*-თაგან მკვეთრად ასხვავებს.

ს ა და უ რ ო ბ ა. სოფ. ფსორთან, კირჩქების ნაყარი.

#### *Dimorphastraea cf. variabilis* Koby

ხელთ მაქვს კოლონიის მოზრდილი ნატეხი, რომელსაც, ეტყობა, ელიფსური მოხაზულობა ჰქონია. ფორმით იგი სოკოს მოგვაგონებს. მას საკმაოდ სქელი ფეხი აქვს. მარჯნის ზედაპირი ოდნავ ჩაზნექილია. ცენტრში მოთავსებულია დიდი ჯამი. პერიფერიული ჯამები, თუმცა მთლიანად არა ჩანან, მაგრამ მინც ეტყობა, რომ შედარებით ცენტრულთან ნაკლები ზომის არიან. ჯამში სებტები საკმაოდ მჭიდროდ არიან დაწყობილი. მათ მთლიანად რადიალურ-სხივოსნური განლაგება აქვთ. მკაფიოდ ჩანს სქელი და თხელი სებტების მორიგეობა. ჯამებს ცენტრში ოდნავ ჩაღრმავებული ფოსო აქვთ. ფოსოში კოლუმელი არ არის; ამ ფოსომდე 12 სებტა აღწევს. მეზობელი ჯამების სებტები უშუალოდ უერთდებიან ერთმანეთს, ხოლო ზოგი ურთიერთს აწყდებიან და შეხვედრის ადგილი მკაფიოდ არის გამოსახული. თითოეული ჯამი შემოფარგლულია სებტების შეერთების ადგილზე შემადლებით, რომელიც შექმნილია სებტების გარე კიდეებით. სებტების ზედა კიდე დაფარულია თანაბარი-ზომის ხორკლებით. შლიფში სებტებს შორის ჩანან დისეპიმენტები. სებტებო-



შედგენილი არიან ერთმანეთთან მჭიდროდ მდგარი ტრაბეკულებისაგან, რომელნიც სეპტის ზედა კიდის პარალელურ მწკრივებად ლაგდებიან. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია მეტად წვრილნაკა კონცენტრული ფსევდოები-თეკით, ხოლო, სადაც იგი არ არის, იქ თითქმის თანაბარი სისქის რადიალური წიბოები ჩანან.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	16 მმ
ცენტრული ჯამის დიამეტრი . . . . .	15 „
პერიფერიული ჯამების დიამეტრი . . . . .	8 „
სეპტების რიცხვი ცენტრულ ჯამში . . . . .	62
სეპტების რიცხვი ჯამებში . . . . .	42
2 მმ-ზე . . . . .	5 სეპტოკოსტური სხივი.

მსგავსება - განსხვავება. აღწერილი ფორმა ყველაზე უფრო ჰგავს კობის მიერ გამოყოფილ *Dimorph. variabilis*-ს, მაგრამ მისგან განსხვავდება ეპითეკის უქონლობით. კობი აღნიშნავს, რომ ეს სახე განიჩევა ყველა *Dimorphastraea*-თაგან ქვედაპირზე მეტად თხელი და წვრილი ეპითეკის არსებობით, რაც უთუოდ არ შეიძლება ჩაითვალოს სახეთაშორის გამასხვავებელ ნიშნად. აღწერილი ფორმა მის მახლობელ *Dimorphastraea vasiformis* Kobysaგან განსხვავდება თხელი და სქელი სეპტების შორიგეობით და ჯამების ზომით. იგი შეიძლება შევადაროთ აგრეთვე *Dim. fallax* Becker-ს და *D. lamellosa* Solomko-ს, მაგრამ მათგან განსხვავდება როგორც კოლონიის პაბიტუსით, ისე ჯამების ზომითა და ფორმით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. შვეიცარიის, რაურაკული.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ჩორდულა დელე, ნაყარი.

*Dimorphastraea radshensis* sp. nov.

ტაბ. VIII, სურ. 5

ამ კოლონიის ნატებს ფირფიტისებრი სახე აქვს; ზედაპირი არათანაბარ ტალღებრივია. მასზე ჯამების ორი დეფორმირებული რკალური მწკრივია. ჯამები არიან მეტად ბრტყელი და ზედაპირული. მათ ცენტრებში ოდნავ შესამჩნევი ფოსო აქვთ. ჯამები მკვეთრად გამოიყოფიან. სეპტებს რადიალური განლაგება აქვთ, ხოლო ჯამების მწკრივებს შორის მოთავსებულ არეში სეპტების წიბოები ერთმანეთის პარალელური არიან. ჯამის სეპტები და სეპტოკოსტები შეერთების ადგილზე ერთმანეთს აწყდებიან ტეხილად. ამ ჯამის სეპტები დაკბილული არიან. ეს შემალღებები ჯამის გარშემო ჰქმნიან კონცენტრულად განლაგებულ ბორცვებსა და ლილვაკებს. ჯამში საკმაოდ ფართო და თანაბარი სისქის სეპტებია; მათი ზედა კიდე ოდნავ დაკბილულია. ცენტრულ ფოსოს 16 სეპტა აღწევს. შლიფში ჩანს, რომ სეპტას ტრაბეკულური აღნაგობა აქვს. ტრაბეკულები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ ლაგდებიან. სეპტებს შორის, ჯამის გარე მხარისაკენ ტრავერზები ჩანს, ხოლო შუაში სეპტის შიგა კიდისაკენ სინაპტიკულები; კოლონიის ქვედაპირი დაფარულია ერთმანეთის პარალელური, თანაბარი სისქის წიბოებით.

სიმაღლე . . . . .	3—4 მმ
ჯამის დიამეტრი . . . . .	6—11 „
ჯამებს შორის მანძილი . . . . .	18—25 „
ჯამში სეპტების რიცხვი . . . . .	36—42—56—68
წიბოების რაოდენობა 2 მმ-ზე . . . . .	4

მსგავსება - განსხვავება. აღწერილი ფორმა ახლოს დგას *Dimorphastraea fallax* Becker-თან, მაგრამ მისგან განსხვავდება კოლუმელის უქონლობით, მეტად ბრტყელი ჯამებითა და მწკრივებს შორისი მანძილით (აღწერილ სახეში მანძილი მწკრივებს შორის ორჯერ მეტია, ვიდრე *Dim. fallax* Becker-ში). *Dim. lamellosa* Solomko-საგან, რომელსაც იგი აგრეთვე უახლოვდება, მას განსხვავებს სეპტების რიცხვი (17—21 ნაცვლად 42—68-სა), ჯამების ზომები (3,4 მმ დიამეტრი ნაცვლად 11—მმ-ს) და აგრეთვე სეპტების ერთნაირი სისქე. გარდა ამისა *D. lamellosa*-ში მეზობელი ჯამები და მწკრივებს შორის მდებარე წიბოები ერთმანეთს უშუალოდ უერთდებიან, რაც აღწერილ ფორმას არ ჩვევია. როგორც ვხედავთ, აღწერილი ფორმა მონათესავე სახეებისაგან მკვეთრად განირჩევა და ამის გამო მე შესაძლებლად მიმაჩნია მისი ახალ სახედ გამოყოფა.

სა და უ რ ო ბ ა . ზ. რაჭა მდ. ჩორდულა, ნაყარში.

*Dimorphastraea cf. fallax* Becker

1875—76. *Dimorphastraea fallax* Becker, Korallen Natth. Schichten, S. 58, Taf. 41, Fig. 5.

1887. *Dimorphastraea fallax* Solomko, Iura und Kreidekorallen der Krim, S. 189, Taf. VI, Fig 6—6a.

მცირე ზომის ნატების მიხედვით შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ კოლონიას მეტად თხელი ფირფიტისებური ფორმა ჰქონია. ზედაპირი ბრტყელი აქვს. ორიოდე ჯამის სეპტების წყობას ეტყობა, რომ თვით ჯამები მწკრივებად იქნებოდნენ განლაგებული, რაც სეპტების ორ კონად დალაგებიდან ჩანს; ჯამები ბრტყელი არიან. მეზობელ ჯამთა შეხების ადგილზე სეპტები ოდნავ ტალღურად იხრებიან. შლიფში ჩანს, რომ სეპტებს შორის განვითარებულია ტრავერზები და სინაპტიკულები. ჯამის ცენტრში ოდნავ ჩარღმავებული ფოსოა, რომელშიც მოთავსებულია ფსევდოკოლუმელი; იგი შედგენილია ორი ციკლის სეპტებისაგან (12 ცალი). სეპტები განსხვავებული სისქის არიან; ორ სქელ სეპტას შორის თავსდება 1 თხელი სეპტა. ქვედაპირი დაფარულია სწორხაზოვანი პარალელური წიბოებით.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	3—4 მმ
ჯამის დიამეტრი . . . . .	8—10 „
სეპტების რიცხვი . . . . .	36—40
მანძილი სეპტებს შორის . . . . .	1/2 „
2 მმ-ზე . . . . .	4 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ფორმა ბეკერის სახისა-  
გან თითქმის არ განირჩევა და უკანასკნელისაგან განსხვავებით მას მხოლოდ  
ჯამების ერმანეთთან შეხების ადგილზე სეპტების ოდნავი გადახრა ემჩნევა.  
რაც შეეხება სოლომკოს მიერ აღწერილ ყირიმის ნიმუშებს, მათგან განს-  
ხვავებით, ჩემს ნიმუშს ჯამის ფოსო ნაკლები სიღრმის აქვს, ჯამებიც უფრო  
დიდი ზომის არიან. ხოლო კოლონიის, უფრო სწორედ, ფირფიტის სიმაღლე  
უფრო მცირეა (ნაცვლად 7 მმ-სა 3—4 მმ). ცხადია, ეს განსხვავება სახის ფარგ-  
ლებს არ სცილდება. ეს ფორმა მონათესავე ფორმებიდან ყველაზე ახლოს დგას  
*Dim. dubia* From.-თან, მაგრამ მისგან განსხვავდება სეპტებშორისი მანძილით  
(სეპტების სიშქიდროვით—10 სეპტა 5 მმ-ზე ნაცვლად 15-ისა) და კოლონიის  
ნაკლები სიმაღლით (3—4 მმ ნაცვლად 12—10 მმ-სა). ამავ დროს *Dim. dubia*-ზე  
არ ჩანს სქელი და თხელი სეპტების მორიგეობა.

გაერ ცელება. ნატჰაიმი, კიმერიჯული; ყირიმი, სუდაგი, სეჭვანური.  
სადაურობა. სოფ. ბაჯიხეთან, ჩორდულაზე.

*Latimaeandra* sp.

ამ მცირე ზომის მარჯნულ კოლონიას ზედაპირი ამობურცული აქვს. მისი  
მოხაზულობა თითქმის წრიულია. ნიმუში საკმაოდ გამოფიტულია. ზედაპირზე  
ჩანს, რომ ჯამთა ღარები მოკლე არიან. ღარებში თითო ოროლა ჯამი არის  
მოთავსებული. იშვიათია, რომ სამ ჯამზე მეტი იყოს ღარში გაერთიანებული.  
ჯამთა ღარებს საკმაოდ ბლავი ქედები ჰყოფენ. გაშლილ ზედაპირზე ჩანს,  
რომ ჯამებს შემოფარგლავს ყალბი კედელი. აქ ფსევდოთეკა შედგენილია მე-  
ზობელი მწკრივების ჯამთა სეპტებისაგან. ერთი ჯამის სეპტები მეორე  
მწკრივის ჯამში უშუალოდ არ გადადიან და ერთმანეთს აწყდებიან. პირველი  
ციკლის სეპტები ჯამში ცენტრს უახლოვდებიან, ხოლო დანარჩენები ცენტრს  
შორდებიან ასაკის მიხედვით. შედგენილ გრძელ ჯამების შუაში ჩანს ფირფი-  
ტისებრი ფსევდოკოლუმელი—იგი შედგენილია სეპტებით.

ცალკე ჯამის დიამეტრი . . . . .	3—4 მმ
ღარის სიგრძე . . . . .	8—12 "
მანძილი ქედებს შორის . . . . .	3—4—5 "

ქვედაპირი დაცული არ არის.

ნიმუშის ცუდი დაცულობის გამო სახის გარკვევა შეუძლებელი შეიქმნა.  
სადაურობა. ფასრადო, მასიურ კირქვები.

Gen. COMOSERIS d'Orbigny

*Comoseris tshordensis* sp. nov.

ტაბ. XI, სურ. 1

ეს მარჯნული კოლონია საკმაოდ დიდი ზომის არის. კოლონიას ელიფ-  
სური მოხაზულობა და მეტად ამობურცული ზედაპირი აქვს. ქვევიდან იგი  
შეზნეკილია. ქვედაპირზე ცენტრში მას ვიწრო, კონუსური გამოწარდი აქვს.

ამ გამონაზარდით კოლონია იქნებოდა მიმაგრებული სუბსტრატზე. კოლონიის ზედაპირზე ჯამები მეანდრულ ღარებში ლაგდებიან. ღარებს შორის ამოზიდულია კლანკილი ქედები, რის გამოც კოლონიის საერთო ზედაპირი მეტად მოგვაგონებს ადამიანის თავის ტვინის ზედაპირს. ჯამები თითქმის ყველა თანაბარ ზომისა და საკმაოდ ღრმა არიან. აქ ყველა ჯამში კოლუმელური ფოსო მკაფიოდ გამოიყოფა. ფოსოებს წრიული მოხაზულობა აქვთ. ზოგი ჯამი ცალკეა შემოფარგლული ქედით, ხოლო ჯამების უმრავლესობა მეანდრულ ღარებში ლაგდება. ქედების გრეხილები მაღალი და ბლაგვად მორგელებული არიან. ზოგან ქედები ოდნავ გამახვილებულია. ქედზე ორი მეზობელი ღარის ჯამთა სექტები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უერთდებიან ერთმანეთს. სექტები ჯამში საკმაოდ მრავალრიცხოვანი არიან და ერთმანეთთან მიჯრილად ლაგდებიან. ჯამებში სექტები მთლიანად რადიალურია, ხოლო ქედებზე ყველა სექტები ერთმანეთის პარალელური ხდებიან. სექტის ზედა კიდე დაფარულია მეტად წვრილი ხორკლებით. სექტის ვერტიკალურ კვეთზე შლიფში ჩანან სქელი ტრამბეკულები, რომლებიც ერთმანეთს ზოგან ახლოს ეკვრიან, ზოგან კი უფრო დაშორებულნი არიან და პორებს სტოვებენ.

საერთოდ ზედაპირზე კარგად ჩანს, რომ ჯამთა სერიები ცენტრში მეანდრულ ლაბირინტებს ჰქმნიან, ხოლო პერიფერიისაკენ ოდნავ შესამჩნევ რადიალურ მიმართულებას იღებენ.

ქვედაპირი დაფარულია კონცენტრულადნაოკა ფსევდოეპითელით.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	53 მმ
„ დიდი დიამეტრი . . . . .	131 „
„ მცირე დიამეტრი . . . . .	92 „
მანძილი ღარში ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	3—5, 5—6 „
მანძილი მეზობელ ქედებს შორის . . . . .	3—6—7 „
ქედის ბაზისის სიფართოე . . . . .	3—5—6 „
ქედის სიმაღლე . . . . .	1,5—2 „
ჯამში სექტების რიცხვი . . . . .	20—34
ქედის 1 მმ-ზე . . . . .	2—3 სექტოკოსტური სხივი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ყველაზე უფრო მოგვაგონებს *Comoseris meandrinoides* Mich.-ს, მაგრამ მისგან განსხვავდება ჯამთა სიდიდით, ქედების სიხშირითა და კოლონიის საერთო ჰაბიტუსით. ის აგრეთვე ჰგავს *C. interrupta* Kobys.-ს, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია: აღწერილს მეტად ხშირი ღარები და ქედების კლანკილები აქვს, ჯამების განლაგებაც განსხვავებულია. ჯამებს შორის მანძილიც აქ მეტია (*Com. interrupta*-ს ჯამებს შორის მანძილი = 2—2,5 მმ-ს). განსხვავება ჯამების დიდ ზომაში და ქედების სიფართოეშიც გამოიხატება. აგრეთვე სექტათა რიცხვიც აქ მეტია (*C. interrupta*-ს ჯამში სექტათა რიცხვი = 14—16). *C. irradians* Edw. et Haime-სგან ახალი ფორმა განსხვავდება ზომებით, ჯამში სექტათა მეტი რიცხვით (*Com. irradians*-ის ჯამში 16—20 სექტაა) და აგრეთვე საერთო ჰაბიტუსით—გრეხილების სხვაგვარი განლაგება-სიხშირით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ჩორდულა-ღელე.

*Comoseris meandrinoidea* Michelin

1843. *Pavonia meandrinoidea* Michelin (In lit.).  
 1850. *Comoseris meandrinoidea* d'Orbigny, Prodr., t. II, p. 40.  
 1858. *Comoseris meandrinoidea* Etallon, Haut-Iura, p. 122.  
 1860. *Comoseris meandrinoidea* Edwards a. Haime, Hist. Nat. de coralliaires, p. 64.  
 1862. *Comoseris meandrinoidea* Thurmann et Etallon, Lethea Bruntrutana, p. 406, pl. 57, fig. 9.  
 1888. *Comoseris meandrinoidea* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 405, pl. CXI, Fig. 1, 1a, 2.

ეს მეანდრული კოლონია დიდი ზომის ჩანს. მისი მოზრდილი ნატეხი მაქვს ხელთ. ზედაპირი მას ამოზრდილი აქვს. ზედაპირზე განლაგებულია სეპტებისაგან შედგენილი ქედები, რომლებიც უწყვეტელ მეანდრებსა ჰქმნიან. ქედები მორგვალეული არიან. კლაკნილები ერთმანეთს ხან ეხებიან, ხან კი შემოფარგლავენ მცირე არეს, სადაც ჯამებია მოთავსებული. ჯამები ზედაპირულია, მათ ოდნავ შესამჩნევი ფოსოები აქვთ. ჯამებში სეპტები რადიალურად არიან დალაგებული. შეიარაღებული თვალთ კარგად ჩანს ამ სეპტების განლაგება ქედზე; აქ სეპტები უშუალოდ როდი გადადიან ერთი ჯამიდან მეორეში, არამედ ქედის ერთ მხარეს მოთავსებულია სეპტა, ხოლო მეორე მხარეს სეპტებს შორის ინტერვალი (ნახ. 12). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქედის ერთი მხარის ორი სეპტა ზედ ქედზე ერთმანეთს უერთდება და მეორე მხარეზე მხოლოდ ერთი სეპტა გადადის; ამიტომ ქედს ზიგზაგი მიუყვება (ფსევდოთეკა). სინამდვილეში კი განივ შლიფზე ჩანს, რომ ერთი მხარის სეპტა მეორისას აწყდება (ნახ. 12). სეპტის ზედა კიდე დახორკლილია. სეპტის სიგრძივ კრილზე მშვენიერად ჩანს მისი ტრაბეკულური აღნაგობა. აქ ტრაბეკულური ღეროები ჰორიზონტულ მწყკრივებად არიან განლაგებული, ხოლო ტრაბეკულური სერიები თითქმის თანასწორ ვერტიკალურ მწყკრივებს ჰქმნიან. ეს მწყკრივები ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არიან მოთავსებული. მეზობელი ტრაბეკულები არ არიან თანაბარი სიმაღლის, ამიტომ მათ შორის პორებიც განსხვავებული ზომის რჩებიან, სეპტა ჯამის პერიფერიისაკენ ნაწილობრივ მკიდრია. აქ ტრაბეკულები მიჯრილად ეკვრიან ერთმანეთს. ხოლო შიგა კიდისაკენ ურთიერთს შორდებიან და ამიტომ მათ შორის დიდი პორები რჩება. განივ შლიფზე კარგად ჩანს, რომ ჯამის ცენტრისაკენ სეპტები დასვრეტილია. ისინი ზოგჯერ ცენტრში ერთმანეთს უერთდებიან და ფსევდოკოალუმელას ჰქმნიან. კოლონიას ქვედაპირზე უჩანს რადიალურად დალაგებული წიბოები.



ნახ. 12.

*Comoseris meandrinoidea*  
 Michelin-ის სეპტების  
 წყობა ქედზე

კოლონიის სიმაღლე . . . . .	41 მმ
ჯამში სეპტების რიცხვი . . . . .	18, 20, 23
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	1,5—3 მმ
მანძილი მეზობელ გრებილებს შორის . . . . .	3,5—5—9 „
ქედის ფუძის სიგანე . . . . .	3,5—4,5—6 „
2 მმ-ზე . . . . .	5 სეპტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ქედების კლაკნილებით ადვილი გამოსაცნობია. იგი ჰგავს *Comoseris irradians* Edw. et Haime-ს, მაგრამ მისგან განიჩევა უფრო ხშირი და წვრილი სეპტებითა და სეპტოკოსტებით. *C. irradians* Ed. et H.-ს ვიწრო ღარები აქვს და აღწერილ სახისაგან *C. tschordensis* sp. nov. განსხვავებით, მის ახასიათებს კლაკნილთა შორის ბრტყელი არეები, რომლებზედაც ჯამების ჯგუფია მოთავსებული. ამას შეიძლება დავუმატოთ სეპტოკოსტური სხივების მქიდრო დალაგება და პერიფერიისაკენ ღარების რადიალურად განლაგება, რაც ახალ ფორმას არ ახასიათებს. აღწერილი ფორმა *Comoseris meandrinoides* Mich.-ის იდენტურია.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკული.

სადაურობა. ქორთა (ყოფილი ეკლესიის ადგილას), ნაყარი, ლუბიტანიური კირქვები.

Ordo **PERFORATA**

Fam. **MICROSOLENIDAE** Greg.

Gen. **DIMORPHARAEA**

*Dimorpharaea aegiseptalis* sp. n.

ტაბ. X, სურ. 4; ტაბ. XI, სურ. 2, 2a

ჩემს კოლექციაში რამდენიმე ნიმუშია, რომლებიც ერთმანეთს სეპტებისა და ჯამების წყობით ძალიან წააგავს, საერთო ფორმაც მსგავსი აქვთ, ზომები კი განსხვავებული. ამათგან ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოზრდილ კოლონიას საწყისი სტადია გაშლილი ძაბრის ფორმისა აქვს, შემდგომ სტადიას კი ასიმეტრიული კონუსისა. ზედაპირი თითქმის ბრტყელია ან ზოგან ოდნავ ოლროჩოლო. მასზე ჯამები სპირალურ რიგებად არიან განლაგებული ცენტრული—საწყისი ჯამის გარშემო. აქ ორი მწკრივია. ცენტრის ახლო მდებარე ჯამები უფრო დიდი ზომის არიან, ხოლო პერიფერიულები ნაკლები ზომისა. საწყისი ცენტრული ინდივიდი კი სიდიდით ყველას სჭარბობს. ამ ჯამების ცენტრთან ზედაპირი შესამჩნევად ამობურცულია, ხოლო მწკრივებშორისი სივრცე ჩაზნექილი ან ბრტყელია. ერთი მწკრივის ჯამები მეორისას უშუალოდ სეპტებით უერთდებიან, კედელი არ არის. ჯამში სეპტები ორ კონად ლაგდებიან. ერთი კონა კოლონიის პერიფერიისაკენ მიიმართება, ხოლო მეორე ცენტრისაკენ. ჯამში სეპტები ერთმანეთთან მიჯრილი არიან, ცენტრთან მიახლოებისას კი იკლაკნებიან. კოლუმელი არ არის. შეიარაღებული თვალით კარგად ჩანს,

რომ სეპტების კიდე დაფარულია ტრაბეკულური ხორკლებით. ვერტიკალურ კრილში ჩანს, რომ სეპტები შედგენილია ტრაბეკულური ჩხირებისაგან, უკანასკნელნი შეადგენენ მესრისებრ სეპტას. ტრაბეკულებს შორის რჩება პორები. ჰორიზონტულ კვეთზე მეზობელ სეპტათა ტრაბეკულური ხორკლები თანაბარი სისქის არიან. უკანასკნელი გარემოება აიხსნება მით, რომ მეზობელი სეპტების ტრაბეკულები ერთდროულად გამოიყოფიან. სეპტების რიცხვი სხვადასხვაა; პერიფერიულ ჯამებში 4 სრული ციკლია და მეზუთე ციკლის ნაწილი. ცენტრულ ჯამში კი 9 ციკლია. ჯამში ცენტრს 12—14 სეპტა აღწევს. შლიფში ჩანს, რომ სეპტებს შორის სინაპტიკულებია მოთავსებული.

კოლონიის ქვედაპირი დაფარულია კონცენტრულად დანაოქებული ფსევდოეპითეკით. მისი მიკროსკოპულად შესწავლისას გამოირკვა, რომ იგი სინაპტიკულური წარმოშობისაა. კოლონიის ქვედაპირზე კარგად არის დაცული ფეხი ანუ საწყისი სტადია.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	28 მმ
კოლონიის დიდი დიამეტრი . . . . .	54 "
"    მცირე    "    . . . . .	50 "
სეპტების რიცხვი პერიფერიულ ჯამებში . . . . .	36—52
"    "    ცენტრულ ჯამში . . . . .	106
მანძილი მწკრივებს შორის . . . . .	6—12 მმ
მანძილი ჯამებს შორის მწკრივში . . . . .	4—9,5—10—12 "
მანძილი ცენტრული ჯამიდან პირველ მწკრივამდე . . . . .	11—13—14 "
5 მმ-ზე . . . . .	26 სეპტოკოსტური სხივი.

მსგავსება - განსხვავება. ეს ნიმუშები თავისი აღნაგობით ძალიან ჰგვანან *D. lineata* Eichwald-ს, მაგრამ განსხვავდებიან მისგან ბრტყელი ჯამებით. მკვეთრ განსხვავებას შევამჩნევთ, თუ შევადარებთ მათ ჰორიზონტულ შლიფებს. აღწერილ ნიმუშებზე არ ჩანს ეიხვალდის სახისათვის დამახასიათებელი მორიგეობა სქელსა და თხელ ტრაბეკულებიან სეპტებს შორის, რაც მიიღება მეზობელ სეპტათა ტრაბეკულების სერიების სხვადასხვა დროს გამოყოფისას. მათ კოლუმელიც არ აქვთ. განსხვავება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ჯამის ცენტრთან მიახლოებისას აქ ზოგი სეპტა იკლავება, რაც *D. lineata* Eichw.-ს სრულებით არ ჩვევია. აღწერილი ნიმუშები განსხვავდებიან აგრეთვე *D. Koechlini* Haime-საგან ჯამში სეპტების გაცილებით დიდი რიცხვით და სეპტოკოსტური სხივების უფრო მკიდროდ განლაგებით.

სადაურობა. ბაჯიხვის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვები და მათი ნაყარი.

*Dimorpharea lineata* Eichwald.

ტაბ. X, სურ. 1, 1a, 2, 3, 5, 6, 6a; ტაბ. XI, სურ. 3, 4, 4a

1865—68. *Thamnastraea lineata*, Eichwald, *Lethaea* Ross., p. 162, pl. XII, fig. 3a, b.

1888. *Dimorpharaea lineata* Solomko, Iura und Kreidekorallen der Krim, S. 203, Taf. 8, Fig. 1, 1a, b.
1900. *Trochoplegma tenuilamellosa* Gregory, Iura Fauna of Cutch, pl. 23, f. 9c, d, 10a, b, non 3a, b, c.
1904. *Dimorpharaea lineata* Missuna, Die Iurakorallen von Sudagh, S. 204, Taf. V, Fig. 8, 9.

ჩემ ხელთ ამ კოლონიური მარჯნის რამდენიმე ნიმუშია. სიდიდით ისინი ერთმანეთისაგან ძალიან არ განირჩევიან, მათ თითქმის ერთნაირი ფორმა აქვთ. ნიმუშები უმთავრესად დისკოსმაგვარი არიან, ზოგჯერ კი ძაბრისმაგვარი. კოლონიებს ბრტყელი, ამოზნექილი ან და მცირედ უსწორმასწორო ზედაპარი აქვთ. ზედაპირზე ჯამები კონცენტრულად (ერთსა ან რამდენიმე რგოლში) ღრიან დალაგებული ცენტრული დიდი ინდივიდის გარშემო. პერიფერიული ჯამები, ცენტრულთან შედარებით, მცირე ზომისა და ბრტყელი არიან; ისინი ცენტრულ ინდივიდს უერთდებიან გრძელი სექტოკოსტებით. კედელი არ აქვთ. იქ, სადაც ორი კონცენტრული მწკრივის ჯამები ერთმანეთს უერთდებიან, სექტები პარალელურად ლაგდებიან. ამის გამო ყველა ჯამში (გარდა საწყისი ცენტრულ ინდივიდისა) სექტები ორ კონას ჰქმნიან, მხოლოდ ჯამში ფოსოსთან სექტები იცვლიან მიმართულებას და რადიალურად ჟერთდებიან ფოსოში ფსევდოკოლუმელას. ფოსო ზოგან კარგად გამოიყოფა; მის ზედაპირზე მკაფიოდ არის გამოსახული ამოშევილი დილისმაგვარი (knopfartige) ფსევდოკოლუმელი. როგორც უკვე აღვნიშნე, ცენტრული ჯამი ყოველთვის უფრო ამობურცულია, ვიდრე პერიფერიული (როგორც ზედაპირზე, ისე განვიკრილში ცენტრული ინდივიდი, პერიფერიულებთან შედარებით, ყოველთვის უფრო დიდია). წვრილი და სათუთი აღნაგობის პოროვანი სექტები ერთმანეთთან მიჯრული არიან. სექტის სიგრძივ კრილში კარგად ჩანს მისი ტრაბეკულური აგებულება. თითოეული ტრაბეკული ბოლოებში განიერია, ხოლო შუაში შევიწროვებული. ეს ტრაბეკულები სექტის ზედა კიდის პერპენდიკულარულად არიან დალაგებული. მწკრივში ტრაბეკულები ერთმანეთისაგან იმდენად მოშორებული არიან, რომ მათ შორის რჩება სიცარიელე (ისევე, როგორც ამ ოჯახის ყველა სხვა წარმომადგენლების შემთხვევაში), რის გამო სექტას ნასვრეტოვანი აგებულება აქვს. შლიფში ეს მოვლენა კარგად ჩანს (ტაბ. XI, სურ. 4c). ტრაბეკულების ყოველი ჰორიზონტალი მწკრივი სექტის ზრდის სეგმენტებს წარმოადგენს. თუ რამდენიმე სექტაზე ვავატარებთ სიგრძივ კრილს, დავინახავთ, რომ მეზობელი სექტების ზრდის სეგმენტები ერთმანეთს არ თანხედებიან (ტაბ. XI, სურ. 4). ამის გამო ამ სახის ჰორიზონტულ შლიფზე ჩანს სექტები, რომელთაც თითქო განსხვავებული აღნაგობა აქვთ (ტაბ. XI, სურ. 3). აქ ფართო და მოგრძო ოვალური კვეთის მქონე ტრაბეკულებიანი სექტები მორიგეობენ ვიწრო და წვრილკვეთიან ტრაბეკულების მქონე სექტებთან. სინამდვილეში ეს სექტები თანაბარი ზომისა და სისქის ტრაბეკულებისაგან შედგებიან. ზემოთ აღნიშნული სურათი აიხსნება იმით, რომ მეზობელი სექტების ზრდის სეგმენტები ერთმანეთს არ თანხედებიან. სექტებს შორის კარგად არის განვითარებული ფსევდოსინამპტიკულები. პერი-







ფერიულ ჯამებში სეპტების სამი სრული ციკლია და მეოთხე ციკლის ნაწილი, ხოლო ცენტრულ ჯამში—ოთხი სრული ციკლი და მეხუთეს ნაწილი. ჯამებში ცენტრს აღწევს 12—14 სეპტა. კოლონიის ზედაპირი გაშლილ-კონუსურია, ზოგჯერ კი თითქმის ბრტყელი; მას შუაში ხან ოდნავ შესამჩნევი, ხან კი კარგად გამოხატული ლერო (ფენი) აქვს. ამ სახის ზოგი ნიმუში ქვევიდან კონცენტრულად დანაოჭებული ეპითელით არის მთლიადან დაფარული, ხოლო ზოგი ან ნაწილობრივ ან სრულიად დაუფარავია და მის ნაცვლად ქვედაპირზე სწორი წიბოები ჩანს. ამ სახის რამდენიმე ეგზემპლარი თავისებურია. ამ კოლონიებზე ზშირად ერთი ან ორი სართული არის დაშენებული. არის აგრეთვე ერთი ისეთი ნიმუშიც, რომლის ზედაპირის სხვადასხვა ადგილზე მცირე ზომის კოლონიებია დაშენებული; როგორც არა ერთხელ იქნა მითითებული, ეს მოვლენები ინდივიდუალურ ნიშნებს არ სცილდებიან და ცხოვრების პირობებით არიან გამოწვეული [14].

საერთოდ ამ სახის ნიმუშების სიმრავლემ საშუალება მომცა დაკვირვებები მეწარმოებია როგორც მიკროსკოპული აღნაგობის, ისე კოლონიის ზრდისა და გამრავლება-შენების შესწავლის მიზნით. მისი ონთოგენეზისის გამოსარკვევად მე მრავალი ნიმუში გავკვეთე სერიულად (ერთ-ერთი ნიმუშის სერიული შლიფების სურათი მოცემულია ნახ. 13-ზე). ყველა შლიფები გატარებულია ზრდის ხაზების გასწვრივ. შლიფებმა მომცა კოლონიის განვითარების სურათი, რომელიც აქვე მომყავს.

აღმოჩნდა, რომ საწყის სტადიაზე (ნახ. 13, I შლიფი) გვაქვს მცირე ზომის დიამეტრის მქონე ინდივიდი, რომელშიც სეპტები რადიალურად არიან განლაგებული. [ამ სტადიაში მარჯანი შიგა აღნაგობით მეტად ჰგავს ივ. კახაძის მიერ აღწერილ ბაიოსურ *Anabacia*-ს 41] მეორე შლიფი გვიჩვენებს ამ ინდივიდის მოზრდილ სტადიას. იგი პირველთან შედარებით უფრო დიდია. მესამე კვეთზე, გარდა მოზრდილი ცენტრული ინდივიდისა, პერიფერიულ მხარეზე ჩანს ერთი მთლიანი დამთავრებული შვილი-ინდივიდი და მის გვერდით მეორე შვილი-ინდივიდის მხოლოდ დასაწყისი სტადია—კვირტი, მეოთხე კვეთზე მარჯანი უფრო მოზრდილ სტადიაშია. აქ წინა შლიფზე აღნიშნულ ჯამებს ემატება რამოდენიმე ახალი, რომლებიც შედარებით მოკლე მონაკვეთზე გაჩნდნენ, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ ერთმანეთის მოყოლებით, მხოლოდ ძალზე სწრაფად. ჯამები კვეთში (ან გეგმაზე) ჰქმნიან რკალურ მწკრივს; მომდევნო კვეთზე ეს ჯამები თითქოს წრესა ჰკრავენ. მაგრამ ნამდვილად კი უკანასკნელ სტადიაზე ზედაპირზე გამოჩნდება მეორე მწკრივის დასაწყისი ინდივიდები, რომლებიც გეგმაში პირველი მწკრივის ცნდივიდებს სპირალურად ებმებიან (ნახ. 14). ამრიგად, მწკრივების ერთობლიობას ჰელიკოიდური განლაგება აქვს. კოლონიის ქვედაპირზე ვერტიკალურად (სიმაღლეზე) სწრაფი ზრდის პერიოდებს ესატყვისება ცილინდრული ფორმა, ხოლო დაკვირტვის პერიოდებს გაშლილ-კონუსური ფორმა. ონთოგენეტური განვითარება ამგვარივე ყველა ჩემს მიერ აღწერილ *Dimorpharaea*-თათვის. ლიტერატურაში მოცემული სურათების მიხედვითაც იგი თითქმის ყველა აღწერილ ფორმებშიაც ასეთივეა. სახელდობრ, საწყისი ინდივიდის გარშემო კონცენტრულად განლა-

გებული მცირე ზომის კვირტი—შვილი ინდივიდები ერთდროულად როდი არიან გაჩენილი. საწყისი ინდივიდი<sup>1</sup> გაზრდის შემდეგ იკვირტება, იძლევა ერთ შვილ-ინდივიდს. პირველი შვილი-ინდივიდი, შედარებით დედასთან, მცირე ზომის არის; იგი არ იზრდება საწყისი ინდივიდის ზომის (რომლის სიდიდესაც



სხვათაშორის არც ერთი სხვა ინდივიდი არ აღწევს) და ისე იკვირტება; ესეც მხოლოდ ერთ შვილს გვაძლევს, რომელიც სწრაფად იკვირტება; გასაგებია, რომ ჭრილში, ზრდის აღნიშნული სურათის გამო, ისიც, ე. ი. უკანასკნელი კვირტი თავის დედა-ინდივიდზე უფრო მცირე ზომის არის, მაგრამ მათ შორის არ არის ისეთი დიდი განსხვავება, როგორც საწყისი ინდივიდსა და დანარჩენ ინდივიდებს შორის. ეს პროცესი ამგვარად გრძელდება და საბოლოოდ ვღებულობთ ჯამების ჰელიკოიდურად განლაგებულ მწკრივს საწყისი ინდივიდის გარშემო. ამგვარად, ყოველი ინდივიდი მხოლოდ ერთ შვილ-ინდივიდს იძლევა და ისიც მხოლოდ ცალ მხარეზე.

საერთოდ *Dimorpharaea*-ს კოლონიები ზემოთ აღწერილ დაკვირტების შედეგად შეიძლება განხილული იქნენ როგორც *Microsolenidae*-ს უმარტივესი კოლონიური მარჯნები. ეს კოლონია უნდა ჩაითვალოს გარდამავლად ცალკეი მარჯნებიდან კოლონიურისაკენ (მარტივიდან—რთულისა-

ნახ. 13.

ნახ. 14.

ა) *Dimorpharaea lineata* Eichwald-ის კოლონიის ონტოგენეტური განვითარება.

ბ) კოლონიის გვერდითი ზედი და სიგრძივი შლიფი

*Dimorpharaea lineata*-ს დასრულებული კოლონია.

კენ), რადგან თითოეული ინდივიდი მხოლოდ ერთ კვირტ-ინდივიდს (შვილს) იძლევა, რაც მას ცალკე მარჯნებთან აახლოვებს [38], ხოლო, რადგან ყველა ინდივიდები ერთად განაგრძობენ ზრდასა და სიცოცხლეს, იგი ნამდვილ კოლონიას წარმოადგენს.

მსგავსება-განსხვავება. აღწერილი ნიმუშები ყველა ნიშნებით ეიხვალდის *Dim. lineata*-ს ახალგაზრდა ეგზემპლარების იდენტური არიან. ისინი განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენენ ყირიმის ლუზიტანიურიდან სოლომ-

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, ცხადია, უფრო მიხანშეწონილია პირველ ინდივიდს ვუწოდოთ საწყისი და არა დედა.

კოს მიერ აღწერილი სახის ახალგაზრდა ფორმასთან. ეიხვალდის ფორმა ამ გვარის სხვა სახეებისაგან მკვეთრად განირჩევა სეპტების განსაკუთრებული წყობით. ინდოეთის კუჩის შრეებიდან გრეგორის მიერ აღწერილი *Trochoplegma tenuilamellosa*-ს ნიმუშის აღნაგობა (34, pl. 23, fig. 9 et 10) საბუთს იძლევა იგი *D. lineata* Eichw.-ს მივაკუთვნოთ.

გრეგორის ნიმუში შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღწერილი სახის საწყისი დედა-ინდივიდი, რომელსაც დაკვირვა არ განუცდია (გრეგორის მიერ მოცემულ ერთ-ერთ ტაბულის ნახატზე ჩანს კვირტის გაზენაც).

აღწერილი სახე მეზობელ ფორმებიდან ახლოს დგას *Dimorpharaea Koechlini* Haime-სთან, მაგრამ მისგან, ტრაბეკულების განწყობის გარდა, განსხვავდება აგრეთვე ჯამების მწკრივებში არსებული და ჯამებში კოლუმელის არსებობით. *Dim. Koechlini* Haime-ს საწყის სტადიას—ფეხს მაღალი ცილინდრული ჯამის ფორმა აქვს. ხოლო შემდეგ იგი ხშირი დაკვირტვის გამო თეფშისმაგვარი ხდება. აღწერილი სახის ნაწილს კი თავიდანვე თეფშისებური ფორმა აქვს.

გავრცელება. ყირიმი რაურაკული, ინდოეთი, კუჩის შრეები.


სადაურობა. ზემო რაქა—ქორთა, ხირხონისი, ჩორდულა, ბაჯიბევი, ფსორი, ქვიშიანი ბრეჭიული კირქვები, ქვიშაქვები და მათი ნაყარი.

***Dimorpharaea tenuilamellosa* Gregory.**

1900. *Trochoplegma tenuilamellosa* Gregory, Iura Fauna of Cuth, pl. 23, fig. 3a, b, c (non fig. 9 et 10).

*Dimorpharaea lineata*-ს გვერდით ჩორდულა-დეღეზე ნაპოვნია დაბალი ფორმა. მისი ზედაპირი ბრტყელია, ქვედაპირი კი ოდნავ დახრილი აქვს და ამიტომ ნატეხი თითქმის ფირფიტისებრია. ზედაპირზე ორ კონცენტრულ რკალში დალაგებულია ბრტყელი ჯამები. ჯამებს შუაში აქვთ საკმაოდ ღრმა, წრიული მოხაზულობის კოლუმელური ფოსო, რომელშიც კოლუმელი არ ჩანს. თითქმის ყველა თავისი ნიშნებით ეს კოლონია წინ

აღწერილ ფორმას უახლოვდება და მისგან განირჩევა მხოლოდ წვრილი და მახვილი ტრაბეკულებიანი სეპტების განლაგებით. იმ დროს, როდესაც *Dim. lineata* Eichw.-ს ორ სქელ სეპტას შორის ერთი თხელი სეპტა აქვს (განივჭრილში), ამ ფორმაში ორ სქელ სეპტას შორის მოქცეულია ორი თხელი სეპტა, რაც, ცხადია, სეპტების ზრდის სეგმენტების შეუთანხმებლობითაა გამოწვეული (ნახ. 15). ამ მოვლენას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს და



ნახ. 15.

*Dimorpharaea tenuilamellosa* Gregory-ს სეპტების განივი და სიგრძობი შლიფები.

შლიფში იგი ყველა ჯამში შკაფიოდ არის გამოსახული.


ჩემი ნიმუში გრეგორის მიერ აღწერილი ფორმის იდენტურია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის 9 და 10 სურათზე მოცემული ნიმუშები უდავოდ *Dimorpharaea lineata* Eichw.-ს უნდა მიეკუთვნონ და მხოლოდ სურ. 3-ზე მოცემული ნიმუშები იძლევა ახალი სახის გამოყოფის საბუთს. მეორე მხრივ გრეგორის ფორმა ცხადად კოლონიურია და ამიტომ მისი გვარ *Trochoplegma*-ში მოთავსება არ იქნება მართებული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ინდოეთი, კუჩის შრეები.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა. ზემო რაჭა, ჩორდულა-ღელე.

**Dimorpharaea Koechlini Haime**

1887. *Dimorpharaea Koechlini* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 387, pl. 108 fig. 1—5.

ჩემი მასალიდან ერთი, ნაწილობრივ დაცული ნიმუში მარჯნულ კოლონიას წარმოადგენს. ამ კოლონიას აბეღისებური სახე აქვს. მის ქვედა ნაწილს (ფეხს) მორგვალეზული ფსკერის მქონე ჰიქის ფორმა აქვს, ხოლო ქვედაპირის დანარჩენ ნაწილს ელიფსისებური ფრიალო თეფშის ფორმა. ზედაპირული ჯამები განლაგებული არიან ერთი ცენტრული ინდივიდის გარშემო თითქო კონცენტრულ რიგებად. მეზობელ ჯამთა სეპტები ერთმანეთს უშუალოდ, ყოველგვარი გადატების გარეშე უერთდებიან. რიგებს შორის სივრცე თითქმის ბრტყელი, უკეთ, ოდნავ ამობურცული არის. ცენტრული ინდივიდი, ცუდი დაცულობის გამო, ნიმუშის ზედაპირზე მხოლოდ ნაწილობრივად ჩანს. ქვედა მხრიდან საწყისი სტადიის გაშლიფვის შემდეგ გამოჩნდა, რომ მის სეპტებს რადიალური მიმართულება აქვთ. კოლონიაზე ჰორიზონტულად გატარებულ კრილში აღმოჩნდა, რომ სეპტების სივრცე და რიცხვიც საწყის ინდივიდში მეტია, ვიდრე ცენტრს მოშორებულ ინდივიდებში. პერიფერიულ ჯამებში სეპტებს განსხვავებული განლაგება აქვთ. ჯამი აქ ორი კონა სეპტებისაგან არის შემდგარი ისე, როგორც ეს ყველა ამ გვარის სახეებს ახასიათებთ (ნახ. 16). სეპტები ჯამის ცენტრთან მიახლოებისას გადაიღუნებიან და თავს იყრიან



ნახ. 16.

*Dimorpharaea Koechlini* Haime-ს ჯამები. ჩანს სეპტების ორი კონა

კოლუმელურ ფოსოში, სადაც რადიალური მიმართულების ხლებიან, ხოლო მათი გარე ნაწილები კოლონიის საერთო რადიუსის პარალელურად მიემართებიან. ჯამში სეპტები ძალზე მიჯრილი არიან. მათ ზედა მხარეს, ე. ი. კიდეს ემჩნევა თანაბარი ზომის, მძივისებურად დალაგებული ხორკლები. სეპტებს შორის კარგად ჩანს სინაპტიკულები. ჯამში კოლუმელი არ არის. კოლონიის ინდივიდებში (როგორც ეს ყველა ამ გვარის სახეებისათვის არის დამახასიათებელი) სეპტების რიცხვი ცვალებადობს — ცენტრიდან გარეთკენ მცირდება. კოლონიის ფსკერი დაფარული არის აპკისებური კონცენტრულად ნაოჭა ფსევდოოპითეკით. უკანასკნელს კარგად ემჩნევა ზრდის შეჩერების პერიოდები, რომლებიც კონცენტრული ნაოჭებით არიან გამოსახული. აღსანიშნავია, რომ

ჩემს ნიმუშებს ზედაპირზე შუაში აქვს გაჭიმული ერთი დაბალი, თითქო ქუდისებურად შემალღებული საფეხური, რომლის ვერტიკალური მხარე ფსევდოეპითეკით არის დაფარული და რომელიც ცენტრთან ჰქრება.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	21,1 მმ
კოლონიის რადიუსი . . . . .	41,5 „
ჯამების მწკრივებს შორის მანძილი . . . . .	8,8 მმ-დან 10,3 მმ-მდე
მანძილი ჯამებს შორის მწკრივში . . . . .	4 მმ-დან 7,4 მმ-მდე
სეპტების რიცხვი ცენტრულ ჯამში . . . . .	62
სეპტების რიცხვი პერიფერიულ ჯამებში . . . . .	26, 28, 48.
5 მმ-ზე . . . . .	15 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს სახე ინდივიდების აგებულებით ძალიან ჰგავს *Microsolena*-ს წარმომადგენლებს, მხოლოდ იმათგან განსხვავებით აქ ჯამები ლაგდებათ დიდი, საწყისი ინდივიდის გარშემო, რაც აღნიშნულ გვარის წარმომადგენლებს არ ახასიათებთ. მეზობელ ფორმებიდან კი იგი ყველაზე უფრო *D. lineata*-ს უახლოვდება, მაგრამ მისგან განირჩევა მალალი საწყისი ჯამის (ფეხის) არსებობით და მიკროსკოპული აღნაგობით. *D. lineata*-ს კრილში სეპტებს მკვეთრად განსხვავებული განლაგება აქვთ. იქ ჩანს წვრილ და მსხვილ ტრაბეკულებიანი სეპტების მორიგეობა (ტაბ. V, სურ. 5). ამის გარდა *D. lineata*-ს ჯამების მწკრივებს შორის არე ჩაზნექილია, ხოლო აღწერილ სახეს ეს არე ამობურცული აქვს. კობი აღნიშნავს, რომ ხშირად კოლონიის ზედაპირი გაცვეთილი და დაღრმინილია სერპულებისა და ოსტრეების მიერ და ამ შემთხვევაში შეიძლება მისი არევა *Thamnastraea arachnoides* Park.-თან, მაგრამ ეს შენიშვნა შეიძლება მხოლოდ ზედაპირულ ნიშნებს შეეხოს. ზუსტი კვლევის შემთხვევაში ამგვარ ნიშნებს არ შეუძლიათ შეცდომაში შეყვანა, რადგან ეს სახეები სრულიად სხვადასხვა ოჯახს ეკუთვნიან და, გარდა სეპტის სტრუქტურის სხვადასხვაობისა, მათ გამრავლებაც და კოლონიის შექმნა-შენების სახეც აგრეთვე განსხვავებული აქვთ. ჩემ მიერ აღწერილი ნიმუში თავის აღნაგობით სავსებით ეთანხმება კობის მიერ მოცემულ *Dimorpharaea Koechlini* Haime-ს აღწერას, მხოლოდ მისგან განსხვავდება ზედაპირზე მცირე სიმაღლის ქედისებურად შემალღებული საფეხურის არსებობით. მაგრამ ეს მოვლენა, ჩემი აზრით, გამოწვეულია მარჯნის ცხოვრების პირობების შეცვლით. ეტყობა, ის მხარე, რომელიც ამალღებულია, განაგრძობდა სიცოცხლესა და ზრდას, როდესაც მეორე მხარე შლამით დაიფარა და მასში მოყოლილი ინდივიდები დაილუპნენ.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. შვეიცარია, რაურაკული.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა. სოფ. ბაჯინევთან, ზღარბიანი ქვედა ქვიშაქვები.

*Microsolena Fromenteli* Koby

ტაბ. X, სურ. 7, 7a, 7b

1887. *Microsolena Fromenteli* Koby, Polypiers jurassiques, p. 361, pl. 99, f. 1—3.

ამ სახის ორი ნიმუშია ჩემს კოლექციაში. მათგან ერთი მშენებრადაა დაცული, მეორე კი შედარებით ცუდად. პირველის კოლონია ქვევიდან შეზნე-ქილია სოკოს ქულის მსგავსად და შედგება ერთმანეთზე გადაფარებული ფენე-ბისაგან. ახალგაზრდა ფენები თითქმის სრულიად ჰფარავენ ქვედა ფენებს და კიდებზე გადადიან. კოლონიას, ეტყობა, ფეხი ჰქონია, რომელიც მოტეხილი აქვს. საერთო მოხაზულობა თითქმის წრიულია. ზედაპირი ძლიერ ამობურცუ-ლია, თითქმის ნახევარსფეროსმაგვარად. ჯამები ზედაპირული არიან; ამათ ცენტრში კარგად ჩანს ოვალური ფორმის ფოსოები. ამ ფოსოებს შორის თითქმის ბრტყელი სივრცეა და ამიტომ ზოგ ჯამებს არავითარი კიდე არ ემჩნევათ. ინდივიდები ერთმანეთს უშუალოდ სეპტებით უერთდებიან. სეპტები მრავალრიცხოვანი არიან და მათ სრულიად რადიალური განწყობა და მე-ტად ნაზი აგებულება აქვთ. თუ ზედა კიდე ნაკლებ გამოფიტულია, იგი და-ხორკლილი ჩანს, ხოლო ძლიერი გამოფიტვისას წვრილი პორებია გამოჩენილი. სეპტის გვერდით სიბრტყეზე კარგად ჩანს ტრაბეკულური აღნაგობა. ტრაბე-კულებს შორის დარჩენილია პორები. ეს მოვლენა შლიფში უკეთ მელავნდება. აქ პორები თავსდებიან ტრაბეკულურ კოჭებს შორის, ხოლო უკანასკნელნი სეპტის ზედა კიდეს პარალელურ მწკრივებს ჰქმნიან. ტრაბეკულები დაბალი და ვიწრო არიან, ხოლო ფუძეებისაკენ ფართოვდებიან, რის გამო ვერტიკა-ლურ კრილში პორები განიერი და დაბალი არიან. სეპტებს შორის კარგად არის განვითარებული სინაპტიკულები და ფსევდოსინაპტიკულები. ამ ნიმუშზე შეიძლება გამოიყოს სეპტების 7 ციკლი. პირველი ორი ციკლის სეპტები ცენტრს აღწევენ. (მე-6-ს ჩათვლით ყველა სრული ციკლია, ხოლო სეპტების მე-7-ე ციკლის ნაწილია). კოლუმელურ ფოსოს სეპტები ასაკის მიხედვით შორ-დებიან. რაც უფრო ახალგაზრდაა სეპტა, მით ურო მოკლეა იგი და ამი-ტომ ფოსოსაგან დაშორებულია. ჯამში კოლუმელი არ არის. ქვედაპირი და-ფარულია საშუალო სისქის, კონცენტრულად დანაოჭებული ფსევდოეპითეკით. როგორც ყველგან, აქაც კონცენტრული ნაოჭები აღნიშნავენ ზრდის შეჩერე-ბის პერიოდებს.

*Microsolena Fromenteli* Koby-ს სერიული შლიფების შესწავლისას ყველა შემთხვევაში კრილები ზრდის ხაზებზე იქნენ გატარებული. *Microsolena*-ს სე-რიულად გაკვეთისას პირველი კვეთი გატარებულია კოლონიის საწყისზე, ჩანს მცირე ზომის საწყისი ინდივიდი, რომელშიაც სეპტები რადიალურად არიან განლაგებული. მეორე კვეთზე საწყის ინდივიდს უფრო დიდი დიამეტრი აქვს, ვიდრე პირველ კვეთზე ჰქონდა. მესამე კვეთზე ჩანს ერთი მოზრდილი საწყისი ინდივიდი, რომელსაც რამდენიმე ადგილას ეტყობა სეპტების გამრუდება, რაც კვირტებს ესატყვისება. მეოთხე კვეთზე ნათლად გამოხატული არიან საწყისი ინდივიდის გარშემო უწყესოდ განლაგებული მცირე ზომის კვირტი-ინდივიდები. მეხუთე კვეთზე ზემოთ აღნიშნულ ინდივიდებსაც უჩანთ კვირტები (ნახ. 17).

ეს კრილები გვიჩვენებენ, რომ დედა-ინდივიდი იძლევა თითოეული მათგანი შემდეგ ისევ რამდენიმე ჯამს გვაძლევს	რამდენიმე ჯამს.
კოლონიის სიმაღლე . . . . .	27 მმ
„ დიამეტრი . . . . .	75 „
ჯამში სეპტების რიცხვი . . . . .	66
ჯამის სეპტებს შორის მანძილი . . . . .	7—11 მმ
5 მმ-ზე . . . . .	20 სეპტოკოსტი.

მსგავსება - განსხვავება. აღწერილი ფორმა ყველა ნიშნით *Microsolena Fromenteli* Koby-ს ფარგლებში თავსდება და მასთან გაიგივება ექვს არ იწვევს. მეზობელი ფორმებიდან ყველაზე ახლოს დგას *Microsolena Edwardsi* Koby-სთან, მაგრამ, როგორც ეს ავტორი აღნიშნავს, *M. Edwardsi* *M. Fromenteli*-ისაგან განირჩევა ჯამების ერთმანეთთან სიახლოვით, მათი მცირე ზომით და სეპტოკოსტური სხივების მკიდრო განლაგებით (25 სხივი 5 მმ-ზე), ე. ი. სეპტების სიხშირით. *Microsolena Desori* Koby-სგან განსხვავდება საერთო ფორმით, ზედაპირის ამობურცულობით და აგრეთვე თითოეული ჯამის საკმაო ამობურცვით; გარდა ამისა კოლუმელური ფოსოც ოვალური ფორმის აქვს (ზოგჯერ ხაზობრივიც კი). უკანასკნელი ნიშნით აღწერილი სახე ყველა მისი თანამოგვარეებისაგან მკვეთრად განირჩევა. ამ ნიშნით ცალკეული ჯამი ძალზე ჰგავს *Anabacia*-ებს საერთოდ. აქ თითოეული ჯამი ოდნავ ამობურცულია. ამავე ნიშნით ეს სახე *Dimorpharaea*-ს წარმომადგენლებსაც უახლოვდება, სახელდობრ *D. lineata* Eichw.-ს.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკული.


სადა ურობა. სოფ. ბაჯიხევთან, ქვიშიანი კირქვების ბრექჩიები, ზღარბებით მდიდარი დასტა.

**Microsolena Desori Koby**

ტაბ. XII, სურ. 1a, 1b, 1c

1888. *Microsolena Desori* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 401, pl. 109, Fig. 7.

ჩემი კოლექციის სამი განსხვავებული სიდიდის ნიმუში ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამ ნიმუშებს საერთო ფორმა აბედისებურად გაშლილი აქვთ. ზედაპირი თითქმის ბრტყელია; ორი ნიმუში ოდნავ ჩაზნექილია და ერთი კი ამოზნექილი. სამივე ნიმუშს ქვედაპირი გავშლილ-კონუსური აქვს. ჯამები მეტად ზედაპირული და ბრტყელი არიან; ცენტრში მათ ოვალური ფორმის, მცირე ზომის კოლუმელური ფოსო აქვთ. ჯამები




ნახ. 17.

*Microsolena Fromenteli*

Koby-ს კოლონიის ონტოგენეტური განვითარება

ერთმანეთისაგან მცირედ არიან დაშორებული. ისინი კოლონიის ზედაპირზე პარალელურ მწკრივებს ჰქმნიან, რომლებიც თითქო კონცენტრულ განლაგებასაც იჩენენ. ამიტომ სექტები ხშირად ორ კონად ლაგდებიან. ზოგჯერ კონათა მეტ რიცხვსაც ვხვდებით. ჯამში მრავალრიცხოვანი სექტები ძალიან მჭიდროდ არიან განლაგებული. კოლუმელი არ არის. ერთ-ერთ ნიმუშზე ჩემს მიერ ჩატარებულ იქნენ დაკვირვებები, რისთვისაც დამჭირდა სერიული შლიფების დამზადება. პირველი კვეთი გატარებულია კოლონიის საწყისზე, სადაც ჩანს მცირე ზომის საწყისი ინდივიდი, რომელშიაც სექტები რადიალურად არიან განლაგებული, მეორე კვეთზე საწყისი ინდივიდს უფრო დიდი დიამეტრი აქვს, ვიდრე პირველ კვეთზე ჰქონდა. მესამე კვეთზე ჩანს ერთი მოზრდილი საწყისი ინდივიდი, რომელსაც რამდენიმე ადგილას უჩანს სექტების გამრუდება, რაც კვირტებს ესატყვისება. მეოთხე კვეთზე ნათლად ჩანან მის გარშემო უწყისოდ განლაგებული მცირე ზომის ინდივიდები; მეხუთე კვეთზე ზემოთ აღნიშნულ ინდივიდებსაც უჩანთ კვირტები.

ეს ქრილები გვიჩვენებენ, რომ საწყისი ინდივიდი იძლევა რამდენიმე ჯამს. თითოეული მათგანი შემდეგ ისევ რამდენიმე ჯამს გვაძლევს. ყველა შეილი-ჯამები და საწყისიც მხოლოდ შემდეგ კვეთებზე იძლევიან თითო ჯამს და ამგვარად ჯამების სწორ და პარალელურ რიგებს ჰქმნიან. ამ სახეში ეს მოვლენა უთუოდ აიხსნება ნიშანთა რეკაპიტულაციით, ამ შემთხვევაში *Dimorpharaea*-თა გამრავლების სახე *Microsolena*-ში მეორდება. კოლონიის სიგრძივ კვეთზე ჩანს, რომ საწყისი ინდივიდს კვირტების გაჩენის შემდეგ, მათთან ერთად განვითარების გამო, ზრდის მიმართულება გამოუცვლია და ღერძი ანუ „კოლუმელური ღერძი“ გადაღუნულა, ხოლო შემდეგ ისევ ზედაპირის პერპენდიკულარულად მიმართულა (ნახ. 18).



ნახ. 18.

*Microsolena Fromenteli*  
Koby-ს კოლონიის გვერ-  
დითი ხედი და სიგრძივი  
კვეთი

კოლონიას ქვევიდან აკრავს კონცენტრულად ნაოკა ფსევდოოპიტიეკა. ერთ-ერთ ნიმუშს ქვევით ღრუბელი აქვს მიკედლებული.

	a	b	c
კოლონიის დიდი დიამეტრის ნახევარი . . . . .	54 მმ	60 მმ	54 მმ
„ მცირე „ ნახევარი . . . . .	38 „	46 „	36 „
კოლონიის სიმაღლე . . . . .	36,6 „	24 „	25,6 „
ჯამებს შორის მანძილი 4-დან 10 მმ-დე			7-დან 9 მმ-მდე
			7-დან—9 მმ-მდე

მსგავსება-განსხვავება. *Microsolena Desoiri* Koby, როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ გვარის სხვა წარმომადგენლებთან განსხვავდება ჯამების თითქმის კონცენტრულ განლაგებით. ყველაზე ახლო ეს ფორმა *M. Caesaris*-თან არის, მაგრამ მისგანაც განსხვავდება ზედაპირული და უფრო ახლო-



ახლო განლაგებული ჯამებით, აგრეთვე კოლუმელური ფოსოს სიმკვეთრით. აღწერილი სახე ჯამების ნაწილობრივი კონცენტრული განლაგებით ჰგავს *Dim. Koechlini* Haime-ს, მაგრამ განირჩევა მისგან ზედაპირზე საწყის ინდივიდის უქონლობით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . შვეიცარია, სექვანური.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ჩორდულა-ღელე, კირქვების ნაყარი.

**Microsolena sinuata Etallon**

1867. *Microsolena sinuata* Thurmann et Etallon, Lethaea Bruntrutana, p. 410, pl. 58, fig. 3.

1887. *Microsolena sinuata* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 397, pl. 107, fig. 3.

ამ სახის მხოლოდ ერთი ნიმუში მაქვს ხელთ. იგი წარმოადგენს ძალზე უწყესო ფორმის კოლონიას, რომელიც შედგება ერთიმეორეზე ტალღებრივად დალაგებული ფირფიტებისაგან. ფირფიტები ერთმანეთს ვერ ჰფარავენ და ამიტომ კოლონიის ზედაპირი უსწორმასწოროა. მცირე ზომის და უთანაბრო ჯამებს ძალიან მცირე და ოდნავ შესამჩნევი ფოსოები აქვთ. სეპტები მეტად წვრილი და სათუთი არიან. კოლუმელი არ ჩანს. სეპტების ზედა კიდე წვრილი ხორკლებითაა დაფარული, ტრაბეკულები ძალზე წვრილი აქვს. ქვედაპირი დაფარულია კონცენტრულად ნაოჭა ფსევდოოებიტეკით, რომელიც შედგენილია სინაპტიკულებით.

კოლონიის დიამეტრი . . . . .	70 მმ
კოლონიის მცირე დიამეტრი . . . . .	55 „
კოლონიის სიმაღლე . . . . .	34 „
5 მმ-ზე . . . . .	23 სეპტოკოსტი.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა . ეს ფორმა უახლოვდება *M. sinuata* Et.-ს. მონათესავე სახეებიდან ჰგავს *M. Caesaris* Etallon-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო პატარა ზომის ჯამებით და წვრილი სეპტებით, მას არ აქვს კონცენტრულად განლაგებული ჯამები. კობი აღნიშნავს, რომ ეს სახე *Microsolena Haime* Koby-საგან განირჩევა თავისი ფირფიტისებური უწყესო ფორმის და შედარებით დიდი ზომის კოლონიით. *M. Desori* Koby-საგან განსხვავდება ზედაპირის უსწორმასწორობით, ჯამების სიდიდით, ჯამებში სეპტების რადიალური განლაგებით და მკვეთრი ფოსოების უქონლობით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . შვეიცარია, სექვანური.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ჩორდულა ღელე, კირქვების ნაყარი.

**Microsolena ornata Koby**

1887. *Microsolena ornata* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 399, pl. CVII, fig. 1, 2.

კოლონია მცირე ზომის ფირფიტას ჰგავს. მას აქვს ფეხი. კოლონიის ზედაპირი ბრტყელია, მოხაზულობა ელიფსური. ჯამები პარალელურად დალაგებულ რიგებს ჰქმნიან. ჯამებში სეპტები ორ კონად არიან დალაგებული და

ერთმანეთის პარალელური არიან, სეპტების ზედა კიდე დახორკლილია თანაბრად. ჯამებს წრიული მოხაზულობის ღრმა ფოსოები აქვთ. ქვევიდან კოლონია დაფარულია კონცენტრულად ნაოჭა ფსევდოეპითეკით.

კოლონიის დიდი დიამეტრი . . . . .	32 მმ
კოლონიის მცირე დიამეტრი . . . . .	25 „
კოლონიის სიმაღლე . . . . .	16 „
სეპტოკოსტური სხივების რაოდენობა 5 მმ-ზე . . . . .	20

მს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა . ამ კოლონიის საერთო ფორმა და ჯამების მწკრივებად დალაგება მას აახლოვებს *Dimorpharaea*-ებთან, მაგრამ მათგან იგი განირჩევა მით, რომ არ აქვს კარგად განვითარებული საწყისი დედა ინდივიდი. ამიტომ ეს ფორმა *Microsolena*-ს ფარგლებში უნდა შევიდეს. მონათესავე სახეებიდან მას ჰგვანან *M. Caesaris* Et. და *M. Desori* Koby, მაგრამ პირველისაგან იგი განსხვავდება სეპტების დიდი რიცხვით და მათი სინაზით. *M. Desori*-საგან კი განირჩევა საერთო ფორმით.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა . შვეიცარია, კალოვიური.  
ს ა დ ა უ რ ო ბ ა . ჩორდულა-დელე, ქვიშაქვები.

**Microsolena Caesaris Étallon.**

1864. *Microsolena Caesaris* Thurmann et Étallon, Leth. Bruntr., p. 408, pl. 57, fig. 14.  
 1887. *Microsolena Caesaris* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 387, pl. CVI, fig. 2, 2a.

კოლონია აბეღისებური ფორმისაა. ქვევით მას აქვს ფეხი, რომელიც ზევითკენ უეცრად ფართოვდება. კოლონიის ზედაპირი თითქმის ბრტყელია; მისი მოხაზულობა ოვალურია და ამასთანავე დაკლაკნილი. ჯამები განლაგებული არიან ცენტრული ინდივიდის გარშემო კონცენტრულ მწკრივად. ისინი საკმაოდ დიდი ზომისა და სიღრმის არიან; ფოსოები მკვეთრად ჩანან. ცენტრულ და პერიფერიულ ჯამებს შორის გამოიყოფა დაბალი ქედი. ცენტრულ ჯამში სეპტებს რადიალური განლაგება აქვთ, ხოლო პერიფერიულ ჯამებში სეპტები ორ კონად არიან დაწყობილი და ამიტომ ერთმანეთის სწვრივი არიან. სეპტები საკმაოდ სქელი აქვს, ზოგან ოდნავ კლაკნილი. ამ კოლონიის ჯამებს სეპტების ხუთი სრული ციკლი აქვს და მეექვსეს ნაწილი. სეპტებს შორის კარგად ჩანს სინაპტიკულები და ფსევდოსინაპტიკულები. კოლუმელი არ არის. არის რაღაც კოლუმელისმაგვარი წარმონაქმნი, რომელიც მხოლოდ შლიფში ჩანს. იგი შედგენილია სეპტების შიგა კიდეებით, ე. ი. ღრუბლისებური ფსევდოკოლუმელას წარმოადგენს. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია თხელი, კონცენტრულად ნაოჭა ფსევდოეპითეკით. ეს უკანასკნელი სეპტიკულებით არის შედგენილი.

კოლონიის დიდი დიამეტრი . . . . .	41 მმ
კოლონიის მცირე დიამეტრი . . . . .	32 „
კოლონიის სიმაღლე . . . . .	22 „

მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . . 6—9 მმ  
 სეპტების რიცხვი ჯამებში . . . . . 38—40  
 5 მმ-ზე . . . . . 13 სეპტოკოსტური სხივი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა ყველა ნიშნით *Microsolena Caesaris Etallon*-ის ფარგლებში თავსდება. მონათესავე სახეებისაგან ახლოს დგას *M. Desori Koby*-სთან, მაგრამ მისგან განირჩევა ჯამების მთლიანად კონცენტრულ რიგებად განლაგებით და ჯამების სიდიდით. *Dimorpharaea*-ებისაგან განსხვავდება ცენტრში დიდი ცენტრული ჯამის უქონლობით.

გავრცელება. შვეიცარია, რაურაკული.

სადაურობა. ფსორ-ბაჯინევის სერი, მარჯნიანი ქვიშაქვები.

**Microsolena rotula Koby**

1887. *Microsolena rotula* Koby, Pol. jur. de la Suisse, p. 315, pl. CVII, fig. 8, 9, 10.

ჩემს კოლექციაში არის ერთი ნიმუში, რომელსაც ძალიან მცირე ზომა აქვს. მისი ზედაპირი მძლავრად არის ამობურცული და ამიტომ მას თითქოს სფეროს ფორმა ეძლევა. კოლონიის მოხაზულობა წრიულია. კოლონიას საკმაოდ გრძელი ფეხი აქვს. კოლონია შედგება სულ 5 ინდივიდისაგან, რომელთაგან ერთი თავისი სიდიდით გამოირჩევა, ხოლო დანარჩენები მცირე ზომის არიან. ჯამებს მკაფიოდ გამოსახული ფოსოები აქვთ. სეპტები ყველა თანაბრად სქელია. ისინი ლაგდებიან რადიალურად; ზოგან სეპტები კლაკნილი არიან. სეპტებს შორის სინაპტიკულები არ არიან კარგად განვითარებული. მათ ნაცვლად ჩანს ფსევდოსინაპტიკულები. სეპტების ზედა კიდეები მსხვილი ზორკლებისაგან შედგებიან. ჯამებში კოლუმელი არ არის. ქვედაპირზე ჩანან სწორი რადიალურად განლაგებული წიბოები, რომელთაც აქა-იქ ეკვრიან თხელი აპკისებური კონცენტრულად განლაგებული ფსევდოებიოთეკური სარტყლები.

კოლონიის დიამეტრი . . . . . 23 მმ  
 კოლონიის სიმაღლე . . . . . 15 „  
 მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . . 8—10 „  
 სეპტების რიცხვი ჯამში 3 მმ-ის რადიუსზე . . . . . 52  
 5 მმ-ზე . . . . . 15 სეპტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა თავისი ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება *Microsolena rotula* Koby-ს. ამ გვარის სხვა სახეებისაგან იგი განირჩევა მეტად სქელი სეპტების არსებობით, ხოლო, კობის მიხედვით ჯამების მცირე რიცხვითა და კოლონიის მცირე ზომითაც. მაგრამ ეს ნიშნები, ჩემის აზრით, არ უნდა იყვნენ სახის განმასხვავებელი, რადგან კოლონია შესაძლოა ასაკის გამოც იყვეს მცირე ზომისა და ამიტომაც ჯამების მცირე რიცხვის მქონეც.

გავრცელება. შვეიცარია, რაუტაკული.

სადაურობა. ჩორდულა-ღელე, მარჯნიანი ქვიშაქვები.

**Microsolena sp. A.**

მარჯნის ეს კოლონია ალბათ ნახევარსფეროსმაგვარი იქნებოდა. ხელთ მაქვს მისი მოზრდილი ნატეხი. ქვედაპირი მას სრულიად ბრტყელი აქვს, ზედაპირი კი მეტად ამობურცული. ზედაპირზე ჩანს უწყესოდ განლაგებული ჯამები. ჯამებში წვრილი და მსხვილი სექტები თითქოს ერთი მეორესთან მორიგეობენ. ცენტრულ ჯამებს სრულიად რადიალურად განლაგებული სექტების ექვსი კონა აქვთ, ხოლო პერიფერიისზე ყველა ჯამებს ორ კონად აქვთ სექტები განლაგებული. პერიფერიულ და ცენტრულ ჯამებს შორის მოთავსებულ ჯამებში კი სექტების 4 კონა არის, ამათგან 3 კონა მიმართულია ცენტრისაკენ და იქ მყოფ ჯამებს უერთდება, ხოლო ერთი დიდი კონა, რომელიც შეესაბამება ამ სამ კონას, მიმართულია პერიფერიისაკენ. ამ კონაში სექტები ერთმანეთის პარალელური არიან და მხოლოდ ჯამის ცენტრთან ილუნებიან კოლუმელურ ფოსოსაკენ. ეს ფოსო წრიული მოხაზულობისაა, ფსკერი ბრტყელი აქვს. იგი კარგადაა გამოსახული. სექტებს ზედა კიდე მარცვლოვანი აქვთ. შლიფში ჩანს მათი ტრაბეკულური აღნაგობა. სექტებს შორის კარგად არის განვითარებული სინაპტიკულური წარმონაქმნები. ქვედაპირი დაფარულია სრულიად სწორხაზობრივი რადიალური, თანაბარი სისქის წიბოებით. შუაში აქ სიცარიელეა. ზოგ ადგილზე კიების ნაკვალევი ჩანს.

კოლონიის სიმაღლე . . . . .	27 მმ
ჯამებშორისი მანძილი . . . . .	5—11 „
ჯამებში სექტების რიცხვი . . . . .	60—52
5 მმ-ზე . . . . .	11 სექტოკოსტი.

მსგავსება-განსხვავება. ეს ფორმა სექტების აგებულებით ძალიან ჰგავს *Dimorpharaea lineata* Eichwald-ს, ოღონდ მისგან განირჩევა სექტების სისქით და მათი ნაკლები სიმჭიდროვით (2 მმ-ზე ათი სექტოკოსტის ნაცვლად ხუთია) და, რაც მთავარია, მას არც საწყისი დიდი ინდივიდი აქვს და არც მის გარშემო სპირალურ მწკრივში დალაგებული ჯამები. აქ ჯამებს უწყესო განლაგება აქვთ. უკანასკნელი გარემოება აღწერილ სახეს უდავოდ *Microsolena*-ს წარმომადგენლად გვისახავს. აღნიშნული გვიარის ყველა წარმომადგენლებისაგან იგი მკვეთრად განირჩევა როგორც ჯამების განლაგებით, ისე მათში სექტების წყობით, მათი სისქითა და სიმჭიდროვით. ამ სახის კოლონია გარეგნული ფორმით ყველაზე უფრო მოგვაგონებს *M. Fromenteli* Koby-ს, მაგრამ მისგან განსხვავდება ჯამების ზედაპირით, კოლუმელური ფოსოს ფორმით, სექტების წყობით (ორ თხელ სექტას შორის ერთი სქელი სექტა) და ჯამში სექტების კონებრივი განლაგებით.

სადაურობა. ჩორდულა-ღელე, ზ. იურული კირქვების ნაყარი.

**Microsolena sp. B**

ეს კოლონია საშუალო ზომისაა; ზედაპირი ბრტყელი აქვს, ხოლო ქვე-ვიდან გაშლილი დაბალი კონუსის ფორმის არის. ფენი საკმაოდ განიერი აქვს. ზედა ფენა ოდნავ გადმოფარებულია ქვედაზე. კოლონია წრიული მოხაზულობის არის. ჯამები თითქოს კადრაკულად არიან დალაგებული და თითქმის ერთნაირი ზომის არიან. ჯამებს შორის ინტერვალი ბრტყელია. აქედან ჯამები ამობურცული არიან და შუაში დაბალი ძაბრის მსგავსი, საკმაოდ ფართო და ღრმა, სხივოსნური მოხაზულობის კოლუმელური ფოსო აქვთ (ნახ. 19). ფოსოში კოლუმელი არ არის. ჯამებში სეპტები მთლიანად რადიალურად არიან განლაგებული. სეპტები თხელი და ერთმანეთთან ძალზე მიჯრილი არიან. მათი ზედა კიდე დახორკლილია. სეპტა მთლიანად წნავრეტოვანია. იგი შედგება ტრაბეკულებისაგან. კოლუმელური ფოსო ძალიან თავისებურია, იგი ვარსკლავისებური მოხაზულობის არის. კოლონიის ქვედაპირი დაფარულია საკმაო სისქის კონცენტრულად დანაოქებული ფსევდოეპითეკით.



ნახ. 19.  
*Microsolena sp.*-ის სხივოსნური მოხაზულობის კოლუმელური ფოსო

კოლონიის სიმაღლე . . . . .	19 მმ
კოლონიის დიამეტრი . . . . .	40 "
ჯამის დიამეტრი . . . . .	6 "
მანძილი ჯამების ცენტრებს შორის . . . . .	4—5—6 "
კოლუმელური ფოსოს დიამეტრი . . . . .	2 "

მსგავსება - განსხვავება. ეს ფორმა ფოსოების თავისებურებით, თხელი სეპტებით, მათი მიჯრილობითა და ჯამების ძაბრისებრი ფორმით ყველა ჩემთვის ცნობილ ამ გვარის სახეებისაგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ მასალის სიმცირის გამო მისი ახალ სახედ გამოყოფისაგან თავს ვიკავებ. სადაურობა. ჩორდულა-ღელე, ზ. იურული კირქვების ნაყარი.

**Gen. PARTIMEANDRA gen. nov.**

შესწავლილ მასალაში აღმოჩნდა ერთი კოლონიური ფორმა, რომელიც თავისი ყველა ნიშნებით ნამდვილად *Microsoleniidae*-ში თავსდება, მაგრამ არც ერთ მის ცნობილ გვარისადმი მიკუთვნების საშუალებას არ იძლევა და უთუოდ ახალ გვარს ეკუთვნის. ვინაიდან იგი მხოლოდ ერთი ფორმით არის წარმოდგენილი და ისიც ორი ნიმუშით, ბუნებრივია, რომ გვარი მხოლოდ პირობითად არის გამოყოფილი და მისი საბოლოო დადასტურებისათვის საჭირო არის ახალი მასალის დაგროვება. ხსენებული ფორმის პოლოტიპი ამ გვარის გენოტიპად უნდა ჩაითვალოს. მის კოლონიას ოვალური ფორმის მოხაზულობა, ამობურცული ზედაპირი და ზრდის ხაზებით დაფარული უსწორმასწორო ქვედაპირი აქვს. კოლონიის ზედაპირზე მოთავსებული ჯამები სპირალურად არიან განლაგებული და დაახლოებით კონცენტრულ რიგებს ჰქმნიან. დედა-ინდივიდი ზედაპირზე არ ჩანს. ჯამების უმრავლესობას სეპტები ორ კონად აქვს დალა-

გებული. ჯამთა მწკრივებს აქა-იქ ჰკვეთენ ოდნავ კლაკნილი და ზოგან სწორ-ხაზობრივი ქედები. ეს ქედები შედგენილი არიან პარალელური სეპტებისაგან. ქედები ზოგჯერ მოკლეა, ზოგი იმდენად, რომ ბორცვებს ან ხორკლებს მოგვაგონებენ. ჯამებს და სეპტებს *Microsolemidae*-სათვის დამახასიათებელი აღნაგობა აქვთ.

ამ ოჯახიდან ახალი გვარი შეიძლება შედარებულ იქნას *Dimorpharaea*-სა და *Microsolena*-სთან. მაგრამ პირველისაგან, რომელსაც იგი მეტად უახლოვდება სპირალურად დალაგებულ ჯამთა მწკრივებით, მას განასხვავებს ზედაპირზე დედა ინდივიდის უქონლობა და ქედების არსებობა. ამ უკანასკნელსავე ნიშნით ახალი გვარი მეკეთრად განსხვავდება *Microsolena*-სგანაც.

საინტერესოა, რომ ზედაპირული აღნაგობით, განსაკუთრებით ქედების არსებობით და მოხაზულობით, იგი ძლიერ უახლოვდება *Comoseris*-ს, მაგრამ უკანასკნელი ნაწილობრივ დასვრეტილი სეპტებით სულ სხვა ოჯახში, სახელობრ *Thamnastraeidae*-ში თავსდება.

### *Partimeandra kakhadzei* sp. nov.

ტაბ. XII, სურ. 2, 2a

კოლონია დიდი ზომის ოვალური ფორმის სოკოს მოგვაგონებს. მას ელიფსური მოხაზულობა აქვს. მასი ზედაპირი საკმაოდ ამობურცულია. ქვედაპირი უსწორმასწორო, თითქმის ბრტყელი და ზოგან ოდნავ ჩაღრმავებულიც არის. ცენტრში აქვს ფეხი. კოლონიის ზედაპირი დაფარულია ჯამებით, რომელნიც დაახლოებით კონცენტრულ რიგებს ჰქმნიან. ამ ჯამთა მწკრივებს აქა-იქ სუსტად კლაკნილი და სწორხაზობრივი რადიალური ქედები ჰკვეთენ. ეს ქედები შედგენილია პარალელურად დალაგებული სეპტებისაგან; მათ მცირე სიგრძე აქვთ. ზოგი მათგანი იმდენად მოკლეა, რომ ბორცვებს ან დიდ ხორკლებს მოგვაგონებენ. ქედები საკმაოდ ბლაგვი და მორგვალელებული არიან. ქედებს შორის სივრცე თითქმის ბრტყელია და საკმაოდ ვრცელიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქედები გვხვდებიან პერიფერიისაკენ. ჯამების უმრავლესობას სეპტები ორ კონად აქვს დალაგებული და ისინი კოლონიის ზედაპირზე თითქოს კონცენტრულ მწკრივებს ჰქმნიან. ჯამები მეტად ბრტყელია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მცირე ზომის არიან, მათი ფოსოების გარჩევა მაინც შესაძლებელია; ფოსოებს წრიული მოხაზულობა აქვთ. სეპტები მრავალრიცხოვანი, წვრილი და ერთმანეთთან მიჯრული არიან. მათი ზედა კიდე დახორკლილია ტრაბეკულური შვერილებით. შლიფში კარგად ჩანს სეპტებს შორის სინაპტიკულები და ერთმანეთთან საკმაოდ შორი-შორის მდგომი ტრაბეკულური ძელები.

ქვედაპირზე ემჩნევა კონცენტრული ნაოჭები—ეს კოლონიის ზრდის ხაზებია. საერთოდ აქ ყოველი შემდეგი ფენა ფარავს ქვედას და ამიტომ კოლონიის ფსკერი ბრტყელია და ოდნავ შეზნეკილიც. ქვედაპირის უმთავრესი ნაწილი დაფარულია სხვა ქანის ნაწილაკებით. აქ, ერთ ადგილზე მცირე ზომის მოკვეთილი კონუსის მსგავსი ფეხია, რომელზედაც მშვენივრად ჩანან რადიალურად

განლაგებული წიბოები; მის ანულიფზე გამოჩნდა ერთი საწყისი ინდივიდი, რომელშიაც სებტები რადიალურად ლაგდებიან.

კოლონიის დიდი დიამეტრი . . . . .	150	მმ
კოლონიის მცირე დიამეტრი . . . . .	97	„
კოლონიის სიმაღლე . . . . .	54	„
მანძილი ჯამთა მწკრივებს შორის . . . . .	5—6	„
მანძილი ჯამებს შორის მწკრივში . . . . .	3—5	„
სებტათა რიცხვი ჯამში . . . . .	30, 32, 42	„
მანძილი მეზობელ ქედებს შორის . . . . .	3—22	„
ქედების ფუძის სიფართე . . . . .	3—4—5	„
ქედების სიგრძე . . . . .	2—4—20	„
2 მმ-ზე . . . . .	8	სებტოკოსტური სხივი.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ჩორდულა-ღელე, ლუზიტანური კირქვების ნაყარი.

ცხრილი I  
 Таблица

ფიქსირებული ფორმები Изученные формы	საბნობა გვერდში Распространение видов за пределами Грузии		საბნობა გვერდში რაჭისა და ახლო-აღმოსავლეთის Юго-Осетии						შენიშვნა Примечания	
	საბნობა გვერდში Распространение видов за пределами Грузии	საბნობა გვერდში რაჭისა და ახლო-აღმოსავლეთის Юго-Осетии	საბნობა Распространение	საბნობა Распространение	საბნობა Распространение	საბნობა Распространение	საბნობა Распространение	საბნობა Распространение		
<i>Rhipidogyna elegans</i> Kobu . . . . .										
<i>Loposmia Mikeladzei</i> sp. n. . . . .										
<i>Heliocoenia</i> aff. <i>costulata</i> Kobu . . . . .										
<i>Stylina excelsa</i> Et. . . . .										
<i>Stylina tubulifera</i> Phill. . . . .										
<i>Stylina</i> aff. <i>imax</i> Et. . . . .										
<i>Cryplocenia Cartieri</i> Kobu . . . . .										
<i>Conexostraca minima</i> Et. . . . .										
<i>Enallohelia elegans</i> Müntz. . . . .										
<i>Montivaulia Naithemensis</i> Milasch. . . . .										
<i>Montivaulia</i> aff. <i>elongata</i> Edw. et H. . . . .										
<i>Montivaulia truncata</i> Edw. et H. . . . .										
<i>Montivaulia turgida</i> Milasch. . . . .										
<i>Montivaulia rosula</i> Eichw. . . . .										
<i>Montivaulia Choffati</i> Kobu. . . . .										
<i>Thecosmia irregularis</i> Et. . . . .										
<i>Thecosmia longimana</i> Quenst. . . . .										
<i>Calamophyllia flabellum</i> Bl. . . . .										
<i>Calamophyllia Elaloni</i> Kobu. . . . .										

ფიქსირებული ფორმები  
 Тип-Баг Швейцария

ფიქსირებული ფორმები  
 Тип-„Coral rag“ Англия

ფიქსირებული ფორმები  
 Тип-„Coral rag“ Англия



Юра Гейденгейма

ფასადის კრებინ კრებინ  
Уизвестняки с кремнями  
Фасраго.

ბელის "Coral rag"  
"Coral rag" Англии  
ფასადის კრებინ კრებინ  
შუბრებში; მურტენბერგის  
უზბრუნდის კრებინები  
Уизвестняки с кремнями  
Фасраго. Лузитанские  
известняки Вюртенберга

ბელის კრებინი უნდა  
"Слой кучи" Индии  
ბელის კრებინი უნდა  
"Слой кучи" Индии

ზეციანის კალკონი  
Келловей Швейцарии

+											
				++++							
+	++		+								
+			+						+	+++	
+	+	+							+	+	
			+			++					
				+			+				
						++					
											++

- Isastraea pentamulata* Solmf.
- Isastraea aff. minima* Koby.
- Isastraea fovosiformis* sp. n.
- Meandratea Gresslyi* Et.
- Meandratea borthenensis* sp. n.
- Leptophyllia fungina* Sal.
- Thamnastraea* sp. A.
- Thamnastraea* sp. B.
- Thamnastraea racemosa* sp. n.
- Thamnastraea concina* Goldf.
- Thamnastraea explanata* Goldf.

- Thamnastraea cf. prolifera* Beck.
- Dimorphastraea dubia* From.
- Dimorphastraea vasiformis* Koby.
- Dimorphastraea fungiformis* sp. n.
- Dim. cf. variabilis* Koby.
- Dim. radshensis* sp. n.
- Dim. fallax* Becker.
- Latimeandrea* sp.
- Comoseris isherdensis* sp. n.
- Comoseris meandrioides* Mitch.
- Dimorphastraea acquieptialis* sp. n.
- Dimorphastraea lineata* Eichw.
- Dimorphastraea tenuilamellosa* Greg.

- Dinorphastraea Koechlini* Haime.
- Microsolena Fromenti* Koby.
- Microsolena Desori* Koby.
- Microsolena sinuata* Et.
- Microsolena ornata* Koby.
- Microsolena Caesaris* Et.
- Microsolena rotula* Koby.
- Microsolena* sp. A.
- Microsolena* sp. B.
- Partimeandrea* gen. n. *Kakhadzei* sp. n.

## სტრატეგიაში ნაწილი

ზედა იურული ნაღველები საქართველოში ფლიშური ეპიკონტიურ-ზღვიური და ლაგუნური ფაციესებით არიან წარმოდგენილი. ამათგან ეპიკონტინენტური ზედა იურული ნაღველები ყველაზე კარგად გამოხატული არიან აფხაზეთსა და ზემო რაჭაში, სადაც ვხვდებით ზედა იურის თითქმის სრულ კრილებს. ამათგან რაჭის ზედა იურა გაცილებით უფრო კარგად არის შესწავლილი.

ამ ნაღველებიდან ზემო რაჭაში ყველაზე აღრე ცნობილი გახდნენ ე. წ. „ქორთის შრეები“, რომლებიც მდიდარი ფაუნის შემცველობის გამო, მრავალი მკვლევარის ყურადღებას იპყრობდნენ. ეს ნაღველები პირველად აბიხის [12] მიერ იქნენ აღწერილი. შემდგომში ამ შრეების ფაუნას შეეხო მთელი რიგი ავტორებისა [25, 41, 49, 50, 67], რომლებიც ამ შრეების ასაკის შესახებ სწვადასხვა აზრის იყვნენ. „ქორთის შრეების“ ასაკი მდიდარი ფაუნის შესწავლის საფუძველზე, საბოლოოდ დადგენილ იქნა ა. ჯანელიძის მიერ ძირითადად როგორც ოქსფორდული [17]. ა. ჯანელიძემვე დაადგინა ს. წესში კალოვიური და ზედა იურულის სხვა სართულები [16, 18]. გეოლოგების (ი. კუზნეცოვი [7], ი. კახაძე და ნ. კანდელაკი [6] და სხვ.) შემდგომმა შრომებმა გვიჩვენეს, რომ ზედა იურული ნაღველები ფართოდ არიან განვითარებული რაჭასა და სამხრეთ-ოსეთში. ამასთანავე გამოიკვია, რომ ზემო რაჭის ზედა იურული ნაღველები უშუალოდ გადადიან სამხრეთ-ოსეთში, სადაც მსგავსი ფაციესებით არიან წარმოდგენილი. ამ ნაღველების შესწავლის ისტორია და მათი სტრატეგია დეტალურად არის განხილული ივ. კახაძის მონოგრაფიაში [5], სადაც გამოყენებულია ამ ნაღველების შესახებ არსებული ყველა მასალები, და ამ საკითხზე მე აქ აღარ შევჩერდები. რაჭა-ოსეთის ზედა იურის კრილში ყურადღებას იქცევენ მასიფური რიფული კირქვები. ამ კირქვების საკმაოდ სქელი წყება, სტრატეგიაში მდებარეობის (და მცირედენი ფაუნის) მიხედვით, ზოგადად ლუზიტანიურად ისაზღვრებოდა [7], ხოლო მისი დეტალური სტრატეგია ჯერ მოცემული არ იყო. ეს ნაღველები სხვა ფაუნასთან შედარებით მრავლად შეიცავენ მარჯნებს, რომლებიც შეიძლება გამოგვეყენებია ამ კირქვების დეტალური სტრატეგიაფის დადგენისათვის. ამ მიზნით მე შევადგინე რაჭასა და ოსეთში 5 დეტალური კრილი და გავცანი 2 კრილს (გელუანთისა და ჩორდ-ბაჯიხევ-ფსორისას, აღწერილს ივ. კახაძის და ნ. კანდელაკის მიერ [5, 6]), სადაც დავაგროვე დამატებითი მასალა.

კრილების შედგენისას მეტი ყურადღება ექცეოდა მასიფურ კირქვებს. თუმცა, ბუნებრივია, რომ მათი მომიჯნე ნაღველებიც იქნენ შესწავლილი. რიფული კირქვები რაჭასა და ოსეთში შერჩენილა წესიდან აღმოსავლეთისაკენ მთა რიბისამდე ცალკეულ გამოსავლების სახით. გამოსავლები შეიძლება ორ ზოლში დავაჯგუფოთ. ერთი ზოლი რიონის და ჯეჯორის ხეობების გასწვრივ—წესიდან ქორთაზე გავლით მთა რიბისისაკენ, ხოლო მეორე, უფრო ჩრდილოეთი ზოლი—ქვედრულიდან წედისზე გავლით ზამთარეთისაკენ, სადაც იგი პირველს უკავშირდება (ნახ. 20).

განვიხილოთ აღნიშნული მასივური კირქვების გამოსაყვების ეს ზოლები და აქვე მოვიყვანოთ დასტებში ნაპოვნი მარჯნული ფაუნა. დასახელებულ ფორმათა გავრცელება საქართველოს გარედ მოცემულია ქვემოთ დართულ I ცხრილში.

აღწერას ვიწყებ სამხრეთი ზოლიდან. ამ ზოლში მასივური რიფული კირქვები მრავალ ადგილზე შიშვლდებიან. ძველთაგანვე არის ცნობილი ზედა იურული ნალექების კარგი გაშიშვლება სოფელ ქორთის მიდამოებში, სადაც გვხვდება ფაუნით მდიდარი „ქორთის შრეები“, რომელთაც არა ერთი ავტორი შეეხო (17, 41).

ამ სოფლის თავში ვხვდებით ყირაზე მდგარ „ქორთის შრეებს“ და მათ მომიჯნე ნალექებს. ეს ნალექები თითქმის მთელ ზედა იურას შეიცავენ.

„ქორთის შრეები“ შედგენილი არიან მუქი რუხი ფერის კირქვიანი ქვიშაქვების, ქვიშიანი კირქვებისა და მერგელების მორიგეობით და უშუალოდ აგრძელებენ მწვანე ფერის თიხიანი ფიქლებისა და ქვიშაქვებისაგან აგებულ წყებას, რომელიც ქვედა და შუა კილოვიურს ეკუთვნის (3, 17)

„ქორთის შრეები“ ცნობილი არიან ფაუნის სიუხვით. ა. ჯანელიძის მიერ ამ შრეებიდან (სოფ. ქორთის, ქრისტესის და ხირონისის მიდამოებიდან), აღწერილია შემდეგი ფაუნა:

- Montlivaultia* sp.
- Serpula umbricata* (Schloth.) Quenst.
- Rhynchonella* cf. *allemanica* Roll.
- Terebratula* sp.
- Laevidentalium* sp.
- Pleurotomaria* sp.
- Avicula* (*Oxytoma*) *inaequivalvis* Sow.
- Gervillia aviculoides* Sow.
- Gervillia siliqua* Desh.
- Gervillia* cf. *Roederi* Lor.
- Gervillia* sp. ind.
- Perna* aff. *mytiloides* Lam.
- Lima caucasica* Neum. et Uhl.
- Lima* cf. *notata* Goldf.
- Lima streibergensis* d'Orb.
- Lima* sp. ex aff. *impressa* Morr. et Lyc.
- Lima* (*Ctenostreon*) *proboscidea* Sow.
- Entolium demissum* (Phill.) Goldf.
- Entolium vitreum* Roem.
- Entolium cingulatum* Goldf.

- Entolium* n. sp.?  
*Aequiptecten fibrosus* Sow.  
*Aequiptecten subinaequicostatus* Kas.  
*Aequiptecten* sp.  
*Velopecten*?  
*Plicatula* sp.  
*Ostrea* cf. *Ogerieni* Lor.  
*Alectryonia* cf. *costata* Sow.  
*Alectryonia* sp. ind.  
*Myoconcha* aff. *Rathieri* d'Orb.  
*Modiola aequiplicata* Stromb.  
*Modiola gibbosa* Sow.  
*Modiola perplicata* Th. et Et.  
*Modiola* sp.  
*Trigonia monilifera* Agass.  
*Trigonia* sp. ex gr. *monilifera* Agass.  
*Trigonia Fischeri* Big.  
*Trigonia* sp. ind.  
*Astarte episcopalis* Lor.  
*Astarte* sp. div.  
*Pleuromya* sp. div.  
*Homomya* sp. div.  
*Arcomya* sim. *robusta* Desh.  
*Pholadomya paucicosta* Roem.  
*Pholadomya Murchisoni* (Sow.) Reg.  
*Pholadomya lineata* (Goldf.) Moesch.  
*Belemnites* sp.  
*Phylloceras isomorphum* Gemm.  
*Phylloceras subobtusum* Kud.  
*Phylloceras Manfredi* Opp.  
*Phylloceras plicatum* Neum.  
*Phylloceras Empedoclis* Gemm.  
*Phylloceras korthense* Djan.  
*Phylloceras viator* d'Orb.  
*Phylloceras pseudoviator* Djan.  
*Phylloceras (Sowerbyceras) Tietzei* Till.  
*Phylloceras* (Sow.) aff. *subtortisulcatum* Pomp.  
*Lytoceras* sp. aff. *bolyanchomenum* Gemm.  
*Lytoceras rex* Waag.

*Lytoceras* sp. ind. div.  
*Lunuloceras* cf. *dinastes* (Waag.) Spath.  
*Lunuloceras* sp. ind. div.  
*Subbonarellia* *Spathi* Djan.  
*Distichoceras* *bipartitum* Ziet. var. *chirchonensis* Djan.  
*Perisphinctes* sp. ind. div.  
*Quenstedticeras* *Henrici* R. Douw. var. *praelamberti* R. Douw.  
*Quenstedticeras* *Lamberti* Sow.  
*Aspidoceras* aff. *Babeau* Opp.  
*Aspidoceras* *hirsutum* Bayle

ამ მდიდარი ფაუნის საფუძველზე ა. ჯანელიძის მიერ ქორთის შრეებში დადგენილ იქნენ შემდეგი ზონები:

*Peltoceras transversarium*-ის (ქვედა რაურაკული)  
*Cardioceras cordatum*-ის ზონა (არგოვიული)  
*Peltoceras athleta*-ს ზონა (დივეზური)

მანვე შესაძლოდ ჩათვალა აქ *Reineckea anceps*-ის ზონის (ზედა კალოვიურის) არსებობაც.

„ქორთის შრეებს“ მოჰყვებიან სქელ-და თხელშრეებრივი ქვიშაქვები, რომელთა ქვედა ნაწილში გამოერევიან მკვრივი ნაცროისფერი ქვიშაქვები და მკვრივი ფიქლებრივი კირქვები, ხოლო ზედა ნაწილში ჩანან აგრეთვე მკვრივი და ფხვიერი სქელშრეებრივი ქვიშაქვები. ეს დასტა უნამარხოა. როგორც ჩანს, იგი ადგილობრივ ფაციფესს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ახლო მიდამოებში აღარ გამოიყოფა. ეს ნალექები რაურაკული უნდა იყვნენ, რადგან ისინი მოჰყვებიან ქვედა რაურაკულს, ხოლო მათ ზევით განლაგებული ქვიშიანი კირქვის ბრეჩქიებიდან, რომლებიც მდიდარი არიან ზღარბებით, მათი ეკლებითა და კრინოიდების მალებით, ი. კ უ ზ ნ ე ც ო ვ ს [7] მოჰყავს ვებერის მიგრ განსაზღვრული ზღარბების ფაუნა:

*Paracidaris florigemma* Phill.  
*Rabdoidaris Orbigny* Des.  
*Diplocidaris gigantea* Ag.  
*Plagioidaris elegans* Goldf.

ვებერის დასკვნით, ეს ფაუნა შეიცავს რაურაკულისა და ქვედა სექვანურისათვის დამახასიათებელ ფორმებს. აქვე შე ნანახი ჰქვს *Dimorphærea lineata* Eichw. ეს მარჯანი ცნობილია ყირიმის რაურაკულში. ამის შემდეგ მოდიან მკვრივი რიფული კირქვები ოდნავ გადაკრისტალებული. კირქვას ბრეჩქიული ბუნება აქვს. ქვედა ნაწილი ქვიშიან-კირქვიან ბრეჩქიას წარმოადგენს. ზედა

ნაწილს ემჩნევა შრეებრივობა. შრეებრივი კირქვები მკვრივია. კირქვები მდიდარი არიან ქანმაშენი მარჯნული ფაუნით. მათში ქვევიდან ზევით დაგროვილი მაქვს შემდეგი ფორმები:

*Heliocoenia* aff. *costulata* Koby  
*Stylina tubulifera* Phyll.  
*Calamophyllia flabellum* Blein v.  
*Calamophyllia Etaloni* Koby  
*Isastraea helianthoides* Goldf.  
*Isastraea* aff. *minima* Koby

ქორთის მიდამოების ამ მასივური კირქვების ნაყარიდან აღებული მაქვს სხვა ფორმები:

*Isastraea propinqua* Thurm.  
*Meandrea korthensis* sp. nov.  
*Comoseris meandrinoides* Mich.

ეს კირქვები, პჩელინცევის განსაზღვრის მიხედვით, მთლიანად სექვანური ასაკის არიან.

კირქვები იფარებიან ფერადი თიხებისა და ქვიშაქვების წყებით, შიგთაბაშირის შუაშრეებით. ამ წყებიდან პჩელინცევის მიერ განსაზღვრულია ორი ფორმა:

*Astarte scalaria* Roem.  
*Aptixis* aff. *pseudoexcavata* Lor.

ამ ფორმათა ტიპური წარმომადგენლები შეიძლება შეგვხვდნენ როგორც კამერიჯულში, ისე ტიტონურში. მაგრამ ფერადი წყების კამერიჯული ასაკი დადგენილია ალ. ჯანელიძის მიერ [3].

მსგავსი ნალექები გავრცელებული არიან ქორთის მახლობლად მდებარე სოფ. ხირხონისში. აქვე, ე. წ. უდუს კლდე მთლიანად მასივური კირქვებისაგან არის აგებული. სამწუხაროდ, მიუვალობის გამო ამ გაშიშვლების მხოლოდ ქვედა ნაწილი მაქვს შესწავლილი. მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგები ქორთის ანალოგიურ სურათს ამჟღავნებენ.

ქვიშით შეცემენტებულ კირქვის ბრექჩიაში, რომელიც მდიდარია ზღარბებით და მათი ეკლებით, ნახული მაქვს იგივე ფორმა, რაც აღებული მქონდა ქორთის იმავე ფაციესის ნალექებიდან, სახელდობრ, *Dimorpharaea lineata* Eichw. ცნობილი ყირიმის რაურაკულიდან.

კარნიზის მეტი წილი შემდგარია ნაწილობრივად გადაკრისტალებული და შიგადაშიგ ბრექჩიული კირქვებისაგან, ხოლო ზედა ნაწილს ემჩნევა შრეებრი-

ვობა. კირქვებში გვხვდებიან ქანმაშენი მარჯნები, წყალმცენარეები და გასტროპოდები. კარნიზის ქვედა ნაწილის კირქვებში ნახული მაქვს:

*Heliocoenia* aff. *costulata* Koby

*Isastraea helianthoides* Goldf.

ამავე გაშიშვლების ნაყარში აღებული მაქვს:

*Stylina tubulifera* Ph.

*Stylina* aff. *tenax* Et.

ზედა იურული ნალექების კარგ გაშიშვლებას იძლევა ხირხონისისავე მიდამოებში, სოფლის წყაროს თავზე მდებარე კირქვების კარნიზი, რომელშიაც მარჯნული ფაუნა შრეშრეხე მაქვს დაგროვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაუნით მდიდარი „ქორთის შრეები“ ამ ადგილზე გაშიშვლებული არ არიან და კარნიზის ძირში ჩანს უნამარხო კირქვიანი ქვიშაქვები და მასიფური ბრექჩიები; მათ თავზე კი ზღარბების ეკლებით, კრინოიდების მალეებითა და მარჯნებით მდიდარი კირქვიანი ქვიშაქვებია.

თვით კარნიზი შედგენილია უმთავრესად მკვრივი არაშრეებრივი კირქვით. ეს კირქვა შიგადაშიგ ბრექჩიული ბუნების არის. ამ ნალექების ქვედა ნაწილში ნათლად გამოიყოფა ერთი შრე, რომელშიაც მრავლადაა ქანმაშენი მარჯნების კოლონიები; ეს კოლონიები ხშირად 1—1,5 მეტრის დიამეტრის არიან. ნალექების ზედა ნაწილი შეიცავს მკვრივი სქელშრეებრივი, ხანდახან ბრექჩიული კირქვის შრეებს, რომლებშიაც მრავლად არიან გასტროპოდები, წყალმცენარეები, ორსაგდულიანთა ნამსხვრევები და მარჯნები.

ამ წყების ბრექჩიულ ქვიშიან კირქვებში მყოფი ზღარბები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დამახასიათებელი არიან ზედა რაუარაკულისა და ქვედა სექვიანურისათვის. ამავე დასტაში ჩემს მიერ იქნენ დაგროვილი და აღწერილი შემდეგი მარჯნები:

*Stylina* sp.

*Thecosmilia irregularis* Etallon

*Thecosmilia* sp.

*Dimorphastraea* aff. *dubia* From.

*Dimorpharaea lineata* Eichw.

*Dimorpharaea* sp.

*Microsolena* sp.

(ეს ფორმები ერთ შრეშია ნანახი)

*Stylina tubulifera* Ph.

*Stylina* aff. *tenax* Etallon

*Isastraea helianthoides* Goldf.

(ეს სამი ფორმაც ერთ შრიდან არის აღებული)

*Heliocoenia* aff. *costulata* Koby

*Stylina tubulifera* Ph.

*Calamophyllia* aff. *flabellum* Bleinw.

*Calamophyllia* *Etallon* Koby

*Calamophyllia* sp.

ამავე ნალექების ნაყარში ნაპოვნია:

*Stylina excelsa* Etallon

*Montlivaultia truncata* Edw. et Haime

ამგვარად, ამ ორი დასტიდან გვაქვს აღებული ისეთი ფორმები, რომლებიც საქართველოს გარედ ცნობილი არიან რაურაკულში, სექვანურში, კიმერიჯულში და ზოგჯერ ტიტონურშიც. ზევითკენ მოდის თხლეშრეებრივი კირქვების და მერგელების მორიგეობისაგან შემდგარი დასტა, რომელიც შეიცავს გასტროპოდებს. აღნიშნული კირქვები და მერგელები სრული თანდათანობით გადადიან ფერადი თიხებისა და ქვიშაქვების თაბაშირიან წყებაში. უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა ავტორების მიერ დათარიღებული არის ძირითადად კიმერიჯულად (3, 5, 17).

ამ ზოლის გაგრძელებაზე, უფრო აღმოსავლეთით სოფ. ფსორსა და სოფ. ბაჯიხევის შუა, ზედა იურული ნალექები ქორთა-ხირხონისთან შედარებით ოდნავ შეცვლილ სურათს იძლევიან.

აქ მშვენიერ გაშიშვლებებში ჩანს, რომ ტუფოგენურ ბაიოსურ წყებას კუთხური უთანხმოებით, ტრანსგრესიულად ადევს ზედა იურული ნალექები. ამ ნალექებს, რომლებიც ი. კახაძისა და ნ. კანდელაკის მიერ არიან შესწავლილი, მეც გავეცანი. ამ მიდამოებში ნაყარიდან მრავლად მაქვს აღებული როგორც ცალედი, ისე კოლონიური მარჯნები; გარდა ამისა, აქვე დაგროვილი მარჯნული ფაუნის მდიდარი კოლექცია გადმომცა ნ. კანდელაკმა. ჩილორის წყლის გასწვრივ პორფირიტულ წყებაზე ტრანსგრესიულად არის განლაგებული მომწვანო-რუხი ფერის თიხები ქვიშაქვების შუაშრეებით მდიდარი თიხიანი სიდერიტის კონკრეციებით. ეს ნალექები შეიცავენ კარგ ფაუნას.

ტრანსგრესიული დასტა ი. კახაძეს დათარიღებული აქვს კალოვიურად და ზედა ნაწილი ქვედა ოქსფორდულად (დივეზურად). აქვე არის მუქი რუხი ფერის ქვიშიანი თიხები, ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით. ეს ნალექები მდიდარი არიან ცალედი მარჯნებით და ცუდად დაცული ბრაქიოპოდებით. ამ დასტიდან ნ. კანდელაკს აღებული აქვს შემდეგი ცალედი და კოლონიური მარჯნები:

*Loposmia Mikeladzei* sp. nov.

*Montlivaultia truncata* Edw. et Haime

*Montlivaultia* aff. *elongata* Edw. et Haime

*Montlivaultia* aff. *cavali* d'Ach.

*Montlivaultia rosula* Eichw.

*Thamnastraea concina* Münst.



*Thamnastraea racemosa* sp. nov.

*Thamnastraea* sp.

*Dimorpharaea lineata* Eichw.

*Dimorpharaea Koechlini* Haime

*Microsolena ovata* Koby

*Microsolena rotula* Koby

როგორც ვხედავთ, ფაუნა საკმაოდ მდიდარია; სამწუხაროდ, იგი შრეშრეზე არ არის დაგროვილი და ამის გამო შეუძლებელია თქმა ამ დასტის რომელ ჰორიზონტიდან არის აღებული ესა თუ ის ფორმა. საერთო ბუნებით ეს ფაუნა რაურაკულს უპასუხებს. ი. კახაძე ამ დასტას სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით „ქორთის შრეების“ (შესაძლებელია მხოლოდ მათი ნაწილის) შესაბამედ თელის (5). ხოლო იმის გამო, რომ მათ მოჰყვებიან ზღარბების ეკლებით მდიდარი შრეები, რომლებიც ადვილად ებმიან მეზობელი რაიონების ზედა რაურაკულ და ქვედა სექვანურ ნალექებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ქვევით მდებარე თიხებში წარმოდგენილია ქვედა რაურაკული, არგოვიული და, შესაძლოა, დივეზურის ზედა ნაწილიც.

ზღარბების ეკლებით მდიდარ შრეებში ნახულია მარჯნების შემდეგი ფორმები:

*Cryptocoenia Cartieri* Koby

*Leptophyllia fungina* Solomko

*Thamnastraea* sp.

*Dimorphastraea radshensis* sp. nov.

*Dimorphastraea dubia* From.

*Dimorpharaea lineata* Eichw.

*Dimorpharaea* sp.

*Microsolena* sp.

ამავე მიდამოების ნაყარში ნახული მაქვს:

*Cryptocoenia Cartieri* Koby.

*Montlivaultia Nattheimensis* Milasch.

*Montlivaultia turgida* Milasch.

ზღარბების ეკლებით მდიდარ ნალექებს აძევს მასივური სქელშრეებრივი კირქვების დასტა. შიგ იშვიათად ვხვდებით მარჯნების, ბრაქიოპოდებისა და გასტროპოდების ფაუნას. მარჯნებიდან ამ კირქვების ნაყარში შეგროვილია შემდეგი ფორმები:

*Dimorphastraea fallax* Becker

*Dimorphastraea* aff. *variabilis* Koby

*Dimorphastraea fungiformis* sp. nov.

*Comoseris tshordensis* sp. nov.

*Microsolena Desori* Koby.

*Partimeandra* gen. nov. *Kakhadzei* sp. nov.

ი. კახაძე აღნიშნავს, რომ ამ დასტის გადაბმა ახლო მდებარე რაიონების ანალოგიურ ნალექებთან (ქორთა) ადვილად არის შესაძლებელი და თვლის მას ლუზიტანიურად, ძირითადად სექვანურად, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მის ზედა პორიზონტებში კიმერჯულის ელემენტების არსებობაც [5].

ამ ნალექებს მოსდევნენ მოწითალო და მოყავისფრო თიხები და ქვიშაქვები თაბაშირის ლინზებით და სქელშრებრივი, ხშირად ბრექჩიული, დოლიმიტიზებული კირქვები.

ი. კახაძე მათ ქორთის ფერადი წყების ჰომოტაქსურად თვლის და ამიტომ კიმერიჯულად ათარიღებს.

გადავიდეთ ეხლა რიფული კირქვების გამოსავლების ჩრდილო ზოლზე. განხილვა დავიწყოთ სოფელ ფასრალოს მიდამოებიდან. ამ ადგილის რიფული კირქვები ჩრდილო ზოლის წყვეტილი მწკრივის მხოლოდ ერთერთ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი მორფოლოგიურად მკაფიოდ გამოიყოფიან ბაიოსური პორფირიტული წყებისაგან შექმნილ მიდამოში. ეს რიფული წარმონაქმნები კარგ გაშიშვლებას იძლევიან ჯეჯორის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ფასრალოსთან. აქ წარმოდგენილია რიფული მასივური ბრექჩიული კირქვები.

ამ ნაწილის შესახებ როგორც წინა მკვლევარები, ისე მეც სხვა წარმოდგენის ვიყავით, მაგრამ 1948 წლის ზაფხულზე მე მივიღე მონაწილეობა ზემო რაჭის ექსპედიციაში, რომლის ხელმძღვანელი პროფ. გამყრელიძე იყო, და იქ საშუალება მომეცა ჩემი დაკვირვებები შემიგნო. ახალი ცნობების მიხედვით, ზედა იურული ქანები წარმოდგენილი არიან მხოლოდ რიფული მასივური კირქვების სახით. უკანასკნელნი დაღეჭილან ბაიოსური პორფირიტული წყების უსწორმასწორო ზედაპირზე; კირქვების ზედა ნაწილი ზოგან ნაწილობრივ გადარეცხილია ცარცული ზღვით. მათ ზევით მოჰყვებიან ცარცული და მესამული ნალექები.

ამ მიდამოში ჯეჯორის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ჩასავლიდან სოფ. ფასრალოს მისავალთან ზედა ცარცული კირქვებიდან გამოდის კარსტული წყარო. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით გზაზე შიშვლდება მასივური კირქვები, შიგადაშიგ ბრექჩიული ბუნების. ზედა ნაწილში ხშირია კაჟიანი უბნები. ქანი ზოგან მოვარდისფრო და ზოგან თეთრი ფერისაა და უხვად შეიცავს მარჯნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცარცული შრებრივი ნალექები მეტად დანაოჭებული არიან და მასივურ ბრექჩიულ კირქვებს ტექტონიკურად ეხებიან. წინათ ამ მასივურ კირქვებს მთლიანად აკუთვნებდნენ ცარცულს [7], ხოლო შემდეგ

ი. კახაძემ და ნ. კანდელაკმა (2, 5, 6), შიგ ნახული ფაუნის მიხედვით, დაადგინეს კირქვების ზედა იურული ასაკი.

ამ მასივური კირქვების საგებთან პირველსავე მეტრზე აღებული მაქვს მარჯანი *Calamophyllia flabellum* Bl., უფრო ზევით ნახული მაქვს *Rhipidogyra elegans* Koby, ხოლო ზედა ჰორიზონტებში *Calamophyllia Etallonii* Koby.

აღწერილი კირქვების დისტა, ი. კახაძის და ნ. კანდელაკის [7] მიხედვით, ისაზღვრება ლუზიტანიურად, თუმცა მათ შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ზედა ნაწილი კიმერიჯულსაც ეკუთვნოდეს.

სოფელ ფასრალოს სამხრეთ-დასავლეთით მასივური რიფული კირქვები ჰქმნიან საკმაოდ მაღალ კარნიზს, რომელიც ბატონობს ამ მიდამოებზე და თავისი ღია ფერით მუქი პორფირიტული წყების ფონზე მკვეთრად გამოიყოფა (ნახ. 23). ეს კირქვები აქედან უწყვეტოდ მიიმართებიან დასავლეთისაკენ და ჰქმნიან ქედს, რომლის შუა ნაწილში მთა ველუანთა არის მიქცეული. ამ მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე ჩანს, რომ პორფირიტული წყების გადარეცხილ უსწორმასწორო ზედაპირზე განლაგებული არიან ნაცრისფერი, ალაგალაგ მოვარდისფრო, წვრილკრისტალური, ნაწილობრივ დოლომიტიზებული, მასივური, ბრექჩიული კირქვები, შემცველი ცუდად დაცული ბრაქიოპოდების, მარჯნებისა და ზღარბების ეკლების. ამ კირქვების ფუძიდან 50 მეტრის სიმაღლეზე ნაპოვია *Chlamys* cf. *Nattheimensis* Lor., ხოლო მის ზევით 30 მეტრით, აღებულია მარჯანი *Thamnastraea arachnoides* Park., უფრო მაღლა კი სექქანური გასტროპოდები [5].

ამ კირქვების სულ ქვედა ნაწილში ამოტეხილი მაქვს *Calamophyllia flabellum* Bl. კირქვებს მოჰყვებიან მასივურივე მოვარდისფრო-მონაცრისფრო სქელშრეებრივი კაჟიანი კირქვები (მარჯნებით). ხოლო შემდეგ ქვედა ცარცის ნალექებამდე გვაქვს მასივური და ბრექჩიული კირქვები, რომელთა ზედა ნაწილი სქელშრეებრივია. კირქვის საერთო ხასიათი, შრეებრივობის უქონლობა. ბრექჩიულობა, ისევე როგორც რიფმაშენი მარჯნებით სიუხვე მოწმობენ, რომ ეს ქანები წარმოადგენენ რიფულ წარმონაქმნს. რაც შეეხება ქვევით მდებარე ბრექჩიული კირქვების ასაკს, ი. კახაძე [5], მეზობელი რაიონების ანალოგიის მიხედვით, შესაძლებლად სთვლის დაათარილოს ისინი ლუზიტანიურად. მაგრამ ზემოთ მოხსენებული ფაუნა ამ ასაკის უფრო ზუსტად დადგენის საშუალებას იძლევა. ი. კახაძე აღნიშნავს, რომ იქ ნახული *Chlamys Nattheimensis* Lor.-ის ვერტიკალური გავრცელება საკმაოდ დიდია (კალოვიურ-რაურაკული), მაგრამ ყველაზე ხშირად იგი გვხვდება ოქსფორდულში, საიდანაც ეს ფორმა პირველად იყო აღწერილი. ამ ჰორიზონტისა და კირქვების უფრო ქვედა პირველად იყო აღწერილი. ამ ჰორიზონტებიდან სხვა ფაუნა არ არის ცნობილი და ამგვარად არ ხერხდება მათი უფრო ზუსტად დათარიღება. მას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია, რომ ამ რაიონში რიფების შენება ყველგან ერთდროულად არ იწყებოდა და რომ რიფული ფაციესი შესაძლოა ჩადიოდეს ზედა ოქსფორდულშიც, რომელიც მეზობელ რაიონებში თიხიან-ქვიშიანი ნალექებით არის წარმოდგენილი. ამგვარად, ი. კახაძის დასკვნით, კირქვის ქვედა ჰორიზონტები, რომლებიც უშუალოდ

ბაიოსურს მოჰყვებიან, შეიძლება მიეკუთვნონ ოქსფორდულს. მარჯანი *Th-arachnoides* Park., რომელიც უფრო ზევითაა ნახული, რაურაკულზე მიგვითითებს; ხოლო გასტროპოდები, რომლებიც მასზე უფრო ზევით არიან აღებული, შემცველ შრეს უქველად სექვანურად ათარიღებენ. ამრიგად, კირქვები ძირითადად ლუზიტანიურად თარიღდებიან, მაგრამ ამასთან ერთად შესაძლებელია, რომ რიფის შენება ამ საუკუნის შემდეგაც გრძელდებოდა და რომ კირქვების ზედა ნაწილი ეკუთვნის კიმერიჯულსა და ტიტონურსაც კი [5].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დასკვნებს არ ეწინააღმდეგება ჩემს მიერ აქ კირქვების ფუძესთან *Calamophyllia flabellum* Bleinwil-ის პოვნა, რომელიც ცნობილია შვეიცარიის რაურაკულსა და სექვანურში და ველუანთის კალთის ნაყარში ნ. კანდელაკის მიერ *Calamophyllia Etallonii* Kobay პოვნა (ეს ფორმა ცნობილია შვეიცარიის კიმერიჯულში).

მასიური კირქვების შესწავლა შეიძლება აგრეთვე იმ მშვენიერ გაშიშვლებებში, რომლებიც მდ. ქვედრულის ხეობაში სოფ. ცხანარიდან ჩამომავალ გზის პირდაპირ ქვედრულის მარჯვენა ნაპირზე გვაქვს. ახალი გზის გასწვრივ ჩანს პორფირიტული წყების ზედაპირზე განლაგებული პორფირიტულიწვე მასალის საკმაოდ მსხვილმარცვლოვანი კონგლომერატი, რომელიც ზევითკენ გადადის შედარებით წვრილმარცვლოვან ფერად (მომწვანო, მოლურჯო, მოწითალო, მოიისფრო) თხელშრებრივ ქვიშაქვებში (პორფირიტულიწვე მასალის). მათ აძევს შედარებით მცირე სიმძლავრის დეტრიტული კირქვა, შემდგარი კრიონიდების მალების, ზღარბების ეკლების და ორსაგდულიანთა ნამსხვრევებისაგან. ეს შრე მღებარეობს დიდი სიმძლავრის მქონე მასიური, ხანდახან ბრეკჩიული, რიფული კირქვების წყების ქვეშ. აღნიშნული წყების ზედა პორიზონტები სქელშრებრივი ხდებიან. ი. კახაძე კირქვებიდან ასახელებს *Terebratula immans* Zeusch., რომელიც კიმერიჯულ ფორმად არის ცნობილი, ხოლო წყების შუა პორიზონტებიდან *Rhynchonella arolica* (Opp.) Waag-ს, რომელიც ცნობილია მალმში, მაგრამ კიმერიჯულზე ზევით ჯერ-ჯერობით არსადაა ნაპოვნი; ამავე დროს ზედა პორიზონტებიდან აღებული ფაუნა ვ. პჩელინცევის მიერ განსაზღვრულია ტიტონურად. ამ გაშიშვლებებში მე შემდეგი მარჯნები მაქვს შეგროვილი:

*Stylosmilia Michelinii* Édw. et Haime

*Enalochellia elegans* Müntst.

*Thecosmilia longimana* Quenst.

*Thecosmilia* sp.

*Calamophyllia* sp.

*Dimorpharaea* sp.

ამ მარჯნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აქ გვაქვს რაურაკული, სექვანური და კიმერიჯული. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ წყების ქვედა ნაწილი ბრაქიოპოდების მიხედვით თარიღდება კიმერიჯულად, ხოლო ზედა ნაწილი ორსაგდულიანებისა და გასტროპოდების მიხედვით ტიტონურად [5].

რიფული კირქვების გამოსავლების ორი ზოლის ამგვარი შესწავლიდან ჩანს, რომ მარჯნები ყველგან გვხვდებიან. ამ მარჯნების უმეტესობა საქართველოს გარედ დამახასიათებელ ფორმებად ითვლებიან. მაგრამ ჩვენში მათი სტრატეგრაფიული ღირებულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი რჩება. მე შევეცადე ამ საკითხზე პასუხის გაცემა. ჩემი მასალა, მიუხედავად ფორმათა დიდი რიცხვისა, ამ საკითხის გადაჭრისათვის შესაძლოა სრულღირებული არ იყოს, რადგან ისეთი ფორმები, რომლებიც რამდენიმე ადგილზე იყოს ნახული, მეტად მცირეა. ამათ რიცხვს ეკუთვნიან მხოლოდ შემდეგი ფორმები:

- Heliocoenia* aff. *costulata* Koby  
*Stylina tubulifera* Phill.  
*Montlivaultia truncata* (Defr.) Edw. et H.  
*Calamophyllia flabellum* Bleinr.  
*Calamophyllia Etallonii* Koby  
*Isastraea helianthoides* Goldf.  
*Dimorphastraea dubia* From.  
*Dimorpharaea lineata* Eichw.

ამ ნამარხთა გავრცელება ჩვენ რაიონში მოცემულია II და III ცხრილებში.

ამ ფორმებიდან *Heliocoenia* aff. *costulata* Koby ახალი უნდა იყოს. იგი ნახული მაქვს ხიზონისში და ქორთაში მასიური კირქვების ზედა ჰორიზონტებში და ხიზონისში ამავე კირქვების ქვედა ნაწილში. როგორც ვხედავთ, ამ ფორმას უთუოდ შედარებით ფართო ვერტიკალური გავრცელება აქვს. თუმცა არ არის განორიციხული სხვა შესაძლებლობაც, რადგან რიფის პირობებში ქვედა ჰორიზონტებში შეიძლება ვნახოთ ზედა ჰორიზონტებისათვის დამახასიათებელი ფორმები, როგორც შედეგი რიფის ნგრევა-შენებისა.

მეორე ფორმა *Stylina tubulifera* Ph. ნახული არის ხიზონისში ზღარბებიან დასტაში, რომლის ასაკი რაურაკულ-სექვანური არის, და აქვე მასიური კირქვების ზედა ჰორიზონტებში, რომლებიც შეიძლება კიმერიჯულსაც შეიცავდნენ. იგივე ფორმა ქორთაშიაც შეიხვედა მასიური კირქვების კიდევ უფრო მაღალ ჰორიზონტებში. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ფორმას ჩვენში საკმაოდ ფართო ვერტიკალური გავრცელება აქვს—ზედა რაურაკულიდან კიმერიჯულამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასკვნა საფუძვლით შეესაბამება უცხოეთის მონაცემებს, სადაც ეს ფორმა გვხვდება რაურაკულიდან ტიტონურამდე ჩათვლით.

იგივე ითქმის *Dimorphastraea dubia* From.-ზე, რომელიც მე ორ ჭრილში მაქვს ნახული; მართალია, ორივე შემთხვევაში ეს ფორმა მხოლოდ რაურაკულ ნალექებშია ნაპოვნი, მაგრამ ყირიმში, კარპატებში და ალპებში იგი გვხვდება სექვანურ, კიმერიჯულ და ტიტონურ ნალექებში; მაშასადამე, ამ ფორმას იქ ფართო ვერტიკალური გავრცელება აქვს და არ არის გამორიციხული, რომ ჩვენშიც იგი შეგვხვდეს რაურაკულზე ვაცილებით უფრო მაღლა.

როგორც ვხედავთ, ხსენებული სამი ფორმა დეტალური სტრატეგრაფიისათვის ვერ გამოდგება.

სამაგიეროდ, სულ სხვა სურათს იძლევა დანარჩენი ხუთი ფორმა. ასე, *Montl. truncata* Edw. et H. გვხვდება მხოლოდ რაურაკულ ნალექებში. იგი ამავე ჰორიზონტში არის ცნობილი საქართველოს გარედაც. *Cal. flabellum* Bl. ნაპოვნი მაქვს ექვს ადგილზე ყველგან მასივური კირქვის სულ ქვედა ჰორიზონტებში, რომლებსაც აქვთ სექვანური ასაკი, ხოლო ზოგან შეიძლება რაურაკულიც. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპაშიც ეს ფორმა გვხვდება ქვედა სექვანურსა და რაურაკულში. რაც შეეხება ამ გვარის მეორე წარმომადგენელს *Cal. Etalloni* Koby, რომელიც შვეიცარიის ქვედა კამერიჯულიდან არის აღწერილი, იგი ჩემს მიერ ხუთგან არის ნახული მასივური კირქვების ზედა ჰორიზონტებში, რომლებიც უთუოდ ზედა სექვანურს ან კამერიჯულს ეკუთვნიან; *Isastraea helianthoides* Coldf. შესწავლილ რაიონში სამგან გვხვდება, მაგრამ იგი ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ ვიწრო ჰორიზონტთან, რომელიც ქვედა სექვანურს ეკუთვნის. აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ კობის [44] ეს ფორმა აღწერილი აქვს შვეიცარიის რაურაკულიდან და გოლდფუსს [33] ჰაიდენჰაიმის ლუზიტანიურიდან.

დასასრულ, *Dimorpharaea lineata* Eichw., აღწერილი ყირიმის რაურაკულადან. მე აღებული მაქვს რიფული კირქვების გამოსავლების სამხრეთ ზოლში ყველგან და ყველა შემთხვევაში იგი მკვეთრად უკავშირდება რაურაკულ ნალექებს.

როგორც ამ ხუთი ფორმის გარჩევიდან დავინახეთ, მათი ვერტიკალური გავრცელება ისაზღვრება შედარებით ვიწრო ფარგლებით. აღნიშნული ფარგლები სავსებით ეთანადება მათი გავრცელების საზღვრებს საქართველოს გარეთ. ამის გამო შეიძლება დაშვება, რომ იმ ფორმების გავრცელება, რომლებიც მე მხოლოდ თითო ადგილზე მაქვს ნაპოვნი, ანალოგიურია მათი გავრცელებისა საქართველოს გარეთ. მაშასადამე, შესაძლოა პირობითად ისინი კარგ ნამარხებად ჩავთვალოთ. თუ მივიღებთ ამ დებულებას, შეიძლება ზემოთ აღწერილ კირქვებისათვის ზოგი სტრატეგრაფიული დასკვნის პოვნა.

ზემოთ აღნიშნული მასივური კირქვების გამოსავლების ორი ზოლი ერთი მეორისაგან განირჩევიან და ამიტომ სჯობს მათი ცალ-ცალკე განხილვა.

დავიწყეთ სამხრეთი ზოლიდან.

1826. *Spatangus coranguinum* Goldfuss. Petr. Germ., S. 157, Taf. XLVI, Fig. 6.

1876. *Micraster* " Wright. Brit. foss. Ech., p. 277, pl. LXII.

1901. " " Lambert. Monographie du genre *Micraster*, p. 163.

1910. " " Frech. Geol. Beobachtungen, S. 8, Taf. II, Fig. 3.

Non 1853. " " d'Orbigny. Pal. Franç., Ter. crét., VI, pl. 867—868.

ამ სახეს ვაკუთვნებთ ორ დეფორმებულ ნიმუშს, რომელთა იდენტიფიკაცია ხერხდება საერთო მოყვანილობისა, ცენტრიდან ცოტა უკან გადაწეული აპიკალური აპარატისა და მოკლე და მცირე სიღრმის ამბულაკრების საშუალებით. წინა წყვილი ამბულაკრებისა უკანაზე უფრო გრძელია. პეტალები ბოლოშეუკრავია, მცირე სიღრმის, და პორათა წყვილები ღრმა ღარით არიან გაყოფილი, რომელსაც აქეთ-იქით ხორკლიანი ქედები მიუყვება.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. დას. ევროპის ზედა ცარცის კლასიკურ კრილებში ეს სახე სანტონურისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენი ნიმუშები აღებულია ჩხარის რაიონში, სკანდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

**Micraster aturicus Hébert**

1891. *Micraster aturicus* Seunes. Ech. crét., des \*Pyrén. occid., p. 30, pl. IV, fig. 1.

1940. cf. „ რუხაძე. ექინოიდები, გვ. 122.

ეს სახე წარმოდგენილია ორი კარგად დაცული შიგა კალაპოტით, რომელთა ცენტრიდან ცოტა უკბნ გადაწეული აპიკალური აპარატი, მაღალი მოყვანილობა, საერთო მოხაზულობა და ამბულიაკრების ხასიათი სენესის-ის მოცემულ სურათს ეთანხმებიან.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ეს სახე საერთოდ მაასტრიხტულია. ჩვენი ნიმუშებიდან ერთი აღებულია ზრეთის რაიონში, სოფ. მეღუშეთთან, კობახსეულის მთაზე, ხოლო მეორე სოფ. ხიდარის შეცოცებული ზედა ცარცის კირქვებიდან, ხარაგოულის რაიონში.

**Micraster Schröderi Stolley (?)**

ამ სახეს ვაკუთვებთ ერთ კარგად დაცულ გაკაეებულ შიგა კალაპოტს, რომელიც საესებით მსგავსია რუხაძის მიერ აღწერილი *M. cf. Schröderi*-ს მაგრამ, ვინაიდან სახის სრული აღწერა ხელთ არა გვაქვს, ზუსტი განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. დამახასიათებელია კამპანურ-მაასტრიხტულისათვის. ნიმუში აღებულია ლორეშის სენონურის ნაზვავში.

**Genus HEMIASTER Pomel.****Hemiaster cf. Regulusi d'Orbigny.**

1853. *Hemiaster Regulusanus* d'Orbigny. Pal. Franc., ter. crét., tome VI, p. 248, pl. 882.

1840. „ *Regulusi* რუხაძე, ექინოიდები, გვ. 132.

ამ სახეს ვაკუთვებთ ერთ მოზრდილი ტანის შიგა კალაპოტს, რომელიც ცოტა დეფორმებულია და ამიტომ ზუსტად ვერ ისაზღვრება.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. დამახასიათებელია კონიაკურ-მაასტრიხტულისათვის. ჩვენი ნიმუში აღებულია რაჭაში, მდ. შარეულის ხეობის სენონური კირქვების ნაყარში.

**Genus OSTREA Lamarck****Ostrea dzevrensis Simonovitch**

1874. *Ostrea dzevrensis* Симонович, Сорокин и Бацевич. Кутаисский и Шорапанский уезды, стр. 110, табл. 1.

ამ სახეს ვაკუთვებთ ორ საკმაოდ დიდ შარცხენა საგდულს. საერთო მოყვანილობა ოვალურ-მორგვალეებულია. ძლიერ გამოზბერილი და გამოწეული წინა მხრიანი. თხემი შედარებით პატარაა. საგდულს გარედან ემჩნევა სუსტი რადიალური ლარი, მაგრამ ლარი არ გამოჰყოფს ფრთისებრ უკანა ნაწილს.

ქუთისი აღნაბეჭდი ცენტრულია, საშუალო ზომის და სიღრმის.  
გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ჩხარის რაიონის ზედა ცარცის კირქვების ზედა ნაწილი  
(დანეური).

## Genus PYCNODONTA Fischer

*Pycnodonta vesicularis* Lamarck

1834. *Ostrea vesicularis* Goldfuss. Petr. Germ., II Th., S. 22, Taf. LXXXI, Fig. 2.  
" " *callifera* Ibid., S. 25 Taf. LXXXIII, fig. 2c.  
1943. " *vesicularis* d'Orbigny, Pal. Franç., Tér. crét., t. III, p. 742,  
pl. 487, fig. 1, 2 (non 3—10).  
1869. " " Coquand. Monogr. du genre *Ostrea*, p. 35, pl. XIII,  
fig. 2—4, 5? (non 6), 7?, 9?, 10.  
1871. *Gryphaea* " Stoliczka. Cret. Fauna of S. India. Pelecypoda, p.  
465, pl. XLII, Fig. 2—4.  
1882—83. " " White. A review of the foss. Ostr., p. 303, pl.  
XLVIII, Fig. 1—5.  
1887. *Ostr. (Gryph.)* " Griepenkerl. Die Versteinerungen., S. 37.  
1898. *Gryphaea* " G. Müller. Molluskenfauna des Unterseniens, S. 14, Taf.  
III, Fig. 10—15.  
1899. " " Семенов. Мангышлак, стр. 76.  
" " " Anthula. Über Kreidefossilien, S. 76 (22).  
1905. " " Wegner. Granulatenkreide, S. 184.  
1906. " " Böse. La fauna des Moluscos., p. 49. Iam. IV, Fig.  
1—3; Lam. VII, Fig. 2; Lam. IX, Fig. 4 Lam. XII,  
Fig. 6.  
1910. *Ostrea* " Brüggem. Nord-Peru, S. 744.  
" *Gryphaea* " Frech. Geol. Beobacht., S. 6, Taf. II, Fig. 1.  
1913. *Ostrea* " Woods. Cret. Lamellibr., Vol. II, part. IX, p. 360. pl.  
LV, Fig. 4—9.

ამ სახეს ვაკუთვნიებთ ცამეტ ნიმუშს. როგორც ცნობილია, მიმაგრების სხვადასხვა ხასიათის მიხედვით ეს სახე გარეგნულ ცვალებადობას განიცდის: როდესაც მიმაგრება ხდება ძლიერ პატარა ფართობით, მაშინ მარცხენა საგდული გამობერილია და თხემი ძლიერ მოკაუჭებული; მაგრამ მიმაგრების ადგილის პატარა ცვალებადობამ შეიძლება თხემის ცოტა გვერდზე გადახრა გამოიწვიოს; ასეთი ნიმუში რამდენიმე მაქვს. შესაძლებელია მიმაგრება მთლიანად თხემის ნაწილით მოხდეს და მაშინ თხემი მთლად ჩაბრტყელებული იქნება; ასეთი ნიმუშიც მაქვს მდ. კაცხურიდან. ყველა ამ ფორმებს საერთო აქვთ ღარივით ფრთისებრად გამოყოფილი უკანა ნაწილი, აგრეთვე საკმაოდ ცვალებადი ფორმის.

მარჯვენა საგდული მხოლოდ ერთია, აღნიშნულ ნიმუშზე მდ. კაცხურიდან; ის ცოტა შეზნექილია და გარდა ზრდის ხაზებისა, აქვს აგრეთვე წვრილი რადიალური წიბოები.

მსგავსება-განსხვავებანი. *Gr. vesiculosa* Sow. განსხვავდება აღწერილი სახისგან უფრო პატარა ზომით, ნაკლებმოკაუჭებული და უფრო წვეტიანი თხემით და უფრო სუსტად გამოყოფილი ფრთით. გარდა ამისა *Gr. vesiculosa* მხოლოდ სენომანურისთვისაა დამახასიათებელი.

იხ. აგრეთვე *Gr. Pitcheri* Morton.

გავრცელება. ვუდს-ის მიხედვით ეს სახე გვხვდება აპტურიდან (ქვედა მწვანე ქვიშა) ზედა, მასტრიხტულამდე (*Ostrea lunata*-ს ზონამდე). გარდა ამისა, მისი ახლო მონათესავე ფორმები მესამეულშიც გვხვდებიან.

ჩვენი ნიმუშები აღებული არიან ჩხარის რაიონში, ზედა ცარცის შრეებრივი კირქვების და დანიური მასივი კირქვების საზღვარზე; ყვირილის ხეობაში (საძალიხევი და კაცხურა) *Bel. mucronata*-სთან ერთად კირქვებში, ს. ღორეშაში (ზღარბებთან ერთად) და მდ. შარაულის ხეობის მასივი კირქვების ქვედა საზღვარზე.

## Genus GRYPHAEA Lamarck

### *Gryphaea Pitcheri* Morton

1857. *Gryphaea Pitcheri* Conrad (in Nall, Boundary), p. 155, pl. X, Fig. 2;  
pl. XXI, Fig. 3.
1869. " " Coquand. Monographie, p. 40, pl. IX, Fig. 9—12; pl.  
XII, Fig. 5, 6.
- " " *Pitcheri* " " p. 302, pl. XLIX, Fig. 1—6.
1910. " *Pitcheri* Böse. Monographia, p. 180.
- " " " var. *tucumcarii* Ibid., p. 109, Lam. XVIII, Fig. 6—9, 11,  
12; Lam. XIX, Fig. 1—14.
- " " " var. *washitaensis* Ibid., p. 110, Lam. XX, Fig. 1—13.
1929. " " Швецов, Сухум. стр. 41, таб. II, рис. 6, 8.

ამ სახეს ვაკუთვნებთ ექვს პატარა ზომის მარცხენა საგდულს. თხემი მოკაუჭებულია და უდიდეს ნიმუშს (5—6-ოდე *cm* სიგრძის) რამდენადმე მიუგავს *Gr. navia*-ს თხემს. ქედითაა ცხადია. აგრეთვე არა ცხადია ღარი, რომელიც ფრთისებრ ნაწილს გამოჰყოფს უკან. ყველაზე უკეთ ეს ღარი ემჩნევა უდიდეს ნიმუშს.

შენიშვნები. ამ სახეში ღარი ძლიერ ცვალებადია და ზოგჯერ მკაფიოა, ხოლო ზოგჯერ არც არის. ზოგჯერ კი ორი ღარია.

მსგავსება-განსხვავებანი. ბეზე აღნიშნავს ახლო მსგავსებას სენომანურ *Gr. vesiculosa* Sow.-სთან, რომელიც უფრო სუსტად მოკაუჭებული და წვეტიანი თხემით გაირჩევა.

ასევე ძლიერია მსგავსება *Pyc. vesicularis*-თან (განსაკუთრებით უახლოვდება მას var. *tucumcarii*). მსგავსებას აძლიერებს *Gr. Pitcheri*-ს მარჯვენა საგდულზე კონკრეტული ადრეული რადიალური ხაზები. *Gr. Pitcheri* უფრო

ვიწრო, წაგრძელებული და ნაკლებად გამობერილია, ვიდრე *Pyc. vesicularis*, ხოლო ამ უკანასკნელს უფრო მსხვილი თხემი აქვს.

გავრცელება. ეს სახე გვხვდება სენომანურიდან—დანიურამდე. ჩვენი ნიმუშები აღებული არიან სარეწკელის (ლეჩხუმი) დანიურ მასივ კირქვებში.

### Genus EXOGYRA Say

#### *Exogyra columba* Lamarck

1833. *Exogyra columba* Goldfuss. Petr. Germ., II lb., S. 34, Taf. LXXXVI, Fig. 9.

1843. *Ostrea* „ d'Orbigny. Pal. Franç., Ter., crét., t. III, p. 721, pl. 477.

1869. „ *ratisbonensis* Coquand. Monographie., p. 121, pl. XLV, Fig. 8—12.

1871. *Exogyra suborbiculata* Stolizka. Cret. Fauna, Vol. III, p. 462, pl. XXXV, fig. 1—4.

1872. *Ostrea (Exog) columba*. Geintz. Elbthalgelbirge, Th. I, S. 181, Taf. XL, Fig. 4—7.

1913. *Exogyra* „ Woods. Cret. Lam., U. II, p. IX, p. 413, textfig. 243—248.

1931. „ „ Стефановъ. Горната Креда, стр. 5, табл. I, фиг. 1.

ეს სახე წარმოდგენილია ორი პატარა ზომის მარცხენა საგდულით ყვირილის ხეობიდან. საგდულები ძლიერ გამობერილი და ღრმა არიან. თხემი მოკაუჭებულია შიგნით და ცოტა უკან. მისი წვეროდან იწყება სუსტი ქედი, რომელიც კიდისკენ აღარც ემჩნევა. ქედიდან უკან ნიჟარა უფრო ციცაბოდ ეშვება, ვიდრე წინ, ხოლო თხემთან უკანა მხარე ამოღრმავებულია, საგდულეზის ზედაპირი გლუვია.

მსგავსება-განსხვავებანი. *Ex. conica* Sowerby განსხვავდება ამ სახისგან უფრო მკვეთრი ქედით. ასევე განსხვავდება მისგან სენონური *Ex. decussata* Goldf., რომელიც გარდა ამისა უფრო ვიწროც (მოკლე) არის.

გავრცელება. ეს სახე სენომანურ-ქვედა ტურონულია. ჩვენი ნიმუშები აღებულია ჭიათურასთან, ზედაცარცის ძირში, ქვიშიან ვარდისფერ კირქვიდან.

#### *Exogyra decussata* Goldfuss

1834. *Exogura decussata* Goldfuss, Petr. Germ., Th. II, S. 33, Taf. LXXXVI, Fig. 11.

„ „ *conica*. Ibid. Taf. LXXXVII, Fig. 1.

1869. *Ostrea decussata* Coquand. Monographie., p. 30, pl. VII.

1932. *Exogyra* „ Цанковъ. Молюски., стр. 58, таб. III, фиг. 6.

ეს სახე წარმოდგენილია ოთხი მარცხენა საგდულით. მათ მკაფიოდ გამოსახული, მაგრამ ბლაგვი ქედი აქვთ და შიგნით და უკან მოკაუჭებული თხემი. გარედან საგდულები გლუვია.

გავრცელება. სენონური. ჩვენი ნიმუშები აღებული არიან ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთი ფრთის (სარეწკელა) დანიურ მასივ კირქვებში და მდ. შარაულის ანალოგიურ კირქვებში.



## Genus INOCERAMUS Sowerby

*Inoceramus* cf. *Crippsi* Mantell

1942. *Inoceramus Crippsi* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 103 (მოყვანილია სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია სამი, რამდენადმე ნაკლები ნიმუშით; ერთი აღებულია ახალ ათონთან, ალბურ-სენომანური მერველების ზედა ნაწილში, მეორე კოდორის ხეობაში ბავადის კლდეების სენომანურში, მესამე სატანჯიოს სენომანურში.

*Inoceramus* cf. *inconstans* Woods em. Andert.

1942. *Inoceramus inconstans* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 207 (მოყვანილია სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია ექვსი ნიმუშით, რომელთაგან ერთი აღებულია ბიჯნის-ურთხვის რაიონში, ტურონულ კირქვებში, ერთი რაქაში, ს. ზნაკის თავზე ზედა ცარცული კირქვების ქვედა ნაწილში, ერთი კაცხურის ხეობის ზედა ცარცულ კირქვებში, თითო ხრამისა და ალგეთის ლითოგრაფიულ კირქვებში და ერთი დაფნარასთან, ზედა ცარცის წითელ კირქვებში.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ტურონულ-სენონურია.

*Inoceramus sarumensis* Woods.

1942. *Inoceramus sarumensis* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 112 (მოყვანილია სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტი, რომელიც ძლიერ მიაგავს როგორც ვუდს-ის ორიგინალს, ისე ჩვენს მიერ აღწერილ ნიმუშებსაც. სკულპტურა შედგება სუსტი ზრდითი ტალღობებისაგან.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ეს სახე საერთოდ დამახასიათებელია სანტონურ-ქვედა კამპანურისათვის. ჩვენი ნიმუში აღებულია თეთრი წყაროს ლითოგრაფიული წყებიდან.

*Inoceramus Schöndorfi* Heinz.

1928. *Inoceramus vancouverensis* mut. ant. *Schöndorfi*. Heinz. Über. Cenoman und Turon., S. 33.

1928. " " Heinz. Inoc. Süd Amerikas, S. 58.

ამ ფორმას ვაკუთვნებთ ერთ ნიმუშს, რომელიც მარჯვენა საგდულის კალაპოტს წარმოადგენს ნიჟარის ნაშთებით. წინა ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, მაგრამ სკულპტურის მიხედვით ეტყობა, რომ სიმალღე ცოტა სპარბობს სიგრძეს. ლიგამენტის ხაზი თითქმის საგდულის სიგრძის ტოლია, თხემი არ არის დაცული. საგდულის კიდეები წესიერად მორგვალეებული არიან და შეუმჩნეველად გადადიან ერთმანეთში. ქვედა კიდე უფრო მეტადაა მორგვალეებული, ვიდრე უკანა, რომელიც ლიგამენტის კიდესთან სწორზე ცოტა უფრო დიდ კუთხეს ჰქმნის, ნიჟარის ეს ნაწილი ბრტყელ, გამოუყოფელ ფრთას წარმოადგენს.

საგდულის ღერძი კონცენტრული სკულპტურის უდიდეს სიმრუდეებზე გაივლის და ლიგამენტის კიდესთან სწორზე ოდნავ მცირე კუთხეს ჰქმნის. საგდული ძლიერ სუსტადაა გამოხერხილი.

სკულპტურა შედგება დაბალი, ძლიერ დაშორებული და ვიწრო ზრდითი ტალღებისგან, რომელთა შორის მხოლოდ ზრდის ხაზები შეიმჩნევა. სკულპტურა ფრთაზე შესუსტებულად გრძელდება.

შენიშვნები. ჰაინცს ამ ფორმის სურათი არსად არა აქვს მოცემული, სამაგიეროდ მას ზედა ტურნოული *Inoc. vancouverensis* Shum.-ის ვრცელი სინონიმიკა აქვს მოყვანილი, რომელშიაც, სხვათა შორის, გეინიცის *In. striatus* (Elbthalg., II, Taf. XIII, Fig. 10) შეჰყავს. ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებიც, მის მიხედვით, *In. vancouverensis* Shum და mut. ant. *Schöndorfi*-ს შორის არსებობს, ჩვენს ნიმუშსა და გეინიცის ნიმუშს შორისაც შეიმჩნევა; სახელდობრ, ჩვენს ნიმუშს მხოლოდ ნაკლებ გამოხერხილი ფორმა და უფრო სუსტი სკულპტურა განასხვავებს გეინიცის ნიმუშისგან. მეორეს მხრით ჩვენი ნიმუშის ნიშანთვისებები სავსებით ეთანხმებიან ჰაინცის მიერ მოცემულ აღწერას, კერძოდ, ზრდითი ტალღები არც ერთი სენომანური სახისთვის არ არის დამახასიათებელი. ამიტომ ჩვენ ნიმუშს უყოყმანოდ ვაკუთვნებთ ჰაინცის ფორმას.

ეს ფორმა მკვეთრად განსხვავდება ყველა სენომანური ფორმებისაგან და უახლოვდება *In. inconstans*-ის მონათესავე ტურნოულ ფორმებს, რომლებთანაც მას აკავშირებს სკულპტურის ტიპი (*In. Stille* Heinz, *In. Schlönbachi* Böhm.). უკანასკნელებს განსხვავებით აღწერილი ფორმისაგან ზრდითი ტალღებს შორის ინტერვალებში ზრდითი რგოლობები აქვთ, ხოლო აღწერილი ფორმა მათთან შედარებით უფრო ბრტყელია.

გავრცელება. ჰაინცის მიხედვით, ზედა სენომანურში გვხვდება. ჩვენი ნიმუში აღებულია ს. ბიჯნისთან, სენომანური გლაუკონიტინი კირქვების და ქვედა ტურნოული *Inoc. labiatus*-იანი თეთრი კირქვების საზღვარზე. თვით *labiatus*-ი ზონაში ის არ გვხვდება.

### *Inoceramus striato-concentricus* Gümbel

ტაბ. XV, სურ. 6, 7

1871—75. *Inoceramus Brongniarti* Geinitz. Elbthalg., II, Taf. XI, Fig. 5.

" " *latus* Ibid., S. 45, Taf. XIII, Fig. 4.

1928. " *striato-concentricus* Heinz. *Inoc. Süd Amerikas*, S. 69 Taf. IV, Fig. 3.

1934. " *costellatus* Andert. *Kreideabl.*, S. 134, Taf. XVI, Fig. 3.

ამ სახეს ვაკუთვნებთ ოთხ საშუალო ზომის ნიმუშს. ორი მათგანი მარცხენა საგდულის კალაპოტია ნიჟარის უმნიშვნელო ნაშთებით, ერთი მარჯვენა საგდულის კალაპოტია, ხოლო ერთიც მარჯვენა საგდულია, რომელიც შიგნითა მხრიდან ჩანს მხოლოდ, რადგან ქანიდან მისი გამოღება არ ხერხდება.

სიმაღლე ოდნავ სკარბობს სიგრძეს. თხემი კიდურია, პატარა, სუსტად გამოყოფილი, წინ წახრილი. საგდულები სუსტად გამოხერხილია, ოდნავ ირი-

ზად წაგრძელებული ქვევით და უკან, ტრაპეციოიდული მოხაზულობის. აქვთ პატარა უკანა ფრთა.

მოკაზმულობა შედგება კარგად განვითარებული და ხშირი ზრდითი ქედობებისაგან, რომლებიც ფრთაზედაც გადადიან. მათი საერთო მოხაზულობა საგდულის კიდის პარალელურია და ინტერვალები მათ სივანეს არ აღემატება.

მსგავსება - განსხვავებანი. ეს სახე ძლიერ ჰგავს *In. hercynicus* Petr.-ს მაგრამ აღვილი გასარჩევია მისგან ზრდის ქედობების არსებობით. *In. costellatus* Woods, რომელთანაც ანდერტი აიგივებდა ამ სახეს, უფრო გამოხრილი საგდულებით და დაშორებული წიბოებით განირჩევა; ამიტომ ჩვენ ისინი სხვადასხვა სახეებად მიგვაჩნია.

გავრცელება. გეინიციის ნიმუშები ქვედა პლენერის ზედა შრეებიდან და ზედა პლენერის ქვედა შრეებიდანაა. ჰაინცი მას *Scaphites Geinitzi*-ს ზონის დამახასიათებლად სთვლის; ანდერტიც მას შუა ტურონიდან ასახელებს.

ჩვენი ნიმუშები აღებული არიან სურამთან, ბიჯნისის და ურთხვის ტურონულ კირქვებში *In. Lamarcki*-ანი შრეების თავზე.

#### *Inoceramus brightonensis* Renngarten

1912. *Inoceramus inconstans*. Woods. Cret. Lam., vol. II, p. VIII, textfig. 47.

1926. " *brightonensis* Ренгартен. Акка-Камбизеевка, стр. 50.

ეს ფორმა წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტით.

სიგრძე 70 mm

სიმაღლე 74 mm

სისქე 25 mm

საგდულის სიმაღლე სწარბობს სიგრძეს და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სუსტ დეფორმაციას, საგდული ზომიერად და თანაბრად გამოხრილია. ამგვარადვე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინამხარის სუსტ შექყვლებას, კიდეები (და, მაშასადამე, საერთო კონტურიც) თითქმის წესიერად შორგვალელებული არიან, რამდენადმე შევიწროებული თხემისკენ და გაფართოებული ქვედა მხარისკენ, მაგრამ ამასთან ერთად უკანა კუთხე ბლაგვია, წინა კუთხე—თითქმის სწორი, ხოლო ღერძის კუთხე—მახვილი, რაც საგდულს რამდენადმე ირიბ შესახედაობას აძლევს.

თხემი პატარაა, კიდეური; საბმის კიდე ჰქმნის პატარა უკანა ფრთას.

სკულპტურა შედგება წვრილი კონცენტრული წიბოებისგან, რომლებიც საგდულის კიდესთან სუსტდებიან.

მსგავსება - განსხვავებანი. ეს სახე ყველაზე მეტად უახლოვდება *Inoc. sarumensis* Woods და *Inoc. subsarumensis* Renng.-ს მაგრამ ორივესგან განსხვავდება მეტი სიმაღლით და უფრო მკაფიო სკულპტურით.

გავრცელება. ამ სახის ტიპი ცნობილია *Act. quadratus*-ის ზონიდან. ჩვენი ნიმუში აღებულია ხარაგოულთან, ჯიხველას კამპანურ სქელშრეებრივ ნაცრისფერ კირქვებში.

*Inoceramus kharagoulensis* n. sp.

(ტაბ. XV, სურ. 1)

ამ ახალი სახის ხუთი ნიმუში მოგვეპოვება. ამათგან ერთი პრიზმული შრითაა დაფარული, ხოლო ოთხი შიგა კალაპოტს წარმოადგენს. უკანასკნელ-ათგან სამი დეფორმებულია.

სიგრძე	95 mm	77 mm
სიმაღლე	78 mm	65 mm
სისქე	45 mm	20 mm

თხემი კიდურია, მასივური, მორგვალეებული, საბმის კიდეზე მალაღი, შიგ-ნით მოკაუჭებული. საგდულიდან მკაფიოდ გამოყოფილი არ არის. წინა კუთხე-სწორია, საბმის კიდე საგდულის სიგრძის ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს (მთლიანად დატული არ არის), წინა კიდე შედარებით მოკლეა და მალე თან-დათანობით გადადის ქვედა კიდეში, ხოლო უკანასკნელი მორგვალეებულადვე გადადის უკანა კიდეში, რომელიც ბლაგვ უკანა კუთხეს ჰქმნის. ქვედა და უკანა კიდეებს შორის უფრო მრუდი რკალი იქმნება, ვიდრე ქვედა წინა კიდეებს შორის, რაც საგდულს რამდენადმე ირიბად წაგრძელებულ ფორმას აძლევს.

საგდული მნიშვნელოვნად გამობერილია. წინა მხარე თითქმის მართობია-საგდულთა გამყოფი სიბრტყის. უკანა მხარე კი თანდათანობით შებრტყელებას განიცდის, მაგრამ ფრთას არ ჰქმნის. განსაკუთრებით გამობერილია თხემის მხარე. მიუხედავად ამისა, საგდული არსად გარდატეხილი არ არის.

ნიჟარის ზედაპირი დაფარულია ძლიერ სუსტი ზრდითი ტალღობებით და სუსტი, მაგრამ საკმაოდ წესიერად განვითარებული ზრდითი ქდეულებით (ზრდითი ტალღების გარეშე), რომელთა შორის სივრცეებში უბრალო ზრდის ხაზებიც ჩანს. სკულპტურა საგდულის კიდეების პარალელურია.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ ა ნ ი. გამობერილი ფორმით, საგდულის საერთო კონტურით და ზრდითი ქდეულების არსებობით ეს სახე უკავშირდება *In. inconstans*-ის ჯგუფს. აქედან ყველაზე ახლოს ის დგას *In. Waltersdorfensis* And.-თან, რომლისგანაც განსხვავდება მეტი სიგრძით. გარდა ამისა უკანასკნელს ახალგაზრდობაში ზრდითი რგოლობები ახასიათებს, რომლებიც ჩვენ ნიმუშებს არა აქვთ.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ხარაგოული, ჯიხველის ხეობის კონიაკური და სანტო-ნური ნეცრისფერი კირქვები. ჩხარის რაიონი, ზედაცარცის კირქვების ქვედა-შრები.

*Inoceramus crassoides* n. sp.

ტაბ. XV, სურ. 3

ეს სახე წარმოადგენილია ერთი პატარა ზომის მარჯვენა საგდულის შიგა-კალაპოტით.

სიგრძე	46 mm
სიმაღლე	33 mm
სისქე	10 mm

თხემი კიდურია, პატარა და წინწახრილი, საბმის კიდეს არ სცილდება. წინა კუთხე სწორზე ცოტა პატარაა, უკანა—ბლაგვია. წინა, ქვედა და უკანა კიდებები ერთმანეთში მორგვალეზულად გადადიან. ამგვარად, საერთო მოხაზულობა რომბულს წაიგავს და გრძელი დიაგონალი (რომელიც საგდულის ღერძს წარმოადგენს) თხემიდან მიმართულია ქვედა და უკანა კიდებების საზღვრისკენ. საგდული თავის ზომასთან შეფარდებით მნიშვნელოვნადაა გამობერილი, ისე, რომ წინა მხარე საგდულთა გამყოფი სიბრტყის მართობია; გამობერილობა მორგვალეზულია და საგდული არსად არ არის გარდატეხილი. გამობერილობის ღერძი საგდულის ღერძს თანხვედება. საბმის კიდე საგდულის სიგრძეზე ცოტა ნაკლებია და საბმის მხარე შესამჩნევად შებრტყელებულია.

სკულპტურა შედგება ძლიერ სუსტი კონცენტრული წიბოებისაგან, რომლებიც საგდულის გარე ნახევარზე შეუმჩნეველი ხდება.

მსგავსება-განსხვავებანი. ეს ფორმა ყველაზე უფრო ახლოს არის *In. crassus* Petr. თან, მაგრამ განსხვავდება მისგან პატარა ზომით, სუსტი სკულპტურით და გარდატეხის არ არსებობით.

გავრცელება. ხარაგოულის კონიაკური ნაცრისფერი თხელშრეებრივი კირქვები, სადაც ის გვხვდება *In. subquadratus* Schlüt., *In. crassus* Petr., *Cord. cordiformis* Sow., *Cord. Haenleini* G. Müll. და სხვებთან ერთად.

### *Inoceramus balticus* Böhm. var. *bulgarica* n. var.

ტაბ. XIV, სურ. 11

2931. *Inoceramus balticus* Стефановъ. Горната Креда, стр. 20, табл. V, фиг. 1. ეს ფორმა წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის საკმაოდ სრული ნიმუშით, რომელსაც პრიზმული შრეც აქვს შერჩენილი.

სიგრძე 110 mm

სიმაღლე 84 mm

სისქე 35 mm

თხემი თითქმის კიდურია. საგდული საკმაოდ გამობერილია, განსაკუთრებით თხემის მეზობელ ნაწილში. ზრდის გარდატეხა ადრე ხდება, თხემიდან 4-ოდ cm მანძილზე. სკულპტურა შედგება სუსტი კონცენტრული წიბოებისაგან, რომლებიც უწესო და ზოგჯერ დიდი ინტერვალებით არიან დაშორებულნი. საერთო ჰაბიტუსით ძირითად სახეს ჰგავს.

მსგავსება-განსხვავებანი. ძირითადი სახისგან ჩვენი ვარიეტეტი განსხვავდება უწესო სკულპტურით, სიგრძესთან შედარებით დიდი სიმაღლით და ნიჟარის ადრეული გარდატეხით.

გავრცელება. ბულგარეთის ნიმუში კამპანურია. ჩვენი ნიმუში აღებულია ახალსოფელთან (ჩხერიმელა), სენონური კირქვებიდან.

### *Inoceramus balticus* Böhm.

1942. *Inoceramus balticus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 115 (მოყვანილია სინონიმიკა).

13. გეოლოგიური ინსტ. შრ., ტ. V (X)

ეს სახე წარმოდგენილია რამდენიმე ნატეხი ნიმუშით, რომლებიც ალგებული არიან ძეგვის მიდამოების (ხეკორძულა და დარბაზულა) და წითელქალაქის მიდამოების (გარიყულას ხევი) ზედა ცარცული კირქვებიდან, სურამის მიდამოების თეთრი კირქვებიდან, სატანჯოს და მუნჩიის თეთრი კირქვებიდან, სარეწკელის თეთრი კირქვებიდან, წირქლის (ქსანი) მარცვლოვანი კირქვებიდან და სამხრეთ ოკრიბის სენონური კირქვებიდან.

*Inoceramus alaeformis* Zekeli

1866. *Inoceramus Cripsi* var. *alaeformis*. Zittel. Die Bivalven, S. 97—98 Taf. XIV, Fig. 5.

1942. „ *alaeformis* ცაგარელი, ინოცერამები, გვ. 118, ტაბ. II, სურ. 4.

ეს სახე წარმოდგენილია ორი შიგა კალაპოტით, რომლებიც თავისი ძლიერ გამოწეული წინა კილით და *In. balticus*-ისებრი სკულპტურით (კონცენტრული წიბოები) ძლიერ პგვანან ამ სახის ტიპს.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ჩვენი ნიმუშებიდან ერთი ალგებულია ჩხერიმელის შენაკადის ზვარულას ხეობაში (ფიჭვის დელე), სენონური მერგელუბიდან, სადაც ის *In. salisburgensis* F. K.-თან ერთად გვხვდება. ამგვარად ის კამპანური ან მასტრიხტული უნდა იყოს, რაც ეთანხმება მის გავრცელებას ალპებში. მეორე—გარიყულას ხევის თეთრი კირქვებიდანაა.

*Inoceramus georgicus* Tsagarély

1942. *Inoceramus georgicus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 123, ტაბ. III, სურ. 1.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის კარგად დაცული ნიმუშით, რომელიც ალგებულია მდ. მუნჩიის (სამეგრელო) თეთრ სენონურ კირქვებში. გარდა ამისა არის რამდენიმე ნატეხი ნიმუში სურამის, ძეგვის (ხეკორძულა და დარბაზულა), წითელქალაქის (გარიყულას ხევი) და მუნჩიის სენონური კირქვებიდან.

*Inoceramus* cf. *colchicus* Tsagarély

1942. *Inoceramus colchicus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 123, ტაბ. IV, სურ. 1.

ეს სახე წარმოდგენილია სამი ნაკლული ნიმუშით. ერთი ძეგვის მიდამოების (დარბაზულა) სენონურიდანაა (*In. cf. balticus* Böhm და *In. georgicus* Ts.-თან ერთადაა ნაპოვნი) მეორე სარეწკელის სენონური კირქვებიდანაა და მესამე შარაულის სენონური კირქვებიდან. უკანასკნელ კრილში ის მასტრიხტულია.

*Inoceramus Mülleri* Petrascheck

1906. *Inoceramus Mülleri* Petrascheck. Inoc. a. d. Gosau, S. 162, Taf. VI. Fig. 1, 2.

ეს ფორმა წარმოდგენილია ორი ნიმუშით: ერთი მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტია და საგდულის უკანა მესამედი ჩამოტეხილი აქვს, მეორე კი მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტია და წინა და ქვედა მხარე აკლია. ამიტომ ზომები არ მომყავს.

თხემი არაკიდურია, საბმის კიდებე ამოღებული. საბმის კიდე დაახლოებით საერთო სიგრძის ნახევარი უნდა იყოს. საგდული ზომიერადაა გამობერილი და საბმის მიმართ ირიბად წაგრძელებული. ამიტომ სიგრძე-სიმაღლე თანაბარი უნდა იყოს, ან შეიძლება სიგრძე სწარბობდეს ოდნავ. წინა კიდე მორგვალეებულია და მორგვალეებულადვე გადადის ქვედაში.

სკულპტურა შედგება კონცენტრული წიბოებისაგან, რომლებიც საგდულის გარეთა ნაწილებზე სუსტდებიან და ოდნავ შესამჩნევ ფართო ნაოჭებად იქცევიან.

საერთო მოყვანილობით ჩვენი ნიმუშები ძლიერ მიაგვანან ამ სახის ტიპს და მხოლოდ ცოტა უფრო ხშირი წიბოებით განსხვავდებიან, რაც საკმარისად არ მიგვაჩნია ახალ ვარიეტეტის გამოყოფისათვის.

მსგავსება - განსხვავებანი. ეს სახე ყველაზე ახლოს სდგას *In. decipiens* Zittel-თან, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო გრძელი საბმის კილით. *In. Zitteli* Petr.-ს აღწერილ სახეზე უფრო გრძელი საბმის კიდე აქვს.

გავრცელება. სახის ტიპი აღწერილია ალპების გოზაუდან, *Inoc. alaeformis* Zek. და სხვებთან ერთად. ჩვენი ნიმუშები ნახული არიან წითელ-ქალაქის მიდამოების (გარიყულას ხევი) ზედა ცარცულ კირქვებში, *In. balticus* B. და *In. georgicus* Ts.-თან ერთად და კამპანური (მასტრიხტული?) უნდა იყვნენ.

#### *Inoceramus Felixi* Petrascheck.

1866. *Inoceramus Lamarcki* Zittel. Die Bivalven der Gosaugeb., S. 99 (23), Taf. XV, Fig. 6.

1906. *Inoceramus Felixi* Petrascheck. Inoc. a. d. Gosau., S. 162.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტით.

სიმაღლე	75 mm
სიგრძე	69 mm
სისქე	15 mm

თხემი თითქმის კიდურია, ძლიერ დაბალი, გამოუყოფელი და პეტარა. საბმის კიდე საგდულის სიგრძეზე ცოტა მოკლე უნდა იყოს (ეს ჩანს სკულპტურის მოყვანილობის მიხედვით, თუმცა თვით საბმის კილის უკანა ნაწილი მოტეხილია). წინა კუთხე ბლაგვია; გრძელი წინა კიდე გადადის მოკლე და მორგვალეზულ ქვედა კიდეში; უკანა კილის ქვედა ორი მესამედი მიმართულია წინისკენ და თითქმის სწორია, ხოლო ზედა მესამედი მორგვალეზულია და ბლაგვი კუთხით უახლოვდება საბმის კიდეს.

საგდულის უდიდესი გამოზბერილობის ღერძი თხემის ნაწილში საბმის კიდესთან მახვილ კუთხეს ჰქმნის, მაგრამ შუა ნაწილში ეს კუთხე სწორდება, ხოლო ქვედა კილისკენ ბლაგვიც ხდება. ეს ღერძი საგდულის წინა მესამედიში მდებარეობს. საგდულის უკანა ნაწილი აქედან თანდათანობით შებრტყელებას განიცდის.

სკულპტურა შედგება კონცენტრული წიბოებისგან, რომელთა უდიდესი სიმრუდე თანხდება საგდულის გამოზბერტყულობის ღერძს. ამიტომ თხემთან შათ *In. balticus*-ისებრი მოყვანილობა აქვთ, მაგრამ მოზორებით უკვე საგდულის კიდეების პარალელური ხდებიან; მასთან, თხემის მესამედიში ისინი წვრილი და ხშირი არიან, მაგრამ შემდეგ მძლავრი და დაზორებული ხდებიან.

მსგავსება - განსხვავებანი. ამ სახის ონტოგენური განვითარება გვიჩვენებს, რომ ის უნდა ეკუთვნოდეს *Inoc. balticus* Böhm.-ის ჯგუფს (სკულპ-

ტურის მოყვანილობა თხემის მეზობლად, ე. ი. განვითარების დასაწყის სტადიებში), მაგრამ მოზრდილობისას ის ძლიერ განსხვავდება ამ ჯგუფის ყველა დანარჩენი ფორმებისგან თავისი უდიდესი გამობერილობის ღერძის მდებარეობით და საერთო მოყვანილობით. გასაგებია ამიტომ, რომ თავდაპირველად ის მიღებული იქნა, როგორც *Inoc. Lamarcki* Park.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ევროპაში ეს სახე დამახასიათებელია ალპების გოზაუს-ფაციენისთვის, საიდანაც ის აღწერილია *Inoc. alaeformis* Zek. *Inoc. decipiens* Zitt. და *In. Mülleri* Petr.-თან ერთად. ჩვენი ნიმუში აღებულია ხარაგოულთან, მდ. ჯიხველას ხეობის კამპანურ სქელშრეებრივ ნაცრისფერ კირქვებში, *Inoc. salisburgensis*, *In. alaeformis* და სხვებთან ერთად.

*Inoceramus alpinus* n. sp.

ტაბ. XV, სურ. 4.

1866. *Inoceramus Cripsi* var. *regularis* Zittel. Die Biv. d. Gosageb., Taf. XIV, Fig. 3.

ეს ფორმა წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის შიგა კალაპორტით, რომელსაც საგდულის უკანა მხარე ჩამოტეხილი აქვს. ამიტომ სიგრძე მიახლოებითაა მოცემული, სკულპტურის მოხაზულობის მიხედვით.

სიგრძე 90 mm

სიმაღლე 80 mm

სისქე 20 mm

თხემი არაკიდურია, პატარა, მაგრამ შესამჩნევი, საბმის კიდვზე ცოტა მაღალი. წინა კიდე შორს არის გამოწეული და წრიული მოყვანილობისა; ასევეა ქვედა კიდეც. სკულპტურის მოყვანილობის მიხედვით ჩანს რომ უკანა კიდეც წრიულივე უნდა იყოს. ამგვარად, ამ ფორმას თითქმის წრიული კონტური ახასიათებს.

თხემის წვეროდან დაახლოებით 70 mm რადიუსამდე ნიჟარა თითქმის ბრტყელია, მაგრამ ამ მანძილიდან იგი უეცარი გარდატეხით იცვლის ზრდის მიმართულებას, *Inoc. inconstans*-ის მსგავსად. ფრთის არსებობის ნიშნები არ არის.

სკულპტურა შედგება მკვეთრი და მაღალი კონცენტრული წიბოებისგან, რომლებიც თხემიდან დაშორებასთან ერთად ძლიერდებიან. წინამხარეზე გადასვლისას ისინი სუსტდებიან. გარდატეხილი ნაწილი მთლად გლუვია. ორგან ჩანს ჩანამატი წიბოებიც, რომლებიც სიმძლავრით მთავარ წიბოებს არ ჩამოუვარდებიან.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა - გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი. ჩვენი ნიმუში ძლიერ ჰვავს ც ი ტ ე ლ ი ს ნიმუშს, რომელიც მან დ'ორბინი-ის *Inoc. regularis*-თან გააიგივა. აღნიშნული ნიმუში ძლიერ განსხვავდება დ'ორბინი-ის ორიგინალისაგან, თავისი თითქმის წრიული მოყვანილობით და არაკიდური თხემით, და ამიტომ ასეთი იდენტიფიკაცია, ჩვენი აზრით, დაუშვებელია. ვინაიდან ც ი ტ ე ლ ი ს ფორმა არც სხვა რომელიმე ცნობილ ფორმას უახლოვდება, ამიტომ ჩვენ მას დამოუკიდებელ სახედ ვთვლით.



გავრცელება. ციტელის ნიმუში გოზაუდან არის; სადაც ის *In. decipiens* Zitt. და *Inoc. alaeformis* Zek.-თან ერთად გვხვდება. ჩვენი ნიმუში აღებულია ხარაგოულთან, ჯიხველის ხეობის კამპანურ კირქვებში, *Inoceramus Felixi* Petr.-თან ერთად.

*Inoceramus quadratus* n. sp.

ტაბ. XV, სურ. 2

ეს ფორმა წარმოდგენილია ერთი მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტით.

სიგრძე 75 mm

სიმაღლე 71 mm

სისქე 28 mm

თხემი კიღური, ძლიერ პატარა, საბმის კიღეს თითქმის არ სცილდება. საბმის კიღე საგდულის სიგრძეზე ცოტა ნაკლებია. წინა, ქვედა და უკანა კიღეები სუსტად მორგვალეული არიან და ამიტომ საგდულს თითქმის ოთხკუთხი-კვადრატული მოხაზულობა აქვს. საგდული საკმაოდ გამობერილია, რადგან წინა და ქვედა მხარეები საგდულთა გამყოფი სიბრტყის მართობი არიან. საგდულის გვერდი და უკანა მხარე-კი ერთ თითქმის ბრტყელ ან სუსტად გამობურცულ ზედაპირს წარმოადგენენ. ამგვარად, საგდულის წინა ნაწილი გამობერილია, ხოლო უკანა—გვერდიდან შებრტყელებული.

სკულპტურა შედგება ზრდითი ტალღობებისაგან, რომლებიც ფარავენ ნიჟარის წინა, გამობერილ ნაწილს; მათ სწორკუთხოვანი მოყვანილობა აქვთ და წაგრძელებული არიან საბმის კიდიდან ქვევითკენ; ხოლო მათი წაგრძელების ღერძი დასაწყისში საბმის კიღესთან სწორკუთხეს ჰქმნის, შემდეგ კი თანდათან ეს კუთხე მახვილი ხდება. საგდულის უკანა მხარე და ქვედა მხარის უკანა ნაწილი გლუვია.

მისგავსება-განსხვავებანი. საგდულის მოხაზულობით და გარდატეხით ჩვენი ფორმა შედარებით ახლოს დგას *Inoc. subquadratus* Schlüt.-თან, მაგრამ განსხვავდება მისგან კიღური თხემით და ზრდითი ტალღობების არსებობით (უკანასკნელს კონცენტრული წიბოები ახასიათებს).

გავრცელება. ეს ფორმა ნახულია ხარაგოულის კონიაკურ ნაცრისფერ კირქვებში *Inoc. subquadratus*-თან და სხვებთან ერთად.

*Inoceramus circularis* n. sp.

ტაბ. XIII, სურ. 9

ეს სახე წარმოდგენილია ერთი ნიმუშით, რომელსაც ორივე საგდული აქვს შერჩენილი. მარცხენა საგდული შიგა კალაპოტს წარმოადგენს, მარჯვენა კი პრიზმული შრითაა დაფარული. მაგრამ საგდულები ერთი-მეორის მიმართ გადაადგილებული არიან, ხოლო მარჯვენა საგდულის კიღეები ჩამოტეხილია; ამიტომ ზომებს მარცხენა საგდულისას ვიძლევი.

სიგრძე 110 mm  
 სიმაღლე 110 mm  
 სისქე 25 mm

თხემი მალალა, საკმაოდ გამობერილი და შიგნით და წინ მოკაუჭებული, არაკიდური. საგდულები თითქმის წესიერი წრიული მოყვანილობისაა, ზომიერად გამობერილი. საბმის კიდე მოკლეა და თხემის უკან პატარა ფრთისებრად გაბრტყელებული არე ჩანს, თუმცა ნამდვილი ფრთა არ არსებობს. უდიდესი გამობერილობა საგდულის შუაზეა, კიდეებისკენ თანდათან საგდული ბრტყელებდა.

სკულპტურა შედგება თითქმის წრიული კონცენტრიული წიბოებისგან, რომლებსაც, რამდენადმე ცვალებადი სიმძლავრის გამო, ზრდითი ტალღოების ხასიათი აქვთ.

მსგავსება - განსხვავებანი. აღწერილი ფორმა ძლიერ უახლოვდება *Inoc. subquadratus* Schlüt.-ს, მაგრამ განსხვავდება მისგან უფრო მსხვილი თხემით და წრიული მოყვანილობით.

გავრცელება. ნიმუში აღებულია ხარაგოულის კონიაკურ ნაცრისფერ თხელშრეებრივ კირქვებში, რომლებშიც ცნობილია და აღწერილი *In. subquadratus* Schlüt, *In. crassus* Petr., *Cordic. cordiformis* Sow. და *Cord. Haenleini* G. Müll.

#### *Inoceramus subquadratus* Schlüt.

1942. *Inoceramus subquadratus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 124, ტ. I, სურ. 1. (მოყვანილია სინონიმიკა)

ამ სახეს ვაკუთვნებთ ერთ ნიმუშს ჩხარის რაიონის სენონურ კირქვების ქვედა ნაწილიდან.

#### *Inoceramus cycloides* Wegner.

1942. *Inoceramus cycloides* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 125, ტაბ. I, სურ. 2 (მოყვანილია სინონიმიკა)

ამ სახის ერთი ნიმუში აღებულია მდ. ხრამის ხეობაში წითელ ხიდთან (მარჯვენა ნაპირი) ზედა ცარცის კირქვებში.

გავრცელება. საქართველოშიც და საქართველოს გარედაც სანტონურია (*Granulatenkreide*).

#### *Inoceramus altus* Meck.

1942. *Inoceramus altus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 13, ტაბ. IX, სურ. 2. (მოყვანილია სინონიმიკა).

ერთი ნიმუში სატანჯიოს — თეთრი კირქვებიდან.

#### *Inoceramus subcircularis* n. sp.

ტაბ. XIV, სურ. 10

ეს ფორმა წარმოდგენილია ერთი დიდი ზომის მარჯვენა საგდულის ნაკლებული შიგა კალაპოტით, რომელსაც საგდულის ქვედა ნახევარი აკლია.

მიუხედავად ამისა, ფორმის მკაფიო ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშნები კარგად ემჩნევა.

სიგრძე 145 mm

სიმაღლე 140 mm (დაახლოებით)

სისქე 20 mm

თხემი პატარაა, თითქმის კილური, საბმის კიდეზე ოდნავ ამიღებულნი, შიგნით და წინ სუსტად მოკაუჭებული. საგდული სუსტადაა გამოზერილი, თანაბარი სიგრძე-სიმაღლისაა. თხემის ქვეშ შერჩენილია საბმის სიბრტყის ნატეხი, რომლის მიმართულება მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ მას უკან ფრთა უნდა შეეკმნა. წინა კუთხე ძლიერ ბლაგვია და ამიტომ წინა მხარე შორსაა გამოწეული. წინა კიდე ფართოდაა მორგვალეებული და ჩანს, რომ ასევე მორგვალეებულად უნდა გადადიოდეს ქვედა კიდეში. უკანა კუთხე ნაკლებ ბლაგვია, ვიდრე წინა, ხოლო უკანა კიდეც მორგვალეებულია. საბმის კიდე შედარებით მოკლე უნდა ყოფილიყო, სულ 6-ოდე cm. სკულპტურა შედგება წესიერი, დაბალი, მაგრამ მკაფიო, დაშორებული კონცენტრიული წიბოებისაგან, რომლებსაც ოვალური მოხაზულობა აქვთ.

მსგავსება-განსხვავებანი. გარეგნულად ეს ფორმა მიაგავს *In. alaeformis* Zek.-ს. მაგრამ უკანასკნელს ფრთა არა აქვს. უფრო დიდი მსგავსება არსებობს *Inoc. circularis* n. sp.-თან, მაგრამ უკანასკნელს უფრო დიდი თხემი აქვს და უფრო უწესო და წრიული მოყვანილობის წიბოები.

გავრცელება. ნიმუში აღებულია ჩხარის რაიონის სენონური კირქვებიდან.

### *Inoceramus Petraschecki* n. sp.

ტაბ. XV, სურ. 5

1906. *Inoceramus percostatus* Petrascheck. Inoc. a. d. Gosau. S. 163, Textfig. 2.  
 Non 1887. " " G. Müller. Beitrag zur. Kenntniss., S. 413 Taf. XVII, Fig. 3.  
 1911. " " Andert. Inoc. Kreibitz-Zittauer., S. 56, Taf. V, Fig. 4.  
 1934. " " Andert. Kreidealbagerungen, S. 119, Taf. 5, Fig. 4.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი მარცხენა საგდულის შიგა კალაპოტით, რომელიც ნაპოვნი ხარაგოულის ქვედა სენონურ ნაცრისფერ კირქვებში, სკოლის პირდაპირ.

სიგრძე 60 mm

სიმაღლე 60 mm

სისქე 20 mm

საგდული თანაბარი სიგრძე-სიმაღლისაა და ზომიერად და თანაბრად გამოზერილი. კიდეები მორგვალეებულ კონტურს აძლევენ მას. წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია, თხემი კილური, შედარებით მსხვილი და შიგნით და წინ მოკაუჭებული.

სკულპტურა შედგება მსხვილი და მძლავრი ზრდითი ტალღოებებისგან, რომლებიც საბმის კიდეს მახვილი კუთხით უახლოვდებიან.

მსგავსება-განსხვავებანი. თანაბარი სიგრძე-სიმაღლით, თითქმის წრიული მოყვანილობით და მძლავრი ზრდითი ტალღობების არსებობით ეს სახე მკაფიოდ განსხვავდება ყველა სენონური სახეებისგან. შედარებით უფრო ახლოს დგას ის ამერიკულ ფორმებთან, როგორცაა *In. nebrascensis* Ow. და *In. Balchi* M. et H., რომლებსაც წესიერი კონცენტრიული წიბოები ახასიათებთ. ნამდვილი *Inoc. percostatus* G. Müll. ახლოა *In. Lamarcki*-სთან.

გავრცელება. ალპებში, პეტრაშეკის მიხედვით, ემშერს ეკუთვნის, ჩვენი ნიმუში კონიაკური არის, რადგან იმავე შრეებში აღებული არიან *Cordic. cordiformis* Sow., *Cord. Haenleini* G. Müll. და *In. subquadratus* Schlüt.

#### *Inoceramus petrenuis* cf. Meek et Hayden.

1942. *Inoceramus pertenuis* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 131.

ეს სახე წარმოდგენილია ერთი უსრულო, მაგრამ დამახასიათებელი ნიმუშით, რომელიც აღებულია ჩხერიმელის ხეობის (ფიჭვის დელე) სენონურ შერგელებში.

გავრცელება: კამპანური.

#### Subgenus MYTILOIDES Brongniart

##### *Mytiloides bohemicus* Leonhard.

1942. *Mytiloides bohemicus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 133, ტაბ. I, სურ. 5, 6 (მოყვანილია სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია ხუთი ნიმუშით; ერთი აღებულია სოფ. ბიჯნისთან კვარციან-გლაუკონტიან კირქვებში, მეორე კელასურის ხეობის გლაუკონტიან ქვიშაქვებში, დანარჩენი ორი ოქუმის ხეობის გლაუკონტიანი ქვიშაქვების წყებიდან (ქვიშიანი მერგელის შუა შრე).

გავრცელება. სენომანური.

##### *Mytiloides* cf. *labiatus* Schlottheim.

1942. *Mytiloides labiatus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 134.

ამ სახეს ვაკუთვნებთ ოთხ ნიმუშს, რომლებიც აღებული არიან სოფ. ბიჯნისთან ზედა ცარცული კირქვების ქვედა შრეებში. ისინი უდავოდ ამ ჯგუფის ფორმათა დამახასიათებელ სკულპტურას გვიჩვენებენ, მაგრამ დაცულობა უფრო ზუსტი განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა.

გავრცელება. ქვედა ტურონული.

##### *Mytiloides hercynicus* Petrascheck.

1942. *Mytiloides hercynicus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 138, ტაბ. IX, სურ. 1 (მოყვანილია სინონიმიკა).

სამი ნიმუშია, დამახასიათებელი სკულპტურით. ერთი აღებულია ალპანასთან, ორი ჩორჯოსთან, ზედა ცარცის კირქვების ქვეშ მდებარე მერგელებში.

გავრცელება. ქვედა ტურონული.

## Subgenus VOLVICERARUS Stoliczka

*Volviceramus* cf. *involutus* Sowerby

1942. *Volviceramus involutus* ცაგარელი, ინოცერამები, გვ. 141. (მოყვანილია სინონიმიკა).

ამ სახეს ვაკუთვნებთ სამ ნატეხ ნიმუშს, რომლებიც აღებული არიან ცხენისწყლის ხეობაში, მურის და სარეწკელის კლდეკარებში. ეს ფორმა იქ საკმაოდ ხშირია ზედა ცარცის ვარდისფერ კირქვებში, მაგრამ ქანიდან მთლიანი ნიმუშების გამოღება არ ხერხდება.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. კონიაკური.

## Subgenus ENDOCOSTEA Whitfield

*Endocostea* cf. *impressa* d'Orbirby

1943. *Inoceramus impressus* d'Orbigny. Pál. Franç., Ter. cré., t. III, p. 515, pl. 409.

ამ სახის, გვაქვს სამი პატარა ზომის ნიმუში რომელთაგან ორი წარმოადგენს მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტის აღნაბეჭდს, ხოლო მესამე მარჯვენა საგდულისავე შიგა კალაპოტს.

საერთო ხასიათი ამ სახისა, სახელდობრ, რამდენადმე უწყესო კონცენტრული წიბოები და რადიალური ლარი, რომელიც თხემიდანვე იწყება, კარგად ემჩნევა ჩვენ ნიმუშებს. იმავე დროს ბლაგვი წინა კუთხით ისინი ადვილად გამოირჩევიან *E. typika* Whitf-საგან.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. საერთოდ ეს სახე *Bel. mucronata*-ს ზონისათვისაა დამახასიათებელი. ჩვენი ნიმუშები აღებული არიან: ერთი სოფ. მერვეთან (ყვირილის აუზი) ზედა ცარცულ კირქვებში, ხოლო ორი დანარჩენი სოფ. ძეგვეთან, მდ. ხეკორძულის და მისი შენაკადის—დარბაზულის ზედა ცარცულ კირქვებში.

## Subgenus TAENOCERAMUS Heinz em. Tsagarély

*Taenioceramus anglicus* Woods

1942. *Taenioceramus anglicus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 149 (სინონიმიკა).

ეს სახე ნახულია სოფ. სალანძილესთან (ჩხერიმელის ხეობა), ალბურ თიხებში. ნიმუშს აკლია ქვედა კიდე და უკანა მხარის დიდი ნაწილი, და ამიტომ ზომები მიახლოებულია.

სიმაღლე 32 mm.

სიგრძე ვერ იზომება; სკულპტურის მიხედვით ცოტა ნაკლები უნდა იყოს სიმაღლეზე.

სისქე 13 mm.

თხემი კიდურია, წვეტიანი, წინისკენ და შიგნით მოკაუჭებული, ლიგამენტის ხაზზე ოდნავ მაღალი. ლიგამენტის ხაზი საგდულის სიმაღლის ნახევარზე მეტია. წინა და უკანა კუთხეები ბლაგვია. საგდულის წინა ნახევარი გამობერილია, ხოლო უკანა ნახევარი ფრთისებრად და შევიწროვებული. წინა მხარე ბრტყელია და თითქმის მართობია საგდულთა გამყოფი სიბრტყის.

სკულპტურა შედგება წვრილი ზრდითი ქედობებისაგან.  
გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ალბური.

#### *Taenioceramus tenuis* Mantell

1942. *Taenioceramus tenuis* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 151, (სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია ჩვიდმეტი დაცალეხული საგდულის შიგა კალაპოტებით; სახის დამახასიათებელი ნიშნები: კერძოდ საგდულის მაღალი მოყვანილობა, მაღალი და მოკაუჭებული კიდური თხემი, სუსტი ზრდითი ტალღობები, კარგადაა დაცული და ნიმუშების ტიპთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ეს სახე დამახასიათებელია სენომანურისთვის. ჩვენი ნიმუშებიდან უმეტესობა აღებულია რაჭაში, ს. სხვაგვარი გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ქვედა შრეში, ორი ს. თლულში იმავე პირობებში. გარდა ამისა ერთი აღებულია მდ. გუმისტის გლაუკონიტიან ქვიშაქვებში და ერთიც ახალი ათონის სენომანურ მერგელეებში.

#### *Taenioceramus pictus* Sowerby

1942. *Taenioceramus pictus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 153. (სინონიმიკა).

ხელთ გვაქვს ერთი მარცხენა და ორი მარჯვენა საგდულის შიგა კალაპოტები, რომელთაც ახასიათებს მაღალი მოყვანილობა, მაღალი და მოკაუჭებული კიდური თხემი და ზრდითი რგოლობები; ყველა ეს ნიშნები ნიმუშის სოფერბის სახესთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევიან.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ეს სახე ზედა სენომანურის დამახასიათებლად ითვლება. ჩვენი ნიმუშებიდან ერთი აღებულია ჩათახის რაიონში, მდ. ლოქისწყლის და მდ. ფოლადურის შესართავიდან 1 კმ-თ წყალაღმა, ლოქისწყლის ხეობის ცარცის ტუფოგენ წყებაში, ორი—კი მდ. გუმისტის სენომანური გლაუკონიტიანი ქვიშაქვიდანაა. გარდა ამისა ერთი ნაკლები ნიმუში სოფ. ჭუბურხინჯის (სატანჯიო) გლაუკონიტიანი ქვიშაქვების ზედა ნაწილიდანაც არის.

#### *Taenioceramus virgatus* Schlüter

1942. *Taenioceramus virgatus* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 154, (სინონიმიკა).

ეს სახე წარმოდგენილია, გარდა ჩვენ მიერ 1942 წელს აღწერილ ნიმუშებისა, კიდევ თერთმეტი ნიმუშით, რომლებიც დაცალკევებული საგდულების შიგა კალაპოტებს წარმოადგენენ. ოთხი მათგანი სამეგრელოდან არის (ცაიში, ყვანჯარა) და შეიდი აფხაზეთიდან (ლალიძეა, ახალი ათონი). ნიმუშები მთლიანად არ არის, მაგრამ სახის დამახასიათებელი ნიშნები კარგადაა დაცული.

თხემი კიდურია, გამოუყოფელი და დაბალი. საგდულის ღერძი მრუდია, თხემის მეზობლად მახვილ კუთხეს ჰქმნის, საბმის ხაზთან მოშორებით კი ეს კუთხე თანდათან სწორს უახლოვდება. წინა კუთხე სწორია. საგდულის უკანა ნაწილი ფრთისებრადაა შებრტყელებული. სკულპტურა შედგება ზრდითი ტალღობებისაგან და რადიალური ხაზებისგან. კონცენტრული ელემენტების უდიდესი სიმრუდეები საგდულის ღერძს თანხვდება.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ყვანჯარა, მერგელის შუაშრე გლაუკონიტინი ქვიშა-ქვებიდან (*Puzosia planulata*-სთან ერთად), ცაიშის სენომანური გლაუკონიტინი ქვიშაქვები (დახასიათებული მდიდარი ფაუნით), მდ. ლალიძგის სენომანური-მუქი ნაცრისფერი მერგელები, ახალი ათონის ასეთივე მერგელები.

Subgenus ORTHOCERAMUS Heinz em. Tsagarély

*Orthoceramus Lamarcki* Parkinson.

1942. *Orthoceramus Lamarcki* ცაგარელი. ინოცერამები, გვ. 157.

ამ სახეს ვაკუთვნიებთ ოთხ ნიმუშს; ერთი მათგანი აღებულია სოფ. ბიჯნისთან, *In. labiatus*-იანი კირქვების უშუალოდ თავზე, მეორე ალბანასთან, ზედა ცარცის კირქვების სულ ქვედა შრეში, ორი დანარჩენი-კი სატანჯიოს მთის ტურონულ თეთრ კირქვებში.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ქვედა ტურონული.

*Orthoceramus ex gr. Cuvieri* Sowerby

ერთი მარცხენა საგდული, რომელსაც უკანა მხარე ნაწილობრივ აკლია. მის სუსტი სკულპტურიანი, თითქმის გლუვი ზედაპირი აქვს; საბმის ხაზის მდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ მის მკაფიოდ განვითარებული ფრთა უნდა შეექმნა. ყველაფერი ეს ერთად აღებული *In. Cuireri*-სთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ჩვენი ნიმუში არ არის ისე მაღალი და ვიწრო (ანუ მოკლე), როგორც ამ სახის ტიპური ნიმუშები.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ტურონულია. ჩვენი ნიმუში აღებულია ხრამის ხეობის ზემო ნაწილში, ე. წ. გუმბათის ლეღეში, წითელი თხელშრეებრივი კირქვებიდან, რომლებსაც ქვეშ ცარცული ტუფოგენური წყება უვიათ.

Subg. CORDICERAMUS Heinz

*Cordiceramus Brancoi* Wegner

1905. *Inoceramus Brancoi* Wegner. Granulatenkreide, S. 159, Textabb. 4.

ამ სახეს ვაკუთვნიებთ ხუთ ნატეხ ნიმუშს, რომლებიც წარმოადგენენ პრიზმული შრის ნაშთებით დაფარულ შიგა კალაპოტებს. ნიმუშები სრულიად საკმაო წარმოდგენას იძლევიან სახის თვისებებზე და ამიტომ მათი განსაზღვრა მოხერხდა.

საგდულის სიგრძე სიმაღლეზე ცოტა მეტია. საგდული ძლიერ გამოხერხილია, რადგან ნიჟარა ახალგაზრდობაში სწრაფად (თუმცა არა უეცრად) იცვლის ზრდის მიმართულებას. ნიჟარის გვიანი ნაწილები თხემის მეზობელი ნაწილების მართობი არიან.

საბმის კიდე საერთო სიგრძეზე ცოტა მეტია. თხემი ძლიერ დაბალი და პატარაა, კიდური ან თითქმის კიდური. წინა მხარე უფრო გამოხერხილია, ვიდრე უკანა; წინა კუთხე სწორს ოდნავ აღემატება.

თხემის მეზობელი ნაწილის სკულპტურა შედგება წვრილი და შედარებით წესიერი კონცენტრიული წიბოებისგან. დანარჩენ ნაწილზე ფართო და დაბალი ზრდითი ტალღებია. პრიზმულ შრეს ზოგან, გარდა ჩვეულებრივი ზრდითი ხაზებისა, ზრდის ქდეულებიც ემჩნევა. უკანა მხარეზე, საბმის კიდეებთან  $45^{\circ}$  კუთხით განვითარებული რადიალური ზოლი არის, რომელზედაც სკულპტურა სუსტდება.

მსგავსება - განსხვავებანი. ყველაზე ახლოს ამ სახესთან არის *Cord. Haenleini* G. Müll., რომელიც მისგან წინ წახრილი თხემით და ნაკლებ გამოხერხილი საგდულებით განიჩევა.

გავრცელება. ვენერის მიხედვით, ქვედა სენონურია (Granulatenkreide). ჩვენი ნიმუშებიდან ორი აღებულია ჩხარის რაიონში, ზედაცარცული კირქვების ქვედა ნაწილში, ხოლო სამი ხარაგოულთან, მდ. ჯიხველის ხეობის სანტონურ კირქვებში, *Inoc. cycloides* Wegn. და სხვებთან ერთად

### Genus PHYLLOCERAS Suess.

#### *Phylloceras Whiteavesi* Kossmat.

1895. *Phylloceras Forbesianum* Kossmat. Südindische Kreideformation, S. (13) 109  
Tab. XV (I), Fig. 1a-b.  
1898. " *Whiteavesi* Kossmat. Südindische Kreidef., S. (184) 124.  
1906. " *Forbesianum* Boule, Lemoine et Thévenin. Céphalopodes, p.  
9, pl. I, fig. 8a-b, 9a-b.  
1910. " *Whiteavesi* Pervinquiére. Ammonites, p. 10, pl. I, Fig. 7-8,  
ამ სახეს ვაკუთვნებთ ერთ პატარა შიგა კალაპოტს.

D—28 mm (1)

O—1 mm (0,03)

H—16 mm (0,6)

E—15 mm (0,55)

ხვეულები წრიული კვეთისაა, თითქმის თანაბარი სისქე-სიმაღლის. უდიდესი სისქე ხვეულის შუა ნაწილშია. ჭიბი ძლიერ ვიწროა და ძაბრისებრი. ზედაპირი გლუვი აქვს. ტიხრის ხაზი დაცული არ არის.

მსგავსება - განსხვავებანი. გარეგნულად ეს სახე ძლიერ ახლოსაა სენონურ *Ph. Forbesianum* d'Orb-თან, იმდენად, რომ კოსმატმა და ბულმა, ლემუენმა და ტევენენმა ისინი ერთმანეთთან გაიგივეს. მაგრამ მათ შორის განსხვავება თვით კოსმატმავე აღნიშნა მალე. ეს სახე ცოტა უფრო გამოხერხილია და ჭიბის ძაბრისებრი ფორმა მას ნაკლებ აქვს გამოხატული. გარდა ამისა, პერვენკიერმა აღნიშნა ტიხრის ხაზების განსხვავებაც: ამ სახეს უფრო გრძელი უნაგირები აქვს და სიფონური პატარა უნაგირა უფრო მარტივი. მიუხედავად ამისა, ამ ორი სახის არევა ძალიან ადვილია, როდესაც მათი ასაკი უცნობია.

მეორეს მხრით, ჩვენი სახე ძლიერ ჰგავს აგრეთვე *Ph. Rouyanum* d'Orb.-ს, რომელიც მისგან ხვეულის ფორმით განიჩევა: უკანასკნელს უდიდესი სისქე მუცლის მხარესთან აქვს.



გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. ინდოეთის ნიმუში ქვედა უტატურის წყებიდანაა (სენ-ნომანური), ხოლო მადაგასკარისა ც ა გ რ ე თ ე ვ ს ე ნ ო მ ა ნ უ რ ი დ ა ნ ა ა. ასევე ალჟირის ნიმუშიც. ჩვენი ნიმუში აღებულა სად. წიფის სემაფორთან, სენომანურ კვარციან-გლაუკონიტთან კირქვებში.

### Phylloceras Tanit Pervinquierè

1907. *Phylloceras Tanit* Pervinquierè. Cephalopodes, p. 53, pl. III, fig. 3—9.

1910. " Pervinquierè Ammonites, p. 9, pl. I, fig. 4—6.

